ჯეის პლიგრ

32 გვ

№ 50 (295) ◆ 11 – 17 დეკემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

კაცმა არ იცის მსოფლიოში, რა უნდა ჩვენს ხელისუფლებას...

– რომელ რუსეთის ბაზარს მისტირიან, რა ბაზარი გვაქვს რუსეთში?

– ტვინის და ხელის განძრევაა საჭირო და ვიპოვით ალტერნატიულ გზას...

– ჩვენი ბიუჯეტი არის იმ შემოსავლების ნაგლეჯი, რაც კლანებს დარჩათ „ნაშთის“ სახით;

– თუ გვეცოდინება როგორი სახელმწიფოს შენება გვაწყობს და მთავრობაში პატიოსანი ხალხი მოვა, საქართველო წარმოაჩენს თავის უზარმაზარ პოტენციალს.

გვ.3

შევარდნაძე ჩემი ქმექნის პრეზიდენტია და ჟველა ქვექნის პრეზიდენტს მირჩევნია...

– ეს ხელისუფლება იმპიჩმენტის ღირსი კი არის, მაგრამ უარესად აირევა ქვეყანა...

– ესენი ისე ახურდავებენ პუტინს, თითქოს ზიმბაბვეს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე იყოს...

გვ.6 ვახტანგ რჩეულიშვილი

პანკისის ხეობა – დღეს საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა!..

სამხედრო თემაზე:

რუსეთის ხელისუფლებას ერთი სული აქვს, პანკისის ხეობაში სისხლი დაიღვაროს და ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები გაჩაღდეს. კრემლი ნიშნის მოგებით განაცხადებს – აკი გეუბნებოდით, ჩეჩენ სეპარატისტებს ერთობლივი ძალებით ვებრძოლოთო!

გვ.9

საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისთვის დაუშვებელია საბრძოლო მოქმედებების დაწყება, თუმცა აღარც უკან დასახევი გზა ჩანს...

თბილისის ნაგავსაყრელზე გასუქებული „საკალანდე“ ღორები...

გვ.5

თბილისის ირგვლივ განთავსებული ღია ნაგავსაყრელები

...არავითარი სადეზინფექციო სამუშაოები, პირუტყვი ივსებს სტომაქს. ხომ არ მოხვდებიან ეს ღორები თბილისის საზკვების ობიექტებში?!

ვასალელებმ ყველაზე მაღალი პოლიციური კულტურის ქონე ქართველ პოლიციელს

გვ.31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

ქართულ ეკლესიებში ქართულ ზარს თითქმის ვერ ნახავთ

– ქართულ ზარს გუმბათის ფორმა აქვს... გუმბათი, მიმტკიცებლობისთვის არის სამარადისოდ გათვლილი... ზარის ჟღერადობა იესო ქრისტეს ჯვარცმისას ლურსმნებით დაჭედების ხმის ასოციაციას უნდა იწვევდეს...

გვ.4

უოჯახო ოჯახები...

ჩემს შვილს არ ეხება ეგ თქვენი „ბავშვთა უფლებები?“ იქნებ ვინ უნდა გაიზარდოს. ზოგიერთი „ნაბიჭვარი“ მსოფლიოს გადანაწილებას ახდენდა...

რკინის ჯიხურში შეხიზნული სიცოცხლე...

ქალაქის განაპირას „უკაცრიელ ადგილას „მზრუნველმა“ ხელისუფალმა რკინის ორმეტრიან ოთახში ოჯახის დედა შეასახლა თავისი ოთხი ვაჟითა და რძალ-შვილიშვილით... მათ მნახველს მაჯლაჯუნასავით სირცხვილი მოგებჯინებათ ყელში.

გვ.8

დაბადების დღე ჭერაქჭის ბოლოდინში

37 წლის შესრულებამდე ერთი დღით ადრე, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის სპიკერს უმისამართო, ბუნდოვანი ტერაქტიდან გადარჩენა „მიულოცა“.

გვ.6

„კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი...

– თქვენი „პროექტით“ ჩემი აღრესატი იქნებოდა ახალგაბრდობა... მომდევნოები... მათ, მინდა პატივი მიაგონ იმ ტრადიციებს, ოდითგან რომ მოგვდგამდა.

მარიკა ლორთქიფანიძე

გვ.7

– არა მგონია, ფურცელმა შეცვალოს მღვდელი...

მაგრამ, ალბათ ესეც ღირსებაა შთამომავლობის წინაშე აღიარო შენი ცოდვები.

ირინა სარიშვილი-ჭანტურია

შეცხოელებზი საღამოს თბილისში აღარ გამოვლენ?!

...ამერიკის საელჩომ თავისი მოქალაქეები გააფრთხილა – 6 საათის შემდეგ თბილისის ქუჩებში ნუ გახვალთო...

...ვინ „მუშაობს“ ჯერ ვერ დაადგინეს ჩვენმა სპეციალურმა სამსახურებმა, მაგრამ ვინც „მუშაობს“, კარგად მუშაობს.

გვ.5

ქართველებო! საღ არის ჩვენი სამშობლო?!

„ქართველები არ ცხოვრობდნენ საქართველოში“, ამ ტერიტორიაზე ისინი მე-12 საუკუნეში გამოჩნდნენ...

„კავკასია არ არის ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო... აქ არ არის მათი კულტურის ფესვები და წყაროები.“

გვ.14

ეკრანი: ამ დანაშაულის შესახებ ერთ დროს მთელი თბილისი საუბრობდა

...გამოძიებამ რამდენიმე თვე გასტანა... ბოროტმოქმედები სამაგალითოდ დაისაჯნენ... ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ წევრს 25 წლიანი სასჯელი მიუსადაგეს... ორთაჭალის ციხის უფროსის თანაშემწემ ტუსაღის პირადი საქმე და საღრიცხვო ბარათი მოიპარა. კარგად გათვალა და თავისი მორიგეობის დროს მსჯავრდებულს ციხის კარის ურდული გადაუწია... პატიმრებით გადაჭედილ ორთაჭალის ციხეში ვარლამ მდივნის გაუჩინარება ვერავინ შენიშნა...

გვ.10

ვარლამი საკუთარმა სიბრიყვემ მაინც დაღუპა...

ფირმა „ბერმუხა“

ბრგყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ზერიზორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

საკვირაო ტელე-კინოფიში 11 - 17 დეკემბერი

გვ. 16-17

„კვირის პალიტრის“ სოცარ პროექტში თქვენც მიიღებთ მონაწილეობას...

Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
MK
stern
СЕГОДНЯ
Калюква
ИЗВЕСТИЯ
Труд
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
иностранец
LE FIGARO magazine
PARIS MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
Le nouvel Observateur
Итоги

ქისტები თავად გაუსწორდებიან გამგზავნებს?

უკიდურესად დაძაბულია ვითარება პანკისის ხეობაში. ახმეტელი ვალერი სამხარაძის გატაცების შემდეგ, ასობით ახმეტელი მიანყდა ხეობაში შესასვლელ ილტოს ხიდს და ისე ჩაკეტ-ჩარაზა იქაურობა, რომ ფაქტობრივად, სრულ იზოლაციაში მოაქცია მთელი ხეობა, ადგილ-ბრივი მოსახლეობითურთ. ხეობაში არც აქედან მიმავალ სურსათით დატვირთულ მანქანებსა და ადამიანებს უშვებდნენ და არც პანკისიდან ახმეტაში საყიდლებზე მიმავალ ქისტებს. ვი-თარებას აკონტროლებდა ქართველთა სპეცდანიშნულების რაზმი, რომელმაც რამდენიმე შეი-არაღებული ჩეჩნისა და ადგილობრივი ქისტის დაკავება შეძლო... მდგომარეობა ლამის აღარ ემორჩილებოდა კონტროლს მას შემდეგ, რაც ბანდიტებმა ხუთდღიანი ტყვეობის შემდეგ გაათ-ავისუფლეს ვალერი სამხარაძე. აღშფოთებული ქისტები, რომლებიც სამართალდამცავთაგან მოითხოვდნენ გამტაცებელთა ვინაობის გამხელას (რაც არ მოხდა), ახმეტისკენ დაიძრნენ და რაიონის ცენტრში მიტინგიც გამართეს, სადაც სამართალდამცავები ბოროტმოქმედებთან ალიანსში დაადანაშაულეს! ქისტები დაიმუქრნენ, რომ ამიერიდან ადამიანთა გამტაცებლებს ჩვენვე გავუსწორდებითო და დაიშალნენ...

თავის მხრივ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ განიხილა პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება და, კახა თარგამაძის თქმით, დაისახა საგანგებო ღონისძიებები მძევლებ-ის გასათავისუფლებლად და რეგიონში ერთხელ და სამუდამოდ სტაბილურობის დასამყარე-ბლად! სრულ მზადყოფნაშია შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები, შინაგანი ჯარი; ახმეტის რაიონში, მის მიმდებარე ტერიტორიაზე და მცხეთა-თიანეთის რეგიონში ჩააყენეს გაძლიერებული საგუშაგოები, ბლოკ-პოსტები. მიმდინარეობს რეგიონის სადღეღამისო პატრულირება. დღე-დღეზე მოსალოდნელია საგანგებო ოპერაციის დაწყებაც. ძალოვანი მინისტრები იმასაც აცხადებენ, რომ საგანგებო მდგომარეობა საქართვე-ლოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდება... მოტივი — კრიმინოგენული მდგომარეობის გართულე-ბა(!). უკანასკნელ საათს პანკისის ხეობაში გადაისროლეს შინაგანი ჯარის კიდევ რამდენიმე ქვედანაყოფი...(ვრცლად იხ. გვ. 9)

როგორ ბიზნესს ბისდევდნენ ესპანელები?!

პანკისის ხეობაში გატაცებული ესპანელი ბიზნესმენების საქმის ძიებას ქართველ სამარ-თალდამცავებთან ერთად ანარმოებენ ესპანელი ჟურნალისტებიც. ისინი თანამემამულეთა მძევლად აყვანის მიზეზებს იძიებენ, თუმცა მათთან შეხვედრას, ჟურნალისტების თქმითვე, თავს არიდე-ბენ ქართულ-ესპანური ფირმის „გეო-მადერასის" ხელმძღვანელები, რომლებთანაც ჰქონდათ საქმიანი კონტაქტები ესპანელ ბიზნესმენებს. ჟურნალისტებს განსაკუთრებით აინტერესებთ საქართველოში გატაცებულები ლეგალურ ბიზნესს მისდევდნენ თუ არალეგალურს. საგულისხ-მოა, რომ თბილისში ესპანელები ხეტყის ბიზნესს ეწეოდნენ, ფირმაში მათ გარდა მომუშავე კიდევ ოთხი ადამიანიდან, სამმა ესპანელმა საქართველო ყველასგან მალულად დატოვა(!).

180 მილიონი 3 მილიარდის სანაცვლოდ

ახლახან მოსკოვში მყოფმა საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ, გია არსენიშვილის მეთაურობით მართალია, მიაღწია იმას, რომ რუსებმა გაზიც გამოუშვეს, ელექტროენერგიაც და ყბადაღებული 180 მილიონი დოლარის ვალის რესტრუქტურიზაციასაც შეჰპირდნენ ქართულ მხარეს, მაგრამ დელეგაციის თბილისში ჩამოსვლისთანავე ერთი ამბავიც „გასკდა": სახელისუ-ფლებო კულუარებში ამბობენ, რომ ქართულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, უარი თქვას სსრკ-ის ქონებიდან საქართველოსთვის კუთვნილი 2-3 მილიარდი დოლარის მიღების პრეტენზიაზე, თუ რუსეთი მოახდენს 180 მილიონი დოლარის ვალის რესტრუქტურიზაციას. იმავე კულუარული ინფორმაციით, რუსები დათანხმდნენ ვალის რესტრუქტურიზაციაზე, ოღონდ ერთი პირობით: საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება უნდა გაუკეთოს ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის" ხე-ლშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლის საფუძველზეც საქართველო სამუდა-მოდ უარს იტყვის ყოფილი საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ქონებიდან თავის კანონიერ ნილზე.

„მმართველ პარტიას ეს არ გაუვია..."

„მხედრიონს" და ჯაბა იოსელიანს იუსტიციის მინისტრი დაუპირისპირდა, რომელმაც ერთხელ უკვე რეგისტრაციაგაუქმებულ „მხედრიონს" ხელახლა რეგისტრაციაზე უარი შეუთვალა. სააკაშ-ვილის არგუმენტით, ის ორგანიზაცია, რომელსაც ერქმევა „მხედრიონი" და რომელშიც ადამი-ანთა ისეთივე შემადგენლობა მოიყრის თავს, როგორიც იყო წინა „მხედრიონი", საერთა-შორისო პრინციპებიდან და ქვეყნის კონსტიტუციის უზენაესობიდან გამომდინარე, არ უნდა გატარდეს რეგისტრაციაშიო... ამ განცხადებას ჩვეული სიდინჯით და იუმორით შეხვდა ჯაბა იოსელიანი, რომლის თქმითაც, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, გაატარებს რეგისტრაციაში „მხედრიონს" იუსტიციის სამინისტრო თუ არა, ოღონდ ეგ არის, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიეიღებთ. სწორედ ეს არის მმართველი პარტიის ამოცანა, რათა ყველა ხერხით გაგვაძევონ პოლიტიკური არენიდან, მაგრამ ეს მათ არ გამოუვათო, — დასძინა ჯაბა იოსელიანმა და არც იმის თქმა დავიწყნია, რომ არჩევნებში სააკაშვილს სწორედ მხედრიონელები ედგნენ მხარში!

ძაღლოლები პარლამენტში დასახლებას აპირებენ

პარლამენტს მორიგი საპროტესტო აქციით მიაწყდნენ მოტყუებული მძღოლები და მათი ოჯახის წევრები. მძღოლები, რომლებიც თავის დროზე სახელმწიფოსთან გაფორმებული ხე-ლშეკრულებით მთავრობას ბინებით უნდა დაეკმაყოფილებინა, ბიუჯეტში საკომპენსაციო თანხ-ების შეტანას ითხოვდნენ. ადრე ეს თანხები მათზე ყოველწლიურად გაიცემოდა, მაგრამ ბიუ-ჯეტის სეკვესტრის შემდეგ შეწყდა. აქციის მონაწილენი დაიმუქრნენ, რომ თუ 2001 წლის ბიუჯეტში არ აისახება მათი საკომპენსაციო თანხები, ისინი რადიკალურ ზომებს მიმართავენ პარლამენტთან, ანუ ბინას დაიდებენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფოიესა და... კაბი-ნეტებში! იმავე დღეს ენით აუწერელი აურზაურით ცდილობდნენ პარლამენტში შესვლას შა-ვოსანი დედები, რომლებიც თავიანთი შვილების მკვლელების დასჯას ითხოვდნენ... შავოს-ნებთან შესახვედრად პარლამენტიდან არავინ გამოსულა!

თავდასხმა ერგნეთის ბაზრობაზე

ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიღბიანი ბანდიტები თავს დაესხნენ ვალუტის გადაცვლის ბიზნესით დაკავებულ ქართველებს. ბანდიტებმა ავტომატებით ცეცხლი გაუხსნეს მევალ-უტეების ავტომანქანას, რის შედეგადაც ორი კაცი დაიჭრა, რომლებიც გორის საავადმყოფოში მოათავსეს. მოგვიანებით, საავადმყოფოს მიადგა ერგნეთის მოსახლეობა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თავდამსხმელები ოსები არიან და თუ სამართალდამცავები არ დაიკავებენ ბანდიტებს, ქართველები თავად გასცემენ პასუხს, ანუ მიმართავენ „ადეკვატურ" ზომებს ოსების მიმართ...

სიდუხჭირის კიდევ ერთი მსხვერპლი

თავდაცვის სამინიტროს ოფიცერმა არჩილ მამალაძემ, წინასწარი ვერსიით, უკიდურესი გაჭირვებისა და სასოწარკვეთის გამო, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. არასატაბე-ლო იარაღიდან ამოღებულ მჭიდში პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ცხრა ტყვიიდან მხოლოდ ერთია გასროლილი. გარდაცვლილს სოფელში ლოგინად ჩავარდნილი დედა დარჩა...

ოქრის მოპოვებლებს ახალი „ელდორადო" ელის

საქართველოს გენერალური პროკურორი, ადრე შექმული მილიონების გამო, „ერთი ადგ-ილისთვის" ამზადებს ამჯერად სკანდალურად ცნობილი „მადნეულის" და „კვარციტის" ოქროს მწარმოებელ ხელმძღვანელებს. ჯამლეთ ბაბილაშვილის განცხადებით, გენპროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც ფიქტიური დოკუმენტე-ბით უამრავი ფინანსური მაქინაცია აქვთ გაკეთებული.

გენპროკურატურის გადაწყვეტილება კონტროლის პალატის მიერ წარდგენილმა ორტომიან-მა მასალებმა განაპირობა, თუმცა „მადნეულის" ამჟამინდელი დირექტორი ზურაბ ლობჟანიძე აცხადებს, რომ საფრთხე მას არ ემუქრება, რადგან ფინანსურ მაქინაციებს მის ამ პოსტზე მისვლამდე ჰქონდა ადგილი და თანაც ამას სჩადიოდნენ არა ქართველი დირექტორები, არამედ... ავსტრალიელები, რომლებსაც მილიონები აქვთ დატაცებული და გადარიცხული უცხოეთში(!). კონტროლის პალატა კი სანინააღმდეგოს ამტკიცებს და აცხადებს, რომ გამფლანგველები სწორედ ქართველი „ოქროს მწარმოებლები" არიან! ახლა მათ ახალ „ელდორადოში" (ანუ თუ გენ-პროკურატურის პრინციპულობას ვენდობით) — ციხეში მოუწევთ „ოქროს მოპოვება".

9 თებერვლის ტერაქტის ექო ისევ ხმიანობს

ბათუმში დაიკავეს 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტში ბრალდებული, 39 წლის ალექსანდრე ზაქარაია. იგი ორი წელიწადია იძებნება და მას ოთხი ბრალდება აქვს წაყენებული, მათ შორის — პრეზიდენტზე თავდასხმა მისი მოკვლის მიზნით, სამშობლოს ღალატი და ანტიკონ-სტიტუციური ქმედებები, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა და გამოყენება. გამო-ძიების მტკიცებით, ალექსანდრე ზაქარაიას გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ადრე არსებული ხატაბის ცნობილ ბაზაში, სადაც ტერაქტებისთვის საგანგე-ბოდ წვრთნიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ბოევიკებს. ზაქარაია უკვე ინახულა ადვოკატმა, რომლის თქმითაც, ბრალდებულის დაკავება იურიდიული ნორმების დაცვით მოხდა და მასზე არანაირ ზეწოლას თუ ფიზიკურ ზემოქმედებას არ ჰქონია ადგილი. ზაქარაიას მალე თბილისში გად-მოიყვანენ და გამოძიება გაგრძელდება...

საპარლამენტო ოპოზიციას „ბოქაულთა რაზმი" ეყოლება

საპარლამენტო ოპოზიციის აღშფოთება გამოიწვია იუსტიციის მინისტრის ახალმა ინიცია-ტივამ. მიშა სააკაშვილმა საკუთარი უწყებისათვის 50-60 კაციანი აღმასრულებელი პოლიციის რაზმის შექმნა მოითხოვა. „ახალმა ფრაქციამ" ეს ახალი წამოწყება სააკაშვილის მხრიდან საკუთარი შეიარაღებული რაზმის შექმნის მცდელობად მონათლა. პარლამენტმა კი იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი ეს კანონპროექტი ერთი მოსმენით მიიღო! აღმასრულებელი პოლიციის რაზმი, რომელიც მალე შეიძლება... ბოქაულთა რაზმის სახელწოდებითაც მოგვევ-ლინოს, სასამართლო გადაწყვეტილებების დროულად აღსრულების გარანტი გახდება. საკაშ-ვილის თქმით, აღმასრულებელი პოლიციის ერთი ნაწილი დასავლეთ საქართველოს ტერიტო-რიაზე აღასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებებს, მეორე კი — აღმოსავლეთ საქართველო-ში! „ბოქაულთა რაზმს" იარაღის გამოყენების უფლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებ-ში ექნება. სააკაშვილი ირწმუნება, რომ ეს ახალი ინსტიტუტი საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზეა შექმნილი და არც ერთ ქვეყანაში მას „შეიარაღებულ რაზმად" არ მიიჩნევენ...

ვაკელებს „თბილგაზი" ეგზეკუციით ემუქრება

ფრიად ორიგინალური აღმოჩენა გააკეთეს „თბილგაზის" ინკასატორებმა. ვაკის რაიონის ყველაზე ფეშენებელურ და მდიდრულ უბნებში ჩატარებული მრიცხველების შემოწმებისას გაირკვა იქ მობინადრე არაერთი შეძლებული ოჯახის შემარცხვენელი ფაქტები. თბილგაზელე-ბი ირწმუნებიან, რომ გაზის საფასურის ყველაზე ცუდი გადამხდელები, მეტიც, გაზის ქურდე-ბი (რომლებსაც „ლევი" ხაზები აქვთ ბინებში შეყვანილი) ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ვაკის ამ შეძლებულ უბნებშია. ინკასატორები ფეხსაცმლის გაცვეთამდე ბინიდან ბინაში გადა-დიოდნენ მრიცხველების შესამოწმებლად, მაგრამ ნურას უკაცრავად — კარი არც ერთმა გაზის აბონენტმა არ გააღო. ახლა „თბილგაზი" ეგზეკუციას ამზადებს მუქთა ბუნებრივი აირით განებივრებული ვაკელების წინააღმდეგ და „ლევი" ხაზების გადაკეტვით იმუქრება! სტაჟიანი ინკასატორები ირწმუნებიან, რომ გაჭირვებული და რიგითი ადამიანები უფრო პატიოსნად იხდიან დახარჯული გაზის საფასურს, ვიდრე ვაკის რაიონის მოსახლეობა, რომ-ლის მხოლოდ 20% იხდის, 80% კი ან ქურდობს, ან გადასახადს არ იხდის!

ინჯია ჟვანიდ. ახლა გამოსვლის საკითხი დგას

(გეა) საქართველოს პარლამენტმა მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში გამარ-ჯვებული ფრიდონ ინჯიას დეპუტატობის უფლებამოსილება სცნო. საკითხი პარლამენტმა 123 ხმით 22-ის წინააღმდეგ დაამტკიცა. საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის როლანდ გილიგაშვილის განცხადებით, პარლამენტში შემოსულია გენერალური პროკურორის წერილი ფრიდონ ინჯიას პასუხისმგებლობაში მიცემის თაობაზე პარლამენტის თანხმობის შესახებ. აღნიშნულ საკითხს კომიტეტი მოამზადებს და დასკვნას პარლამენტს წარუდგენს. სავარაუდოდ, კომიტეტი ამ საკითხს განსახილველად მომავალ კვირაში რიგგარეშე სესიაზე გაიტანს.

ქვეყანაში 60-65% ღარიბია

(გეა) სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მონაცემებით, საქართველოში მდიდრები მოსახლეობის 3-4%-ს შეადგენენ, ეს არის უმაღლესი რანგის პოლიტიკური ელიტა, ბიზნეს-ელიტა და მსხვილი მესაკუთრეები.

საშუალო ფენა შეადგენს 35-40%-ს, იგი ორ ჯგუფად იყოფა: პირველი, ე.წ. „ჩრდილოვანი" საშუალო კლასი (20-25%), ეს არის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც შეინარჩუნა ადმინის-ტრაციული ფუნქციები და შესაძლებლობა აქვთ სისტემური კორუფციის პირობებში ჩრდილო-ვანი საქმიანობითა და კორუფციით, მიიღონ დამატებითი „მარცხენა" შემოსავალი. მეორე ჯგუფი ახალი საშუალო კლასია, რომელიც ნაკლებია ჩრდილოვან საშუალო კლასზე (10—15%). ეს ჯგუფი, ძირითადად, დასაქმდა კერძო სტრუქტურებში, ადგილობრივ და უცხოურ კო-მპანიებში, ვაჭრობისა და საექსპორტო დარგებში, საბანკო-საფინანსო სფეროში და ა.შ.

ღარიბები მოსახლეობა დიდ ნაწილს, 60-65%-ს შეადგენს, მათ რიცხვშია სამეცნიერო ინ-ტელიგენცია, კვალიფიციური მუშები და სოციალურად დაუცველი ფენა — პენსიონერები, ლტოლვილები, ინვალიდები და ა.შ.

ეჰუდ ბარაკი გადადგა

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა ოფიციალურად მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს თავისი გადადგომის შესახებ. ბოლო დროს ისრაელ-პალესტინას შორის განვითარებულმა მოვლენებმა, რაც, ფაქტობრივად, საომარ მოქმედებებში გადაიზარდა და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი ჩიხში მოაქცია, სახელისუფლებო კრიზისი გამოიწვია ისრაელში. ოპოზიცია და რადიკალები აგერ უკვე რამდენი თვეა ადანაშაულებდნენ ბარ-აკის მთავრობას უნიათობასა და იასირ არაფატთან, შესაბამისად, არაბულ სამყაროსთან კომპრომისული პოლიტიკის გამო, რისი შედეგიც გახდა პალესტინელთა ტერიტორიებიდან ისრაელის სამხედრო ქვედანაყოფების გამოყვანა. ამან, ბარაკის ოპონენტთა მტკიცებით, საშუ-ალება მისცა ისლამისტ ტერორისტთა ორგანიზაციებს, განეახლებინათ ტერაქტები და მოეხ-დინათ ვითარების დესტაბილიზაცია... ამ ფონზე ასპარეზზე გამოჩნდა ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელიც ცნობილია თავისი ნაციონალისტური შეხედ-ულებებით და უკომპრომისო პოლიტიკით პალესტინის და განსაკუთრებით აღმოსავლეთ იერუ-სალიმის საკითხის მიმართ (როგორც ცნობილია, პალესტინელთა ამჟამინდელი აჯანყება სწორედ აღმოსავლეთ იერუსალიმის სტატუსის გაურკვევლობამ გამოიწვია, რომელსაც პალესტინელები თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქად მოიაზრებენ და იბრძვიან ამისთვის). ექსპერტთა აზრით, ნეთანიაჰუს აქვს შანსი მეორედ დაიკავოს ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოსტი, თუმცა ეჰუდ ბარაკი არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას და აცხადებს, რომ ხელმეორედ წამოაყენებს თავის კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის პოსტზე. არჩევნები, კონსტიტუციის თანახმად, ორი თვის შემდეგ უნდა გაიმართოს.

საერთოდ, თუ ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციაც ვერ დაიყოლიებს მხარეებს ურთ-იერთმისაღებ კომპრომისზე, ექსპერტები არ გამორიცხავენ მორიგი დიდი ომის დაწყების პერსპექტივას, რომელშიც პალესტინის მხარეზე ამა თუ იმ ფორმით მთელი არაბული სამ-ყაროც ჩაებმება...

ბენ ლადენი ამერიკელებს ნეგდება

ნომერ პირველი ტერორისტი უსამა ბენ ლადენი მზად არის, დატოვოს თავშესაფარი ავღა-ნეთში და ნებით ჩაბარდეს ამერიკის მართლმსაჯულებას. მაგრამ ეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ვაშინგტონი მისი დანაშაულის მტკიცებულებას გამოაქვეყნებს. ამის შესახებ აშშ-ის ელჩს პაკისტანში უილიამ მილამს თალიბების წარმომადგენელმა მოლა აბდულ სალამ ზაიფმა აუწყა. ბენ ლადენმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია „თალიბანის" წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების შესახებ. აშშ-ის ადმინისტრა-ცია ახალი სარაკეტო დარტყმების მიყენებას აპირებს ტერორისტის ბაზებზე. ამ ცნობებმა აღაშფოთა 43 წლის ბენ ლადენი და იძულებული გახდა პირველად ცხოვრებაში ამერიკელებთ-ან დათმობაზე წასულიყო.

იყო თუ არა ფუფანხამონი ფახჭის ძეძეკვიდრე!

ეგვიპტეში მეცნიერები კიდევ ერთი დიდი საიდუმლოს ამოხსნას შეუდგნენ. ცნობილია, რომ ეგვიპტოლოგები ტუტანხამონის სამეფო წარმომავლობას დღემდე ეჭვქვეშ აყენებენ და აცხადებენ, რომ ფარაონი ამენხოტეპი მისი ნამდვილი მამა არ ყოფილა. ახლა მეცნიერები, ეგვიპტის მთავრობის თანხმობით, აპირებენ ტუტანხამონის სარკოფაგისა (რომელიც 50 წელი-წადია კაიროს მუზეუმში ხელუხლებლად დევს) და თავად ტუტანხამონის მუმიის საფუძვლიან გამოკვლევას. მეცნიერები შეეცდებიან, გენეტიკური ანალიზის საფუძველზე დაადგინონ ნამდ-ვილად იყო თუ არა საკოფაგში განსვენებული მუმია ეგვიპტის ტახტის მემკვიდრე! დაახლოე-ბით 3.300 წლის წინ, ამენხოტეპის სიკვდილის შემდეგ, ტუტანხამონმა 8 წლის ასაკში დაიკავა ფარაონის ტახტი და ეგვიპტეს სიკვდილამდე, ანუ 18 წლის ასაკამდე მართავდა. ექსპერტებმა უკვე დაიწყეს მოსამზადებელი სამუშაოები გენეტიკური ანალიზის ჩასატარებლად, რომელიც ტუტანხამონისა და მისი ნათესავების მუმიებს გაუკეთდება!

მარსზე პილოტირებულ ექსპედიციას გაუშვებენ

სენსაციური განცხადება გააკეთეს ნასა-ს (აშშ-ის კოსმოსური კვლევების ცენტრი) მეცნ-იერებმა: მათი მტკიცებით, პლანეტა მარსის ახალშესწავლილი ფოტოები მასზე სიცოცხ-ლისთვის აუცილებელი პირობების არსებობას ადასტურებენ! ექსპერტთა აზრით, მარსზე არ-სებული წყალი კრატერებში გაიყინა, რის შედეგადაც მრავალფეროვანი კლდოვანი ქანები წარმოიქმნა. ასეთი სახის ქანები კი მცენარეული საფარითურთ მხოლოდ დედამიწისთვისაა დამახასიათებელი! ნასა-ს მეცნიერები უკვე იმასაც ამბობენ, რომ აშშ-მ და რუსეთმა უნდა დაივიწყონ „ცივი ომი" და ერთობლივად შეუდგნენ ექსპერიმენტების ჩატარებას... როგორც ცნობილია, ამერიკელები პირველი პილოტირებული კოსმოსური ექსპედიციის გაგზავნას მარსზე 2012-2015 წლებისთვის გეგმავენ. პროექტი 100 მლრდ დოლარი დაჯდება!

საქართველოს ბიუჯეტი არის ნაგლეჯი იმ შემოსავლებისა, რაც კლანებს დარჩათ „ნაშთის“ სახით

„საქართველო სიკვდილის პირასაა!“ — ამ შემაშფოთებელი და მრავლისმთქმელი სათაურით გამოაქვეყნა ახლახან ფრანგულმა ჟურნალმა „ექსპრესმა“ (L'EXPRESS) სტატია საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ, რომელიც შეუძლებელია გულგრილად წაიკითხო ქართველმა კაცმა. საერთოდ, ფაქტია, რომ რუსული მასმედიის „წყალობით“ თვით უკიდურესი ანტიქართული გამოხდომებიც კი აღარ გვაკვირვებს და გვაღიზიანებს, მაგრამ ერთია, როცა შენი ქვეყნის დაუძინებელი მტერი უსამართლოდ გლანძღავს და გამცირებს და მეორეა, როცა მეგობარი ქვეყნის პრესაში კითხულობ არცთუ სასიამოვნო, მაგრამ მართალ წერილს საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ... აი, კერძოდ რას წერს „ექსპრესი“ ჩვენზე:

„საქართველოს დამოუკიდებლობას უკვე არაერთხელ დაემუქრა საფრთხე მოსკოვიდან განხორციელებული ზეწოლის გამო. ამჟამად საქართველოს სულ უფრო და უფრო ხშირად მოიხსენიებენ საერთაშორისო ფორუმებზე იმ „მომაკვდავ ერთა“ შორის, რომლებმაც ვერ მოახერხეს თანამედროვე სახელმწიფოს აშენება! კრემლის სამსახურში მყოფი ექსპერტების მიერ გამოყენებული აღნიშნული გამონათქვამი სამარცხვინო დამღაა თბილისისთვის, სადაც რეფორმათა ნელი ტემპი ეხამება მაფიოზური კლანების უდავო ბატონობას... პრაქტიკულად, შეწყვეტილია დასავლეთის დახმარება, თუ არ ჩავთვლით წელს ვაშინგტონის მიერ ბოძებულ 94 მლნ დოლარს. 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე, საფრანგეთმა საქართველოს გამოუყო 10 მლნ ფრანკი მაშინ, როცა დაახლოებით 30-ჯერ მეტ თანხას, ანუ 300 მლნ-ს, ყოველწლიურად საფრანგეთისგან ღებულობს... მალი! ანუ აფრიკულ ქვეყანას უფრო მეტი ნდობა აქვს საფრანგეთის ხელისუფლების თვალში, ვიდრე საქართველოს...“

ვფიქრობ, აქ ყველაფერია ნათქვამი. ამიტომ კომენტარისთვის სიტყვას გადავცემ პოლიტოლოგ **ირაკლი მელაშვილს**:

— ფაქტია, რომ ამ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილი გამონათქვამი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ხელისუფლების სრულ უსუსურობას შექმნილ ვითარებაში. ბევრს ლაპარაკობენ, თუ რატომ აღმოვჩნდით უმძიმეს მდგომარეობაში, რომ ამის მიზეზია რუსეთთან მოუგვარებელი ურთიერთობები, რომ ვერ შევძელით იმ გარეშე ძალებთან საერთო ენის გამონახვა, რომლებსაც თავიანთი ინტერესები აქვთ საქართველოში და ა.შ. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ჩვენ ამ ყოფაში ჩავვარდით ერთადერთი მიზეზით — ქვეყანა ცუდად იმართება! შეგვიძლია მოვახდინოთ კონსტატაცია იმისა, რომ საქართველოს მთავრობა არ ჰყავს! ჩინოვნიკებმა ან არ იციან სახელმწიფო საქმის კეთება, ან ძალიან კარგად იციან, მაგრამ, უწინარესად, თავიანთი ჯიბის ინტერესები ამოძრავებთ. დღევანდელ ვითარებაშიც სამინისტროები, ადგილობრივი ხელისუფალნი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა მოხდეს სრული დისკრედიტაცია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა, დემოკრატიისა, საბაზრო ეკონომიკისა და დღეს, მსოფლიოში ვერ გაუგიათ, რა უნდა ჩვენს ხელისუფლებას.

პოლიტიკურ პარტიებს კი, რომლებიც ვერ ახერხებენ გაერთიანებას, სრულ ნიჰილიზმამდე მიჰყავთ საზოგადოება, რომელიც ხედავს — მოქალაქეთა კავშირი უვარგისია, მაგრამ სხვაც არავინ არის! ამიტომ, უპირველესი ამოცანა პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაციაა. თუ არა და, მოხდება ისე, რომ მოქალაქეთა კავშირი „არჩევანი-არადანზე“ გაიყოფა, შექმნის ორ ძალას, ერთს მემარცხენეს, მეორეს მემარჯვენეს, ასე გავა არჩევნებზე და მოიგებს კიდეც... ამით დამთავრდება მთელი ეს ბაკქანალია. ხოლო იქ, სადაც უკონკურენციო გარემოა, კვდება საზოგადოება. ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა დარვინიზმით განმტკიცებული. დიახ, საქართველოში პოლიტიკური სპექტრი მომაკვდავია. უკვე ისეთი დებატების მომსწრენიც ვართ, როცა ერთი ოპოზიციური ძალა ყველაფერში ჟვანიას ადანაშაულებს, რათა შევარდნაძეს არანაირი პასუხისმგებლობა არ შეეხოს, მეორე ძალას რეგიონალური ინტერესები გამოაქვს წინა პლანზე, მესამეს თანამდებობები ესიზმრება და ა.შ. ასეთი ოპოზიცია კი მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს. ნამდვილი ოპოზიცია არ უნდა იყოს მტყუანი ხელისუფლებასთან. არასდროს ვყოფილვარ ჟვანიას აპოლოგეტი, მაგრამ მამაცხონებულო, როცა მთელ გამოკვლევას ატარებ, რატომ არ შესრულდა 1999 წლის ბიუჯეტი და მარტო ჟვანიასკენ იშვერ ხელს და სხვებზე არაფერს ამბობ, იმთავითვე წაგებული ხარ, რადგან შენ თვითონ სტყუი. თქვი სიმართლე, საიდან მოდის ამ დანაშაულობების კასკადი. ოპოზიციაში მყოფი რომ ვერ ბედავ ამის თქმას და ხელისუფლებაში მყოფისგან მოითხოვ იმავეს გაკეთებას, ეს აბსურდული მიდგომაა და ასეთი ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს.

— ტრადიციონალისტებმა კატეგორიულად დააყენეს პარლამენტში საკითხი დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ. დაიწყო დებატები ამ თემაზე და ახლა საინტერესო ის არის, თუ მართლა დადგა კენჭისყრაზე ეს საკითხი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

— ჩავარდება, დარწმუნებული ვარ! წინააღმდეგი წავა უმრავლესობის დიდი ნაწილი, აგრეთვე „აღორძინება“, რომელიც აცხადებს, რომ ფრთხილად ეკიდება ამ საკითხს. ამიტომ უნდა დაიწყოს მუშაობა, და კონკრეტულ ეტაპზე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება. ეს არა მარტო ეროვნული ღირსების საკითხია, ეს არის წმინდა პრაგმატული პოზიცია. ნაცემი და შეურაცხყოფილი კაცი რომ მუხლებზე დადგება და იქით შეეხვეწება კიდევ მცემელს, ასეთ კაცს პატივს არავინ სცემს. სახელმწიფოს, რომელმაც ვერ შეძლო ამ ხნის მანძილზე თავისი ღირსების დაცვა, ბუნებრივია, უღირსად მოექცევიან კვლავაც. დარწმუნებული ვარ, დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შემდეგ სხვანაირად შემოგვხედავს რუსეთი, მას უკვე სხვაგვარად მოუწევს აფხაზეთის საკითხზე ფიქრი. დსთ-ში რომ არ იქნება საქართველო, რა იურიდიულ საფუძველზე გაჩერდებიან ენგურზე სამშვიდობო ძალები, რომლებსაც სწორედ დსთ-ს „მშვიდობისმყოფელების“ სტატუსი აქვთ და არა რუსეთისა. აქ თვითონ რუსეთი დადგება პრობლემების წინაშე. ამიტომაა აუცილებელი, რომ დროულად ავლაგმოთ ეს ქვეყნის დამღუპველ-დამაქცეველი კლანები, რაც ბიუჯეტს მინიმუმ ერთნახევარჯერ მაინც გაზრდის, გამოსწორდება სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და საშუალება მოგვეცემა ვიფიქროთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.

ნაცემი და შეურაცხყოფილი კაცი რომ მუხლებზე დადგება და იქით შეეხვეწება კიდევ მცემელს, ასეთ კაცს პატივს არავინ სცემს. სახელმწიფოს, რომელმაც ვერ შეძლო ამ ხნის მანძილზე თავისი ღირსების დაცვა, ბუნებრივია, უღირსად მოექცევიან კვლავაც. დარწმუნებული ვარ, დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შემდეგ სხვანაირად შემოგვხედავს რუსეთი, მას უკვე სხვაგვარად მოუწევს აფხაზეთის საკითხზე ფიქრი. დსთ-ში რომ არ იქნება საქართველო, რა იურიდიულ საფუძველზე გაჩერდებიან ენგურზე სამშვიდობო ძალები, რომლებსაც სწორედ დსთ-ს მშვიდობისმყოფელების სტატუსი აქვთ და არა რუსეთისა.

— საგიზო რეჟიმის შემოღებასთანავე აქტუალური გახდა საკითხი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ. აქ ორადაა გაყოფილი აზრი. ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთში მყოფი ქართველების მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღება, ნაწილი კი კატეგორიული წინააღმდეგია...

— საქართველოს მოქალაქეობის პრინციპად აღებული გვაქვს ე.წ. ნიადაგის პრინციპი. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანი იღებს საქართველოს მოქალაქეობას. ანუ მე ვაღიარებ მხოლოდ აქ მცხოვრებ ჩემს მოქალაქეს და არ ვაღიარებ, რომ ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან, თუნდაც მათ ჰქონდეთ უცხო სახელმწიფოს პასპორტი. ორმაგი მოქალაქეობა შეიძლება ჩაიწეროს კონსტიტუციაში, მაგრამ ამას სჭირდება ორმხრივი ხელშეკრულება, ვთქვათ, იმავე რუსეთთან, საფრანგეთთან, ამერიკასთან და ა.შ.

მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე, სანამ ყველაფერი გათვლილი არ არის, არანაირი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება. კი ბატონო, შემოვიღოთ ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ, ვთქვათ, ხვალ რუსეთმა გააუქმა სავიზო რეჟიმი, მერე რას ვშვრებით? ხომ არ შეიძლება, რომ პავლოვის ძაღლის მსგავსად რეფლექსებით ვცხოვრობდეთ? აგვინთებენ ნათურას — ნერწყვი მოგვადგება, ჩაგვიქრობენ — ნერწყვი აღარ მოგვადგება... არ შეიძლება ასე. არაფერი არ მოუვა ამ სავიზო რეჟიმით რუსეთში მყოფ 500-700 ათას ქართველს, არავინ არსად არ დაიკარგება. ვინც დასაკარგი იყო, ანუ ვისაც მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობა სურდა, ის დაკარგულია უკვე. უმრავლესობა კი, საბოლოო ჯამში, როცა მოძლიერდება ეკონომიკურად, დაუბრუნდება სამშობლოს.

საგიზო რეჟიმი კი შეგვიძლია კარგად გამოვიყენოთ და უდიდესი დარტყმა მივაყენოთ იმავე ერგნეთის ბაზრობას, რომელმაც კონტრაბანდული საქონლით წალეკა საქართველო. სავიზო რეჟიმის პირობებში ოსები ვეღარ შეძლებენ პარპაშს და ქართული ეკონომიკის ნგრევას, მითუმეტეს რომ ეს არის მიზანდასახული ეკონომიკური დივერსია, რომელსაც აბსოლუტურად აკონტროლებს რუსეთი... დარწმუნებული ვარ, ეს არის რუსეთისთვის ყველაზე წამგებიანი გადაწყვეტილება, რომელიც რუსმა ტვინჩაცემენტებულმა „დერჟავნიკებმა“ მოიფიქრეს. ამით ისევე გამოსჭრეს რუსეთს ყელი, როგორც ამ 4-5 წლის წინ, როცა საქართველოს შეუწყვიტეს ყველაფრის — ფქვილის, ხორბლის, საწვავის მიწოდება იმ იმედით, რომ საქართველოს დავაჩოქებთო. მაგრამ ჩვენ ალტერნატიული გზები ვიპოვეთ. დღესაც ვიპოვით ალტერნატიულ გზას, ოღონდ ამას ტვინისა და ხელის განძრევა და ნორმალური ხელისუფლება სჭირდება. რუსეთი ნელ-ნელა გვასწავლის დამოუკიდებელ არსებობას და თავისი სულელური პოლიტიკის წყალობით გვაიძულებს კიდეც თვითონ მივხედოთ საკუთარ თავს. მათი იდიოტური პოლიტიკის შედეგია, რომ სრულად ამოიკვეთეს ფეხი სამხრეთ კავკასიის ბაზრიდან, როცა ინსპირირებული კონფლიქტების შედეგად ჩვენს რეგიონთან დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალები გადაკეტეს. დღეს ამისთვის „იდაყვებს იჭამენ“, მაგრამ ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. ახლახან, შეხვედრა მქონდა რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებთან, რომლებმაც მკითხეს — რას ფიქრობთ საქართველოში რუსეთის ბაზების ყოფნა-არყოფნის შესახებო! ვუპასუხე: დღეს თქვენი ბაზების ერთადერთი ფუნქცია არის — „დაიცვას“ ის „ტრუბა“ (ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენი), რომელიც საქართველოზე გაივლისმეთქი! მორჩა, სხვას რას აკეთებენ აქ რუსეთის ბაზები? ბუნებრივია, მათ შეუძლიათ ვიღაცას იარაღი მისცენ აქ გადატრიალების მოსაწყობად, მაგრამ თუ ჩვენი სტრუქტურები მოწოდების სიმაღლეზე იქნებიან, ამას არ დაუშვებენ. ერთი სიტყვით, პრობლემა ის არის, რომ რუსეთს საქართველოში ეკონომიკური ინტერესები არ აქვს, არადა რომ ჰქონდეს, მაშინ ეს ინტერესები აიძულებდა მოსკოვს დაფიქრებულიყო თავის საქციელზე. ასეთი პოლიტიკით კი რუსეთი სამუდამოდ წავა საქართველოდან...

— პარლამენტში დაიწყო 2001 წლის ბიუჯეტის კანონ-პროექტის განხილვა-დამტკიცება, რომელსაც ძალიან ძნელია კაცმა ბიუჯეტი უწოდო. სამწუხარო ის არის, რომ ძნელია პროგნოზირება რა იქნება 2002 წელს, შემდგომაც, ანუ წარმოუდგენელია, რომ 2004-2005 წლებამდე დარჩენილ ვადაში არსებულმა ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა ქვეყანა მოამძლავრონ, ფეხზე დააყენონ...

— ღმერთმა დაიფაროს საქართველო ხელისუფლების მორიგი კრახისაგან, რადგან ხელისუფლების კრახი, როგორც წესი, ძვირად უჯდება სახელმწიფოს. ის რასაც დღევანდელი ე.წ. ბიუჯეტი წარმოადგენს, მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფომ გააგრძელა დათმობების პოლიტიკა კორუმპირებული კლანების მიმართ. ეს უდავოა. ეს ე.წ. ბიუჯეტი არის ნაგლეჯი, ნაფლეთი იმ შემოსავლებისა, რაც ამ კლანებს დარჩათ „ნაშთის“ სახით, რომელიც სამადლოდ მთლიანად გამოხრული გადმოუგდეს სახელმწიფოს და თანაც იმიტომ, რომ იმავე სახელმწიფომ დაიცვას იგივე კლანები. ეს არის გაგრძელება იმისა, რაც მოხდა არჩევნებზე, როდესაც კლანებმა და რიგმა უწყებებმა უზრუნველყვეს მმართველი პარტიის გამარჯვება, დღეს კი, მმართველ პარტიას ვალი აქვს დასაბრუნებელი მათთვის. ეს ე.წ. ბიუჯეტი გახლავთ ამ ვალის დაბრუნების ნათელი ფაქტი. რამდენი ხანი გააგრძელებს ხელისუფლება ამ ვალების დაბრუნების პროცესს, ჩემთვის რთული სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ვხედავ იმის დიდ საშიშროებას, რაც საქართველოში ისტორიულად არასოდეს მომხდარა, ანუ სოციალურ ბუნტამდეც შეიძლება მიიყვანონ საქმე, რაც არა მარტო ხელისუფლების, არამედ სახელმწიფოს კრახით დასრულდება. პასუხისმგებლობა ისევ და ისევ ხელისუფლებას ეკისრება, მაგრამ პოლიტიკური სპექტრი უნდა ჩაუფიქრდეს საკუთარ თავს, თუ რატომ მიეცა დაუსჯელად პარპაშის საშუალება იმ ადამიანებს, რომლებიც ახორციელებენ ამ პოლიტიკას. ნუთუ არ არიან დამნაშავე ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც ყველაფრის გაკეთების საშუალება მისცეს მმართველ პარტიას თავიანთი გაუტანლობით, შეუთანხმებლობით, როდესაც ყველა ცალ-ცალკე მზად არის მიუცუცქდეს ხელისუფლებას, შეეკრას, გადაიყვანოს იქ თავისი 5-7 კაცი და ა.შ.

— პრეზიდენტის ფენომენი? როგორ დარჩება იგი საქართველოს ისტორიაში...

— ჩემთვის შევარდნაძის ფენომენი, ეს არის დაღლილი კაცის ფენომენი, რომელიც ვეღარ აუვა და ვერ შეძლებს ქვეყნის პრობლემების მოგვარებას. ჩემთვის ეს ნათელია, თუნდაც მთავრობის იმ სხდომებიდან, რომლებზეც დასწრება მომიხდა, იმ გადაწყვეტილებებიდან, რომელთა მიღების მექანიზმსაც ვადევნებ თვალყურს. საუბედუროდ, ქვეყანაში შექმნილია სისტემა, რომელსაც გადმობრუნებულ პირამიდას დავარქმევდი. ყველაფერი ერთი კაცის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომელიც შეცდომის შემთხვევაში გვარიანად არყევს ამ ისედაც თავდაყირა მდგომ სისტემას. საუბედუროდ, ამ სისტემამ შვა ისეთი „ფენომენი“, რომ თითოეული საწარმოს პრობლემები და საწარმოს შიგნით მიმდინარე კონფლიქტები პრეზიდენტის გასარჩევი ხდება. ეს არის აბსურდის თეატრი!

— ყველა „სიკეთესთან“ ერთად ქვეყანას კიდევ ერთი, ამჯერად პანკისის ხეობის პრობლემაც გაუჩნდა. ისეთი განწყობა მუსირებს, რომ აი, სადაცაა კიდევ ერთი კონფლიქტი აგორდება ქართულ მიწა-წყალზეო და ა.შ. არადა, რამდენი ხანია ეს პრობლემა დგას დღის წესრიგში, საშველი კი არადა არ დაადგა, სანამ უკვე უცხოელთა მეორე „პარტია“ არ გაიტაცეს მძევლად...

— ადამიანებს თბილისში, თელავში და სხვაგან იტაცებენ და მიჰყავთ პანკისის ხეობაში. სამართალდამცავებს, აქ რომ მოეგვარებინათ სიტუაცია, იქ აღარ შეიქმნებოდა პრობლემა. პრობლემებია ქვეყნის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებშიც. როდესაც ტელევიზიით კონკრეტული პიროვნება აცხადებს, რომ ადამიანთა გამტაცებლებს ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა მობილური ტელეფონის ნომრები გააჩნიათ, მათთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს, მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ხალხი არ პარპაშებს „კრიშების“ გარეშე. თბილისის ქუჩებში ვხედავ ძალიან ხშირად ავტომანქანებს ჩეჩნეთის არაღიარებული რესპუბლიკის სანომრე ნიშნებით, მწვანე დროშებით, რომლებიც თავისუფლად დადიან შეიარაღებული ხალხითურთ. მათ არავინ აჩერებს და არ ამოწმებს. ცნობილია აქ არსებული მათი ოფისები, სადაც იკრიბებიან, საქმიანობას ეწევიან და ა.შ. ზომების მიღება სამართალდამცავებს ადრე ევალებოდათ. დღეს კი მრჩება შთაბეჭდილება, რომ ძალოვნები სახელმწიფოს უმტკიცებენ თავიანთი არსებობის აუცილებლობას, ძალის დემონსტრირებასაც ახდენენ ამ მიზნით, გადაკეტეს გზები, დადგეს საგუშაგოები, არადა, არასოდეს არ გამიგია, რომ რომელიმე სერიოზული ბანდიტი და ავაზაკი პოლიციის პოსტზე დაეჭირათ. ეს არის თვალში ნაცრის შეყრა. მსგავსი ღონისძიებები საბოლოო ჯამში, როგორც წესი, დადის იქამდე, რომ პოსტებზე მდგარი ინსპექტორები ფულს სძალავენ უბრალო მოქალაქეებს, თორემ მე არ მინახავს, რომ ისინი აჩერებდნენ „ბმვ“-ებს და „მერსედესებს“. პანკისის ხეობაში ვითარების დარეგულირებას კი სჭირდება კარგად დაყენებული ოპერატიული მუშაობა და საზღვრის საიმედო დაცვა და არანაირი საგანგებო წესები იქ საჭირო არ არის. ამიტომ, ნურავის ნუ ამადლიან ჩვენი სამართალდამცავები, რომ აი, ნახეთ, ამას ვაკეთებთ სტაბილურობის შესანარჩუნებლადო.

— მართლაც „საოცრებათა ქვეყანაში“ ვცხოვრობთ და თუ ზემოთქმულს დავუბრუნდებით, ძნელია შეეგუო იმას, რომ ახალ ათასწლეულში საქართველო შედის როგორც არასაიმედო პარტნიორის, არასტაბილური, გაჩანაგებული ეკონომიკის, გალატაკებული ხალხის იმიჯით. და რაც ყველაზე საშინელია, არ ვიცით, რა გველის ხვალ...

— ჩვენ საკმაოდ არასერიოზულად აღვიქვამდით ისტორიულ პროცესებს 80-იანი წლების მეორე ნახევარში. 1989 და 1990 წლებში საქართველოში რომ ვინმეს ეთქვა, მალე თავს სამოქალაქო ომი დაგვატყდებაო, მას ალბათ საგიჟეთში გააქანებდნენ. მაგრამ ერთ წელიწადში მოხდა სამოქალაქო ომი... დღესაც ვერ ვახერხებთ, რომ ჩვენ თვითონვე დავსახოთ პრიორიტეტები და ვიპოვოთ ადგილი საერთაშორისო თანამეგობრობაში. ყველაფერს ვაბრალებთ გარეშე ძალებს. აგერ, ბალცეროვიჩმა გენიალურად მიგვანიშნა — ჯერ გაარკვიეთ, რა სახელმწიფოს აშენება გინდათ და მერე დაგიდებთ ეკონომიკურ პროგრამასო! ვერ უთხრეს, იმიტომ, რომ არავინ არ იცის (!). ბალცეროვიჩმა კი, გვიყურა, გვიყურა, დატოვა სამკაციანი ჯგუფი და წავიდა ისე, რომ ვერავინ ვერ უთხრა, როგორი სახელმწიფოს აშენება უნდა, რის განვითარებას აპირებენ, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში უნდა ჩავყაროთ მილიონობით დოლარი, თუ სოფლის მეურნეობა ავაღორძინოთ... აი, თუ ყოველივე ამას მისხალ-მისხალ გავარკვევთ, და განვსაზღვრავთ, თუ შეიცვლება მართვის სისტემა და ხელისუფლებაში მოვლენ კომპეტენტური და პატიოსანი ადამიანები, საქართველო სრულად წარმოაჩენს თავის უზარმაზარ პოტენციალს და ყველაფერი ამ ქვეყანაში დალაგდება, შესაბამისად, საქართველოც დაიმკვიდრებს თავის ადგილს მსოფლიოში.

ზურაბ მჭედლიშვილი

ქართული ზარის აღორძინება

მოგეხსენებათ, ქართველები, უძველესი დროიდან ითვლებოდნენ ლითონის ჯადოქრებად, რომლებიც ამღერებდნენ ფოლადს.

საქართველოში ზარის ჩამოსხმის ხელოვნება რელიგიური მსახურების რანგში იყო აყვანილი. ოსტატებს, მუშაობის დაწყებამდე უნდა ემარხულათ, სათანადოდ განწმენდილიყვნენ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ზარის შექმნის იდუმალებით მოცული პროცესი.

ერთმორწმუნეთა ურწმუნოებანი

გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ რუსებმა საქართველოში ყველა ზარი ჩამოხსნეს — ეს ველიკორუსული პოზიციით იყო განპირობებული. ფრესკები კირით გადაიღება. მძიმე იყო საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდიც. დღეს, ქართულ ეკლესიებში ქართულ ზარს თითქმის ვერ ნახავთ!

ზარი რეკვის დროს იბადება

სიონის ეკლესიასთან, სასულიერო აკადემიის ეზოში, ერთი ქართველი კაცი საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, ოღონდ ძალიან ჩუმად და ხმაურის გარეშე...

ლევან მეტრეველი სამხატვრო აკადემიაში მასწავლებლად მუშაობდა. ერთხელ სახელოსნოში მამა ტარიელი ეწვია და ქართული ზარის აღორძინების იდეა გაუზიარა.

მოაწყვეს სახელოსნო, შეიქმნა მუშაობისათვის ელემენტარული პირობები, შეისწავლეს ლიტერატურა, მთელი საქართველო მოიარეს გადარჩენილი ნიმუშების სანახავად. ჩამოისხა ძველ ქართულ ვარიანტთან მიმსგავსებული პირველი ზარიც...

ლევან მეტრეველს მუშაობის პროცესში ვესტუმრეთ.

— როგორ გაჩნდა ქართული ზარი, — რა ახასიათებს და განასხვავებს მას?

— თავდაპირველად პატარა ზარებს — ზანზალაკებს ასხამდნენ. დიდი ზარების ჩამოსხმა შუა საუკუნეებში დაიწყეს. ჩვენებური ზარი ფორმით მოგრძოა. აქედან გამომდინარე, ყღერადობაც სხვა აქვს. ზარისთვის ლითონს განსაკუთრებული დამუშავება უნდა. საკმარისია რომელიმე მსუბუქი ლითონი შეერიოს, ფუჭდება. ძირითადად ზარს სპილენძისა და კალისგან ვასხამთ...

— შესაძლებელია, რომ ზარმა არ გაამართლოს?

— ხმის გასწორება შეიძლება ჭედვით, მაგრამ ეს იშვიათად გვიხდება. ზარი რეკვის დროს იბადება, ნელ-ნელა მკვრივდება, მაგრამ მას გააჩნია გარკვეული სასიცოცხლო ვადა — 100-150 წელი, შემდეგ მყიფდება და სკდება...

— ეკლესიური თუ ხართ?

— ყველა მოთხოვნას ვერ ვასრულებ, მაგრამ დღე ისე არ გავა, ეკლესიაში არ შევიდე და არ ვილოცო. დღეს ქართულ ეკლესიაში ძირითადად რუსული ზარებია. ჩემი და ჩემი მეგობრების მიზანია ავაღორძინოთ ქართული ზარი, ასე ვთქვათ, ჩვენთვის „ვჩხიკინობთ“.

რამდენად ესადაგება სიტყვა „ჩხიკინი“ იმ საქმეს, რასაც ბატონი ლევან მეტრეველი აკეთებს, ეს ჩვენმა მკითხველმა განსაჯოს. ჩვენთვის კი უდიდესი აღმოჩენა გახლდათ ის გარემოება, რომ ბატონი ლევანის პარალელურად თურმე მიმდინარეობს ქართული ზარის აღდგენის უფრო მეცნიერული და წარმატებით განხორციელებული ცდებიც...

აგრესია კი არა, პირიქით...

ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, ყველა ლითონს გააჩნია დადებითი ან უარყოფითი იმპულსი. მაგალითად, მიჩნეულია, რომ ანთიმონიტი ადამიანში აგრესიის იმპულსს აღძრავს. ალბათ, ამიტომ ურევდნენ მას ფოლადში ძველი ქართველები ხმლების დამზადებისას. სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელა კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა ქართული ზარის აღდგენის დროს. მისი ღრმა რწმენით, ქართულ ზარში ისეთი მინერალები უნდა ყოფილიყო, რომ აგრესია კი არა, პირიქით, მიმტევებლობა გამოეწვია.

ნოდარ მამისაშვილი: ჩემი ექსპერიმენტის დროს ყურადღება მივაქციე იმას, რომ მეტალები ისე გადასულიყვნენ ერთმანეთში, არ მომხდარიყო მათი დაპირისპირება.

ახლა ფორმას რაც შეეხება: დაგაკვირდით ქართული ეკლესიის გუმბათს და შემდეგ ქართულ ზარს. შეამჩნევთ ფორმათა მსგავსებას. კაცობრიობამ რამდენიმე მნიშვნელოვან ფორმას მიაგნო — პირამიდა, ცილინდრი, კონუსი და გუმბათი. ეს ოთხი ფორმა უძლიერესი ზემოქმედების მქონეა, მაგრამ განსაკუთრებით კეთილშობილი ფორმა აქვს გუმბათს.

ახლა პირამიდების ბუმია, მასში ბევრია სასიკეთო, მაგრამ არის ერთი დეტალი — პირამიდებს უდიდესი ფარაონები აგებდნენ, მაგრამ მასში არ ცხოვრობდნენ. ეს გახლდათ მიცვალებულთა სასახლეები. გუმბათი სიმშვიდის, მიმტევებლობისთვის არის სამარადისოდ გათვლილი. მცირე მოცულობის ქართულ ზარს გუმბათის ფორმა აქვს და ეკლესიას ჰარმონიულად ერწყმის. რუსეთში კი 15 ტონიანი ზარი პატარად ითვლება (მოგეხსენებათ, მათ აქვთ 315 ტონიანი ზარიც!).



ნოდარ მამისაშვილი

ქართული ზარი ადამიანში მორჩილების შეგრძნებას აღძრავს. კარგი ზარის ჟღერადობა იესო ქრისტეს ჯვარცმისას ღურსმნებით დაჭედების ხმის ასოციაციას უნდა იწვევდეს.

მოპარული ექსპერიმენტი

ნოდარ მამისაშვილის ცდა უკვე ზარის ჩამოსხმით უნდა დაგვირგვინებულიყო, გაკეთდა ყალიბიც, მაგრამ... იგი მოიპარეს! როგორც შემდეგ გაირკვა, იგი ცრუ ავტორს საპატრიარქოში მიუტანია, ჩამოუსხამს და... ზარმა არ დარეკა. იცით რატომ? მპარავმა არ იცოდა, სად უნდა დამაგრებულიყო ზარის ენა, არასათანადო კუთხემ კი უკუშედეგი გამოიღო... მოგვიანებით საპატრიარქომ ოსტატის მიერ განხორციელებული პროექტი მოიწონა!

ნოდარ მამისაშვილი: დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რომ აღვადგინე ძველი ქართული ზარი, მე იდეა აღვადგინე. ზარმა გაამართლა — მას აქვს 440 რხევა, ეს გახლავთ კამერტონი, რომლის დამზადებასაც თანამედროვე ქარხნები ძლივს ახერხებენ. თავდაპირველად ყურს არ დავუჯერე (პირველი შემთხვევა, როცა საკუთარ სმენას არ ვენდე!), მოვიტანე აპარატი, მან 440 რხევა აჩვენა!

ექსპერიმენტამდე სპეციალურად არ ჩავედი სახელმწიფო მუზეუმის სარდაფში, სადაც უძველესი ზარია დაცული, რათა ფორმის ზეგავლენა არ განმეცადა. წარმატების შემდეგ მეგობრებთან ერთად ჩავედი და... იმდენად დაემთხვა ფორმა, რომ სენტიმენტალობამ დამრია ხელი და ზარს ვემთხვიე... ეს მისტიკური მომენტი გახლდათ...

საერთაშორისო აღიარება

გერმანელები განცვიფრებულნი დარჩნენ ბ-ნი ნოდარის ზარის ხმის მოსმენისას და ერთი ეგზემპლარი შეიძინეს კიდეც. თბილისში კი ოსტატმა, ჯერჯერობით, სამი — 22, 30, 80 კილოგრამიანი ზარი ჩამოასხა. ისინი საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიას ამშვენებს.

ნოდარ მამისაშვილი: დღეს ზარის ჩამოსხმა საკმაოდ დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული. ამ საქმეს ბიზნესმენ-ენთუზიასტები ესაჭიროება. ისინი კი, სამწუხაროდ, არ ჩანან. არადა, შეიძლება გავხდეთ მსოფლიოში მაღალხარისხოვანი ზარის მწარმოებელი ქვეყანა...

კათოლიკური ეკლესიისთვის დამახასიათებელია ორღანი, რუსულ ეკლესიაში მესის შესასრულებლად იწვევდნენ შალიაპინს. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ამგვარი კონცერტები დამახასიათებელი არაა. იოანე ოქროპირმა ბრძანა — „ვინც გალობით თავს გამოიჩენს, ეკლესიიდან უნდა მოიკვეთოსო“. გალობა ლოცვაა, ლოცვით თავის გამოჩენა კი სიყალბეა. ქართველებმა არ მოისურვეს ეკლესიაში ინსტრუმენტის შეტანა, ერთადერთი ინსტრუმენტი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში წირვის დროს, ზარია. ქართულ ეკლესიაში კი ქართული ზარი უნდა რეკდეს!

ალექსანდრე ბერიძე

მსოფლიო მოგზაურობა

„კუნძულხტომია“ ქართველი რუსთაველის ნაკვალევზე



„ნოემბერში მოვიარე კუნძულოვანი ქვეყნები: ზანზიბარი, კომორი, მადაგასკარი და რეიუნიონი. წინ მავრიკის და სეიშელის კუნძულებია. მერე ისევ კონტინენტური აფრიკა მელის, გასავლელი დამრჩა 7 სახელმწიფო და აფრიკაც მოვლილი მექნება“, — შეგვეხმიანა დედამიწის გარშემო მარტოდმარტო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელსაც ახალი მეტსახელი „კუნძულხტომია“ შეარქვეს.

ჯუმბერ ლეჟავას ქართულ პასპორტთან ერთად, კიდევ სამი ქართული მეგზური-სიმბოლო ეხმარება ესოდენ უჩვეულო და ურთულეს მოგზაურობაში: რწმუნების სიგელი — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ხალხური დესპანობის დამადასტურებელი ფურცელი, ქართული სახარება და „ვეფხისტყაოსანი“.

მოგზაურობის პირველ ორ წელიწადს არაბეთიდან ჩინეთამდე „ვეფხისტყაოსნის“ გმირების კვალდაკვალ იარა, მერე იყო რუსთაველის გმირებისთვის უცნობი ქვეყნები.

ახლა, ხუთი წლის შემდეგ, ჩვენი მოგზაური ისევ გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სამოქმედო ასპარეზზე. ეს არის მულღაზანზარი, გულანშარო, ზღვათა სამეფო და ქაჯეთი, რომელიც ცნობილი ქართველი გეოგრაფის ლევან მარუაშვილის შრომების (1938, 1966...) მიხედვით აწინდელი აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსა და ინდოეთის ოკეანეში მდებარე მადაგასკარზე მოიაზრება. უფრო ზუსტად, მულღაზანზარი დღევანდელ ტანზანიაშია, გულანშარო მადაგასკარის ჩრდილოეთში, ქაჯეთი ცენტრალურ, ამაღლებულ ნაწილში, ხოლო ზღვათა სამეფო ამავე კუნძულის სამხრეთში.

ჯუმბერ ლეჟავა რამდენიმე კვირაში ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა-დაძმობილების ადგილს, ე.წ. ტარიელის ქვაბოვანს მიადგება, რომელიც იმავე მარუაშვილს ნილოსის შუა წელსა და წითელ ზღვას შორის ეგულება.

„ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული გარემო და გმირთა მარშრუტები მრავალ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერს უკვლევია. ჩვენ მხოლოდ ერთი ვერსია შემოგთავაზეთ.

ჯუმბერ ლეჟავას უპირველესი წინამძღვარი ყველგან და ყოველთვის არის „ვეფხისტყაოსანი“. იგი რუსთაველის გეოგრაფიულ სამყაროსთან შეხვედრისას თავს ნებას აძლევს, განაცხადოს: „ვერ წარმოიდგენთ, პოემაში რა სიზუსტით არის აღწერილი ქვეყნები, ტიპაჟი, ბუნება, ფერები და სხვა მახასიათებელი“...

ცხადია, ეს არის გენიალური პოემიდან გადმოსული განწყობა, რომელსაც სასწაულების მოხდენა შეუძლია...

გვანჯი მანია
მსოფლიო მოგზაურობის სააგენტო

უცხოელებს საღამოს თბილისში სიარული აეკრძალათ

რუსეთმა საქართველოს ფარული ომი გამოუცხადა. ამის პარალელურად თბილისში გრძელდება უცხოელებზე თავდასხმები. ფულის წართმევას და ძარცვას თან სდევს უმოწყალო ცემა-ტყეპა, რაც საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ ეს თავდასხმები მხოლოდ ძარცვის მიზნით არ ხდება და მასში უცხოეთის სპეცსამსახურების ხელი უნდა იყოს გარეული. ბოლო ერთი თვის განმავლობაში 10-მდე ასეთი შემთხვევა შეგვიძლია ჩამოვთვალოთ. გერმანელები, ფრანგები, ესპანელები, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩინელებიც კი მოხვდნენ დაზარალებულთა რიცხვში. ხელწერა ყველგან ერთია — სადარბაზოსთან, ქუჩაში, ლიფტთან ფულის წართმევა და შემდეგ უმოწყალო ცემა.

როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, პოლიციიდან ამ შემთხვევებთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაციის მოთხოვნაზე უარი მივიღეთ. ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრმა მოტივად შინაურულად „ზემოდან“ უარი დაგვისახელა. ხოლო როგორც კი შეიტყო, რომ გაზეთის ფურცლებზე ამ მოტივის დაბეჭდვას ვაპირებდით, ყველაფერი საკუთარ თავზე გადაიბრალა და ბოლოს უარი დაზარალებულის უფლებების დაცვით გაამაგრა(?). არადა ფაქტია, რომ ამ დანაშაულობებიდან თითქმის ყველა გაუხსნელია და სამართალდამცავებს ამ მიმართულებით ჯერჯერობით „ყნოსვის უნარიც“ დაუქვეითდათ. არ არის გამორიცხული, რომ უარიც სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გასული კვირის უშიშროების საბჭოს სხდომაზე კახეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან ერთად ქვეყნის დაზვერვას კრიმინალთა მართვის საკითხის გარკვევაც დაევალა. ამაზე მინიშნება თავად პრეზიდენტმა გააკეთა. მისი განცხადებით, „ბოლო პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომხდარ დანაშაულობათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მრავალი დანაშაული შეკვეთილია. ამ დანაშაულთა ჩამდენი დესტრუქციული ძალები კი უცხოურ სპეცსამსახურებს ემსახურებიან“.

შს მინისტრი **კახა თარგამაძე** უცხოელ მოქალაქეებზე განხორციელებული თავდასხმების სპეცსამსახურებთან დაკავშირებას გაზვიადებულად აღიქვამს და სიტუაციის მუქ ფერებში დახატვაში გვადანაშაულებს: „ვფიქრობ, ხშირად ხელოვნურად ვძაბავთ სიტუაციას. გეთანხმებით, რომ იყო თავდასხმები — ვიღაცა გალახეს, ვიღაცას წაართვეს, მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი სპეცსამსახურებს დავუკავშიროთ... ძალიან მუქ ფერებში ხატავთ სიტუაციას... არა ვარ მომხრე, არ შეიძლება, რომელიმე თავდასხმა სხვა თავდასხმისგან განვასხვავო და კრიმინალს ასეთი კლასიფიკაცია მივცე. ქართველებს თავმოყვარეობა თუ გვაქვს, პატივი უნდა ვცეთ საკუთარ თავსაც“.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამერიკის საელჩომ თავის მოქალაქეებს ოფიციალური განცხადებით მიმართა: „არ გავიდნენ გარეთ საღამოს 6სთ-ის შემდეგ თბილისში“.

ეს კი, თავისთავად, უცხოეთის ქვეყნებში საქართველოს სტაბილურობის დისკრედიტაციას იწვევს და მათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც სწორედ ამ მოტივით გამიზნულად მოქმედებს. სხვათა შორის, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი ბარამიძემ** პირდაპირი მინიშნება რუსეთზე გააკეთა.

— ბატონო გიორგი, როგორ მიგაჩნიათ, ბოლო პერიოდში უცხოელებზე განხორციელებული თავდასხმები წმინდა კრიმინალია თუ სპეცსამსახურების ნამუშევარი?

— ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ გამოძიება მიმდინარეობს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამწვავებულ სიტუაციას, დაძაბულობას პანკისის ხეობაში, სავიზო რეჟიმის სახით საქართველოზე ზეწოლას, დესტაბილიზაციის მცდელობას სხვადასხვა რეგიონში და ა.შ. ნამდვილად არ ჰგავს უბრალო კრიმინალურ ქმედებებს.

— როცა მოვინდომე პოლიციიდან ამგვარი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათ ინფორმაციის გაცემისგან თავი შეიკავეს იმ მოტივით, რომ ქალაქში ამ მიმართულებით სპეცლონისძიებები მიმდინარეობს. თქვენ, როგორც უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, თუ ფლობთ ინფორმაციას, კონკრეტულად რა ღონისძიებები ტარდება?

— ჯერ ერთი, პოლიციას არავითარი უფლება არა აქვს ჟურნალისტს არ მიაწოდოს ინფორმაცია მომხდარი ფაქტის შესახებ და არ შეიძლება უარი გამომდინარეობდეს უშიშროების ინტერესებიდან. რაც შეეხება სპეცღონისძიებებს, ბუნებრივია, ტარდება და მას ავტომატურად შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურა ატარებს. ჩვენ აღმასრულებელი სტრუქტურების საქმიანობაში არ ვერევით...

რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს თავისი ძალა დაანახვოს. დაარწმუნოს, რომ საქართველოს არ უღირს ის პოლიტიკა, რომელსაც იგი ატარებს იმ ფასად, რა ვითარებაც დღესაა საქართველოში. ვგულისხმობ დამოუკიდებლობის განმტკიცებას და დასავლური ცივილიზებული სამყაროსკენ სწრაფვას.

თავის მხრივ, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ დანაშაულობათა გაუხსნელობის ფონზე, გამტაცებლებსა და თავდამსხმელებს პოლიციის თანამშრომლები აფარებენ ხელს და სანაცვლოდ წილსაც იღებენ. სხვათა შორის, გასულ კვირას, ახმეტის რაიონში გამგებლის ადგილზე უშიშროების რაიონული უფროსის დანიშვნის კომენტირებისას ტელევიზიით ერთმა რიგითმა მცხოვრებმა დაუფარავად განაცხადა: „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება, ძაღლი მოკვდა, ძაღლი ჩადგა“. ასე რომ, ეს სიტყვები ერთგვარ მინიშნებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

თუ გავიხსენებთ „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის თანამშრომლების გატაცებას, თუნდაც ქართველებისაც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამისათვის არავინ დაუსჯიათ. დაუსჯელობის სინდრომს კი შს მინისტრი შემდეგი მოტივით ხსნის:

„ჩვენ გვაქვს ჩვენი ტაქტიკა. ასეთი ოპერაციის დროს ორი არჩევანის წინაშე ვდგავართ: 1) გარისკო, გატაცებული ადამიანის სიცოცხლე დააყენო საფრთხის ქვეშ; 2) ჩაატარო ისეთი ტექნიკური ღონისძიება, რომ დანაშაულის მტკიცებულება ნაკლებად შექმნა, მაგრამ ადამიანი გაათავისუფლო. ჩვენ ადამიანის სიცოცხლეს ვაყენებთ წინა პლანზე“.

თუმცა ამჯერად გატაცებულ ესპანელებთან დაკავშირებით შს მინისტრი გამტაცებელი ტერორისტებისგან არავითარი პირობის მიღებას აღარ აპირებს: ნებისმიერ ღონისძიებაზე წავალთ იმისათვის, რომ ყველა გატაცებული ადამიანი გამოხსნილი იყოსო.

სხვათა შორის, მხოლოდ აქ წამოსცდა კახა თარგამაძეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არც გამორიცხავენ და არც უარყოფენ, რომ შესაძლოა, ეს დანაშაული სპეცსამსახურებს უკავშირდებოდეს.

თუმცა, გასული კვირის ბოლო დღეებმა უკვე აშკარად დაგვანახვა, ვინც „მუშაობს“, კარგად „მუშაობს“. შედეგიც სახეზეა — ქვეყანა უფსკრულის პირასაა და არ არის გამორიცხული, კახეთი ახალ პოლიგონად იქცეს. სამწუხაროა კი ის არის, რომ მიუხედავად ამისა, ქვეყნისთვის არავის სცხელა და ჩვენმა ვაიპოლიტიკოსებმაც კინკლაობისთვის სწორედ ახლა მოიცალეს. ასეთ ფონზე ჩვენი ხელისუფლებისთვის ერთი ცნობილი რადიოშარჟია ზედგამოჭრილი: „ალო, ქართველი ერი გაწუხებთ, მთავრობას სთხოვეთ, — ბოდიში, გასულია. რა გადავცეთ? — არა, არაფერი, ქალბატონი ბრძანდებით, თქვენ ამას როგორ გაკადრებთ!“

მარინა მამისაშვილი

თბილისის ნაგავსაყრელზე გასუქებული „საკალანდე“ ღორები...

ნაგავს გადავამუშავებთ და დენიც გვექნება...

ხომ არ მოხვდებიან ეს ღორები საზკვების ობიექტებში?

ერთი წლის წინ გაევროპებული საქართველოს ქალაქების საერთო სანიტარული მდგომარეობა, აზიის განვითარებადი სახელმწიფოების ქალაქების მსგავსად, ჩაბინძურებულ-ჩაოხრებული რჩება. ქუჩებისა და მოედნების სისუფთავით ვერც თბილისი დაიკვეხნის. ბოლო პერიოდში დედაქალაქის სანიტარული დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროული გატანის საქმე შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ნაგვის გროვას თვალი ვერსად მოვკრთ და მისმა სპეციფიკურმა სუნმა არ შეგვაწუხოს.

განსაკუთრებული უსუფთაობით გამოირჩევა ბაზრობებისა და ბაზრების მიმდებარე ტერიტორიები. ამასთან, საღამოს საათებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გროვები ყრია თბილისის ცენტრალურ უბნებშიც, რომ არაფერი ვთქვათ გარეუბნებზე.

უფრო მეტიც, თბილისში, ორთაჭალაში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განთავსებულია ნაგავგადამტვირთავი სადგური, რომლის სიახლოვეს ადამიანის გავლა აირწინაღის გარეშე რეკომენდებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერიაში რამდენჯერმე დაისვა მისი საერთოდ გაუქმების ან სხვაგან გადატანის საკითხი, ის მაინც ძველ ადგილზე რჩება, იქ გაზრდილი „ნამყენი“ ვირთხებით კი მთელი თბილისი მარაგდება. მის არსებობას თბილისის კეთილმოწყობის სამმართველო ბენზინის ეკონომიით ამართლებს, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ ასეთმა გაუმართლებელმა ეკონომიამ ქალაქში შეიძლება ისეთი ინფექციური დაავადება გამოიწვიოს, რომ ადამიანთა სიცოცხლეც შეეწიროს, ხოლო მის უვნებელყოფას უამრავი თანხა დასჭირდება.

საგანგაშო მდგომარეობაა თბილისის ირგვლივ განთავსებულ ღია ნაგავსაყრელებზე, სადაც უგულებელყოფილია ელემენტარული სანიტარული ნორმები. კერძოდ, იქ არ ხდება საყოფაცხოვრებო ორგანული ნარჩენების დეზინფექცირება, რის გამოც ადვილი შესაძლებელია ნაგავსაყრელი რომელიმე ეპიდემიური დაავადების გავრცელების კერად იქცეს, რაც, პირველ რიგში, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას დაემუქრება. ეს საშიშროება რეალური გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაგავსაყრელებზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იკვებება ასეულობით პირუტყვი, რომელიც ადრე თუ გვიან დაიკვლება და დაავადებული ხორცი თბილისის აგრარულ ბაზრებზე, მაღაზიებში, ან საზკვების ობიექტებში ვეტერინარული კონტროლის გვერდის ავლით, შეუმოწმებლად გაიყიდება.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი **ჯუღული ახვლედიანი.**

თბილისი ნაგავის შესაგროვებელი კონტეინერების ნაკლებობას განიცდის, ქალაქს დაახლოებით 1500 კონტეინერი აკლია. ამასთან, ზოგიერთ უბანში რაიონული დასუფთავების სამსახური დიდ პრობლემას აწყდება კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით. ამიტომაც მოსახლეობა პირდაპირ ქუჩაში ყრის ნაგავს. ეს განსაკუთრებით საღამოს საათებში ხდება. ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადასაწყვეტად ქალაქის მერია ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს ერთ-ერთ იტალიურ ფირმასთან ნაგავსაწვავი ქარხნის აშენების თაობაზე. ქარხანა, გარდა იმისა, რომ ორგანულ ნარჩენებს დაწვავს, წვის შედეგად მიღებულ თბოენერგიას ელექტროენერგიად გარდაქმნის. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, შეიცვლება ქალაქიდან ნარჩენების გატანის მთელი ინფრასტრუქტურა და ზემოთ აღნიშნული პრობლემებიც თავისთავად გადაწყდება.

— რა მდგომარეობაა ამჟამად ნაგავსაყრელ პოლიგონებზე, სადაც თბილისიდან გატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები იყრება?

— თბილისს სამი ნაგავსაყრელი პოლიგონი ემსახურება. ესენია გლდანის, ლილოს და იაღლუჯის. არც ერთი მათგანი არ არის ქალაქის ტერიტორიაზე, მაგრამ რადგანაც იქ ყოველდღიურად იყრება თბილისიდან გატანილი ასეულობით ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ამიტომ ჩვენ მათ მაინც ვაკონტროლებთ. მძიმე მდგომარეობაა. ორგანული ნარჩენების გასაუვნებლად არ ტარდება არავითარი პროფილაქტიკური სადეზინფექციო სამუშაო. ერთადერთი, რაც ხერხდება და ისიც არასაკმარისად, ნაგავს ნაწილობრივ მიწით ფარავენ. იმის გამო, რომ არც ერთი პოლიგონი შემოღობილი არ არის, ნაგავსაყრელებზე პირუტყვი იკვებება. უფრო მეტიც, ზოგიერთ ადამიანს ნაგავსაყრელებთან ახლოს მოწყობილი აქვს საღორე და თავისი საცხოვრებელი ფიცრული. ყოველ დილით მიერეკებიან ისინი ღორების კოლტს სანაგვეებისაკენ და იქ დაყრილი ორგანული ნარჩენებით ასუქებენ. ამგვარად ნაკვები ღორის ხორცის მიღება მეტად სახიფათოა. ჩვენმა სამსახურმა თბილისის ეკპოლიციასთან ერთად სულ ახლახან დაათვალიერა ნაგავსაყრელები და იქ უამრავი ღორი და მსხვილფეხა პირუტყვი ნახა. მათი პატრონებიც დავდგინეთ და საღორეებიც იძულებითი წესით დავანგრევინეთ, ხელწერილებიც დავაწერინეთ, რომ პირუტყვს აუცილებლად ჩაუტარებდნენ ვეტერინარულ გამოკვლევას. თუმცა გამოცდილებით ვიცი, სანამ ნაგავსაყრელები არ შემოიღობება, მანამ გაგრძელდება იქ შინაური პირუტყვის გამოკვება. ალბათ, ნაგავსაწვავი ქარხნის აშენება შექმნილ სიტუაციასაც გამოასწორებს.

> მძიმე მდგომარეობაა, ორგანული ნარჩენების გასაუვნებლად არ ტარდება არავითარი პროფილაქტიკური სამუშაო. ეს ნაგავსაყრელებზე პირუტყვი იკვებება. ეს ნაგავსაყრელებზე ბავშვები ცხოვრობენ. იმის გამო, რომ ამ ადამიანებს ნაგავსაყრელებზე პირუტყვი აქვთ, ეს ბავშვებიც ამ ადამიანებთან ახლოს მოწყობილი აქვს საღორე და თავისი საცხოვრებელი ფიცრული.

— სანამ ქარხანა აშენდება, ხომ შესაძლებელია, რომ იქ გამოკვებული ღორის ხორცი ბაზარში მოხვდეს და ხალხი მოწამლოს...

— საშიში მხოლოდ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაყიდი ხორცია. ამიტომ ყველას ვაფრთხილებ, რომ თავი შეიკავონ ბაზრის გარეთ ხორცის ყიდვისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს საფრთხეში ჩაიგდებთ.

როგორც გაირკვა, გლდანის და ლილოს ნაგავსაყრელები თბილისის კეთილმოწყობის სამმართველოს ეკუთვნის. ნაგავსაყრელ პოლიგონებზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩაუტარებლობას სამმართველოს ხელმძღვანელობა მცირე დაფინანსებით ხსნის. მაგრამ შარშანდელი მონაცემებით, კეთილმოწყობის სამმართველომ ღია ნაგავსაყრელების მოვლა-პატრონობისთვის დაგეგმილი 400 ათასის ნაცვლად, ფაქტობრივად, 424 ათას ლარზე მეტი მიიღო. ოთხი ტრაქტორის საწვავს და რემონტს, აგრეთვე ნაგავსაყრელებზე მომუშავე ათი ადამიანის ხელფასს წელიწადში დაახლოებით 100 ათას ლარზე მეტი არ სჭირდება. საკითხავია: რას მოხმარდა ან სად წავიდა დანარჩენი 300 ათას ლარზე მეტი, თუ ვიცით, რომ იქ სადეზინფექციო სამუშაოებისათვის კაპიკიც არ დახარჯულა? ამ თანხით ხომ ერთი ნაგავსაყრელი მაინც შემოიღობებოდა. სარწმუნო წყაროს ცნობით, ღია ნაგავსაყრელებისათვის გამოყოფილი თანხების 70% „ტყდება“, მაგრამ ფინანსების არსებობის შემთხვევაშიც ნაგავსაყრელებზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სადეზინფექციო ხსნარგადასხმულ ორგანულ ნარჩენებს უკვე ღორიც არ შეჭამს. ეს ნაგავსაყრელ პოლიგონებზე მომუშავე პირებს არაოფიციალურ შემოსავალს დააკარგვინებს, რომელსაც მათ ღორების პატრონები ყოველთვიურად უხდიან, რომ მსგავსი ღონისძიებები არ გაატარონ და ცხოველებმა ნარჩენები არ დაიწუნონ. ეგ კი არა,, ის ტრაქტორები, რომლებიც ამჟამად ნაგავსაყრელებზე არიან მიმაგრებული, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ მუშაობენ და როცა მუშაობენ, მეღორეების თხოვნით, მიწას ორგანულ ნარჩენებს კი არ აყრიან, არამედ სამშენებლო ნაგავს. მისი მიწით დაფარვა კი აუცილებელი სრულებით არ გახლავთ, რადგან ეპიდემიის გავრცელება მხოლოდ ორგანული ნარჩენებისაგანაა მოსალოდნელი. ტრაქტორისტები კი მიწის აქეთ-იქით გადატანით მუშაობის ილუზიას ქმნიან. შემმოწმებელი თუ მოვა, ალბათ, მას მიწამიყრილ სამშენებლო ნარჩენებს აჩვენებენ და იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ მიწის ქვეშ ორგანული ნარჩენებია.

„ღორი ხომ საჭმელს მაინც ამოთხრის, რაც არ უნდა მიწა მიაყარო, ამიტომ ტყუილად რა აზრი აქვს მუშაობას. არ სჯობს ეკონომიით მიღებული საწვავი გავყიდოთ, ღორების პატრონებისაგანაც სულზე ყოველდღე 50 თეთრი მივიღოთ და ოჯახი ვარჩინოთ. აბა, ნაგავს ხომ არ მივიტანთ სახლში და მას ხომ არ ვაჭმევთ ცოლ-შვილს?“ — შეეკითხა ერთ-ერთი ტრაქტორისტი კორესპონდენტს.

რაც შეეხება თბილისის რაიონული დასუფთავების სამსახურებს, როგორც შევიტყვეთ, იქ უამრავი „მკვდარი სულია“ გაფორმებული. „მკვდარი სულების“ არსებობას იმით ხსნიან, რომ მეეზოვეს ერთი ნორმის, ე.ი. 1500 კვ.მ-ის დასაგველად თვეში 60 ლარს უხდიან და მეეზოვეებს რამდენიმე ნორმა აქვთ აღებული, რათა მეტი ხელფასი მიიღონ, ამ ზედმეტ ნორმებზე კი თავიანთი ნათესავები ჰყავთ ფიქტიურად გაფორმებული. სინამდვილეში, მარტო მუშაობენ. ფიზიკურად კი შეუძლებელია ერთმა ადამიანმა ყოველდღიურად 10 ათასი კვ.მ. დაგავოს და ამას მეეზოვეები არც აკეთებენ.

ქართველებს გვჩვევია, სახლიდან სწრაფად მოვიცილოთ ნაგავი და სულერთია, იგი სად დაიყრება. მთავარია, სახლი იყოს სუფთა, მაგრამ ქუჩაში დაყრილი ნაგავი ხომ ჩვენს უკულტურობაზე მიუთითებს. ჯერჯერობით, ზამთარი გვშველის და დათბობასთან ერთად ეპიდემიის კერაც შეიძლება აქედან დაიძრას.

ზვიად ჩაკვეტაძე

„შევარდნაძე ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია და ყველა ქვეყნის პრეზიდენტს მირჩევნია...“

გასული კვირის საპარლამენტო ცხოვრება სკანდალური განცხადებებით იყო გამორჩეული. კიდევ ერთი სკანდალი მომწიფების პროცესშია. ამჯერად მისი ავტორი სოციალისტების ლიდერი **ვახტანგ რჩეულიშვილი** გახლავთ. მმართველ პარტიასა და ბლოკ „აღორძინებას“ შორის არსებული დაპირისპირებების მითი წარსულს ბარდება — მეორე ცენტრად წოდებულ ბათუმს თანამოაზრეები თვალსა და ხელს შუა ეცლებიან (თუმცა მავანნი იმასაც ვარაუდობდნენ, რომ ე.წ. დაპირისპირება ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის თამაში იყო, რეალურად, იგი არც არასოდეს არსებულაო). ასეა თუ ისე, ჯერ იყო და, ფრაქცია XX საუკუნე (ზვიადისტები) დაუტკბა პარლამენტის თავმჯდომარეს და პრეზიდენტს. უფრო ადრე მსგავსი ნოტები „ტრადიციონალისტების“ მიმართ გაისმა. ახლა კი, დედის წინ მორბენალ კვიცს „სოციალისტები“ დაემსგავსნენ. თუმცა ვახტანგ რჩეულიშვილი პოლიტიკურ ღალატში უფრო ადრეა შემჩნეული — როცა საუბარი მის ვიცე-სპიკერად დანიშვნაზე მიდიოდა. მაშინ, სხვათა შორის, მისმა „კეკლუცობამ“ პოზიციაც და ოპოზიციაც ერთნაირად გააღიზიანა. თუმცა, მერე ორივემ შეუნდო და ვიცე-სპიკერობაც დაუმტკიცეს. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მორბენალი კვიცის ტრაგიკული დასასრული ყველას მოგვეხსენება და, რომელი ცენტრია სოციალისტების ლიდერებისთვის მგელი და რომელი მგლისფერი ძაღლი, ეს ჩვენზე უკეთ ვახტანგ რჩეულიშვილმა უწყის. ერთი რამ ცხადია, მას, როგორც საქართველოს გადარჩენის იდეით შეპყრობილს, არც ერთი მგლის არ ეშინია. უფრო მეტიც: მათთან თანამშრომლობაზეც კი თანახმაა, ოღონდ ქვეყანას რაღაც ეშველოს. ასეთ გააქტიურებას კი იმით ხსნის, რომ ერი არასოდეს ყოფილა ისეთ მძიმე მდგომარეობაში, როგორშიც დღესაა. და კიდევ, ვახტანგ რჩეულიშვილი ამ ყველაფერს XX საუკუნეში ახალი პოლიტიკით შესვლას უწოდებს. რაში მდგომარეობს ეს სიახლე, თავად სოციალისტების ლიდერი მოგვახსენებს.

— ბატონო ვახტანგ, რომ არა ახალ საუკუნესთან მიახლოება, ძველ ამპლუაში დარჩებოდით?

— რას ნიშნავს ძველ ამპლუაში დარჩენა? ახალ საუკუნეში შევდივართ და გული მწყდება, რომ ჩემს ხალხს ასეთ გაუბედურებულ ყოფაში ვხედავ. რუსეთთან უთავბოლო პოლიტიკამ ხომ სულ მოგვიღო ბოლო: არც შევარდნაძეს ვლანძღავ ამისათვის და არც ჟვანიას: უბრალოდ ვეუბნები მათ, რომ ახალი პოლიტიკის დრო დგება და ეს გაიაზრონ. იმ გზით სიარული, როგორითაც საქართველო დღემდე დადიოდა, შეუძლებელია. არ გვეკადრება ქართველ ერს, ასე გამათხოვრებული რომ ვხვდებით მომავალ ათასწლეულს.

— ახლა არ მითხრათ, რომ პოლიტიკური ლიდერებიც გამათხოვრებულები დადიანო.

— არა, ამას მათზე ვერ ვიტყვი. არ დადიან ასე და იმიტომ. მაგრამ ხალხი ასეთ მდგომარეობაში რომ იქნებოდა, ჯერ კიდევ 1993 წელს ვიწინასწარმეტყველე. ვთქვი მე, რომ ასეთი პოლიტიკა დაღუპავდა ქვეყანას. გამოვიდნენ მაშინ ფრაქციის ხელმძღვანელები, მათ შორის ჟვანიაც და გამომლანძღეს. ერთადერთი, პრეზიდენტი იყო, ვინც დამეთანხმა. იმასაც ვამბობდი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს-მეთქი. აქაც არ დამიჯერეს. მაგრამ რა ვქნათ ახლა? ქვეყანა დაშლის პირასაა და ერთმანეთს ვეძიებგილაოთ?! ეს ხელისუფლება იმპიჩმენტის ღირსი კი არის, მაგრამ უარესად აირევა მდგომარეობა. ხალხი მეცოდება, თორემ ამათი (ხელისუფლების) ჯავრი სულ არ მაქვს. შეიძლება უბრალო გლეხი ვერ ხედავდეს საფრთხის რეალობას, მაგრამ მე ვხედავ: გორელ გლეხს იმიტომ არ მოსწონს სავიზო რეჟიმის შემოღება, რომ რუსეთში ვაშლის გატანა გაუძნელდება, მე კი იმას ვხედავ, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა უვარგისია. ლამის დაშლის პირასაა რესპუბლიკა. ესენი კი, ისე ახურდავებენ პუტინს ორ გროშად, თითქოს ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი კი არა, ზიმბაბვეს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე იყოს. ეს რა პოლიტიკაა? პოლიტიკა ჰქვია იმას, შევარდნაძის და ჟვანიას გუნდები თუ ჯგუფები ერთმანეთს რომ ეჭიდავებიან?! ახლა ყველა პარტია უნდა გავერთიანდეთ იმ იდეით, რომ როგორმე გადავარჩინოთ ქვეყანა, როგორმე ამოვიდეთ იმ ორმოდან, რომელშიც სულ უფრო ვიძირებით. რაში გვჭირდება მინისტრობა, ვიცე-სპიკერობა და დეპუტატობა, თუ ვერაფერს გავაკეთებთ.

— თქვენ კი ძალიან ეცადეთ და...

— რატომ, ვეცადე?! რომ არ ნდომნოდათ, არავინაც არ დამიჭერდა მხარს. და საერთოდ, იცით რას ვიტყვი?! — ოღონდაც ქვეყანას ეშველოს და მე სულაც მივატოვებ თანამდებობას და ჩემს პარტიასაც დავაკონსერვებ, გნებავთ კიდეც გავაუქმებ. მაგრამ არც ამით ეშველება საქმეს. ამიტომაც არ გავჩუმდები. ყველა პარტიას მოვუწოდებ — დაწყებული ლეიბორისტებიდან, დამთავრებული სმკ-ით: მოვრჩეთ, ხალხო, ერთმანეთის მტრობას და მივხედოთ ხალხს. სმკ-ს კი ასე ვურჩევდი: თავი დაანებოს კადრების პარტიული ნიშნით დაკომპლექტებას, თუგინდ ქურდი იყოს, თუგინდ უნიჭო, ოღონდ ჩვენი პარტიელი იყოსო — ასე ფიქრი არ შეიძლება. ამას სექტანტური აზროვნება ჰქვია. იქნებ სხვა პარტიებს უფრო პროფესიონალი კადრები ჰყავს?! ჩემი ნება რომ იყოს, დღესვე საპარლამენტო არჩევნებს ჩავატარებდი და მოქალაქეთა კავშირს მართვის საფეხურებს ჩამოვართმევდი. სწორედ მათ ჩააგდეს საუკუნის ბოლოს ქვეყანა ასეთ დღეში და არა მარტო მათ.

— კონკრეტულად?

— თუნდაც იმ გუნდმა, რომელიც ქვეყნის საგარეო და ეკონომიკურ რეფორმებს ახორციელებს.

— პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს მტრებად მიიჩნევთ?

— ყოველ შემთხვევაში, ჟვანიას მეგობრად ვერ მოვნათლავ. მაგის კისერზეა ყველაფერი, რაც ცუდი ხდება. შევარდნაძე კი — პრეზიდენტია ჩემი და არა მეგობარი. ისე კი, ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობისას მათთანაც ვითანამშრომლებ. აბა რა ვქნათ, გილიოტინაზე მათი გაყვანა მოვითხოვოთ?! დღეს, როცა ასე უჭირს საქართველოს, მათი ხელისუფლებიდან წასვლის საკითხს ვერ დავაყენებ. მეშინია და იმიტომ: ხომ ხედავთ, რა ამბებია პანკისში?! კიდევ დესტაბილიზაციას ხომ არ შევუწყობ ხელს მათი გადაყენების მოთხოვნით?! სხვასაც მოვუწოდებ, რომ ამ გაჭირვების დროს ერთად ვიყოთ. თანაც, ბოლოს და ბოლოს, ჟვანიას უცხოელებთან მოლაპარაკების წარმოებაში წუნს ვერ დასდებ. პრეზიდენტის საერთაშორისო ავტორიტეტი და იმიჯიც არ დაგვავიწყდეს.

— ბლოკ „აღორძინების“ სხვა წევრი პარტიებისთვის თუ არის ცნობილი თქვენი ასეთი „ბალღობა“ სმკ-თან ურთიერთობაში?

— ისინიც ამბობენ, რომ პირველ რიგში პასუხისმგებლობა სმკ-ს ეკისრება. მაგრამ ვიცი, რომ ასლან აბაშიძე ქვეყანას არ ანაცვალებს პირად ამბიციებს და იმიტომაც ვარ მასთან ბლოკში. როდესაც საქართველოს უჭირს, პრეზიდენტ შევარდნაძეს ყოველთვის მიესვლება აბაშიძესთან. დღესაც, როცა საქართველოს უჭირს, ასლან აბაშიძე შევარდნაძეს არ განუდგება. აბაშიძისგან მტრის ხატის შექმნა ზოგიერთ სმკ-ელს სურდა, თორემ პრეზიდენტს სულაც არა. არა მგონია, რომ ჩემი ასეთი პოზიციის გამო ბლოკის წევრებთან ურთიერთობაში პრობლემები შემექმნეს. ახლა პოლიტიკური „რაზბორკების“ დრო არ არის. ჩემი მიზანი ჟვანიასა და შევარდნაძესთან ბრძოლა არასოდეს ყოფილა. ჩემი მიზანი საქართველოს გადარჩენაა. ვთქვათ, მე ვამბობ, რომ ახლა აქცენტი უნდა გაკეთდეს განათლებასა და მრეწველობაზე. ამის გადასაწყვეტად ხომ უნდა მივიდე ჟვანიასთან და შევარდნაძესთან?! მე ჩემი ხმები არ მყოფნის, ამიტომ იძულებული ვარ, ისინი ავიტანო. ეს ნებისმიერმა ოპოზიციურმა პარტიამ უნდა შეიგნოს.

— მოკლედ, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეთ?

— ნებისმიერ რუს პოლიტიკოსთან გვერდით დგომას, ჩემი უვარგისი ქართველი მირჩევნია.

— წარმოდგენილი ბიუჯეტის მიღებას მხარს უჭერთ?

— საშინელი ბიუჯეტია, მაგრამ მხარს მაინც დავუჭერთ. რომ არ დავამტკიცოთ, ამას მთავრობის წასვლა მოჰყვება — წესით. მთავრობა არ წავა, დაუმტკიცებელი ბიუჯეტის ფულს კი თავისი სურვილით გაანაწილებენ, ან ძველი ბიუჯეტით ისარგებლებენ. ხალხს კი ეტყვიან: აი, ბიუჯეტი რომ არ დაგვიმტკიცეს, იმიტომ ვერ გაძლევთ პენსიასო. ამას დიდი ბაკქანალია მოჰყვება.

— ასეა თუ ისე, სოციალისტთა ლიდერი, დროისა და ვითარების შესაბამისად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება მმართველ ძალას?!

— მე ასე ვიტყოდი: თუ დრო და ვითარება მოითხოვს, თუ ქვეყანას დასჭირდება, მე დავდგები შევარდნაძის გვერდით. იმიტომ, რომ ის ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია და ყველა სხვა ქვეყნის პრეზიდენტს მირჩევნია.

— ერთმა დეპუტატმა გამინისტრების სურვილში „გამჩილათ“. თქვენთვის საკანონმდებლო ხელისუფლების ათვისება უფრო იოლია თუ აღმსრულებლის: რომელზე ზრუნავთ?

— მე ახლა იმაზე ვზრუნავ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება შეიცვალოს და იქიდან წავიდეს ხალხი, რომელიც პირადი „მეთი“ ცხოვრობს. მას შემდეგ აღმსრულებელი გუნდის შეცვლაზეც შეიძლება საუბარი. სხვაგვარად, აღმასრულებელთა შეცვლა ძალზე მტკივნეული იქნება. ამიტომ სჯობს, ჯერ „მოთელვა“ გავაკეთოთ.

ქეთი ბერეკაშვილი

დაბადების დღე ბერაქმის მოლოდინში

8 დეკემბერს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, გია ბარამიძემ განაცხადა, რომ დაცვის სპეციალური სამსახურის ცნობით ამ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარეზე, ზურაბ ჟვანიაზე ტერაქტი იგეგმება. ინფორმაცია, ბარამიძის სიტყვებით, უტყუარია. აქტის ორგანიზებას კი ქვეყანაში არსებული ძალები ახდენენ, რომლებიც თავის მხრივ გარე ძალებზე მუშაობენ... ასეთია ბარამიძისეული ვერსია, ანუ კონკრეტული ბრალდება ზოგადი მისამართით...

კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც ასე „მიულოცა“ მეგობარს დამდეგი დაბადების დღე (ზურაბ ჟვანიას 9 დეკემბერს 37 წელი შეუსრულდა), რატომღაც არ მოუშველიებია უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამსახურების ცნობები. შეიძლება იმიტომ, რომ ხსენებულ სამსახურებს მსგავსი ინფორმაცია უბრალოდ არ გააჩნდათ. ბარამიძის განცხადება კი მიმდინარე კვირის ლოგიკურ პასაჟად შეიძლება მივიჩნიოთ. გასული კვირის მთავარი შტრიხი გახლდათ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობათა მორიგი გარკვევა. ამ მეტად პრობლემატური საკითხის გარშემო მსჯელობამ ქართველ პოლიტიკოსებს „თვითგამორკვევის“ კიდევ ერთი საშუალება მისცა. გარდა ამისა, ემოციური ფონი მეტად დაძაბა დავით გამყრელიძის კომისიის დასკვნამ, რომელიც საბიუჯეტო კრიზისის მიზეზებს იკვლევდა. გამყრელიძის მიერ გაკეთებულმა აქცენტებმა ცხადყო, რომ ბრძოლა მოქკავშირის ძირითად (ჟვანიას) გუნდსა და ყოფილ მოქკავშირელებს (ახალი მოძრაობა) შორის დაუნდობელ და შეუქცევად ხასიათს იღებს. თუმცა, მივყვეთ თანამიმდევრულად.

გასულ კვირას საქართველოში კიდევ ერთხელ გაახსენდათ ქართული ეროვნული სული... გაახსენდათ, საბედნიეროდ. თუმცა, სამწუხაროდ, ეს თემა კვლავ პოლიტიკური დივიდენდების დაგროვების საშუალებად იქცა. საკანონმდებლო ორგანოში გაისმა ომახიანი მოწოდებები იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის ახდილი ნამუსისათვის მოძალადემ პასუხი უნდა აგოს.

ანტირუსულმა განწყობამ საქართველოში კიდევ ერთხელ მიაღწია პიკს, ამან კი ბევრ პოლიტიკოსს მისცა „თვითგამორკვევის“ საშუალება, მათ შორის აღმოჩნდნენ ტრადიციონალისტი აკაკი ასათიანი და მოქკავშირის „ახლად აკიაფებული“ ვარსკვლავი კობა დავითაშვილი.

იყო მცდელობა, დსთ-ის სივრცის დატოვების მოწინააღმდეგის სახე კიდევ ერთი „ახალი მოძრაობელის“, ლევან გაჩეჩილაძისგან შექმნილიყო. შეიძლება ეს გახლავთ ის რგოლი, რომელიც კვირის პირველ მოვლენას მეორესთან აკავშირებს. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ დავით გამყრელიძემ საბიუჯეტო კრიზისის მიზეზს მიაგნო — დამნაშავეა მოქკავშირი. უფრო სწორად, ზურაბი და მისი რაზმი. სუბიექტური ელფერი დასკვნას არ აკლდა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ზურაბ ჟვანიამ გამყრელიძეს სახელმწიფო მინისტრის სავარძელი გაახსენა. ამ ორ პოლიტიკოსს შორის დაპირისპირება მაშინ გაჩნდა, როდესაც ჟვანიამ პარლამენტში ახალმისულ „ალდაგელს“ შეატყო, რომ სადაზღვევო კომპანიის ყოფილი პრეზიდენტი მის ფრთებქვეშ „მყუდრო“ ადგილს არ დასჯერდებოდა, თანაც, გამომდინარე ძლიერი ფინანსური ზურგიდან, ბიზნესიდან მოსული პოლიტიკოსი საკმაოდ დაზღვეულად გრძნობდა თავს.

სახელმწიფო მინისტრის გათავისუფლებულმა სავარძელმა შავი კატის როლი ითამაშა ამ ორი ადამიანის ურთიერთობაში. ითვლება, რომ გამყრელიძეს სახელმწიფო მინისტრობა სურდა. ჟვანიამ კი ჩინებული ნომერი გამოუცხო. დაიმედა და შემდეგ მშრალზე დატოვა. გამყრელიძეგაჩეჩილაძის მიერ შექმნილი „ახალი მოძრაობა“ კი დღემდე გულზე ადგას პარლამენტის თავმჯდომარეს.

ზურაბ ჟვანიას პოზიციები ბოლო დროს საგრძნობლად შესუსტდა. ერთი მხრივ, ქვეყანაში მოღვაწე სერიოზულ ბიზნესმენთაგან დაკომპლექტებული მოძრაობის ოპონირება მას კარგს არაფერს უქადის. ახალ მოძრაობას „ალდაგის“ მისამართით წამოყენებული ბრალდებები ბევრს ვერაფერს აკლებს. ამ მოძრაობას თავისი ელექტორატიც ჰყავს და არც მასმედიის საშუალებების არაკეთილგანწყობას უჩივის. საპრეზიდენტო არჩევნებამდე 4 წლით ადრე ამგვარი არასასურველი მეტოქის გამოჩენა ჟვანიასთვის ნამდვილად უდროო იყო...

მეორე მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარე ვერც შინაგან საქმეთა მინისტრთან მოწესრიგებული ურთიერთობით დაიკვეხნის. პირიქით, მოქკავშირმა თარგამაძეს ომი გამოუცხადა, მაგრამ ვერ გაითვალისწინა, რომ იგი დღეს ქვეყანაში ერთადერთი ფიგურაა, ვის უკანაც რეალური ძალა დგას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. თარგამაძე არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებაში არ იგულისხმება. მას თავისი „პარტია“ ჰყავს. ამასთან, საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს პრეზიდენტთან და უშიშროების საბჭოსთან. თარგამაძის შეცვლა მისაღები კანდიდატით ჟვანიას დღის წესრიგში კარგა ხანია დადგა. ამ სავარძელს შორიდან არაერთ მის თანაგუნდელს „აზომებდნენ“, მაგრამ შს მინისტრის თანამდებობას ჯერ-ჯერობით ახლოს ვერავინ მიეკარა. თარგამაძესთან დაპირისპირება კი ზურაბ ჟვანიას სერიოზულად აკარგვინებს პოზიციებს.

მესამე და შეიძლება ყველაზე მთავარი — მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრი გარეგნული ნიშნები შევარდნაძესა და ჟვანიას შორის გაბზარული ხიდისა არ ისინჯება, ამგვარ რღვევას მაინც უნდა ჰქონდეს ადგილი. ორიოდ კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ცნობილი ქუჩის აქციების ორგანიზებაში პრეზიდენტმა პარლამენტის თავმჯდომარეს დასდო ბრალი.

შესაძლო ტერაქტი კი, მიუხედავად იმისა, რეალურად იგეგმება ის თუ არა, შეიძლება კარგად წაადგეს პარლამენტის თავმჯდომარის გუნდს და მის რეიტინგს... ჟვანია ამ ხმაურიანმა ფაქტმა შეიძლება წამგებიანიდან მომგებიან სიტუაციაში გადასვას. ბრალდება, როგორც აღვნიშნეთ, ბუნდოვნად უმისამართოა, თუ მოვინდომებთ, ამ როლის მორგება ორივე მეტოქისათვის შეიძლება... ერთს — გასაღების ბაზარი აქვს რუსეთში, მეორეს იქაურ კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს...

P.S. ხომ არ ნიშნავს ბარამიძის განცხადება იმას, რომ რუსეთმა საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობა მოაგვარა და ახლა პარლამენტის თავმჯდომარეღა უშლის ხელს?..

მაია გაბუნია

წერილი რედაქციას

„ირგვლივ ყველა იმას ლაპარაკობს, რომ საქართველოში უკვე ყველაფერი განაწილებულია, რომ ბენზინი, გაზი, ოქრო, მეტალურგია და სხვა მომგებიანი სფეროები პრეზიდენტის ნათესაობის ხელშია, რომ რიგით ადამიანს აღარაფერი დარჩა. სად არის გამოსავალი, ისეთი, რომ ხალხმაც ამოისუნთქოს და პრეზიდენტიც არ ვარდებოდეს უხერხულ მდგომარეობაში. იქნებ ღირდეს, რომ მივიღოთ კანონი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტად მხოლოდ უპატრონო ბავშვთა სახლში აღზრდილი პიროვნების ან დედისერთას არჩევა შეიძლებოდეს. ამით სამუდამოდ მოიხსნება ქვეყანაში პრეზიდენტის ნათესავების პრობლემა“.

ჯ. კავეიშვილი

პარლამენტის წევრი ვერ გახდებოდი, თუ ვირი არ გყავდა...

ერთი შეხედვით, რატომაც არ არის გამოსავალი, მაგრამ ასე მარტივადაც არ არის საქმე.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესს განსაზღვრავს ქვეყნის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია, კონსტიტუციის მეოთხე თავის 70-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში“.

ანუ, საქართველოს პრეზიდენტის არჩევისას მოქმედებს რამდენიმე შეზღუდვა: ასაკობრივი ცენზი, ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობის მინიმუმი და დაბადებით ამ ქვეყნის მოქალაქეობა. თუმცა, არსებობს ერთი შეზღუდვაც — საუბარია ტერმინზე „საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე“, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილას. ასევე არჩევნებში მონაწილეობის პოლიტიკურ უფლებას მოკლებულია პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედითუუნაროდაა გამოცხადებული.

სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ საკმაოდ დემოკრატიულად არის მიჩნეული და ამ დემოკრატიულობას ძალზე მნიშვნელოვნად შეზღუდვების სიმცირეც განსაზღვრავს. გარდა ამისა, აპრიორულად მოქალაქეთა უფლებათა, კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორობის საკითხია მიღებული.

ახლა წარმოიდგინეთ, სავლე მარტო იმიტომ ვერ გახდეს პრეზიდენტი, რომ ახალშობილობის პერიოდში დედამ არ მიატოვა, პავლე კი — პირიქით. აქ ხომ არც სავლეს პიროვნულ ან მოქალაქეობრივ ნაკლთან გვაქვს საქმე და არც პავლეს დამსახურებასთან.

ისე, შორეულ და არცთუ ისე შორეულ წარსულში ცნობილია შეზღუდვები, რომლებიც გარკვეულწილად არღვევდნენ ადამიანების თანასწორობის პრინციპს. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ყველაზე გავრცელებული შეზღუდვა ქონებრივი ცენზი გახლდათ. დღევანდელი გადასახედიდან ბევრი შეზღუდვა შეიძლება სასაცილოდაც ჩანს.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

„მე თქვენ მოგწერთ წერილს“

„კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი

ილიას ერთ ლექსს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული არტურ ლაიბნიცის სიტყვები – „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“. ჭეშმარიტად. უწარსულოდ წარმოუდგენელია აწმყო და არც მომავალი ივარგებს დღევანდელობის გარეშე.

ადამიანს ზოგჯერ დაუძლეველი სურვილი იპყრობს,დაწეროს, ფურცელზე გადაიტანოს თავისი ნაზრევი, რჩევა-დარიგება, დალოცვა ან ანდერძი. ზოგჯერ ის მხოლოდ უსულო ფურცელს ანდობს თავის საფიქრალს, რამეთუ არ იცის, როგორ გაიგებენ მის ნათქვამს და კიდევ... წინაპრის ერთი შეგონება უზის გონებაში – „ყოველს სიტყვასა დრო უნდა, ლაპარაკს მისი ადგილი“. მავანი ზოგჯერ ფიქრობს, რომ მისი ნათქვამი ხვალ უფრო დროული და საჭირო იქნება.

„კვირის პალიტრამ“ თქვენი მეგზურობა იკისრა მომავალში. ჩვენი გაზეთი იქნება ხიდი აწმყოსა და მომავალს შორის.

ჩვენი გაზეთის პროექტის შესახებ ვესაუბრებით მარიკა ლორთქიფანიძესა და ირინა სარიშვილი-ჟანტურიას.

მარიკა ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი: ჩვენში ანდერძის დატოვება ჩვეულებრივი ამბავი იყო. საინტერესოა დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, სადაც ის განსაზღვრავს, რას სწირავს ამ მონასტერს, როდის და ვის რა უნდა დარჩეს. შიომღვიმე სამეფო მონასტერია, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღმაშენებლისთვის. დავითის წინაალმდეგ აჯანყებულმა ძაგან ერისთავმა თავი შეაფარა ამ მონასტერს, სადაც მისი ძმა იყო წინამძღვრად. ძაგანს ეგონა, ბერები მხარს დაუჭერდნენ, მაგრამ შიომღვიმის ბერებმა მხარგაკრული მოჯანყე დავითს მიჰგვარეს. ამის შემდეგ ააგო დავითმა იქ დიდი მონასტერი და დიდძალი შესაწირავი შესწირა. ანდერძი სწორედ ამის დასაბუთებაა.

ძალიან აფასებდნენ ჩვენში წიგნების გადაწერის ხელშემწყობთ. ჩვენ გვაქვს მე-15 საუკუნის ნუსხა ქართლის ცხოვრებისა, რომელსაც ეწოდება „ანასეული ქართლის ცხოვრება“, რომელსაც ერთვის ანდერძი —„ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარმოწამეო, მცველ და მფარველ მხარსამდგომელ და გამმარჯვებელ ექმენით ორივე ცხორებასა შინა პატრონთ დედოფალთა დედოფალსა ნესტან-დარეჯანსა და ძესა მისსა ღვთივგვირგვინოსანსა მეფესა ალექსანდრესა და დედოფალსა ანასა, რომლისა მიერ გვებრძანა პატიოსანსა ამას წიგნთა აღწერა“. ეს იმიტომ კეთდებოდა, რათა შთამომავლობას სცოდნოდა ეროვნული მნიშვნელობის მქონე საქმე ვისი ბრძანებით, ვისი საფასით, ვისი ხელშეწყობით გაკეთდა.

— ზოგ ნუსხაში, გარდა ანდერძებისა, არის გაფრთხილება, ახსნა ამა თუ იმ მოვლენისა, რატომ კეთდებოდა ეს?

— ადამიანები, უპირველესად, შეცდომებზე უნდა ვსწავლობდეთ. მიზანი ამ ჩანაწერებისა არის ის, თუ რა გააკეთა ამა თუ იმ წინაპარმა, რაში შეცდა, როდის მოიქცა სწორად. შთამომავალმა უნდა იხელმძღვანელოს ამით. არსებობს დავითის ისტორიკოსის ჩანაწერი, რომელიც მოგვითხრობს — მართალია, დავითმა ბევრი დასაჯა, ბევრი გადააყენა, მაგრამ ეს აუცილებელი იყოო. როცა წინაპრის მოღვაწეობას ვაფასებთ, უნდა დავფიქრდეთ, რა შედეგი მოიტანა მისმა ამა თუ იმ ნაბიჯმა. ამიტომ იწერებოდა ასეთი შინაარსის წერილები. დავითის ისტორიკოსი პირდაპირ აცხადებდა — ისტორია იმიტომ უნდა დაიწეროს, რომ მომავალმა თაობებმა „გარდასულსა შეამსგავსნოს მომავალი“, ანუ ნახოს, განსაჯოს, რა არის სწორი და რა არაო.

— „კვირის პალიტრის“ პროექტი საშუალებას აძლევს ნებისმიერ ადამიანს, შთამომავლობას წერილობით დაუტოვოს თავისი ნაფიქრი, განცდა და რჩევა-დარიგება. ვინ იქნებოდა თქვენი ადრესატი და რას დაუბარებდით მას.

— დასამალი არაფერი მაქვს... ჩემი ადრესატი იქნებოდა ახალგაზრდობა. მინდა მოვუწოდო მათ, რომ არ დაივიწყონ ჩვენი, ეროვნული ტრადიციები. კი, კარგია, ჯაზი, მაგრამ მე ქართული სიმღერა მირჩევნია. მომწონს ესპანური ცეკვა, მაგრამ მას მაინც ჩემს, ქართულ ხალხურ ცეკვას ვამჯობინებ, სადაც ქალისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული გამოსჭვივის.

ნუ დაივიწყებენ ახალგაზრდები, რომ უფროსს პატივი უნდა სცენ. ეს ტრადიცია ჩვენ ოდითგან მოგვდგამდა. არ მომწონს, როცა ქალ-ვაჟი დაუფარავად, ყველას დასანახად და შესახედად დადიან გადახვეულნი (შეიძლება მე-19 საუკუნის დონეზე ვაზროვნებ, მაგრამ მე ასე ვფიქრობ...). ნამდვილი გრძნობა დაფარული უნდა იყოს. არ არის საჭირო ყველას დასანახად გრძნობის გამომზეურება და როცა ვხედავ, რომ ახალგაზრდები დაუფარავად გამოხატავენ „სიყვარულს“, იქ უკვე ეჭვი მიჩნდება.

— რადგან სიტყვამ მოიტანა, ჩვენი გაზეთის მკითხველებს საშუალება ეძლევათ წერილობით აუხსნან სიყვარული ერთმანეთს.

— თუ ადრესატი წერილს რამდენიმე წლის მერე მიიღებს, რა აზრი აქვს? მაგრამ აქაც არის დადებითი მომენტი. შეიძლება ქალი ან მამაკაცი დაოჯახებული იყოს და მასზე შეყვარებულს არ სურდეს ოჯახში ჩარევა, მაგრამ ჰქონდეს სურვილი, რომ ამ ადამიანმა ოდესღაც შეიტყოს ეს ამბავი. ამით ის თავის პატივისცემას და სათუთ დამოკიდებულებას ამჟღავნებს არა მარტო შეყვარებულისადმი, არამედ თვით ამ გრძნობისადმი. ალბათ, სასიამოვნოა, როცა ადამიანი ამგვარ ბარათს მიიღებს.

— ადამიანები ზოგჯერ ნივთს, ფოტოს უტოვებენ შთამომავლებს, თქვენ თუ გაქვთ ისეთი ნივთი, რომლის მემკვიდრეებისთვის გადაცემასაც ისურვებდით.

— ძალიან კარგია, როცა ადამიანები რაღაც ნივთს უტოვებენ შთამომავლებს. მაქვს საფირონისთვლიანი გულსაბნევი, ირგვლივ ბრილიანტებით, რომელზეც ვთქვი, რომ ჩემს ქალიშვილს უნდა დარჩეს. დედასაც შენახული ჰქონდა მამაჩემის ჩოხის მასრები. მე-18 საუკუნის ნახელავი — ოქროთი ჩაჭდეული რკინა. ოქრომჭედელს გავაკეთებინე მისგან სამაჯური და ბეჭედი. დანარჩენი მასრები გიგას ქალიშვილებსაც მივეცი და ჩემს შვილებსაც.

ძალიან კარგია, როცა ადამიანებს ახსოვთ წინაპრები და შთამომავლებსაც უტოვებენ რაღაცას.

თუმცა თქვენს პროექტში „რაღაცას!“ კი არა, მთელ გენეალოგიას უტოვებთ მომავალ თაობას. ეს დიდი საქმეა, თუკი ყველას ეცოდინება, ვინ იყო თაობების მიღმა მისი წინაპარი და თავადაც შეუნახავს შვილთაშვილებს გენეალოგიის შტოს. ასე ხომ, შეგვიძლია ვთქვათ, მთელი საქართველო იცოცხლებს.

ირინა სარიშვილი-ჟანტურია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე: ძალიან საინტერესო პროექტია, რამდენადაც გავაცნობიერე. ერთადერთი, რასაც ვერ დავეთანხმები ის არის, რომ არ მგონია, ნებისმიერი ჩვენი მოქალაქისთვის ფურცელმა შეცვალოს მღვდელი. ისე, თუ ლაპარაკია აღსარებაზე, ჩადენილი დანაშაულის აღიარებასა და სინანულზე, შეიძლება ადამიანმა ქაღალდსაც ანდოს თავისი საიდუმლო... ალბათ ესეც ღირსებაა, როცა შთამომავლის წინაშე შეგიძლია აღიარო შენი საკუთარი ცოდვები... მაგრამ, ვიმეორებ, მღვდლის წინაშე აღიარებას ვერ შეცვლის ფურცელი... შუამავალი ვერ იქნება ღმერთსა და კაცს შორის.

თუკი ჩვენ შევძლებთ ჩვენი განცდა გადავიტანოთ ფურცელზე და ავიტანოთ, რომ 10 წლის შემდეგ ის ვიღაცისთვის გახდება ცნობილი, ჭკუის სასწავლებელი ან რჩევის მიმცემი, ამას ხომ არაფერი სჯობს.

— არის შემთხვევა, რომ ადამიანი რაღაცის ან ვიღაცის გამო ვერ ამბობს სიმართლეს და უნდა, რომ ეს სიმართლე მერე მაინც გაიგოს ხალხმა, თქვენ თუ გაქვთ ასეთი სათქმელი.

— კი, კი, აქ ცოდვებზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმაზე, რას ფიქრობ სინამდვილეში და რაზე რა აზრი გაქვს. მე მაქვს ასეთი, მარტო ჩემთვის რომ მიფიქრია. არის რაღაც, რასაც ახლა არ ვიტყვი. ეს არ შეეხება არც ვინმეს კონკრეტულ დანაშაულს და არც ჩემს პირად ცოდვებს, არამედ ჩემს შეხედულებებს შექმნილ მდგომარეობაზე. ამ ვითარებაზე პასუხისმგებლებს დღეს თუ ვეტყვი, რასაც ვფიქრობ, ძალიან ბევრმა, შესაძლოა, ეს არასწორად გაიგოს და შეიძლება ნაკლებად დაიჯეროს. როცა ეს ხელისუფლება შეიცვლება (აქ მარტო მმართველ პარტიაზე არ არის ლაპარაკი) ალბათ, გაცილებით მეტად გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებებს და შეხედულებებს ამ ადამიანებსა და მათ როლზე — როგორც დადებითზე, ისე უარყოფითზე. იმიტომ, რომ არ არის ისე მარტივად საქმე, რომ ჩვენ ერთი ჯგუფი დავანადაშაულოთ და მეორე ჯგუფზე არაფერი ვთქვათ. დღეს რომ ეს ვთქვა, ამას ძალიან ბევრი არასწორად გაიგებს და ამიტომ ჩემს სათქმელს ვინახავ ამ ხელისუფლების წასვლის შემდგომი პერიოდისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სათქმელი მქონია, ოღონდ — მომავალში.

— და თუ მაინც დაწერდით, ვინ იქნებოდა თქვენი ადრესატი?

— უფრო მომავალი თაობისთვის დავწერდი... იქიდან გამომდინარე, რომ ყველა მიცნობს (და როგორ მაფასებენ, ამას არა აქვს მნიშვნელობა), ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, რას დავწერდი. მით უმეტეს, პოლიტიკურ წრეებზე, თანაც იმას, რასაც არ ვამბობ. ან თუ ვამბობ, ისე ვერ ვამბობ, როგორც უნდა ითქვას. აქ ლაპარაკი არ არის დანაშაულის დაფარვაზე რომელიმე ხელისუფლების წევრის მხრიდან, იმიტომ, რომ მგონი აქ საყვედური ნამდვილად არ მეთქმის — გვარებს ჩემსავით არავინ ასახელებს. მაგრამ არის ზოგადი შეფასება, ვის რა წილი აქვს ამ პროცესებში — ხალხს, ხელისუფლებას და იქიდან კიდევ რაღაც ნაწილს ცალკე აღებულს და ა.შ. ამიტომ ჩემი ადრესატი მომავალი თაობა იქნებოდა. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენც ჩვენი წინაპრებისთვის მომავალი თაობა ვართ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ სწორი ინფორმაცია გვაქვს მიღებული ჩვენი წინაპრების ამწყოს შესახებ. და შესაძლოა, ჩვენი ბევრი არასწორი ნაბიჯი, არასწორი გათვლა და, თუნდაც არასწორი ურთიერთობები ერთმანეთთან, არასწორი შეფასება ვიღაცის, თუნდაც დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანის მოღვაწეობისა, აქედანაც მოდიოდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როცა გაქვს რაღაც ორიენტირი, რომელსაც უნდა ასცდე, ან რომლისკენაც უნდა ნახვიდე. ყველაზე აქტუალური იქნება მომავალი თაობისთვის შენი შეხედულებების დატოვება ისეთ დროში, როდესაც შენს დაინტერესებას რამეში ვეღარ დაინახავენ და დაიჯერებენ, რომ ის ობიექტურია. ეს არის პრობლემა, დღეს რომ გამოვხატო ეს შეხედულებები, ვიღაცამ შეიძლება რაღაცით დაინტერესება დამწამოს.

— რა გაწუხებთ ყველაზე მეტად, რის გამხელა მოგინდებოდათ?

— ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ საქართველოში ყველაფრის საფუძველი ძალიან დიდი უსამართლობაა. ის, რაც გაცხადებული უსამართლობაა, ყველამ იცის, მაგრამ შეფასებებშია უსამართლობა. შეფასებები, რომელთაც ჩვენ ვაკეთებთ, უსამართლობას შეიცავს სხვადასხვა დოზით. ჩემი შეფასებებიც უსამართლობას შეიცავს, იმ კუთხით, რომ დღეს თუ რამეზე კარგი ვთქვი, შეიძლება არასწორად ჩამითვალონ. ეს ჩემზე, როგორც პოლიტიკოსზე, ძალიან მოქმედებს.

ძალიან ბევრ ადამიანზეა შექმნილი უსამართლო საზოგადოებრივი აზრი. მე აქ პოლიტიკურ ნაწილს არ ვგულისხმობ. ძალიან ხშირად ამ აზრს ის ადამიანები ქმნიან, რომელთაც თავადაც მიუღვიათ წვლილი ამ ცუდ პროცესებში. აქ ადამიანურ მომენტებს ვგულისხმობ და არა პოლიტიკას.

— ჩვენს პროექტში ასეთი ვარიანტიცაა, — ფოტოსურათი დაუტოვონ თავიანთ შთამომავლებს.

— ფოტო? ფოტო ძალიან ინტიმურია. კონკრეტული ფოტო ჩემთვის შეიძლება ძალიან ძვირფასი იყოს და ვიღაცისთვის კი არაფრის მთქმელი. ფოტო შეიძლება შვილს დაუტოვო... მისთვის იქნება ძვირფასი...

— წერილების წერა თუ გიყვართ... ვისთვის მიგიწერიათ?

— არ მიყვარს. მაგრამ დამიწერია... გიასთვის, როცა ციხეში იყო. გიასაც მოუწერია და მერე საშინლად გავბრაზდი, როცა გიას მოწერილი წერილები ერთ წიგნში აღმოჩნდა. ამის გაკეთება, როცა ადრესატი ცოცხალია, არ შეიძლება. საბედნიეროდ, ჩემი მიწერილი წერილები ჩემთან იყო და არ აღმოჩნდა ამ წიგნში.

როცა მე თქვენ მოგწერთ წერილს და წინასწარ მეცოდინება, რომ რაღაც დროის შემდეგ ის უნდა გაიხსნას, აქ არავითარი პრობლემა არ არის. მაგრამ გიას ციხიდან ჩემთვის გამოგზავნილი წერილების გამოქვეყნება არ შეიძლებოდა მანამდე მაინც, სანამ ცოცხალი ვარ.

იზო რკაძე



ხიმლ შვილოს ვრ ეხიბვ ეგ თჯვენი „ბვვშვთვ ოთვლოებები?"..

„ქვა უცოდველმა ესროლოს..."

გურჯაანის გამგეობის შენობაში, დედამ 11 თვის ბავშვი დატოვა. საოცრად ლამაზი ბიჭუნა კარგად მოვლილი იყო, ფრთაშესხმულ ანგელოზს ჰგავდა. მალე ხალხი შეიყარა. ბავშვი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა გაოცებული იყო. გამოჩნდნენ ბავშვის მსურველი უშვილო მშობლებიც, მაგრამ... „კანონი უზენაესია"... მილიციამ ძალით მოიყვანა დედა და ბავშვი დაუბრუნეს. ხალხი ახლა მას დაესია. სწრაფად გაირკვა, რომ დედა სულაც არ აპირებდა ბავშვის მიტოვებას და გაშვილებას. მას მხოლოდ პროტესტი გამოუხატავს ადგილობრივი მმართველობის მიმართ. რას უნდა მიეყვანა ქალი ამ ზომამდე?

მ.მ., მარტოხელა დედა — არასოდეს, არ მისარგებლია იმ შეღავათებით თუ დახმარებებით, რაც მარტოხელა დედას ეკუთვნის; იმიტომ, რომ ყოველდღე, დილიდან საღამომდე გამგეობაში უნდა ვიდგე, ვეხვეწო და ან მომცემენ, ან არა. მე იმ სიაში არ ვწერივარ, უპრობლემოდ რომ აძლევენ ყველაფერს. მაგათ რომ ვუყურო, მათხოვრად მაქცევენ. მე მეძავი ვარ, მაგრამ ბევრ მათგანზე მეტი ადამიანობა მაინც მაქვს. არასოდეს ჩემი შვილისათვის საჭმელი არ მომიკლია. ხელში მეჭირა ბავშვი, ქუჩაში ვიდექი ყინვასა და სიცივეში, მაგრამ გადავარჩინე... მეც გამიჭირდა. ვიფიქრე, ერთხელ მეც მივალ, იქნებ რაიმეთი დამეხმარონ-მეთქი. გამგებელთან არ შემიშვეს. მის მოადგილესთან მივედი, ვთხოვე, პატარა ბავშვი მყავს, სახლი არა მაქვს, არავითარი სახსარი... დავიღალე ასე ცხოვრებით, თან მეორე ბავშვს ველოდები, იქნებ რაიმეთი დამეხმაროთ-მეთქი. ერთხელ ტკბილი სიტყვით მომიშორეს, მეორედ მივედი... ვუთხარი, შენ არ შეგიძლია, გამგებელს ვნახავ, სანამ თქვენ მოიფიქრებთ რამეს, ბავშვი მშიერი ხომ არ არ მეყოლებამეთქი. მან კი აგდებულად მომიგო: „ნახავ და ნახეო!" ძალიან გავბრაზდი. არც აინტერესებთ, ჩემს შვილს რა მოუვა, არა?!... იქნებ ვინ უნდა გაიზარდოს. ზოგიერთი „ნაბიჭვარი" მსოფლიოს გადანაწილებას ახდენდა. თქვენც იცით ეს. გამწარებულმა დავსვი ბავშვი და წავედი. ვიცოდი, არაფერი მოუვიდოდა და არც დაიკარგებოდა.

— მერე მიიღე რაიმე დახმარება?

— ჰმ, ორი პური, მაკარონი და ზეთი მომცეს იმ დღეს. 50 ლარს შემპირდნენ და იმის გულისთვის მთელი თვე მატარეს; ყოველდღე მპირდებოდნენ, ხვალ მოდი, აუცილებლად მოგცემთო. ბოლოს მაღირსეს, მაგრამ ვერაფერში გამოვიყენე, რაც ვალი ამაღებინეს, იმაში მივეცი. ძალიან „შეწუხდნენ" ჩემი უბინაობით და მითხრეს, გაიგე, იქნებ რაიმე ბინა იყოს, ისეთი რომ გამოდგეს და დაგეხმარებითო. სად ვეძებო უპატრონო ბინა. ალბათ ხვდები, რითიც ვცხოვრობ და როგორც ვარსებობ, მაგრამ აქამდე ჩემი ცხოვრების წესით, ბავშვს სიმშვიდე არ დარღვევია, სისუფთავე და საჭმელი არ მოჰკლებია. ძალიან მინდა, რაც მე მაკლდა, ჩემს შვილს თავზე საყრელად ჰქონდეს. სითბოს და სიყვარულს ვგულისხმობ, მე ხომ უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე. არ მინდა ჩემი შვილიც იმ ჭაობში აღმოჩნდეს, სადაც მე. მინდა წესიერი და კარგი კაცი დადგეს. ამიტომ ვითხოვე დახმარება, იქნებ მეც მეცხოვრა სხვანაირად. მაგათი იმედით ჩემი მტერი იყოს. ყოველდღე რომ გველაპარაკებიან ტელევიზიით ბავშვთა უფლებებზე, ჩემს შვილს არ ეხება, იმიტომ, რომ ჩემი შვილია? დღევანდელი ამდენი მათხოვარი ბავშვი, ხვალინდელი კრიმინალური სამყარო რომ არის, არიციან? ნუთუ ამათ მორალურად ექნებათ უფლება, რომ ხვალ ისინი გაასამართლონ? მე არ დავუშვებ, რომ ჩემი შვილი ამ დღეში ჩავარდეს. ამისათვის ყველაფერს ვიღონებ.

— ყველაფერში რას გულისხმობ?

— ყველაფერში მართლაც ყველაფერს ვგულისხმობ.

— მეორე ბავშვიც რომ გეყოლება, მერე რა უნდა ქნა?

— მეორეს ვერ გავზრდი. გავაშვილებ.

— მერე იმ ფულით რას იზამ?

— ჩემო კარგო, დედაჩემმა, სანამ ციხიდან დავბრუნდებოდი, სახლი გამიყიდა და ქუჩაში დამაგდო. ჩემს შვილს თავშესაფარი უნდა ჰქონდეს.

— მოკლედ, სახლის ყიდვას აპირებ?

— კი.

— მერე იმ სახლს ავეჯი დასჭირდება. ხომ არ ფიქრობ, რომ ბავშვების გაშვილება შეიძლება შენს „პროფესიად" იქცეს?

— არა, არა, არა მგონია. ისიც მეყოფა, რაც მჭირს. იცი, როცა რაღაცის შეცვლა შეიძლებოდა, ნარკოტიკებს ვერ ვეშვებოდი. პირველად ამის გამო მოვხვდი ციხეში... ახლა შვილი მყავს, დამიბრუნდა ცხოვრების მიზანი. ვიცი, რისთვის ვარსებობ და რა მინდა, მაგრამ გზის პოვნა მიჭირს.

— პირველად ნარკოტიკების გამო მოხვდი ციხეში. ისე, რამდენჯერ მჯდარხარ?

— სამჯერ ვარ ნასამართლევი. სულ ცხრა წელი ვიჯექი. იცი, მე ვინ ვარ? ყოფილი ნარკომანი, მეძავი, ნაციხარი ქალი. რას იტყვი?! ყველა ღირსებით ვარ შემკული, არა?..

— შენს შვილს შენ გარდა პატრონი არავინ პყავს. ჯერჯერობით, ისევ იმ წრეში ტრიალებ. ვინმემ რომ შემოგთავაზოს რაიმე, უფრო სწორად, „საქმე რომ მოგცეს", წახვალ?

— ჯერ მინდა გითხრა, რომ ის ხალხი, ვის შორისაც მე ვტრიალებ, ჩემი წრე კი არა, უბრალოდ ნაცნობები არიან. რაც შეეხება „საქმის მიცემას", ვერავინ ვერაფერს შემომთავაზებს, მით უმეტეს, ვერც დამავალებს. საერთოდ, გადაწყვეტილი მაქვს უკანონოს არაფერს გავეკარო, მაგრამ ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით... ჩემ გარშემო მყოფთაგან ძალიან განვსხვავდები. პირველი იმით, რომ ქათმის ჰორიზონტით არ ვიხედები. აქამდე ჩემში ორი „მე" არსებობდა. ზოგჯერ ჩემი სულიერი სამყარო მაღალ იდეალებს სწვდებოდა. ამ დროს ან ვხატავდი, ან ლექსებს ვწერდი. მეორე წუთში, რეალობას დაბრუნებულს საკუთარი თავის მიმართ სიძულვილი მიპყრობდა, გრძნობებს ვეღარ ვერეოდი... მაგრამ ხშირად მომწონდა ჩემი ხელაღებული არჩევანი. ნარკოტიკებით გაბრუებული, ტალახში ყელამდე ვეფლობოდი და თავს მშვენივრადაც ვგრძნობდი. დამიჯერე, ახლა ბურანიდან გამოვერკვიე. ბავშვი მყავს, პატარა, უსუსური არსება, რომელსაც ჩემს მეტი ვერავინ დაიცავს: ისეთს გავზრდი, მეც გამახაროს და ქვეყანაც...

ჟურნალისტი კი არა, ყოველგვარ ინტერესსმოკლებული ადამიანი უნდა ვყოფილიყავი, ამ ქალით რომ არ დავინტერესებულიყავი. რაც მის სულში აღმოვაჩინე, გაოცების ყოველგვარ ზღვარს გადაცილდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ერთ ადამიანში შევხვდებოდი ამდენ ამაზრზენს და ამდენ სიკეთეს. მ. საოცრად ნიჭიერი პოეტი აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე შემორჩენილი ლექსის წაკითხვა მოვახერხე, ნახატები კი ზოგი გაუჩუქებია, ზოგიც დაუკარგავს, ციხეში თურმე მისი გამოფენაც კი მოუწყვიათ, მაგრამ ნახატები აღარ დაუბრუნებიათ. შეკითხვაზე, რატომ არ მიაკითხე-მეთქი, გაიცინა.

— ვისთან მომეკითხა?! — ვინ იყო ჩემი პატრონი?! რად მინდოდა. ვიცი, რომ ფრთა მაქვს ჩამოტეხილი. ჩემი ცხოვრების პატრონი, საზოგადოების წინაშე ვერასოდეს წარვდგები. წესიერ საზოგადოებაში არ არის ჩემი ადგილი. ისინი არასოდეს მიმიღებენ. პირიქით, დამწიხლავენ, გამდევნიან...

გაოგნებული ვუსმენდი... მისმა ხმამ გამომაფხიზლა:

— მგონი მოვრჩით საუბარს.

— კი.

— მაშინ ჯერ თქვენ გადით და მერე მე გამოვალ. არ მინდა ჩემთან დაგინახონ.

— რატომ?

— მაინც პროვინციაა, ყველა მიცნობს. რა ვიცი, რაიმე ცუდი არ იფიქრონ. შეიძლება მანქანაც გამიჩერონ და უხერხულ სიტუაციაში ჩაგაგდოთ.

გვერდიგვერდ მყოფნი ისეგ სხვადასხვა სამყაროში აღმოვჩნდით. მივხვდი, რომ ბევრი რამ გვაშორებდა. არ იფიქროთ, ის აზრი მაწუხებდეს, რომ ის საშინელი ცოდვილია, ჩვენ კი ანგელოზები და წმინდანები ვართ. არა, ჩვენ შორის ბევრია მასზე მეტად ზნედაცემული, მართლაც ქათმის ჰორიზონტით მხედველი.

მ-სნაირებს კი ქვა უცოდველმა ესროლოს...

ლალი შარიმანაშვილი

რკინის ჯიხურში ჟანგიზნული სიცოცხლე...

ღიდი დიღმის მ/რ, კორპ. 29-ის მიმდებარე უკაცრიელ ადგილას რკინის ჯიხურში შეხიზნულა ჯგუფის ინვალიდი ევგენია ზარიძე ოთხ ვაჟთან, რძალსა და სამი წლის შვილიშვილთან ერთად.

ხსენებული „საცხოვრისი" რამდენიმე წლის წინ პოლიციამ დადგა საბურთალოს რ-ის მაშინდელი გამგებლის, ანდრო ზოდელავას განკარგულებით. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს გამგებლის მიერ ბოძებული „ბინის" საყოფაცხოვრებო „სიკეთეს".

საზოგადოებამ ამ უბედურ ქალს მარადიული კონკიას ბედი არგუნა...

არშემდგარი მღაპარი

იგი უდედმამო ბავშვთა სახლში გაიზარდა, დაამთავრა სკოლა და ბათუმში გემზე ექთანად დაიწყო მუშაობა. აქვე გაიცნო დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ჯონ კოლინსი. — ეს იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი მონაკვეთი — იხსენებს ქალბატონი ევგენია.

— ჯონი არაჩვეულებრივი პიროვნება აღმოჩნდა — ზრდილი, გულთბილი, ყურადღებიანი. მან ცოლობა მთხოვა და, რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი და ხელიც მოვაწერეთ. უნდოდა ინგლისში წავეყვანე, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა — არ გამიშვეს. შმაგი მისგან გამიჩნდა და ჩემს გვარზე დაწერე. როდესაც წამოიზარდა, თავისი მეტრიკა ნახა და მამის ამბავი გამომკითხა. ცხადია, ყველაფერი ვუთხარი. დიდი ხანი არ არის, რაც გვარი დაიბრუნა. ჯონზე კი აღარაფერი მსმენია, იქნებ ცოცხალიც აღარ არის...

ცნობისთვის: შმაგი კოლინსი, 27 წლის, 9 აპრილს მოწამლული, აფხაზეთის ომის მონაწილე, ჯგუფის ინვალიდი, მორჩილად იტანს ულმობელი ბედის განაჩენს; შველა კი არსაიდან ჩანს...

ევგენია ზარიძის ცხოვრებაში ბოროტი დედინაცვლის როლი სახელმწიფომ იკისრა. კეთილი ფერია კი სცენაზე გამოსვლას, როგორღაც არ ჩქარობს.

არშემდგარი ოჯახი

ქალბატონი ევგენია, დიდი ხვეწნის შემდეგ, დააკმაყოფილეს ერთოთახიანი ბინით შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი, კვარტალი, 26-ე კორპუსი, სადაც 13 წელი იცხოვრა. საშინელ გაჭირვებაში ზრდიდა ერთადერთ ვაჟს. მალე ისევ გამოჩნდა მთხოვნელი — ვინმე კაპლო ქართველიშვილი, რომლისგანაც სამი ტყუპი ვაჟი შეეძინა. საუბედუროდ, მშობიარობის შემდეგ პოლიომიელიტით დაავადდა და ორივე ფეხით დაკოჭლდა. ქმარმა მიატოვა ოთხი ბავშვით ხელდამშვენებული ხეიბარი და გაურკვეველი მიმართულებით „აორთქლდა". დარჩა ქალბატონი ევგენია ღვთისა და კეთილი ხალხის ანაბარა. ოჯახს, ძირითადად, მზესუმზირის გაყიდვით არჩენდა.

იმავე კორპუსის მეზობელმა ზარიძის 12 წლის ვაჟი ახალშეძენილ მანქანაზე დასვა „სათამაშოდ". ბავშვმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა დაამტვრია. ამის შემდეგ მეზობლის მხრიდან დაიწყო ზარიძეების ოჯახის უსასტიკესი ტერორი (მაშინ სწორედ ანარქიის პერიოდი იყო). არაფერი დააკლეს უმწეო ადამიანებს: ღამით ავტომატით კარის შენგრევა, წიხლითა და კონდახით ცემა, სადღაც წათრევა, ფიზიკური განადგურების მუქარა, ლანძღვა-გინებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! საყოველთაო ანარქიით დაშინებული მეზობლები ხმასაც ვერ იღებდნენ. ბოლოს უბედურ, დაინვალიდებულ ქალს სიმწრით მიღებული ბინა კუპონებზე გაყიდვინეს. ასე დარჩნენ ზარიძეები ქუჩაში.

სანამ შეეძლოთ, ქირით იცხოვრეს. ამის საშუალებაც რომ მოესპოთ, ქალბატონმა ევგენიამ ინსტანციებში დაიწყო სიარული; როგორც მრავალშვილიანი დედა, 1987 წლიდან ორჯონიკიძის რაიონში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისთვის აღრიცხვაზე იმყოფებოდა. მოთხოვნის საპასუხო დოკუმენტში ვკითხულობთ:

„გაცნობებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახალი საბინაო კოდექსის თანახმად, 1997 წლის 25 ნოემბრიდან გაუქმდა ძველი საბინაო კანონი, რის გამოც თქვენს თხოვნას ბინით დაკმაყოფილების შესახებ ვერ დავაკმაყოფილებთ" (ზ-4 18.02.98). რასაც ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ა. მამსიკაშვილი. ბოლოს, გამგებლის მახვილგონივრული გადაწყვეტილებით, უბედური ოჯახი ქალაქის განაპირას, რკინის ჯიხურში შეასახლეს. ეშველათ ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვით თავგადაკლულ მოხელეებს! მათ ესთეტიკურ აღქმას ვეღარ შელახავდა ყავარჯნებზე დაყრდნობილი, ჩამოკონკილი ინვალიდი, მუდარით აღსავსე სევდიანი თვალებით.

რედაქციისგან:

როცა მათი ყოფის ამსახველი ფოტოს გადასაღებად მივედით, მაჯლაჯუნასავით სირცხვილი მოგვებჯინა ყელში, რომ ასე „ჩამოვიშორეთ" და „დავაკმაყოფილეთ" საცხოვრებელი ფართით ოთხვაჟიანი ქალი... შემდეგ სირცხვილის ადგილი ლმობიერებით შეივსო და ამის მიზეზი — ყავისფერი უპატრონო დობერმანშინჩერი ფეხებთან აგვეტუზა — ზარიძეების პატარა ჯიხურში მასაც უპოვია თავშესაფარი...

შმაგის რაც შეეხება — ახლობლებისა და ინტერნეტის საშუალებით იგი თავისი ინგლისური წარმომავლობის გზას გაჰყოლია და გაუგია, რომ მამა გარდაცვლილა, მაგრამ შმაგის ჰყოლია ორი ძმა.

— ჯერ არ შეეხმიანები. მინდა თავად დავდგე ფეხზე. არ მინდა ეგონოთ, მხოლოდ დახმარებისთვის „გამოჭნდი"... (პატივს ვცემთ შმაგის კაცურ ღირსებას).

გვინდა არ გადავიწუროთ იმედი და ვირწმუნოთ, გვიან, მაგრამ მაინც ჩამოჯდება ჯიხურის წინ ვინმე, ფერიას როლის შემსრულებელი. გამოჩნდით, ბატონებო, დიდჩინოსანნო და მესვეურნო! ოჯახს შველა უნდა... იქნებ, გონების თვალი კიდეც მიგიწვდეთ გამოსავალზე, რომელსაც თუნდაც ქალაქის დასალიერს, თუნდაც ძალიან პატარა ბინა ჰქვია... წინ ხომ ზამთარია — უ-უ-უყველაფრო ზამთარი...

იღონეთ რამე, სულსაც წაადგება და მუშაობაში ჩაგეთვლებათ. იჩქარეთ, სანამ გვიან არ არის, თორემ მოვა დრო და ყავარჯნებზე დაყრდნობილი, ჩამოკონკილი ევგენია ზარიძის ლანდი ბრალს დაგდებთ უზენაესი სამსჯავროს წინაშე.

მედეა გოგსაძე

წერილი რედაქციას

პარლამენტის წევრი ვერ გახდებოდი, თუ ვირი არ გყავდა...

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ასე მაგალითად, ინგლისში ერთ დროს პარლამენტის წევრი ვერ გახდებოდა პიროვნება, რომელსაც ვირი არ ჰყავდა(!) იმავე ინგლისში არსებობდა საარჩევნო გირაო, რომლის თანახმადაც, პარლამენტის წევრობის კანდიდატის 500 ამომრჩეველს თითო-თითო ფუნტი უნდა შეეტანა ხაზინაში. ამ კანდიდატის არჩევნებზე წაგების შემთხვევაში, შეგროვებული 500 ფუნტი სახელმწიფო ხაზინას რჩებოდა.

ასეთი და მსგავსი წესები დღევანდელ დემოკრატიულ ქვეყნებში უკვე აღარ მოქმედებს. თუმცა, არსებობს დაუწერელი ნორმები, რომელთაც საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოების მხრიდან. მაგალითისათვის ავიღოთ დემოკრატიის მექა — ამერიკა. იქ, მართალია, დეკლარირებული არ არის ოჯახური მდგომარეობის ცენზი, მართალია, დედისერთობას და უდედმამობას ყურადღებას არ აქცევენ, სამაგიეროდ, ბერბიჭასა და დაცოლშვილებულ პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის საზოგადოების სიმპათიები ცალსახად დაოჯახებულებისკენ იხრება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამერიკის ისტორიის მანძილზე პრეზიდენტი არასოდეს გამხდარა სუსტი სქესის წარმომადგენელი. თავისუფლების ქვეყანაში არათუ პრეზიდენტი, ოდნავ წონიანი პოლიტიკოსიც ვერ გახდება ის, ვინც სამხედრო სამსახურს აარიდა თავის დროზე თავი, მით უმეტეს, თუ მაშინ ამერიკა საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ასეა თუ ისე, კარგია თუ ცუდი, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული წესი პრეზიდენტის არჩევის შესახებ სრულიად შეესატყვისება დღევანდელი მსოფლიო დემოკრატიზმის სტანდარტებს. მასში ცვლილებების შესატანად საქართველოს პარლამენტის ორი მესამედის თანხმობაა საჭირო, რაც, ცოტა არ იყოს, ძნელი განსახორციელებელია — თითოეულ მათგანს ალბათ ჰყავს სამომავლოდ უკვე დაგულებული სასურველი პრეზიდენტობის კანდიდატი და, საეჭვოა, ეს კანდიდატი უპატრონო ბავშვთა სახლში აღზრდილი იყოს. ესეც რომ არა, საქართველო 1999 წლიდან ევროსაბჭოს წევრია, რაც მუდმივი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ ყოფნას ნიშნავს. ამიტომ ყოველი ახალი შეზღუდვის დაკანონება, რომელიც მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს არღვევს, შეიძლება ითქვას, შეუძლებელია.

სალომე ბადრიძე

პანკისის ხეობა – საქართველო მორიგი პრობლემის წინაშე

„სანამ თითოეული ჩვენგანის ოჯახის კარს მომხდური და სეპარატისტი ავტომატის კონდახს არ დაუშენს, ქართველები არ შეტოკდებიან!“ — ამ სიტყვებს ჯერ კიდევ 8 წლის წინ ვწერდით, როდესაც სამაჩაბლოში ბრძოლები მძაფრდებოდა...

მას შემდეგ იყო აფხაზეთი, დღეს კი საქართველო ახალი განსაცდელის წინაშე დგას, რომელსაც პანკისის ხეობა და ბოლო დროს იქ განვითარებული მოვლენები განაპირობებს.

8 დეკემბერს, დილაადრიან, პანკისის ხეობისკენ შინაგანი ჯარების დანაყოფები დაიძრნენ (მათ შორის, სპეცდანიშნულებისაც), რომლებმაც ხეობის გარშემო საკონტროლო-გამშვები პუნქტები უნდა მოაწყონ.

თუ მკითხველს ახსოვს, აფხაზეთისკენ ჯარის დაძვრის მთავარი მოტივიც იქ არსებული მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია — სარკინიგზო შემადგენლობების გამუდმებული ძარცვა იყო.

პანკისის ხეობა ნარკოტიკებისა და საქართველოდან მოპარული ავტომობილების ასპარეზად იქცა, სადაც, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ — ქართული კანონები ვეღარ და აღარ მოქმედებს.

პანკისის ხეობის სიახლოვეს მცხოვრები და მუდმივი თავდასხმების (ადამიანების გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, საქონლის მოპარვა, ავტომობილების გატაცება და სხვ.) გამო, ქართველი მოსახლეობა იძულებულია, თავად დააწესოს კონტროლი ხეობაში შესასვლელ გზებზე.

ოფიციალური თბილისი კი, ტრადიციულად აგვიანებს გადაწყვეტილებების მიღებას.

ის, რომ პანკისის ხეობის მიმდებარე, ახმეტის რაიონის სოფლები გაწამებულნი იყვნენ ხშირი ქურდობებით, არავისთვის იყო საიდუმლო. ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთიდან, ოფიციალური მონაცემებით, 7 ათასზე მეტი (არაოფიციალურად, ბევრად უფრო მეტი) ლტოლვილი დროებით შეეკედლა ხეობას, ქურდობებისა და, რაც ყველაზე საგანგაშოა, ადამიანთა გატაცების ფაქტებმა მკვეთრად იმატა.

საქართველომ ერთი წლის წინ კეთილ ნების, ჰუმანური ნაბიჯი გადადგა, როდესაც რუსეთის ფედერალური ჯარების შეტევებისგან შევიწროებული ათასობით ჩეჩენი ლტოლვილი თავის ტერიტორიაზე შემოუშვა და ამით ისინი აშკარა სიკვდილისგან იხსნა.

საბოლოოდ, რა მიიღო ამით ჩვენმა ქვეყანამ?

ზემოხსენებული მოვლენების ზუსტად ერთი წლის თავზე, იგი იძულებულია, შემოიღოს განსაკუთრებული ზომები და დამატებითი ძალები გაგზავნოს პანკისის ხეობის სიახლოვეს, რადგან იქ სიტუაცია აღარ ემორჩილება კონტროლს. ჩვენს ქვეყანას არ უმართლებს — ერთი წლის წინ მან ოფიციალური მოსკოვი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა იმის გამო, რომ კატეგორიული უარი უთხრა რუსეთის ჯარის დანაყოფებს საქართველოს მხრიდან ჩეჩნეთის სამხრეთ, მთიან რაიონებზე შეტევის განხორციელებაზე. ამ უარმა რუსი გენერლობა გააცოფა, რადგან წმინდა ოპერატიულ-ტაქტიკური თვალსაზრისით, რუსი სტრატეგები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — სამი მხრიდან (ჩრდილოეთი — სტავროპოლის მხარე, დასავლეთი — ინგუშეთი და აღმოსავლეთი — დაღესტანი) წამოწყებულ მასობრივ შეტევებს, ჩეჩნებმა აბსოლუტურად თავისუფალი სამხრეთიდან დააღწიეს თავი. მოსკოვმა უზარმაზარი თანხები დახარჯა, რათა სამანქანო, სამთო გზა გაეყვანა ინგუშეთიდან, ითუმ-ყალეს მიმართულებით, რათა როგორმე ჩაეკეტა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი.

მაშინ რომ თბილისს უფლება მიეცა ГРВЗ-ს ნაწილებისთვის (ვაზიანისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებიდან) და, რაც უმნიშვნელოვანესია, ნება დაერთო ვაზიანის სამხედრო აეროდრომიდან ჩეჩნეთის სამხრეთზე საავიაციო შეტევების განხორციელებისა, მერწმუნეთ, ჩეჩნების წმინდა საბრძოლო და გინდაც, სულიერი მდგომარეობა, ძალზე სავალალო იქნებოდა.

რა მიიღო საბოლოოდ საქართველომ? სავიზო რეჟიმი რუსეთთან (რაც, სხვათა შორის, ჩვენთვის ადრე თუ გვიან, ცუდი სულაც არ იქნება) და დაძაბულობა პანკისის ხეობაში ლტოლვილი ჩეჩნებისგან.

ჩეჩნები მთის ხალხია და არც ვაჟკაცობა აკლიათ, მათთვის ერთადერთი გასაგები ენა — ძალაა, ანუ მხოლოდ იმას სცემენ პატივს და უწევენ ანგარიშს, ვისაც სერიოზული ძალა აქვს.

პანკისის ხეობის სიახლოვეს შინაგანი ჯარების გარკვეული დანაყოფების გადასროლა, სწორედ ასეთი ძალის დემონსტრირების მცდელობაა, თუმცა ამასაც შეიძლება ჰქონდეს ბევრი შორსმიმავალი, არცთუ დადებითი შედეგი.

რუსეთის ხელისუფლებას ერთი სული აქვს, პანკისის ხეობაში სისხლი დაიღვაროს და ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები გაჩაღდეს. კრემლი ნიშნის მოგებით განაცხადებს — აკი გეუბნებოდით, ჩეჩენ სეპარატისტებს ერთობლივი ძალებით ვებრძოლოთო!

სხვათა შორის, პანკისის ხეობაში მდგომარეობის კიდევ უფრო გართულება თბილისშიც არაერთს აძლევს ხელს. გარკვეული პოლიტიკური ძალები თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე აშკარად ემზადებიან საქართველოში ძალაუფლების ხელახალი გადანაწილებისთვის და ახალი საბრძოლო მოქმედებების გაჩაღება ნით არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ამ ნაბიჯებს რომ არ მიეცეს წმინდა სამხედრო ელფერი, ოფიციალური თბილისი აუცილებლად უნდა ეცადოს წამოჭრილი პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. ცუდი არ იქნებოდა, თუ ამ პროცესში ჩაერთვებოდნენ ის ჩეჩენი საველე მეთაურები, რომლებსაც დღემდე არ დაუტოვებიათ ჩეჩნეთის ტერიტორია (ისე ძალზე საინტერესოა, მიაჩნიათ თუ არა ამ საველე მეთაურებს დეზერტირებად ის ახალგაზრდა ჩეჩნები, რომლებიც ომგამორიდებულები, თავს პანკისის ხეობას აფარებენ და პრობლემებს უქმნიან მათ შემფარებელ ქვეყანას?).

საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისთვის დაუშვებელია საბრძოლო მოქმედებების დაწყება პანკისის ხეობაში (არადა, სამწუხაროდ, ამის ძალზე დიდი საშიშროება არსებობს), თუმცა აღარც უკან დასახევი გზა ჩანს — რაც უფრო დასუსტდება საქართველო, მით მეტი, ახალი პრობლემები გაუჩნდება, რადგან სუსტის დაჩაგვრას ყველა შეეცდება.

ხელისუფლება პანკისის ხეობის გაკონტროლებას ცდილობს...

ქვეყანაში, საუკეთესო საშუალებას მისცემს მათ მოვლენების დასაჩქარებლად და თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. აქ, გარკვეულწილად, იგულისხმება ერთმანეთს დაპირისპირებული მმართველი პარტია და იმ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელობა, რომელსაც ქვეყანაში ყველაზე დიდი ძალა და, რაც მთავარია — ინფორმაცია აქვს.

ძალიან ცუდი იქნება, თუკი დაძაბულ სიტუაციას პანკისის ხეობაში მავანნი თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენებენ.

ჩვენი აზრით კი, საჭიროა ერთობლივი სამხედრო-პოლიტიკური ზომების სასწრაფო მიღება, რაც პირველ რიგში, ითვალისწინებს პანკისის ხეობის დროებით იზოლირებას, იქიდან ყოველგვარი მიმოსვლის აღკვეთას ჩეჩნეთთან (დღემდე ვერც ერთი უწყება, — ვერც მესაზღვრეები და ვერც სპეცსამსახურები 100%-იან გარანტიას ვერ იძლევიან, რომ ასეთი მიმოსვლა არ ხორციელდება). უნდა მოეწყოს საკონტროლო-გამშვები და, რაც უმთავრესია, სათვალთვალო შენიღბული პუნქტები ყველა გადასასვლელზე; დაიწყოს ხეობის მიმდებარე ტერიტორიის ინჟინრულ-ტექნიკური დამუშავება, ამასთან, საჭიროა ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება თავად ხეობის შიგ-ლო, მით მეტი, ახალი პრობლემები გაუჩნდება, რადგან სუსტის დაჩაგვრას ყველა შეეცდება.

სიმართლე რომ ითქვას, პანკისის ხეობის გარშემო შინაგანი ჯარების ჩაყენება, ეს ერთ-ერთი უკიდურესი ნაბიჯია — წესით, პოლიციასა და უშიშროების თანამშრომლებს თავის დროზე კარგად რომ ემუშავათ, დღეს იქ პირტიტველა ჯარისკაცების საფრთხის წინაშე დაყენება საჭირო აღარ იქნებოდა.

შინაგანი ჯარების რამდენი ასეული (ციფრს არ დავაზუსტებთ) ოფიცერი, ზემდეგი და ჯარისკაცი ორი მიმართულებით — პანკისის ხეობისკენ და მცხეთა-თიანეთის რეგიონისკენ (ჟინვალი) — იქნა გადასროლილი. მთლიანად, 10 საკონტროლო-გამშვები პუნქტი (რომლებსაც რატომღაც ჯიუტად მაინც ბლოკ-პოსტებად ნათლავენ) და 2 სარეზერვო ბაზა გაიხსნა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჯარის დანაყოფები მძიმე საბრძოლო ტექნიკის გარეშე (ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები) არიან გადაყვანილნი ახალი (იმედია, მაინც დროებითი) დისლოკაციის ადგილზე. სტატიის დაწერის მომენტისთვის, კი ჯარის დანაყოფები უშუალოდ პანკისის ხეობაში ჯერ არ იყვნენ შესულნი, უკვე შაბათისთვის საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე არანაკლებ 7 საეჭვო პირი იქნა დაკავებული. პანკისის ხეობის ახლოს გადაყვანილი შინაგანი ჯარების დროებითი დაჯგუფების სარდლად პოლკოვნიკი ჯონი ტომარაძე დაინიშნა, რომელიც შინაგანი ჯარების მუხროვანის სპეცდანიშნულების ბრიგადის მეთაურია (სხვათა შორის, მის მიერ საბრძოლო ოპერაციის ერთ-ერთი ეპიზოდის განხორციელება 1998 წლის მაისის გალის მოვლენების დროს, საბერიოს რაიონში დადებითადაა შეფასებული, მიუხედავად მთელი იმ მოვლენების ტრაგიკული შედეგებისა). თუმცა მაინც ვიმედოვნებთ, რომ ყოველივე ეს აშკარა საბრძოლო დაპირისპირებაში არ გადაიზრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველ სამხედროებს მოუწევთ ყველა იმ ნიუანსის გათვალისწინება, რომლებითაც ასე მდიდარი იყო ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომიც.

აქ, პირველ რიგში, იგულისხმება კოლონების გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საკონტროლო-გამშვები პუნქტების საიმედოდ დაცვა, განსაკუთრებით, ღამის საათებში.

ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მარტო საკონტროლო-გამშვები პუნქტების ფუნქციონირება არაეფექტური იქნება (შემოვლითი გზები ყოველთვის მოიძებნება) და ძირითადი ყურადღება გარკვეული პერიმეტრების ინჟინრულ მომზადებასაც უნდა მიექცეს.

ეს, რაც შეეხებოდა პანკისის ხეობას, მაგრამ არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ის შესაძლო ტერორისტული აქტები, რომლებიც მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს, პირველ რიგში კი, თბილისს შეიძლება დაემუქროს, ეს კი სულაც არ არის გამორიცხული. იმედია, უხელფასო პოლიციელები თუ სპეცსამსახურის წარმომადგენლები ქრთამს არ დახარბდებიან და კეთილსინდისიერად შეამოწმებენ საეჭვო ავტოტრანსპორტს (8 დეკემბერს გუდერმესში მომხდარი მორიგი ტერორისტული აქტი კამიკაძემ განახორციელა, რომელიც ტროტილითა და საარტილერიო ჭურვებით სავსე წყალმზიდ ავტომობილს მართავდა).

საქართველოს ხელისუფლებას საუკეთესო საშუალება ჰქონდა, ჩაეცხრო პანკისის ხეობის პრობლემა — კერძოდ, ხეობაში თავმოყრილი ლტოლვილები ავტობუსებით, ზემო ლარსის გავლით, რუსეთის ტერიტორიაზე გადაეყვანა.

ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები უკვე დიდი ხანია, აღარ მიმდინარეობს და მშვიდობიან მოსახლეობას მასობრივი განადგურების საშიშროება აღარ ემუქრება. ამიტომაც, სავსებით უპრიანი იქნებოდა, თუკი რუსეთის მოქალაქეები ისევ თავის ტერიტორიას დაუბრუნდებოდნენ — საქართველომ თავისი, როგორც მეზობლური, ისე ჰუმანური მისია, პირწმინდად შეასრულა, როდესაც ჩეჩენი ლტოლვილები, ჩეჩნეთის ომის ყველა კრიტიკულ მომენტში, თავის ტერიტორიაზე შეიფარა და ამით ისინი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.

დაბოლოს — ნურავის ეწყინება (აქ დიდი ლიახვისა და აფხაზეთ-სვანეთის ქართველობა არ იგულისხმება), მაგრამ თუ დინჯმა კახელებმა თავზე ხელი აიღეს, მაშინ...

XXI საუკუნეში გაიზრდება მოთხოვნა მოიერიშე თვითმფრინავებზე

გასულ თვეში, ჩინეთის ქალაქ ჩუჰაიში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „ეირშოუ ჩაინა-2000“ მსოფლიოს რამდენიმე ათეული ქვეყანა წარდგა, რომელთა შორის საქართველო არ ყოფილა.

ერთი შეხედვით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი ჩვენგან საკმაოდ შორსაა და თითქოს იქ ქართული წარმოების იარაღს არავითარი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით.

ჩუჰაიში, საავიაციო გამოფენაზე წარმოადგინეს Cy-39 მოირიშე თვითმფრინავები, რომლებსაც ფიუზელაჟზე რუსეთის, ულან-უდეს საავიაციო ქარხნის ემბლემა — ორ ფეხზე შემდგარი მურა დათვი ამშვენებდა...

მაგრამ სად იყო ულან-უდე, როდესაც ზუსტად ათი წლის წინ, თითქმის იმავე ტიპის — Cy-25T მოიერიშეები პირველად თბილისის ცაში გამოჩნდნენ.

ფაქტობრივად, ჯერ კიდევ 1990 წელს თბილისის საავიაციო ქარხანაში ათვისებულ, Cy-25-ის მოდერნიზებულ მოიერიშის ვარიანტს — Cy-25TM-ს დღეს მოსკოვი მთელ მსოფლიოს სთავაზობს და შეიძლება არცთუ უშედეგოდ. სამაგიეროდ, ქართული საავიაციო მრეწველობა კარგავს იმ ერთადერთ უპირატესობას, რაც მას ბოლო წლებში ჰქონდა და, სამწუხაროდ, ვერ გამოიყენა.

იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მოდერნიზებული Cy-ები თბილისს გადამალული ჰყავდა — მათზე ინფორმაცია თავის დროზე ჩინეთის წარმომადგენლებსაც მიაწოდეს, თუმცა ამით საქმე წინ არ წაწეულა.



Cy-25TM (Cy-39)

თბილისში ათვისებულ Cy-25T-ს დღეს მოსკოვი მსოფლიო იარაღის ბაზარზე თავისად ასაღებს

არადა, იმ მოიერიშე თვითმფრინავების (რომლებიც თბილისის საავიაციო ქარხანაში უკვე წლობით დგას) გაყიდვა ან იქ არსებული სათადარიგო ნაწილებით აწყობა, ქვეყნის ასე მწირ ბიუჯეტს (განსაკუთრებით, მის სასაცილო სამხედრო ბიუჯეტს) საკმაო შემოსავალს მისცემდა.

თუმცა არსებულმა ხელისუფლებამ თითი არ გაანძრია ამ პროექტის განსახორციელებლად, პირიქით, გაართულა თურქმენული Cy-25-ების თბილისში გარემონტების კონტრაქტის განხორციელება.

რუსებს კი თითოეულ Cy-39-ში (ეს, ჩამოსაკიდებელი რადიოლოკატორ „კოპიოთი“ აღჭურვილი Cy-25TM მოიერიშე თვითმფრინავის საექსპორტო ვარიანტია) 16 მლნ დოლარის აღება აქვთ გათვალისწინებული. ჩვეულებრივი Cy-25-ების ფასი კი 6-7 მლნ დოლარს შორის მერყეობს. ზუსტად ერთი წლის წინ საქართველომ მოახერხა 4 ძველი Cy-25-ის გაყიდვა კონგოში ამის ნახევარ ფასად.

ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ულან-უდეში, წლების მანძილზე Cy-ების წარმოებას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ (იქ ორადგილიან, სასწავლო-საბრძოლო Cy-25УБ-ებს 1986 წლიდან აწყობდნენ) და, ძირითადად, აქცენტი Ми-8МТ (იგივე Ми-17) ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენების გაყიდვაზე ჰქონდათ გადატანილი.

დღეისათვის ულან-უდემ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს სულ რაღაც ხუთიოდე Cy-25T თუ მიაწოდა, მაშინ როდესაც 90-იანი წლების დასაწყისში ანალოგიური, გაუმჯობესებული Cy-ები ოთხჯერ მეტი რაოდენობით ააწყვეს თბილისში (სხვათა შორის, მათგან ერთი-ორს რუსები ჩეჩნეთში დღესაც ცდიან რეალურ საბრძოლო პირობებში).

ჩინეთს, ისევე როგორც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა სახელმწიფოებს, Cy-25 და, მით უმეტეს, Cy-25TM-ის მსგავსი (ამ უკანასკნელს საბრძოლო დავალების შესრულება ღამითაც შეუძლია) შემტევი თვითმფრინავი არ გააჩნია. ოფიციალური პეკინისთვის, რომლის გადაუჭრელ პრობლემას კუნძული ტაივანი წარმოადგენს, Cy-25T-ის ტიპის მოიერიშეები პირდაპირ ზედგამოჭრილია. ტაივანსა და მატერიკულ ჩინეთს 180 კმ-მდე სიგანის სრუტე აშორებს, ხოლო მოიერიშე Cy-ს მოქმედების რადიუსი 450 კმ-ს აღწევს.

ჩინეთის მსგავსად, Cy-25 მოიერიშეები დღეს ირანშიც აინტერესებთ. „კვირის პალიტრის“ გასულ ნომერში მკითხველი გაეცნობოდა, თუ ოფიციალურმა ვაშინგტონმა როგორ „დელიკატურად“ ჩაშალა Cy-25-ის საქართველოდან ირანში გაყიდვა. სამაგიეროდ, რუსეთი, რომელიც ამას წინათ გამოვიდა ე.წ. „გორი-ჩერნომირდინის“ 1995 წლის შეთანხმებიდან (ეს შეთანხმება კრძალავდა ირანისთვის რაიმე შეიარაღების მიყიდვას) თეირანს უკვე ღიად სთავაზობს C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემებს, Ми-17 ტიპის შვეულმფრენებსა და Cy-25 მოიერიშეებს.

ერთადერთ ნუგეშად ისღა რჩება, რომ XX საუკუნის დასაწყისის პირველსავე თვეებში, მსოფლიოს იარაღის ბაზარზე, საქართველო შეიძლება ახალი საბრძოლო თვითმფრინავით წარდგეს, რომელმაც რუსულ Cy-39-ს, წესით, გაცილებით უნდა აჯობოს.

გვერდი მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

პაზიმრეგით გაღაჭედილ ორთაჭალის ციხეში ვარლამის გაუჩინარება ვერავინ შენიშნა...

ჩვენი რუბრიკის მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი გრიგოლ დავითულიანი, რომლის მოგონებებიც გასულ წელს გამოვაქვეყნეთ. ეს ადამიანი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე და ბუნებრივია, შესანიშნავად იცნობს დამნაშავეთა სამყაროს, მის ლიდერებსა თუ ტრადიციებს. გთავაზობთ გრიგოლ დავითულიანის პირად საარქივო მასალებზე დაყრდნობით მომზადებულ წერილს. ასაკოვანი ხალხის თქმით, ამ დანაშაულის შესახებ ერთ დროს მთელი თბილისი საუბრობდა. შემთხვევამ არაერთი თანამდებობის პირის კარიერა შეინირა.

გრიგოლ დავითულიანი

ოფიციალური ქრონიკიდან: „1947 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა მიერ გამოვლენილ იქნა სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა დიდი ჯგუფი. როგორც ძიების პროცესში გაირკვა, წლების განმავლობაში დამნაშავენი სხვადასხვა მაქინაციით ითვისებდნენ განსაკუთრებით დიდ თანხებს. გამოძიებამ რამდენიმე თვე გასტანა, რის შემდგომაც საბრალდებო დასკვნა უმაღლეს სასამართლოში გადაიგზავნა. ბოროტმოქმედები სამაგალითოდ დაისაჯნენ. ჯგუფის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ წევრს ვარლამ მდივანს 25-წლიანი სასჯელი განესაზღვრა...“

თათბირი

თბილისში, „კირობნიზე“ — ამჟამინდელ აღმაშენებლის გამზირზე — ჩუქურთმებით დამშვენებული ორსართულიანი სახლის ერთ-ერთ კომუნალურ ბინაში ორი შუახნის მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი მაგიდას უსხედან. კაცები კოხტა კოსტიუმებსა და ქათქათა, გახამებულ პერანგებში არიან გამოწყობილები. მანდილოსანი დიასახლისის ფუნქციას ასრულებს და შინაურულად აცვია. ოთახის კუთხეში ფრონტიდან ჩამოტანილი „ტროფეინი“ რადიო დგას, საიდანაც ჯაზური მელოდიები იფრქვევა. ხმა იმ ზომამდეა აწეული, რომ ცნობისმოყვარე მეზობლებმა ბინაში მყოფთა საუბარი ვერ გაიგონონ. ოთახი ქალბატონის ნათესავს ეკუთვნის. მილიციამ ბინის თაობაზე, ალბათ, არაფერი იცის და ამდენად, საიდუმლო მოლაპარაკებების გასამართად ეს საუცხოო ადგილია.

— რამე ახალი ინფორმაცია ხომ არ მოგიპოვებიათ? — თითქმის ჩურჩულით კითხულობს ქალბატონი და სტუმრებს შესცქერის.

— კი, ზაირა, და სწორედ ამიტომ გეახელით. — პასუხობს ერთ-ერთი მამაკაცი. — წუხელ მაცნობეს, რომ ვარლამი ჯერჯერობით №1 (ორთაჭალის) ციხეში ჰყავთ, მაგრამ ამ დღეებში მკაცრი რეჟიმის რომელიმე კოლონიაში გადაიყვანენ. თუ რამეს ვაპირებთ, დროზე უნდა გავაკეთოთ, თორემ კოლონიიდან მისი გამოყვანა, შესაძლოა, ვეღარც მოვახერხოთ.

— შენ იცი, ანზორ, რომ ვარლამის გასათავისუფლებლად ჩვენი მეგობრები ფულს არ დაიშურებენ. მოხერხებული კაცი ხარ, ციხეშიც მჯდარხარ, ჰოდა, შენ უნდა დაგვეხმარო. ასეთ საქმეს შენზე უკეთ ვერავინ გაართმევს თავს. ფული — ჩვენი, საქმე — თქვენი.

— ჩემი თავი გენაცვალოთ, ზაირა. — ანზორი კომპლიმენტით ნასიამოვნები ჩანს. — თავს მოვიკლავ და იმ დიდებულ კაცს მაინც დავიხსნი. აი, კოტეც დაგვეხმარება. გავლენიანი ნაცნობები ჰყავს...

— რა თქმა უნდა, თქვენ გვერდით მიგულეთ. — იღიმის აქამდე ჩუმად მყოფი მამაკაცი. — ანზორი მართალია: სანამ ვარლამი ორთაჭალაშია, მანამ უნდა გავათავისუფლოთ. ამ ციხეში ერთ სანდო კაცს ვიცნობ — რომან შუბლაძეს. პატარა თანამდებობა აქვს, თუმცა საქმის გაკეთება შეუძლია. ერთი პრობლემაა: ამჟამად შვებულებაშია, სადღაც სოფელში წასულა და სამი-ოთხი დღე არ დაბრუნდება. არადა, ამასობაში ვარლამი, შესაძლოა, სხვაგან გადაიყვანონ...

— როგორმე უნდა გავახანგრძლივოთ ციხეში მისი ყოფნის ვადა! — მტკიცედ ამბობს დიასახლისი.

— მართალია, მაგრამ როგორ? — მხრებს იჩეჩს კოტე. — ციხის უფროსი ფულს ხელს არ ჰკიდებს, სხვა კი ვერავინ დაგვეხმარება.

— ავად რომ გახდეს ვარლამი? ორთაჭალის „ბალნიჩკაში“ ვითომ ცოტა ხნით მაინც არ გააჩერებენ? — აზრი ებადება ზაირას.

— ამ შემთხვევაში ციხის ექიმი უნდა მოვძებნოთ... მაგრამ მოიცათ, მგონი უკეთესი რამ მოვიფიქრე! — ანზორს უცებ სახე უნათდება. — ორთაჭალიდან ვარლამს არსად გაუშვებენ, სანამ განაჩენის ასლები არ დაიბეჭდება. ასეთია წესი. ვიპოვოთ მბეჭდავი, ვისაც ის განაჩენი ჩააბარეს, მივცეთ ფული და ბეჭდვას თუნდაც ორი კვირით გააჭიანურებს. ამასობაში კოტეს ნაცნობიც ჩამოვა და ვარლამს ციხიდან გააპარებს!

გეგმა მოწონებულ იქნა. დიასახლისმა ხალათის ჯიბიდან ფულის ორი სქელი შეკვრა ამოიღო, სტუმრებს გადასცა და ეს დასაწყისისთვის იყოსო, — უთხრა. მორიგი შეხვედრა იმავე ადგილას, სამი დღის შემდეგ დათქვეს.

გეგმა

— ყველაფერი რიგზეა. — განაცხადა მორიგ საიდუმლო თათბირზე ანზორმა. — მბეჭდავი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. გაჭირვებული ოჯახიდანაა, ხელფასიდან ხელფასამდე თავი ძლივს გააქვს. ფული რომ შევთავაზე, უმალ დამთანხმდა — სამუშაოს გაჭიმვა ათი დღით მაინც შემიძლიაო, თუმცა გაიკვირვა კიდეც, ყოველივე ეს რაში გჭირდებაო. რაღაც სისულელე ვუთხარი და მგონია, დაიჯერა. ერთი სიტყვით, ოპერაციის პირველი ეტაპი წარმატებით მიმდინარეობს. ახლა ჯერი კოტეზეა.

— საქმე ჩემი მხრიდანაც საუცხოოდ მიდის. შუბლაძე სოფლიდან ჩამოვიდა და ხვალ სამსახურში გადის. ვარლამის თაობაზე ვესაუბრე. თავიდან უარზე იყო, მაგრამ განვუმარტე, რამდენსაც მოითხოვ, იმდენს გადაგიხდიან-მეთქი და, ბოლოს და ბოლოს, დავითანხმე. ოთხი დღის შემდეგ მორიგე იქნება და ვარლამს გარეთ გამოიყვანს... ოღონდ, თანხას წინასწარ ითხოვს.

— რაზეა საუბარი... ფულს ხვალ დილითვე გადმოგცემ. — დიასახლისი კმაყოფილებას ვერ მალავდა. თუ ეს პირები დანაპირებს შეასრულებდნენ, მისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს მალე თავისუფლება ელოდა. რაც შეეხება ფულს, პრობლემა არ არსებობდა. ვარლამმა თავის დროზე საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა და საიმედო ადგილზეც შეინახა.

მდივანი სწორედ ამ კარიდან გაუშვეს

ოპერაცია

ორთაჭალის ციხის უფროსის მორიგე თანაშემწემ რომან შუბლაძემ მორიგეობა საღამოს 8 საათზე ჩაიბარა. ცოტა ხნით ადრე ის ციხის სპეციალურ ნაწილში შეიპარა და მსჯავრდებულ ვარლამ მდივანის პირადი საქმე და სააღრიცხვო ბარათი მოიპარა. შუბლაძე ვარაუდობდა, რომ ამ საბუთების მოსპობის შემთხვევაში, საპატიმროს ხელმძღვანელობას, შესაძლოა, ვერც კი შეეტყო მდივანის გაპარვის ფაქტი...

20 საათი და 40 წუთი. შუბლაძე შედის საკანში, სადაც რამდენიმე პატიმარი იმყოფება, ვარლამ მდივანს აუწყებს, რომ მისი ნახვა გამომძიებელს სურს და მსჯავრდებული დერეფანში გამოჰყავს. პატიმარი გაქცევის შესახებ ინფორმირებულია. ხმას არ იღებს და ოფიცერს მორჩილად მიჰყვება. დერეფანში არავინაა. სწრაფად გადიან დაახლოებით 30 მეტრს და ერთ-ერთ საკანთან ჩერდებიან. მორიგე თანაშემწე იმდენად ჩქარობს, რომ საჭირო გასაღებს ასხმაში რის ვაი-ვაგლახით პოულობს. ორივე მცირე ზომის საკანში შედის, კარს შიგნიდან კეტავენ. მათ გარდა იქ არავინაა.

— კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი და რამდენიმე საათის შემდეგ უკვე სახლში იქნები. — წაიჩურჩულა შუბლაძემ და პატიმარს კუთხეში დადებულ ფუთაზე მიუთითა. — აქ ტანსაცმელია, ზემოდან გადაიცვი, მერე კი გაისუსე და ჩემს მოსვლას დაელოდე. საკნიდან რომ გამოგიყვან, პირველ სართულზე ჩამომყვები. წესით, იქ არავინ არ უნდა შეგვხვდეს, მაგრამ თუ ვინიცობაა, ჩემმა რომელიმე კოლეგამ დაგინახა, არ დაიბნე და ფაციფუცი არ დაიწყო. გაითამაშე პატიმრის როლი, რომელსაც დასაკითხად გამომძიებელი ელოდება.

მორიგე თანაშემწემ მდივანი საკანში დატოვა და თავად სამორიგეო ნაწილისკენ გაემართა.

22 საათი და 30 წუთი. შუბლაძე ბრუნდება, პატიმარი დერეფანში გამოჰყავს. ჩადიან პირველ სართულზე. უცებ, საიდანღაც ნაბიჯებისა და საუბრის ხმა ესმით. მორიგე თანაშემწეს მდივანი იქვე ოთახში შეჰყავს და კარს გარედან კეტავს. ხმაური მიწყდა, თუმცა შუბლაძე პატიმრის გამოყვანას ჯერჯერობით ვერ ბედავს. შედის სამორიგეო ნაწილში. იქ მისი თანამშრომლები ლაზღანდარობით ერთობიან. შუბლაძე მათ უერთდება.

23 საათი და 45 წუთი. მორიგე თანაშემწე კვლავ მდივანთანაა. პაპიროსს აბოლებენ და დამაგვირგვინებელი ეტაპისთვის ემზადებიან. შუბლაძე პატიმარს უკანასკნელ ინსტრუქტაჟს უტარებს:

— წინ ყველაზე ძნელად გადასალახავი უბანი გველის. ჯერ სამორიგეო ნაწილთან უნდა ჩავიაროთ, მერე კი ეზოში გავალთ. მე განიშნებ, როგორ უნდა მოიქცე. უჩემოდ არაფერი იღონო, თორემ „დავიწვებით“. და რაც მთავარია: გააღწევ თუ არა სამშვიდობოს, მატარებლის ბილეთი შეიძინე და რესპუბლიკა დატოვე. ციხეში არსებული შენი საბუთები უკვე გავანადგურე და იმედი მაქვს, შენს გაპარვას გვიან, ან საერთოდ ვერ შეიტყობენ, მაგრამ დაზღვეულები არაფრისგან ვართ. შესაძლოა, ძებნა ხვალვე გამოცხადდეს და თუ საქართველოში დარჩები, მერწმუნე, გიპოვიან და მოგთხოვენ, რომ ჩემი ვინაობა დაასახელო...

— ნუ იდარდებ, — მშვიდად ამბობს ვარლამ მდივანი. — დილითვე უზბეკეთისკენ გავწევ. იქ მეგობრები მყავს და შემიფარებენ.

— შენი იმედი მაქვს, არ მიღალატო. ჰო, მართლა, ჭიშკრიდან რომ გაძვრები, ქუჩაზე გადაირბინე. იქ რუხი ფერის „პობედა“ ელოდება...

ზუსტად 24 საათზე შუბლაძემ და მდივანმა ციხის მთავარ შესასვლელს მიაღწიეს. პატიმარი იქვე, მოფარებულ ადგილას დაიმალა, მორიგე თანაშემწე კი კარის დარაჯთან მივიდა:

— როგორ მიდის საქმე? უფროსობა წავიდა?

რიგითი ჯარისკაცი შუბლაძეს სმენაზე გაეჭიმა:

— ყველაფერი რიგზეა. ხელმძღვანელობამ აქაურობა ორი საათის წინ დატოვა.

— შენთან სათხოვარი მაქვს, ძმობილო. ჩემს ოთახში უბის წიგნაკი დამრჩა, ქურთუკის ჯიბეში დევს. ეგებ, აირბინო და ჩამომიტანო, აქ კი მე შეგცვლი.

დარაჯმა მაშინვე მიატოვა საგუშაგო და კორპუსის შესასვლელში გაუჩინარდა. შუბლაძემ ურდული გადასწია, კარი გამოაღო, მიმოიხედა, დარწმუნდა, რომ ახლომახლო არავინ იყო და ჩუმად დაუსტვინა. სიბნელიდან მდივანი გამოვიდა.

— აბა, დროზე მოუსვი და როგორც დაგარიგე, ისე მოიქეცი!

პატიმარს „პობედაში“ ანზორი და კოტე ელოდნენ. მანქანა ადგილს მოსწყდა და გეზი ქალაქის გასასვლელისკენ აიღო.

ავტობუსის გაჩერების წინ რუხმა „პობედამ“ ნელი სვლით ჩაიარა. გამომძიებელმა თვალებს არ დაუჯერა: უკანა სავარძელზე მან ნაცნობი ადამიანი შენიშნა. ეს ვარლამ მდივანი იყო — დამნაშავე, რომელსაც პროკურატურის თანამშრომელმა ამ ცოტა ხნის წინ განსაკუთრებით დიდი თანხების მითვისებაში დასდო ბრალი...

საბედისწერო შეხვედრა

ვარლამ მდივანის გაუჩინარება პატიმრებით გადაჭედილ ორთაჭალის ციხეში ვერავინ შეამჩნია. გაქცევიდან ორი კვირის შემდეგ რესპუბლიკის პროკურატურის ახალგაზრდა გამომძიებელი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ზემოხსენებულ დამტაცებელთა ჯგუფის საქმეს იძიებდა, რუსთაველის პროსპექტზე იდგა და ავტობუსს ელოდა.

დილის 8 საათი სრულდებოდა, მახლობლად მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ჩანდა, ტრანსპორტიც კანტიკუნტად მოძრაობდა, თუმცა ავტომობილების სიმრავლე მაშინ არც დღის საათებში შეიმჩნეოდა.

ავტობუსის გაჩერების წინ რუხმა „პობედამ“ ნელი სვლით ჩაიარა. გამომძიებელმა თვალებს არ დაუჯერა: უკანა სავარძელზე მან ნაცნობი ადამიანი შენიშნა. ეს ვარლამ მდივანი იყო — დამნაშავე, რომელსაც პროკურატურის თანამშრომელმა ამ ცოტა ხნის წინ განსაკუთრებით დიდი თანხების მითვისებაში დასდო ბრალი... აღელვებული გამომძიებელი სირბილით გაეშურა სამსახურისკენ.

ერთი საათის შემდეგ იგი უკვე რესპუბლიკის პროკურორის კაბინეტში იმყოფებოდა:

— დარწმუნებული ვარ, მდივანი იყო! მანქანამ ორიოდ ნაბიჯში ჩამიარა და მშვენივრად დავინახე მისი სახე;

— გასაოცარია, — ჩაილაპარაკა მთავარმა პროკურორმა. — მაგ პიროვნებას 25 წელი მიუსაჯეს და ამჟამად №1 ციხეში უნდა იმყოფებოდეს. ნუთუ, გაიქცა? მაგრამ ამ ფაქტის შესახებ ხომ დაუყოვნებლივ მაცნობებდნენ... შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა დავუკავშირდე...

ბარათი

იმავე დღეს შს და პროკურატურის ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი ორთაჭალის ციხეს ესტუმრა. სპეცნაწილის კართოტეკაში ისინი ვარლამ მდივანის საბუთების ძებნას შეუდგნენ და მისი პერსონალური ბარათი იპოვეს. რომან შუბლაძეს ეს საბუთი არ გაენადგურებინა. მან არც კი იცოდა, რომ საერთოდ არსებობდა მსგავსი დოკუმენტი, სადაც ყველა პატიმრის მონაცემები იყო დაფიქსირებული...

პერსონალური ბარათის მიხედვით, გამომძიებლებმა მდივანის საკნის ნომერი შეიტყვეს და დაუყოვნებლივ იქით გაეშურნენ.

— ვარლამ მდივანი მართლაც ჩვენთან იჯდა, — განუცხადეს ჯგუფის წევრებს საკანში. — დაახლოებით ორი კვირის წინ იგი დასაკითხად გაიყვანეს და მერე აღარც დაბრუნებულა.

კითხვაზე, თუ ვინ გაიყვანა პატიმარი, საკნის ბინადრებმა მხრები აიჩეჩეს და არ გვახსოვსო, — განაცხადეს. ციხეში განგაში გამოცხადდა. შემთხვევის ადგილზე მოკვლევის წარმოება დაევალა... რომან შუბლაძეს.

მისამართი

ნაცნობის კომუნალური ბინა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში და ნაცნობი სახეები: ზაირა და რომანი.

— მღუპავთ, ქალბატონო?! ხომ ვთხოვე ვარლამს, საქართველოდან წადი-მეთქი. ახლა ციხეში ერთი ამბავია ატეხილი. რესპუბლიკის პროკურორმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა საქმე პირად კონტროლზე აიყვანეს. ვარლამს უამრავი მილიციელი ეძებს. თუ გაიგეს, რომ მისი ხელშემწყობი მე ვიყავი, დედას მიტირებენ!

— დამშვიდდით, რომან, ვარლამს რაღაც აუცილებელი საქმე ჰქონდა და იმიტომ ჩამოვიდა თბილისში... ისე, რაღა მაინცდამაინც იმ კაცს გადაეყარა... ვარლამსაც დაუნახავს გამომძიებელი და მაშინვე გაემგზავრა უზბეკეთში. შენი არ იყოს, მეც შავ დღეში ვარ ახლა. ამ დილით მილიცია მომადგა — გინდა თუ არა გვითხარი, სად არის შენი ქმარიო. სხვა გზა არ დამრჩენია, დღესვე მეც უნდა გადავიმალო.

— სანამ დაიმალებით, ვარლამის მისამართი მომეცით. ეგებ, ჩავიდე და ვუთხრა, რომ თბილისში რამდენიმე წელი მაინც არ გამოჩნდეს...

მეორე დღეს შუბლაძე პროკურატურაში მივიდა და განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი გახდა ვარლამ მდივანის ადგილსამყოფელი:

— მისმა მეუღლემ მითხრა, რომ გაქცეული პატიმარი ტაშკენტშია. თუ ნებას მომცემთ, უზბეკეთში თავად ჩავალ და მდივანს ჩამოვიყვან.

რომან შუბლაძეს ამის უფლება მისცეს...

უზბეკეთში

ტაშკენტი. 1947 წლის 16 ნოემბერი. ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრის მახლობლად მდებარე რესტორანში ორი ქართველი ხმადაბლა საუბრობს.

— შენი ჩავარდნა, ვარლამ, ყველაზე მეტად მე არ მაწყობს. ახალგაზრდა კაცი მაშინვე ციხეში მოვხვდები და ყოფილ „ნადზირატელს“ იქ როგორ მოექცევიან, შენც კარგად იცი.

— რა მოვიმოქმედოთ?

— ერთი გამოსავალი დარჩა. ადგილსამყოფელი სასწრაფოდ უნდა შეიცვალო. ფულიანი კაცი ხარ და ყალბი პასპორტის შოვნა არ გაგიჭირდება. წადი, ძმაო, სადმე ციმბირში და იყავი იქ შენთვის. მე კი თბილისში დავბრუნდები და ვეცდები, ყველანაირი კვალი წავშალო. ამისთვის თანხა დამჭირდება... შენ უნდა მომცე.

— მოვილაპარაკეთ. აი, შენ ფული, მე კი რამდენიმე დღეში „ავვორთქლდები“.

19 ნოემბერს თბილისში ჩამოსული რომან შუბლაძე მილიციამ დააპატიმრა. ამჟამად ძნელი სათქმელია, როგორ გაიშიფრა მორიგე თანაშემწე. საარქივო მასალებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. სავარაუდოა, რომ სამართალდამცავებმა მდივანს თანასაკნელები გამოტეხეს და სწორედ მათ დაასმინეს შუბლაძე. ეს უკანასკნელი დაკითხვებზე თავადაც გატყდა და გაქცეული ტუსაღის ადგილსამყოფელიც დაასახელა. 24 ნოემბერს ტაშკენტში დაკავებული ვარლამ მდივანი ორთაჭალის ციხეში დააბრუნეს.

სამართალდამცავებმა გაქცევის ორგანიზატორებიც მალევე დააპატიმრეს. სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, თუმცა ხმები იქ მომხდარის შესახებ მთელ ქალაქში ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. ვარლამი საკუთარმა სიბრიყვემ დაღუპა — თუ გარბოდა, რუსთაველზე რაღას დაეხეტებოდაო, — ჭორაობდნენ თბილისში.

გვერდი მოამზადა
მიხეილ ჩერქეზიამ

ცხოვრებისეული კურიოზები

– დღეს წამოაყენებენ ნეტა?

სერიალი უნდა დაწყებულიყო, შუქი კი არა და არ მოვიდა. გურული ურეკავს მეზობელს:

— შუქი არ გვაქვს, ხომ?

— ვერ ხედავ? — კითხვა შეუბრუნა მეზობელმა.

— რატომ თუ იცი?

— რა ვიცი, რადიოთი გადმოუციათ, მაღალი ძაბვის ბოძი წაიქცაო.

— უ, ეგ რა მითხარი, დღეს წამოაყენებენ ნეტავი?

უავტორო

ავტობუსში მოსმენილი

ახალგაზრდა ქალი:

— უკაცრავად, გადამატარეთ!

ახალგაზრდა კაცი:

— თუ მთამსვლელების წესით გინდათ, — თოკი, პალოები და წრიაპები დაგჭირდებათ. მარტივად თუ გნებავთ, დავწვები, ქალბატონო, და გადამიარეთ.

გიორგი და დემურ ჭეიშვილები, ქუთაისი

„დავლენიე“

გურიაში ცხოვრობდა იმერელი რაჟდენა დოღონაძე, რომელიც გურულებს არ ჩამოუვარდებოდა ენამახვილობით. რაჟდენასთან მეზობელი მივიდა და შესჩივლა:

— ჩვენი მოხუცი ექიმი რაღაცას გვატყუებს. კაცი რომ მივა, ყველას ერთ დიაგნოზს უსვამს — „დავლენიე“ გაქვსო.

ერთხელ მივიდა რაჟდენა ექიმთან და უთხრა:

— თავს ვერ ვგრძნობ კარგად, ექიმო, და გამსინჯე.

ექიმმა გასინჯა, სისხლის წნევაც გაუზომა და დიაგნოზი დაუსვა:

— „დავლენიე“ გაქვს!

— რა არის „დავლენიე“, ექიმო, ამიხსენი თუ ღმერთი გწამს — შეეკედრა რაჟდენა.

— სისხლის წნევა გაქვს მაღალი და თუ დაგარტყა მარცხნივ, ერთ მხარეს ყველაფერს გაგიჩიკინებს.

რაჟდენამ შარვლის ჯიბეში იტუცა ხელი. ექიმს ეგონა, ფულს ეძებსო და:

— ჯერ ფული არ გინდა, წამალს გამოგიწერ!

— არა, ექიმო, მე ფულს კი არ ვეძებ, „ეს“ მინდა გადმოვიტანო მარჯვნივ, წნევა რომ დამარტყამს, არაფერი დოუშავდეს.

ალექსანდრე აბულაძე, ქუთაისი

გაიარეთ, ქალბატონო!..

როგორც ყველგან, ბორჯომის რკინიგზის ვაგზლის სახლოვესაც გარე ვაჭრობაა გაჩაღებული. ერთ მოვაჭრეს, საქონელი ძირს რომ არ გადმოეყარათ, ნახევარი მეტრის სიმაღლეზე ფიცრებისგან წინაღობა გაეკეთებინა.

მე და ჩემი რამდენიმე ნაცნობი ამ წინაღობასთან ვიდექით და ჩვენთვის საინტერესო თემაზე ვსაუბრობდით. ზოგიერთი გაგვატარეთო, — გვთხოვდა, მაგრამ დაინახავდნენ თუ არა ბარიკადებს, გეზს იცვლიდნენ. ჰოდა... გამოიარა ერთმა მშვენიერმა ქალბატონმა და რატომღაც უხეში ტონით გვიბრძანა, გამატარეთო...

— გაიარეთ, ქალბატონო! მაგრამ ამაზე გადახტომა მოგიწევთ-მეთქი და წინაღობაზე უნებურად ხელით ისე მივანიშნე, რომ ჩემი ნაცნობები სიცილიდან მალე ხროტინზე გადავიდნენ.

ნოდარ ფიჩხანაშვილი, ქარელი

სანამ არ წავუყვანივარ

სოფელ უახუნდერის სკოლის დირექტორად სვანეთის ნაღდი კოლორიტი, ბატონი ჯუნის ონიანი დანიშნეს. ყინვაა. ერთი უდისციპლინო მოსწავლე „ბირჟაზე“ დგას და თამბაქოს ეწევა.

მივიდა ბატონი ჯუნისი, — აქ რა გინდაო, — დაუმიზნა ფეხი უკანალზე და მოუქნია, მაგრამ ააცილა და ძირს მოადინა ზღართანი.

ადგა და მეორეჯერაც მოუქნია, ვერც ახლა მოზომა და ისევ დაეცა. ზის თოვლში და უყვირის:

— წაეთრიე, შე შობელძაღლო, აქედან, სანამ არ წავუყვანივარ სასწრაფოს!

ჯანო ონიანი, ქუთაისი

ჩერიალიჩ „ძმაბოლი“

შუქი არ გვქონდა და ტელევიზორის საყურებლად მოშორებით მცხოვრებ „დვიუოკიან“ მეზობელთან დავდიოდი.

ერთხელაც, ზამთრის ბნელი და ჩაყურსული ღამეა... მივდივარ და... ჩემ წინ მობუზული, კუზიანი არსება დავლანდე. ენა მუცელში ჩამივარდა, ავწრიალდი, ჩემმა ძაღლმა კი, რომელიც მუდამ თან დამსდევდა, ალერსის ნიშნად მაჯაზე კბილები გამისვგამომისვა. ამან მთლად გადამრია და ვიბღავლე. ჩემდა გასაკვირად, იმანაც ჩემთვის ნაცნობი ხმით იკივლა და თოვლში ჩაიკეცა. მეზობლები სახლებიდან გამოცვივდნენ, ფარნები მიანათეს და... ეს საზარელი „არსება“ ტელესერიალის საყურებლად იმ მეზობელთან წასული, ათასნაირად შეფუთულ-შეხვეული ბებიაჩემი გამოდგა, რომელიც უკან ბრუნდებოდა...

გოგა ქარჩავა, ზუგდიდი

კურიოზი ზონიდან

რედაქციაში ანონიმურ ზარს ახალგაზრდა პატიმრის კურიოზი მოჰყვა — „ზონიდან“ ჩუმად გირეკავთ, ბიჭები მოუთმენლად ელიან „კვირის პალიტრის“ ახალ ნომერს ჩვენი ციცხალი ამბით, ახლა რომ მოყვა ერთი ჩვენიანი და მაგრად ვიცინეთ, თუ დახატავთ კიდეც, ხომ კარგი და კარგიო...

ახლა ტელეფონში მოსმენილი კურიოზი:

„თენგიზას ერთი კურდღელი ჰყავდა მოშინაურებული. ერთხელად, საბალახოდ წაიყვანა კურდღელი, ფეხზე გამოიბა, თვითონ კი ხის ძირში წამოწვა და მიიძინა.

სად იყო და სად არა, მონადირე გამოჩნდა და ამ დაბმულ კურდღელს „ქე არ მოარტყა ტყვია“? დარჩა ჩვენი დაძინებული თენგიზა უკურდღლოდ“...

ამბავი ამბად და ისიც ხომ კეთილი კურიოზია, რომ ინკოგნიტო პატიმარი „ზონიდან“ „კვირის პალიტრას“ ურეკავს...

მკითხველის ხუვრელი ანეკდოტი

— რა ჰქვია, ჭიჭიკია, ამ „ძაღლს“? — გააშაყირა შალიკიამ ჭიჭიკია, რომელიც ჯაჭვზე გამობმულ კონსერვის ყუთს მიარახრახებდა.

— იმდენი შენი დედა ვატირე, შალიკია, რამდენიც აგი ძაღლი არ იყოს — წამოდი, ცუგა, წამოდი, კიდევ ბარეორს ეტირება დედა!

კობა ხატისაშვილი, საგარეჯო

მიხოს ასანთი დაუსველდა.

ზის ხის ძირში და ამოწმებს — გაკრავს, თუ მოეკიდა, — ეს გადარჩენილიაო — დაიძახებს და ჩაიდებს ჯიბეში, თუ არ მოეკიდა — ეგ არ ვარგაო და ყრის აქეთ-იქით.

ჯანო ონიანი, ქუთაისი

სტუდენტი გოგონა გამოცდაზეა, მეგობრები სადღაც მიდიან და სურთ, რომ დროზე გამოვიდეს. ერთი ბიჭი შეაღებს აუდიტორიის კარს და დაუყვირებს:

— ხათო! ბიჭი შეგეძინა!

გიორგი ლაცაბიძე

— ივჯექით, ივჯექით, ფეხზე ნუ წამოდგებით! — თქვა მოხუცმა პროფესორმა... ქალების ტუალეტში შესვლის დროს!!!

კობა ხატისაშვილი, საგარეჯო

— გაიგე, ჩვენი ფინანსთა მინისტრი იელოველი რომ ყოფილა?!

— ნოღაიდელი, ბიჭო, ნოღაიდელი, რავა ვერ დეიმახსოვრე!

ნანა ნოდია, თბილისი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

დაძაბულობა ჩრდილო კავკასიაში საქართველოსთვის ორმხრივად სასარგებლოა

საქართველოში სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალებას აძლევს, შეაჩეროს უცხო ქვეყნების დაქირავებული ჯარისკაცების ჩეჩნეთში გადინება. ამასთან, იგი ადვილად აღმოფხვრის დამნაშავეთა დაჯგუფებების მოღვაწეობას ამ რეგიონში. ამ საკითხის ირგვლივ საუბრობს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მილიციის გენერალ-ლეიტენანტი *ვლადიმირ კოზლოვი.*

— რატომ იქცა მაინცდამაინც საქართველო ბოევიკების ერთგვარ თავშესაყარ ადგილად?

— მას შემდეგ, რაც ახალციხიდან, ბათუმიდან და ხიჭაურიდან რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ქვედანაყოფები გაიყვანეს, ქართველმა მესაზღვრეებმა ვერ შეძლეს დამოუკიდებლად გადაეკეტათ ჩეჩნეთის სასაზღვრო უბანი და ქართულ-თურქული საზღვარი. საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ ჩეჩნეთის საზღვრის დაცვისთვის მიღებული ზომები ნამდვილად არ არის საკმარისი. დეპარტამენტი მაღალმთიანი საზღვრის დასაცავად იმედს ამყარებს, ძირითადად, ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელიც, როგორც თქვენთვის ცნობილია, ბოევიკებისთვის სერიოზული დაბრკოლება ვერ იქნება. შედეგად, საქართველოს ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, ხელს არ უშლიდა და არ უშლის თავისი ტერიტორიის გავლით ჩეჩნეთში უცხოელ დაქირავებულთა შეღწევას, საქართველოში სასწავლო ბანაკებისა და იარაღის საწყობების შექმნას. ამასთანავე ნებას რთავს დაჭრილ ბოევიკებს, თბილისსა და შატილში იმკურნალონ.

— რით არის გამოწვეული ქართველი ხელმძღვანელების ასეთი დამოკიდებულება ბოევიკების პრობლემის მიმართ? რუსეთის მხარე ხომ მუდმივად ცდილობდა, მოეგვარებინა ურთიერთქმედება ბანდფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში?

— საქართველოსთვის დაძაბულობა ჩრდილო კავკასიაში ორმხრივად სასარგებლოა. ჯერ ერთი, ეს დაკავშირებულია ნავთობის ტრანსპორტირებასთან მარშრუტით ბაქო-სუფსა. რაც უფრო არასტაბილური მდგომარეობაა მეზობელ რესპუბლიკებში, მით მეტი ნავთობი გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების გაგრძელება მოადუნებს მთის მცხოვრებთა ყურადღებას, მონაწილეობა მიიღონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „სუვერენიზაციის“ საქმეში.

— როგორ მიმდინარეობს უცხო დაქირავებულთა გადაადგილება საქართველოს გავლით ჩეჩნეთში. როგორ რეაგირებენ ამ ფაქტზე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები და სპეცსამსახურები?

— ზოგადი სურათი საკმაოდ ნათელია. დაქირავებულები საქართველომდე (უმრავლესობა არაბია) აზერბაიჯანის სასაზღვრო სოფლებში არიან კონცენტრირებულნი. შემდეგ იქმნება 5-6 კაციანი ჯგუფები და ადგილობრივი გამცილებლის დახმარებით გადადიან საქართველოში. ამის შემდეგ ისინი რუსეთისა და ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარს აღწევენ, შემდეგ კი მთის ბილიკებით ვედენოს რაიონში ხვდებიან. დაქირავებულებისთვის საქართველოში საკმაოდ კეთილგანწყობილი სავიზო რეჟიმია შემოღებული: ვიზის მიღება იქვე, თბილისის აეროპორტშია შესაძლებელი. რაც შეეხება ქართველი კოლეგების მოქმედებას, მას ნათელს ჰფენს შემდეგი შემთხვევა: შარშან ქართველმა მესაზღვრეებმა შატილის რაიონში დააკავეს ცხრა არაბი დაქირავებული. ისინი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გადასცეს. მალე ჟინვალში ჩამოდის ვინმე ე.წ. ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში და მიჰყავს დაკავებულები თბილისში. მას შემდეგ ქართველმა ძალოვნებმა არაფერი იციან დაკავებული არაბების შესახებ.

— რამდენად უტყუარია ცნობა, რომ საქართველოში დაფუძნდა უამრავი ორგანიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ ბოევიკების ინტერესებს?

— ჩეჩენი სეპარატისტები აქტიურად სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიით რუსეთის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის საწარმოებლად და მთელ მსოფლიოში ავრცელებენ თავიანთთვის სასარგებლო შეხედულებას. გარდა ე.წ. იჩქერიის რესპუბლიკის წარმომადგენლობისა თბილისში, იქ ჩეჩენი ხელისუფლების პრესცენტრი „ჩეჩენ-პრესის“ კორპუნქტი, სეპარატისტული გაზეთის „კავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქცია მოქმედებს. სხვათა შორის, ინფორმაციის დიდი ნაწილი ქართული მასმედიის საშუალებით ვრცელდება. ახლო მომავალში თბილისში დაგეგმილია საქველმოქმედო ორგანიზაცია „ელჰარამეინის“ წარმომადგენლობის გახსნა, რომელსაც დააფინანსებენ უცხოელი მუსულმანი ექსტრემისტები.

— როგორც ჩანს, საქართველოს საზღვრების ჩაკეტვა საშუალებას მისცემს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს, არა მხოლოდ გაართულოს ბოევიკების გადაადგილება, არამედ გადაკეტოს კონტრაბანდის არხები.

— განსაკუთრებით გვაღელვებს საქართველოში ნავთობპროდუქტების ფართომასშტაბიანი არალეგალური შეტანა და საპირისპირო მიმართულებით კონტრაბანდის დიდი რაოდენობით გამოტანა. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები ყველაზე აქტიურად მოქმედებენ რუსეთის ტერიტორიაზე. ისინი თავისუფლად მოძრაობენ ორ ქვეყანას შორის და ადვილად ემალებიან პასუხისმგებლობას. ვფიქრობ, რომ სავიზო რეჟიმის შემოღებით, ამ საკითხში სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდება.

კომერსანტი №228

სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით

სავიზო რეჟიმის ისტორიიდან:

მოსკოვმა თბილისს აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით განუცხადა: „თქვენ გამო აფხაზეთთან ურთიერთობას არ გავიფუჭებთ“. საპასუხოდ, განაწყენებულმა შევარდნაძემ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ყველა სამხედრო ნაწილის გაყვანა მოითხოვა. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა (1999წ. ოქტომბერი) მაშინვე დაიწყო საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების პროექტის შემუშავება.

ამასწინანდელ პარლამენტის სხდომაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩამოთვალა რუსეთის მოთხოვნები, რომლის შესრულების შემთხვევაში რუსეთი უარს იტყოდა საქართველოში სავიზო რეჟიმის შემოღებაზე: 1. საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შენარჩუნება; 2. ჩეჩნეთში ოპერაციების ჩასატარებლად პლაცდარმის გამოყოფა; 3. საბაჟო კავშირსა და ახალშექმნილი ევრაზიის ეკონომიკურ თანამეგობრობაში შესვლა; 4. კასპიის ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტით ტრანსპორტირების პროექტზე უარის თქმა.

ვიზების შემოღების თაობაზე მუსირებს თვალსაზრისი, რომ იგი ნაკლებად უკავშირდება ჩრდილო კავკასიაში ფედერალური ცენტრის ანტიტერორისტულ ოპერაციას. მას საფუძვლად უდევს დიდი პოლიტიკა, რომელიც გამოწვეულია საქართველოს ლტოლვით ნატოსკენ. ვერსიათა შორის ყველაზე გავრცელებულია აზრი, რომ „რუსეთმა საქართველოს თავისი ადგილი მიუჩინა“. სხვა თვალსაზრისით, სავიზო რეჟიმი შემოიღეს იმის გამო, რომ სახელმწიფო საზღვარზე მშვიდად შემოდიოდნენ ბანდდაჯგუფებები.

საინტერესო ნიუანსი. მიუხედავად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებისა, „საქართველოს ყველა კატეგორიის მოქალაქისათვის“ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე რუსეთმა შეღავათიანი რეჟიმი შემოიღო. გამოდის, რომ მოსკოვი ამ რეგიონის მცხოვრებლებს საქართველოს მოქალაქეებად არ მიიჩნევს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ განაცხადა, შეღავათიანი რეჟიმის შემოღება „საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიასთან“ ნიშნავს „მისი სუვერენული უფლებების უხეშ დარღვევას“ და ნულამდე დაჰყავს ყოველივე ის, რის გამოც მოსკოვმა სავიზო რეჟიმი შემოიღო, რადგან სწორედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ხვრელების“ საშუალებით შეაღწევენ „კრიმინალური პირები“ საქართველოდან რუსეთში. თუმცა მოსკოვი ირწმუნება, — არავითარი „ხვრელები“ ამ უბანზე არ არსებობსო.

თუ რა არის „შეღავათიანი რეჟიმი“, რუსმა მოხელეებმა ზუსტად არ იციან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავიზო-საპასპორტო ვერსიის თანახმად, ფაქტობრივად, ყველაფერი ძველებურად დარჩა. მოკლედ, მოხელეთა შემოქმედების არეალი ფართოვდება...

ქართველი „ნეგატიური“ ლიდერები შეეცდებიან. ჩრდილო კავკასიის რეგიონული სასაზღვრო-სამმართველოს ხელმძღვანელმა გენერალ-პოლკოვნიკმა ევგენი ბოლხოვიტინმა განაცხადა, — გარდა გამშვები პუნქტებისა („ზემო ლარსი“, „ქვემო ზარმაგი“ — ჩრდილო ოსეთი, „ვესიოლოე ავტოდოროჟნოე“ — აფხაზეთი), ტვირთის ნაწილი საქართველოდან დაღესტნის საზღვარზე გაივლის. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ გამშვებ პუნქტებში, საქართველოს მხრიდან, „ნეგატიური“ ლიდერები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეეცდებიან, მოახდინონ პროვოცირება, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობამ მიაქციოს ქართველებს ყურადღება.

მოსკოვი იმასაც ირწმუნება, რომ სავიზო რეჟიმი დროებითი მოვლენაა...

თბილისისგან მხოლოდ იმას მოითხოვენ, რომ შეავიწროონ ჩეჩნები, რომლებიც პანკისის ხეობაში არიან მოკალათებულნი. ამის გაკეთება ძალზე რთულია, რადგან, ჯერ ერთი, ბოევიკთა რაოდენობა დიდია და მეორეც, იმავე პანკისის ხეობაში ცხოვრობენ ლტოლვილი ჩეჩნები და ადგილობრივი ჩეჩენი-ქისტები, რომლებსაც ბანდიტები საჭიროებისას თავიანთ მძევლებად აქცევენ.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი იასტრჟემბსკიმ საქართველოს დახმარება შესთავაზა პანკისის ხეობაში „ბანდიტთა ბუდის“ განადგურებაში, სადაც ჩეჩენი-ქისტები ცხოვრობენ. პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა: „გარკვეული კრიმინალური ელემენტები ცდილობენ, საქართველო ნარკოტიკების ბაზრად და ნარკობიზნესის წყაროდ გადააქციონ“... მაგრამ აქვე ისიც აგრძნობინა, რომ საქართველო რუსეთის დახმარების გარეშეც მოაგვარებს ამ საკითხს.

...პანკისის ხეობაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს.

რუსული პრესის მიხედვით

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კრემლს უხარია

საქართველოში შექმნილმა ვითარებამ წამყვანი დასავლელი ექსპერტების ყურადღებაც მიიპყრო. 8 დეკემბერს პოლიტიკისა და სამხედრო სფეროში აშშ-ის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ანალიტიკურმა გამოცემამ „სტრატფორმმა“ ამ საკითხს მიუძღვნა საგანგებო კომენტარი, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება უშუალოდ უკავშირდება ჩეჩნეთის ომს და საქართველოს პრეზიდენტის ეს ნაბიჯი რუსეთის მიმართ ერთგვარ დათმობად შეიძლება ჩაითვალოს. მოსკოვი უკვე დიდი ხანია აცხადებს, რომ ჩეჩენი მებრძოლები საქართველოს ტერიტორიას რუს სამხედროებზე თავდასხმების მოსამზადებლად იყენებენ და რუსები ოფიციალური თბილისისგან ჩეჩენ მეამბოხეთა თავისუფალი მოქმედების აღკვეთას ითხოვენ. ამასთან, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კრემლს შესაძლოა ნამდვილად უხაროდეს, მაგრამ ნამდვილად არ უხარია ეს აქცია პანკისის ხეობის ქისტ მოსახლეობას და ჩეჩენ ლტოლვილებს, რომლებიც იქ თავიანთ ნათესავ-ახლობლებთან შეკედლებულნი ცხოვრობენ“.

შემდეგ ამ პრობლემას „სტრატფორმი“ უშუალოდ უკავშირებს რუსეთის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას და განაგრძობს, — სავიზო რეჟიმის შემოღება და განსაკუთრებით ამ რეჟიმის გამარტივებული სახით ამოქმედება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძირს უთხრის საქართველოს სუვერენობას და კიდევ უფრო მკაფიოს ხდის გამყოფ ზოლს საქართველოსა და მის სეპარატისტულ რეგიონებს შორის... მაგრამ პანკისის ხეობაში საქართველოს შინაგანი ჯარის შესვლას და საერთოდ, კახეთის რეგიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მოსკოვი აშკარად მიესალმება. ამის დასტურია კრემლის პრესმდივნის სერგეი იასტრჟემბსკის განცხადება, რომლის თანახმად, მოსკოვი მზად არის გააუქმოს სავიზო რეჟიმი, თუ დაინახა, რომ საქართველო სიტყვიდან საქმეზე გადავა და მართლაც მოუღებს ბოლოს ჩეჩენ სეპარატისტთა და ტერორისტთა თარეშს. საამისოდ მოსკოვი თბილისს სამხედრო დახმარებას სთავაზობს და ისიც აშკარაა, რომ ამ წინადადებას სრულიად გარკვეული მიზანი აქვს: რუსეთისგან სამხედრო დახმარების მიღებას რომ დათანხმებულიყო საქართველო, ფაქტობრივად, აღიარებდა, რომ მას არ შესწევს უნარი, საკუთარი უსაფრთხოება თავადვე უზრუნველყოს. ამიტომ თბილისმა გადაწყვიტა, თვითონვე სცადოს ჩეჩენ მეამბოხეთა მორჯულება, რითაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ მოსკოვის მიერ დაწესებული სავიზო რეჟიმის გაუქმებას უნდა მიაღწიოს. მაგრამ ამ გეგმას სერიოზული უსიამოვნებაც შეიძლება მოჰყვეს. ჯარების გაგზავნა ჩეჩენ მეამბოხეთა მოქმედების შეზღუდვის მიზნით თბილისს უთუოდ გაურთულებს ურთიერთობას თავისივე ჩეჩენ მოსახლეობასთან და შესაძლოა პანკისის ხეობაში მყოფი ლტოლვილებისა და მეამბოხეების გააქტიურებაც გამოიწვიოს...

„სტრატფორმი“, აშშ-ის პოლიტიკურ-სამხედრო სფეროს ანალიტიკური ჟურნალი

რას გვეტყვი, მამაო?

— ჩემი წინაპარი რევოლუციონერი იყო და ეკლესიების ნგრევაში აქვს აქტიური მონაწილეობა მიღებული. გარდა მარხვისა და ეკლესიური ცხოვრებისა, კიდევ რით შეიძლება მის მიერ ჩადენილი ცოდვების გამოსყიდვა (თავად ის სიცოცხლეშივე მკაცრად დასაჯა ღმერთმა, ცოდვები კი აშკარად გადადის შთამომავლებზე: მის სამივე შვილს აწეწილი და უბედური ცხოვრება აქვს, აგრეთვე შვილიშვილებსაც)?

— ცოდვები, როგორც უფლის წინაშე პირადი პასუხისმგებლობა, არ გადადის მემკვიდრეობით. მაგრამ ისინი გადაეცემიან გარკვეული წინარეგანწყობის სახით, რაც ამძიმებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას. თუმცაღა ისინი ფატალურად არ განსაზღვრავენ ადამიანის ცოდვებს, თავის ზეგავლენას არ უქვემდებარებენ პიროვნებას. სული, მართალია, აღბეჭდავს წინაპართა სულიერი მდგომარეობის გარკვეულ ნიშნებს, მაგრამ წარმოადგენს უფლის ახალ ქმნილებას, თავისუფალი ნების მქონეს.

ქრისტემ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნება გაათავისუფლა ეშმაკის ძალაუფლებისგან, ამიტომ მისაგებელი მშობელთა ცოდვის გამო, როგორც მძიმე გამოცდა, უნდა მივიღოთ უფლის ნებისადმი მორჩილებით და მხნეობით. წინაპართა ცოდვები ვერ წაგვართმევენ ჩვენ ყველაზე მთავარს — უფალ ღმერთს!

— შეიძლება თუ არა მარხვის დროს ჯვარდაწერილ მეუღლეებს შორის სქესობრივი ცხოვრება, თუ ორივე მარხულობს?

— სასურველია მარხვა განვლოთ სინანულითა და მოთმინებით, თუმცაღა საეკლესიო წესებით არ იკრძალება ცოლქმრული ცხოვრება, გარდა წმინდა საიდუმლოთა მოსამზადებელი დღეებისა: კვირისა (შაბათ საღამოდან დაწყებული) და, აგრეთვე, მარხვის პირველსა და ბოლო კვირას. საზოგადოდ, საქორწინო სარეცლის გაყოფის აკრძალვა ვრცელდება კვირა-უქმეზე და დიდ დღესასწაულებზე, როგორც უფლისადმი მიძღვნილ დღეებზე. ეკლესიის ტრადიციაში დამკვიდრდა, აგრეთვე, თავის შეკავება ოთხშაბათისა და პარასკევის წინა ღამეებში, რაც, გარკვეულწილად, ასახვას პოვებს ქორწინების საიდუმლოში.

— ჩემს შვილს დაუბრძანდა ბატონები, შეგუთქვი ორი თეთრი მამალი. მივიყვანე ეკლესიაში. ჩემმა მოძღვარმა მამლები არ შეიყვანა. დავუტოვე მას გარეთ. რამდენად სწორად მოიქცა მოძღვარი?

— ამ ჩვეულებებს აქვს წარმართული წარმოშობა, როდესაც თვით ავადმყოფობა განსახიერდებოდა და წარმოდგებოდა, როგორც ცოცხალი არსება. არსებობს ადგილობრივი ჩვეულებანი, რომლებიც არ მოდიან წინააღმდეგობაში ქრისტიანობასთან და ეთნიკურ ტრადიციებს განეკუთვნებიან. ქრისტიანობა შეიწყნარებს მაშინ, თუ მათში არ არის ქრისტიანობისათვის უცხო და მიუღებელი შეხედულებანი.

ხოლო ის ადგილობრივი ჩვეულება, რომლის თაობაზეც თქვენ ბრძანეთ, ყველაზე მეტად უახლოვდება შინაური მაგიის რიტუალს და მღვდელმსახური, რაღა თქმა უნდა, სწორად მოიქცა, როდესაც მამალი ეკლესიაში არ შეგაყვანინათ.

— როგორ უნდა მივილო საქებარი სიტყვები, რომლებიც ჩემთვის გამოიმეტეს?

— როდესაც თქვენს ქებას გაიგებთ, გაიხსენეთ საკუთარი ნაკლოვანებები (წმ. ფილარეტ მოსკოველი).

— შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ის, რომ „666“ სატანური რიცხვია და რა უდევს ამას საფუძვლად?

— ამ განცხადებას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ „აპოკალიფსში“ ეს რიცხვი დაკავშირებულია ანტიქრისტესთან, მაგრამ იგი სხვა შემთხვევაში არ არის დემონური რიცხვი. სახლში, რომლის რიგითი ნომერია 666, არ ცხოვრობს დემონი ან წიგნში 666-ე გვერდი არ ნიშნავს, რომ მასში რაიმე მაგიური იმალება.

— ამბობენ, როდესაც ადამიანი კვდება, სული ამოსდისო. საინტერესოა, რომელ ნაწილშია სული?

— სულის გარეშე სხეული არ არსებობს — უიმისოდ იგი დაიშლებოდა. სული მსჭვალავს მთელ ორგანიზმს, მაგრამ თავისი ქმედებით, უპირველესად, თავს ავლენს გულითა და გონებით. სულს აქვს სხეულის მსგავსი იერსახე და ამიტომაც, იმიერ ქვეყნად სულები ერთმანეთს იცნობენ.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების მესახებ იხ. გვ. 32

თქვენს შეკითხვებს პასუხობს არქიმანდრიტი მამა რაფაელი

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

პატარები გენიოლობენ

3 წლის თიკუნა იაკობიშვილმა სოფლიდან ახალი ამბავი ჩამოიტანა:

— დედიკო, ირმა გათხოვდა!

— კი მაგრამ, ვის გაჰყვა?

— ვის და... მანქანას!

3 წლის თიკოს ძამიკო შეეძინა. ძამიკო ხშირად ტიროდა. მამამ უთხრა თიკოს (გაეხუმრა):

— მოდი, გავყიდოთ ძამიკო.

თიკო დაფიქრდა და უპასუხა:

— ალა მამი, ლომ ალ იტილებს, მაშინ გავყიდოთ, ბევრ ფულს მოგვცემენ და ახალი, მცინალა ძამია ვიკიდოთ.

5 წლის ნიკას ბებო უკითხავს „მამაო ჩვენოს“.

— „პური ჩვენი არსობისა, მომეც, ჩვენ დღეს“...

— ბებო, სთხოვე ცოტა ყველიც მოგვცეს რა?!

4 წლის „პატიკო“ (იპოლიტე) სტუმრადაა ბაბუასთან. მაგიდაზე გაშლილი ხილი და ჩურჩხელები შეამჩნია:

— ბაბუ, ბაბუ, ეს ყველაფერი სტუმრებისთვისაა?

— ჰო, ბაბუ, სტუმრებისთვისაა.

— ბაბუ, ბაბუ, ვიქნები შენი სტუმარი?

8 წლის გიორგი ეკითხება დედას:

— დედიკო, ტელევიზორში ლუისალბერტო რომ ეუბნება სამანტას თაფლობის თვე არ გვქონიაო, რა, ცოდო არ არის სამანტა, თაფლს რომ ვერ ყიდულობენ?

ანდაზოვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. წყალნი წავლენ და წამოვლენ,.... დარჩებიანო; 2. ...თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო; 4. თხა ... და ინატრა: ვაი, ერთი მგელს დამაჭიდაო; 6. შეჩვეული ჭირი სჯობია, შეუჩვეველ ...; 8. მედღეხვალიე კაცსაო, ... მოადგა კარსაო; 10. ტყუილს ... ფეხები აქვსო; 12. ქარის მოტანილს, ... წაიღებსო; 14. ერთი ... არავის შერჩებაო.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო ... მისიო; 5. ავი ... დედ-მამის მაგინებელიაო; 7. ხელმა ხელი ..., ორივემ კი — პირიო; 9. თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით ...; 11. სადაც მიხვიდე, ... ქუდი დაიხურეო; 13. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, ... სახელოვანი (აფორ.); 15. მუნჯის ..., მუნჯის დედამ იცისო; 16. რაც მოგივა, ..., ყველა შენი თავითაო; 17. პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა —... მრუდეაო.

მოთხრობა-გამოცანა

რომელი იყო ყველაზე სწრაფი?

ვახტანგი, კახა, მიშიკო და თემური სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აი, რა გვიამბეს მათ, შეჯიბრის დასრულების შემდეგ, საკუთარ შედეგებზე.

ვახტანგი: — კახა უფრო სწრაფად დარბოდა ვიდრე თემური;

კახა — ვახტანგი მიშიკოზე ნელა დარბოდა;

მიშიკო — მე თემურზე ნელა დავრბოდი;

თემური — მიშიკო კახაზე ნელა დარბოდა;

ბიჭებიდან მხოლოდ მან თქვა სიმართლე, ვინც ყველაზე სწრაფად დარბოდა. დანარჩენმა სამმა კი იცრუა.

შეეცადეთ გამოიცნოთ, რა თანამიმდევრობით გადალახეს ბიჭებმა ფინიშის ხაზი.

წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს: გვანცა ფურცელაძემ, გიორგი მჭედლიშვილმა, ნანა გოგიჩაიშვილმა, მარია მარჯანიძემ, რიმა მოშიაშვილმა, უჩა ბარბაქაძემ, დავით თავბერიძემ, ლამარა ეგნატაშვილმა, თათია და ვიქტორ მჭედლიშვილებმა, მარეხ და გიორგი ლომიტაშვილებმა, პეპელა მაისურაძემ, ხათუნა ფაფელაშვილმა, გიორგი გეორქოვმა, ხათუნა გულოიკიანმა, ნიკა წიკლაურმა, ნინო კავკასიძემ, ვერიკო და გიორგი თედორაშვილებმა, გიორგი ბაქრაძემ, სალომე და ზინიკო ხუჭუებმა, დავით მაჭარაშვილმა ლაშა ართილაყვამ, ნონა ლაბაძემ, ცოტნე და შოთიკო ქარქაშაძეებმა, ნინო და თიკო ჭაბუკიანებმა, კოტე და ლევან ბირკაძეებმა, ლელა ოჩხიკიძემ, მარიდა და ლევან აბრამიშვილებმა, ბექა ხელაშვილმა, ანა და ინა მგელიაშვილებმა, ნათია ბეკურაშვილმა, მარიტა დულარიძემ, სალომე და კოტე სვანიძეებმა, თათია მესხიამ, ნანა ბენდელიანმა, გოგა ძიმცეიშვილმა, ნიკა და ანტონ შედანიებმა, ჯაბა წურწუმიამ, კახა მიქელაძემ, გვანცა და შოთიკო თორდიებმა, სალომე ბულიამ, ნანა აბულაძემ, სოფიკო გძელიშვილმა, რადუბი და მარიამ ნაჭყებიებმა, საბა, სინარი, გიორგი და ნანა მებონიებმა, სანდრო ლაგვილავამ, მარიკო ლიპარტელიანმა, შოთა ჭიაბრიშვილმა. თორნიკე გაგნიძემ, თეონა ჩალათაშვილმა, გიორგი ოზბეთელაშვილმა, ლევან ხუროშვილმა, ლელა ძებნიაურმა, რუსუდან და გიორგი ლობჯანიძეებმა, მარიკა ბროლაძემ, ლევან ჩოქურმა, ანუკა გაიპარაშვილმა, თაკო ყარალაშვილმა, გიორგი და კახა ბერძენიშვილებმა.

სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ: პეტრიაშვილი არის რადისტი, შონია — შტურმანი, სიხარულიძე — მფრინავი, კახიძე — ბორტმექანიკოსი და სამადაძე — სინოპტიკოსი.

ᲝᲗᲮᲛᲝᲗ 15 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ

III ᲝᲗᲮᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲘᲠᲔᲛᲡ

IV ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗ ᲧᲣᲧᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲮᲣᲜᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘ



ᲒᲐᲛᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲤᲐᲜᲭᲠᲔᲑᲘᲗ

V



ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ: ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲖᲦᲐᲠᲣᲚ ᲒᲘᲠᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ

VI ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲐ ᲨᲕᲘᲓᲘᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ



VII ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ

Ა
შხამიანი ცხოველია,
იგი კუდით იკბინება,
არც მტერს ზოგავს, არც მოყვარეს,
სულ ერთია, ვინც იქნება.

***

Ბ
ხვლიკის მონათესავეა,
კუდგრძელაა და პატარა,
ყოველ ადგილს ეგუება,
და ფერს იცვლის წარამარა.

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

VIII

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

ᲠᲔᲑᲣᲡᲘ II

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 25-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

„ქართველები არ ცხოვრობდნენ საქართველოში...“

ანუ ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ

„ქართველები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდნენ მხოლოდ მე-12 საუკუნეში და მათი ისტორია აფხაზეთის ისტორიის შემადგენელი ნაწილია“.



ბოსფლიო ომების გამოცდილებიდან ცნობილია, რომ მოწინააღმდეგეს მრავალგვარი იარაღით ებრძვიან. მათ შორის ერთ-ერთი, რომელსაც ინფორმაციული ომი ეწოდება, შეიძლება ყველაზე მწარე და საზიანო აღმოჩნდეს. ამასთანავე, საინფორმაციო. ომში დამარცხება უფრო დამამცირებელი და გულდასაწყვეტია, ვიდრე ბრძოლის ველზე მტრის პირისპირ გმირული დაცემა.

ჩვენს შემთხვევაში მოხდა ისე, რომ აფხაზ სეპარატისტებთან ომში ბრძოლის ველზე დავმარცხდით. სარწმუნო წყაროების მიერ მოწოდებული მასალების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღებულ ინფორმაციულ ომშიც დამარცხება გველის. მართალია, აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ ჭეშმარიტების გასაგებად, უმჯობესი იქნება, თვალი გადავავლოთ ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციებს.

აფხაზი სეპარატისტები, რაკი თავიანთ პოლიტიკურ დაუცველობას გრძნობენ, ცდილობენ წინ წამოსწიონ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის „ნაციონალური“ უსაფრთხოების პრობლემა. ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინფორმაციულ ომს „ქართველი ოკუპანტების“ წინააღმდეგ. თუმცა, თუ სეპარატისტთა პოლიტიკურ ელიტას ვერწმუნებით, ამ ომს ისინი, უკანასკნელ პერიოდში, პირწმინდად აგებენ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან: „ქართული მასმედია აფხაზეთიაგან ველური, სისხლისმღვრელი მონსტრის იმიჯის შექმნას ცდილობს და საერთაშორისო მასშტაბით ქმნის ახალ პროპაგანდისტულ შტამპს, რომლის მიხედვითაც „აფხაზებს“ ბრალად ედება ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა“.

სეპარატისტთა ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე თავიდან აიცილონ ქართველი ხალხის გენოციდის მომწყობთა სახელი. პრესასა თუ ტელევიზიაში გამოქვეყნებულ მასალებში, ისინი ცდილობენ, თავი გაიმართლონ და აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს გადაუნაწილონ ქართველების მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაული. აქედან გამომდინარე, ომში გამარჯვებულად ახლა მოიხსენიებენ არა მარტო აფხაზებს, არამედ აფხაზეთის მოსახლეობას.

„აფხაზეთის ხალხი — ესენი აფხაზების გარდა სომხები და ბერძნებიც არიან“ — წერს თავის პუბლიკაციაში აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბორის გურგულია („რესპუბლიკა აბხაზია“ — 12-13 სექტემბერი — №102).

„ისინი (აფხაზეთის მოსახლეობა — ი.ბ.) არ მოელოდნენ ომს, არ იყვნენ შეიარაღებულნი და, აქედან გამომდინარე, ულონონი აღმოჩნდნენ ოკუპანტების (ე.ი. ქართველების — ი.ბ.) წინაშე, რომლებიც ტანკებით, მძიმე არტილერიითა და სხვა თანამედროვე საშუალებით, მათ შორის, აკრძალულითაც, იყვნენ შეიარაღებულნი... მრავალმა უიარაღო რუსმა, სომეხმა და აფხაზმა მიაშურა მაშინ რუსეთს და რუსეთის მთავრობაც თანაგრძნობით მოეკიდა მათ. ეს. ფაქტობრივად, იყო ჰუმანიტარული დახმარება იმ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, რომელთაც თავს დაატყდათ შეიარაღებული თავდასხმა“.

იმავე პუბლიკაციაში აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეხება აფხაზი და სომეხი ხალხების მეგობრობას და მის საფუძვლად ასახელებს XX საუკუნის დასაწყისში თურქეთში მიმდინარე მოვლენებს, რის შემდეგაც სომხებმა „თავიანთი ბედი და ცხოვრება აფხაზეთს დაუკავშირეს“. ყველაზე მეტად საყურადღებო ის არის, რომ ბორის გურგულია თავის წერილში ასეთ ცნობასაც გვაწვდის: „თურქეთიდან ლტოლვილი სომხების თქმით, თავიდან ისინი შეეცადნენ საქართველოს ზოგიერთ რაიონში დაფუძნებულიყვნენ, მაგრამ ქართველებმა არ მიიღეს და იძულებულნი შეიქნენ, იქიდან აფხაზეთში გადმოსულიყვნენ, სადაც დღემდე აგრძელებენ ცხოვრებას“. ეს ყველაფერი სიცრუე და ქართველთათვის ჩირქის მოსაცხებად გამოგონილი ფაქტები რომ არის, ამას გვიმტკიცებს კიდევ ერთი ფრაზა ხსენებული პუბლიკაციიდან: „ქართველები შეეცადნენ აფხაზეთიდან ბერძნები და სომხები გაესახლებინათ“.

თუ როდის და რა გარემოებებში შეეცადნენ ქართველები ამ მიზნის განხორციელებას, მწერალი არაფერს ამბობს. ფაქტი კი ერთია — საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ინფორმაციულ ომში აფხაზები უკან არაფერზე იხევენ და ეს ომი უკვე საერთაშორისო მასშტაბებს იძენს. ამ მიზანს ემსახურება აფხაზ-აბაზინი (აბაზა) ხალხის საყოველთაო მსოფლიო კონგრესი, რომლის პრეზიდენტია თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ძმა, მოსკოვში მოღვაწე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ტარას შამბა. ის მოსკოვის სახელმწიფო კომერციის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის დირექტორია.

როგორც აფხაზ-აბაზინი ხალხის საყოველთაო მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს, ტ. შამბას აფხაზეთის „პრეზიდენტისგან“ მინიჭებული აქვს უფლება, რომ მისი სახელით აწარმოოს საერთაშორისო მოლაპარაკებები და განიხილოს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ბოლო პერიოდის აფხაზურ ისტორიოგრაფიაში, რომლის მეშვეობითაც განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიის გაყალბების ფაქტებმა.

ამ მხრივ, აღსანიშნავია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი-თანამშრომლის, იგორ მარიხუბას (სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც გვარი — მარხოლია მარიხუბათი შეიცვალა) მოღვაწეობა. მისი მეცნიერული ოპუსების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ: „კავკასია არ არის ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო და ქართველები უძველესი დროიდან არ ცხოვრობდნენ საქართველოში. აქედან გამომდინარე, აქ არ შეიძლება ვეძიოთ მათი კულტურის ფესვები და წყაროები“.

„ქართველები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდნენ მხოლოდ მე-12 საუკუნეში და მათი ისტორია აფხაზეთის ისტორიის შემადგენელი ნაწილია“.

„ქართველები ერთ-ერთი ახალგაზრდა ხალხთაგანია კავკასიაში, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია... ამჟამად ძველქართულ ალფაბეტად ცნობილი „ასომთავრული“ სინამდვილეში წარმოადგენს აფხაზეთის სამეფოს ძველაფხაზურ ალფაბეტს და აფხაზების მიერ იხმარებოდა მათი სამეფოს დაშლამდე (მე-16 და მე-17 საუკუნეში). ტერმინები „ქართველი“ და „ქართული ენა“ XI-XIII საუკუნეებში არ იყო ხმარებაში და ქართველები მსოფლიოსთვის ცნობილნი გახდნენ არა როგორც ქართველები. ქართველი მეფეები: ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარი, ბაგრატ მეოთხე და სხვანი თავიანთ ქვეყანას უწოდებდნენ აფხაზეთს, რაც მეტყველებს ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციების არარსებობაზე“.

არა მგონია, ამის კომენტარი საჭირო იყოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიის გაყალბებაზე, იგორ მარიხუბას გარდა, აქტიურად მუშაობს აფხაზი ისტორიკოსი მიხეილ გუმბა, რომელმაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე საზოგადოებას წარუდგინა თავისი ნაშრომი, „აფხაზეთი ჩვენი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულში“. ავტორის „ნაოფლარი“ გაჟღენთილია ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური სიძულვილით და მტკიცედ ემსახურება ამ მიმართულებით აფხაზი ახალგაზრდების დამუშავების საქმეს.

ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, რა პოზიცია უჭირავს აფხაზეთის ინტელიგენციას, მასმედიასა თუ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს. და თუ ყოველივე ამის შემდეგ მათ მიაჩნიათ, რომ აგებენ ჩვენთან გაჩაღებულ ინფორმაციულ ომს, თავად რაღა გვეთქმის? ჩვენ ხომ დღედაღამ შერიგებისა და ტოლერანტობისკენ მოვუწოდებთ სახლკარდაკარგულ და ღვთის ანაბარა დარჩენილ დევნილებს, ჩვენ ხომ დღენიადაგ ქართველისა და აფხაზის ძმობასა და მეგობრობას ვუსვამთ ხაზს?! იქნებ სჯობდეს, ამ ომში მაინც გამოვიჩინოთ ფხა და მოვიპოვოთ გამარჯვება, იქნებ გავამართლოთ ქართული ანდაზა — „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!“

ირმა ბერიშვილი

მართლაცდა, რა საინტერესოა, ნეტავ, სად მიდის ჰაა!..

ალბათ, გახსოვთ, ძალიან „განვითარებული სოციალიზმის“ პერიოდში იშვა ეს ანეკდოტი: კომუნიზმში მიმავალი მატარებელი გაჩერდა და როდესაც იმ შემადგენლობის ორდენოსანი წინამძღოლისთვის შეშფოთებით მოუხსენებიათ ეს ამბავი, ბელადს კომუნისტური გამჭრიახობა გამოუჩენია და უბრძანებია „სდელაიტე ვიდ, კაკ ბუდტო იედიმ“.

ჰოდა, მას შემდეგ „მიდის“ ეს მატარებელი კახეთიდან, მიდის და მიდის...

მიდის მეევნახეობის გან(ვით)არების გზით, მიდის ხელფასების გაათმაგების და ეკონომიკური აღმავლობის გზით, მიდის საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო გაღრმავების გზით, დემოგრაფიული (უმცირესობების) გაჯანსაღების გზით, სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების და უსარგებლო „ზეაღისეულის“ გაპარების გზით, მაროლმადიდებლობაში გაჩენილი მეჩხერიანობის აღმოსაფხვრელად სექტების გადაწვეისა და გახეიენების გზით. მიდის მატარებელი ყველა მიმართულებით, ერთდროულად. ზოგჯერ წითელზე გაივლის, ზოგჯერ აკრძალულ, კონტრაბანდულ ენერგიას იყენებს, ზოგჯერ აკრძალულ ილეთებს, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც მიდის. ბოლო დროს, განსაკუთრებული სიბეჯითით ენერგეტიკული გზით გაიჭრა კომუნიზმის მატარებელი. თუმცა ზოგს არ სჯერა. ზოგმა, ბოლო დროს, ხმამაღლაც კი თქვა ამის შესახებ. თებრო ძალომ, მიხო პაპამ, ფანცქალამ და კნიაზამ გზაც კი გადაკეტეს ცოტა ხნით, ჯერ შარაზე, მერე რკინიგზაზე — აბა, თუ „მიდის“, ზედ გადაგვიაროსო.

არაფერსაც არ გადაუვლია.

„ეგეო!“ — ნიშნი მიუგეს მესაჭეებს.



ეგრე არ უნდაო! — გულში ჩაიდეს საჭეთმპყრობლებმა და ამ ორი თვის წინ, ღამღამობით „ინგა გრიგოლიას სანახავად“ გამოშვებული დენიც გაუთიშეს კახელებს. როგორც აქ ამბობენ — „გამოიკრეი ხელი რუბილნიკსა!“

აქაური მემანქანეები, მართალია, ხშირად ათენებენ სადგურამდე მიუსვლელ-მიუღწეველ და ტყეღრეში გაჩხერილ ელმავლებში, მაგრამ „მატარებელი“ მაინც მიდის, არ გაჩერებულა. მიდის და მიდის...

წინმავალი „ვიდი“ ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინ მიიღეს კახეთა ენერგეტიკოსებმა, როდესაც გრაფიკი დააწესეს და დენი გათიშეს. დინჯმა კახელმა იფიქრა, იფიქრა და ლოგიკურად დაასკვნა — თუ დღეს გრაფიკით მაძლევენ დენსა, ხვალე-ხვალზევით უგრაფიკოდაც მექნებაო.

მართლაც, მისცეს უგრაფიკოდ, ოღონდ — სიბნელე. იმნამს დაუკიდეს სეთურის ზარებიც: გურჯაანში — „ალაზანპესი“, ლაგოდეხში „კაბალპესი“, ყვარელში — „ინწობაპესი“, თელავში ფრანგული ფირმა მოიწვიეს, რომელმაც იმავე წელს — ისე, რომ არც დაუწყია — „დაამთავრა“ ორი „ჰესის“ მშენებლობა და სახელდაუტოვებლად გაუჩინარდა.

საგარეჯოში, ნავთობის მომპოვებელმა ამერიკულმა კომპანიამ თვითონ ითავა მცირე ელექტროსადგურის გამართვა, რომელსაც ნავთობპროდუქტებზე უნდა ემუშავა, მაგრამ... ფოთის ნავსადგურში გემიდან გადმოტვირთვისას მოწყობილობა ამწეს გაეშვა(!) და დაიმტვრა. იხტიბარი არ გაიტეხეს საჭეთმპყრობლებმა. ენერგიის ახალი წყაროების დაუღალავი ძიება დაიწყეს. ძებნას იდეა მოჰყვა — დაღესტნიდან გადმოეყვანათ მაღალი ძაბვის ელექტროგენერატორები. მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ... მავთული და ბოძები ვეღარ იშოვეს. მანამდე ჰესების ცნობილი მშენებელი ინჟინერები — მჭედლიშვილები მიზერულ თანხას ითხოვდნენ გურჯაანის გამგეობისგან, ხოლო სანაცვლოდ, რაიონისთვის ავტონომიური კვების გარანტიას იძლეოდნენ. დაპირდნენ, მაგრამ არ მისცეს. მჭედლიშვილები ყვარელში გადავიდნენ და იქ თითქმის ნაკადულზე დაიწყეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. როგორც ბატონი მიხეილ მჭედლიშვილი ბრძანებს, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ხელს უშლიდა. მაინც ააგეს და რამდენიმე სოფელიც გაანათეს. გეგმაში კიდევ ერთი ასეთი სადგურის აგება ჰქონდათ... გეგმაშივე დაუტოვეს! არადა, ბოლო ათი წლის მანძილზე მათთვის ელემენტარული მხარდაჭერა რომ გამოეჩინათ და ცოტაოდენი თანხა მაინც გამოეყოთ, დენის პრობლემა აღარ უნდა გექონდესი, — ამბობენ დღეს კახეთში.

იმასაც ამბობენ, საქართველოს მასშტაბით, კახეთში ყველაზე ცუდად არის ელექტროენერგიის მიწოდებაო. არ დაიჯეროთ, აქ, უბრალოდ, საერთოდ არ ხდება დენის მიწოდება და ცუდად როგორღა იქნება?! თუმცა, როგორ არა, „ვიდის“ შესაქმნელად, აქ „სპეცდენი“ გამოიგონეს. ამგვარი დენით, ძირითადად, ელიტა მარაგდება. ზოგიერთი რაიონის გამგებელი ტელეეკრანიდან „უსაბუთებს“ მოსახლეობას მათთვის ამ დენის საჭიროებას — ვმუშაობთ, ბატონო, ბევრი სამუშაო გვაქვსო! მხოლოდ ეგაა, მათი „მუშაკობით“ აღფრთოვანებული მოსახლეობა ხანდახან ტრასაზე დაჭერობანას ეთამაშება მათ მანქანებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არა მადლიერების გამოსახატავად.

ამდაგვარი უმადურობა აგრესიაში სულაც არ გადადის. ჯერ არ ყოფილა არც კბენის, არც თავის გატეხის და არც კარის აფიცვრის არც ერთი შემთხვევა. დედაქალაქელებივით არც არაცივილიზებული მეთოდებით აპირებენ კუთვნილი ელექტროენერგიის მოთხოვნას, დაცინვასაც სულგრძელად იტანენ (ხომ თქვა ამას წინათ ენერგომინისტრმა — კახელები ყველაზე კარგი გადამხდელები არიანო!). კახელები კი, დედაქალაქელები თუ არ იწყენენ, მოკრძალებით შედიან წინადადებით მათთან, ვისაც ეს ეხება: რა იქნება, თუ თბილისში ორ კვირაში ერთხელ მაინც, ორი საათით გათიშავენ ტელევიზიას, ბარებს, რესტორნებს, კაზინოებს და სხვა ამდაგვარ „სასიცოცხლო“ ობიექტებს და ამ დროში დაზოგილ ენერგიას კახეთს მიაწვდიან?!

თუ ეს მოხდება, კახელებს შესაძლებლობა მიეცემათ აუხსნან საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, რა იყო(!) ილიჩის ნათურა. სკოლის მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ წაიკითხონ „მზე შინა და მზე გარეთა...“ მათი მშობლები გაიუთოებენ თვეობით დაჭმუჭნილ ხალათებს, შარვლებს და შეჭმუხნილ შუბლებსაც, ხოლო ბებიები და პაპები კვლავაც ირწმუნებენ, რომ ისევ „მივდივართ“...

ფირუზ ფურცელაძე

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:

1

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲘᲠᲗᲛᲔᲕᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ, ᲘᲡᲔ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲜᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ

4



ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ

9



ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲗᲛᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

10

ᲢᲠᲝᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲘ

11

ᲬᲐᲠᲩᲘᲚᲘ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲖᲔ ᲛᲘᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲙᲔᲪᲔᲑᲘ

15

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲬᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲖᲛᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

17



ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘ

18

ᲛᲘᲗᲥᲛᲐ-ᲛᲝᲗᲥᲛᲐ

19

ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ

20

ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

24

ᲛᲐᲰᲐᲗᲛᲐ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲘᲠᲐ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ

25

ᲡᲐᲑᲠᲘ

26

ᲐᲚᲞᲣᲠᲘ ᲘᲐ

29



ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲒᲕᲐᲚᲔ

32

ᲜᲘᲙᲝᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲘ�გᲐᲠᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ

33



„ᲛᲐᲠᲢᲝᲝᲑᲘᲡ 100-ᲬᲔᲚᲘ“ (ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ)

34

ᲘᲜᲙᲠᲣᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔ — ᲮᲔᲨᲘ ᲩᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲮᲘᲡᲡᲐᲕᲔ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ

35

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:

1

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

2

ᲒᲐᲛᲐᲑᲠᲣᲔᲑᲔᲚ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ

3

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

5

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲣᲑᲐᲜᲘ

6

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲥᲔᲓᲘ

7

ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲬᲐᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲨᲮᲐᲞᲣᲜᲔᲑᲐ



8



ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲢᲧᲕᲘᲡᲘ

12

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲮᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

13

ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲡᲘᲜᲗᲔᲗᲘᲙᲣᲠᲘ, ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲜᲢᲘᲑᲘᲝᲢᲘᲙᲘ

14

ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲓᲝᲛᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ

16

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘ (1606-1684)

21

-ᲛᲘᲢᲝ, ᲑᲘᲭᲝ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲡᲠᲝᲚᲔ ᲥᲕᲐ ᲛᲘᲮᲝᲡᲐ?
-ᲛᲔᲢ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲘᲖᲐᲛ, ᲛᲐᲛᲘᲘᲘ.
-ᲛᲔᲢᲘ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔ ᲛᲣᲢᲠᲣᲙᲝ, ᲨᲔᲜᲐ (ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ, ᲡᲢᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ)

22

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

23



ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

27

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

28



ᲡᲐᲫᲔᲑᲜᲘ ᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲓᲘ ᲭᲣᲠᲕᲘ

30



ᲓᲐᲮᲚᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ

31



ᲓᲔᲓᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ №49 ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 7. მასკარადი; 8. გეგეჭკორი; 10. ჭიანური; 11. ფასადი; 12. კლოუნი; 16. აუდიტორია; 16. დათვი; 18. ყბედი; 19. ვოლტი; 20. მდგმური; 21. არტერია; 25. გერბი; 26. პიურე; 27. კლასიკოსი; 30. პლაზმა; 33. იტალია; 34. მარკერი; 35. ინსტიტუტი; 36. ობლიგაცია.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ქანდაკება; 2. კარადა; 3. „ოდოია“; 4. ტევრი; 5. უჭმელი; 6. ორგანისტი; 9. ონდატრა; 13. ბურბუშელა; 14. ბიფშტექსი; 15. ადიდება; 17. პოზიცია; 22. ჯენტლმენი; 23. კლინიკა; 24. პროვინცია; 28. ემოცია; 29. შტანგა; 31. მალტა; 32. კრება.

ორშაბათი 11 დეკემბერი

სამშაბათი 12 დეკემბერი

ოთხშაბათი 13 დეკემბერი

ხუთშაბათი 14 დეკემბერი

პარასკევი 15 დეკემბერი

შაბათი 16 დეკემბერი

კვირა 17 დეკემბერი

შ.პ.ს. „ფავორიტი“
გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში
წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების
რედაქტირებას, დაკაბადონებას, ბეჭდვას და აწყობას ნებისმიერ ყდაში
მუყაოს ყუთების დამზადებას, ნებისმიერი კონფიგურაციის მყარ ზედაპირზე ტრაფარეტული და ტამპონული ბეჭდვას; ასევე საკანცელარიო საქონლის ფართო ასორტიმენტს
ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი 20
ტელ.: 70 84 14; 899 58 96 91, 899 51 60 89

00.05 „შეთითვის მეტისმეტად ლამაზი“ — საფრანგეთი

თქვენ გელოდთ სასაციოლო, მაგრამ ამავე დროს სულდგმული ისტორია დაინკარებელ ადაზე, რომელსაც თავადაც უკვირს, როგორ შეიძლება ადამიანს მეკავდეს ლამაზი ცოლი და ნაკლებად მოიხიბვლელი საყვარელიც. ფილმს მიღებული აქვს კანის ფესტივალის სპეციალური პრიზი და პრემია „ცეზარი“. რეჟისორისათვის. რეჟ. ბერტრამ ბლეე. მთ. როლებში: ჟერარ დეპარდიე, კაროლ ბუკე, ჟოზიან ბალასკო.

00.45 „მთვარიან ღამეს“ — აშშ

რეპორტიორი ჯონ ნოტი გებულობს, რომ შიზოფრენიკი ადამიანი, რომელიც მისგან შვილს ელოდება და მაღალთაა მფლობელი ადიდარ ბანოვარს უკავშირდება, რომელსაც მასავით „XX საუკუნის შავი ჭირითაა“ დაავადებული. გრძნობიერი, დახვენილი, სალონური დრამა. რეჟ. ლინა ვერტმიულერი. მთ. როლებში: რუტგერ პაუერი, ნასტასია კინსკი, ლორენ გრაკო.

00.15 „აპოკალიფსის დღე“ აშშ-საფრანგეთი

ვიეტნამის ომის დროს სპეციალური სადაზვერვო დაჯგუფების კაპიტანკაცს მიეკართო�dა. მისი მიზანია სასეკრეტო-შეზღუდული პოლკოვნიკის პოვნა და გადაგდგურება, რომელმაც შორეულ რაიონში რაღაც საკუთარი ძალადობის სამეფოს მსგავსი რამ შექმნა. გზაზე, სპეციალურ ტანთან ერთად, ნათლად წარმოგვიდგება ომის საშინელებათა თითქმის სიურეალისტური სამყარო. რეჟ. ფრენსის ფორდ კოპოლა. მთ. როლებში: მარლონ ბრანდო, რობერტ დიუვალი, მარტინ შინი.

23.15 „სილამაზის სალონი „ვენერა“ — საფრანგეთი

სამი პარიზელი მანდილოსანი სილამაზის სალონში მუშაობს. ორმოცე წელს გადაცილებულ ანყელს სიყვარულის აღარ სჯერა და საამისო მიზეზიც აქვს. სამანტა მასზე ცოტა ახალგაზრდაა და ჯერ კიდევ ელის თავის პრინცს. ნორჩი და გულუბრყვილო მარიკი საკუთარ ბედს გაცილებით ასაკოვანი მამაკაცის სახით პოულობს... 1999 წელს ფილმს მიღებული აქვს ოთხი პრემია „სეზარი“. რეჟ. ტონი მარშალი. მთ. როლებში: ნატალი ბეი, ბიულ ოჟიე, რობერტ ოსეინი, ოდრი ტომუ.

20.30 „მე-13 მეთაური“ — აშშ

922 წელს არაბეთის სამეფო კარის მსახურ აამადს თავისი მბრძანებლის ცოლის სიყვარულის გამო ქვეყნიდან გააძევებენ. იგი სანაონო მოგზაურობას იწყებს და სწორედ ამ დროს ეიკინგები მოიტაცებენ. ტყეეობაში არაბი მოგზაური ვიკინგების ენას სწავლობს და თანდათან უშინაურდება კიდეც მათ... რეჟ. ჯონ მატერნანი. მთ. როლებში: ანტონიო ბანდერასი, დიანა ვენორა.

08.00 ალიონი 09.30 სერიალი "ქალის ნინა" 09.45, 20.50 სერიალი "ამალლაშვილ" 10.20 ფორტეპიანოს 11.05, 18.15 სერიალი "ანა-ტარეა" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.10 ტელესერიალი "ნაბილაბარასლავთა ლაპ" 12.30 დიდების ზღვარი 13.00 ნაშუადღეს 14.05 ვიდეოფილმები "ჩემი მეოცე" 14.40 ჯანმაცი მოამბეებისა 15.15 მხ.ფ. "ფეოდალიზმი ევროპაში" 16.00 ... 17.50 ... 18.00 ... 18.15 ... "ანა-ტარეა" 19.05, 02.10 ვიდეოკლიპები 19.40 ... 20.00, 23.10 მოამბე 20.50 სერიალი "ამალლაშვილ" 21.40 "XX საუკუნე" 22.00 ... 22.40 ტელესერიალი "ნაბილ-ბარასლავთა ლაპ" 23.50 ტელესერიალი "ქალის ნინა" 00.10 "კომეტა-ტორი" 00.50 ქართ. მხეფილმ "ბიბა"

19.00 ინფორმაცია 19.35 სპორტი 20.00 სერიალი "ეაკიდერაკეი ზღვარი" 20.50 ოფლის მარილე 21.20 მხოლოდ ზეფი ალოკრაცია 21.50 ... 22.00 ... 22.45 ... 23.50 ... 00.50 ... 01.20 ... 02.00 ... 02.35 ... 03.20 ... 04.05 ... 05.00 ... 05.45 ... 06.00 ... 06.45 ... 07.00 ... 07.45 ... 08.00 ... 08.45 ... 09.00 ... 09.45 ... 10.00 ... 10.45 ... 11.00 ... 11.45 ... 12.00 ... 12.45 ... 13.00 ... 13.45 ... 14.00 ... 14.45 ... 15.00 ... 15.45 ... 16.00 ... 16.45 ... 17.00 ... 17.45 ... 18.00 ... 18.45 ... 19.00 ... 19.45 ... 20.00 ... 20.45 ... 21.00 ... 21.45 ... 22.00 ... 22.45 ... 23.00 ... 23.45 ... 00.00 ... 00.45 ... 01.00 ... 01.45 ... 02.00 ... 02.45 ... 03.00 ... 03.45 ... 04.00 ... 04.45

ბინები

სასწრაფოდ! დიღომში 1 ოთახიანი 7(8) ბინა, რკინის კარით, „აიმპრეთი", ტელევიზორით, მიშენების ჟრისპექტივით. ფასი $5.800. მის: წყალტუბოს ქ. №1-4 კორპ. №1-3 სად. ბინა №68. ტელ: 35-34-36; 34-56-65

სასწრაფოდ! დიღომში 1 ოთახიანი 3(8) ბინა, რკინის კარით, ტელევიზორით. სასწორი ფასი $6.400. მის: წყალტუბოს ქ. №1-4 კორპ. №1-3 სად. ბინა №56. ტელ: 35-32-97; 34-34-36. გია

ამ იაფად ითხოვება ვაჟიანებიდან ქუთაისში 2 ოთახიანი ბინა მიშენებით, გადაკეთებული 3 ოთახად, IV სართულზე. ტელევიზორით და ბუნებრივი აირით. მის: ბახტრიონის ქ. (მ. „ბილიუტელეკინოდან" ერთ ვასერებაზე). ქუთაისში ვისურვებდით სახლის ბალკონზე, საფანჯრის მიდამოებთან ახლოს (600 მეტრამდე ეზოთი). ტელ: 57-12-30. ბუდუ; 2-20-02 (ქუთაისი). ნუგზარი

3 ოთახიანი, არასტანდარტული, სარემონტო ბინა, გამახურდიას გამზირზე, II სართულზე (ს/ფ – 100 კვმ, ჭერი – 3, 40სმ), კაპიტალური იტოფარეხით. ფასი $25.000. ტელ: 37-09-75

სასწრაფოდ! 1) ბათუმში 2 ოთახიანი, ძველი პროექტის ბინა, პრესტიჟული ადგილას, ზღვის სანაპიროსთან ახლოს, მაღალ I სართულზე. 2) ბათუმში, 1,5-ოთახიანი ბინა, ზღვის სანაპიროსთან, II სართულზე. ტელ: 52-64-69. მადონა; 7-15-10. დათო

ყვარელი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურნასში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მაღის ფართი 800კვმ. ფასი $700. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

ქირავდება

1 ოთახიანი, იზოლირებული ბინა, ციხის მახლობლად, ბაზართან ახლოს, თავისი ეზოთი, ბუნებრივი აირით. ფასი $90. ტელ: 22-63-05. მარა

მილოცვა

ჩვენო სალომე! დაბადების დღეს გილოცავთ! უმეტეს ჩვენი სიცოცხლე ვამე, რა დიდად ძვირფასი! მალე ბავშვებრივი, გეოცით ბედნიერი და გეფერებით!

P.S. არ დავიიწყებ ჩვენი სტილი!

სიხარა და К° და ნუცა (ს და ს)

გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სოფელში 17-25 წლამდე გოგონების და ვაჟების გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოჯახური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავაზებით. უზრუნველყოფა ვიზის ეფექტი (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საჭიროებისა ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 4-13-86 (ქუთაისში)

დავალებენ ოფისში სასწრაფოდ, შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანს, ეფექტურ სამუშაოზე, ოფის-მენეჯერად (არ არის ეგზრეთა). ხელფასი ანაზღაურებით, საინტერესო პირობებით. ტელ: 37-30-50. თამარა ოშაყაშვილი (ვასაკრძალი ყოველდღე ერთ კვირაა, 13-15 სთ)

დავალებენ ოფისში სასწრაფოდ, შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანს, 18-60 წლამდე, ეფექტურ სამუშაოზე (არ არის ეგზრეთა), ხელფასი ანაზღაურებით, ძალიან საინტერესო პირობებით. ტელ: 37-30-50; 77-75-97. ლევან ტერტერაშვილი

სამუშაო ოფისში. ხელფასი – სტაბილური. საპენსიო უზრუნველყოფა და ძალიან პრეფერენციალი. ბიზნეს გასაუბრება. ტელ: 37-30-50. ელენა ქსოვრელი

ეიგანინში ხელოვნ ხელსაფრის ამერიკელ კომპანიაში, ეხარეთ ანაზღაურებით, 1%-ანი კრედიტებისა და ფენების ფასის ფენილდებლობით. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, VIII სართ. ოთახი №808 (ტეტრო „სამედიცინოსთან"). იქონიეთ პასპორტი და 1 ლარი. ზაზა ზაზაშვილი. ტელ: 37-30-50 (12-18 სთ)

მოძებნა

ვეფეთ ეფექტიანი ეფექტიანის ნიმუთ და ანესთეზიი, ძორბეის ეკონომიკა. ბიზნეს ყოველდღე, ჩაწერეთ. ხელფასის რეალური ანაზღაურებაა – 1სთ – 10 ლარი. ბიზნესტრენინგი ეფექტიანი დარნმენთ. მაქვს საკუთარი ოფის ეფექტი. მის: ეკალეფილი-3, II ბრ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგაძისა

„ფენსენი", ეკონომიკურ ეფექტიანად ეფექტიანი ეფექტიანი ნამდვილად ძორბეის ნაბიჯს და ეკეთებულ ოფის, მის უკეთესად ძორბეის კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. ანესთეზიოლოგიური ანალიზი ნიმუთ. ეფექტიანი შესწავლა – 2005. მის: ილიაწინდის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეფექტიანი ეფექტიანის ნიმუთ, ანესთეზიოლოგ (ყოველდღეური ეფექტიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; ოფის მოცილება სხეულზე მეტეორეული ნაფენი (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური ეფექტიანი ანესთეზიოლოგ). ეფექტიანი კოსმეტიკისა და ეფექტიანის. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არმაზიანის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ეფეთ ეფექტიანი ეფექტიანად ეფექტიანის ნიმუთ და ანესთეზიოლოგ. ეფექტიანად ეფექტიანი ეფექტიანის ეფექტიანი ეფექტიანი ეფექტიანი

ჩაერთე და მოიგე...

16.X-30.XII.2000

18+30=48

SIM ბარათი | ავანსი | ჩართვა

•

საყოფაცხოვრებო ტექნიკა
SIEMENS

•

დასვენება საზღვარგარეთ

•

ავტომანქანა

250-877

წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გახდეთ ჯეოსელის აბონენტი და 21 ოქტომბრიდან ყოველ შაბათს 21.00. საათზე სტუდია „მაესტროს“ ბლოკში, პირდაპირ ეთერში დაელოდოთ იღბალს.

ამ დროს თქვენი ტელეფონი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს! პირველ გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვნენ ჯეოსელის ქსელში 16-დან 20 ოქტომბრის ჩათვლით. 28 ოქტომბრის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჯეოსელ-ის ქსელში 21- დან 27 ოქტომბრის ჩათვლით და ა.შ.

- წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილოებას არ ღებულობენ ჯეოსელის თანამშრომლები, დილერები და მათი ოჯახის წევრები;

ჯ ე ო ს ე ლ ი
GSM

CMYK

ავტომობილის ისტორია

ნაწილი V.

ავტომობილი, სტალინი და ჰიტლერი...

„ჩავსვათ საბჭოთა კავშირი ავტომობილში“ – სტალინი, 1927 წ.

გერმანია ძალას იკრებდა. ომის შემთხვევაში სტალინს გზები, ხიდები და უამრავი მძღოლი სჭირდებოდა — მერე რა, რომ მანქანები არ ჰყავდა. მთავარია, მორჩილი და ეგზალტირებული მასა ჰყოლოდა — დანარჩენი თავისთავად მოვიდოდა... თანაც, მოგეხსენებათ, ომი ომია, ტყვია კი კაცს კლავს და არა მანქანას... — ლოგიკურია, ომში მძღოლები უფრო „იხარჯება“, ვიდრე მანქანები... მაგრამ რაც არ უნდა მორჩილი და ეგზალტირებული იყოს, ადამიანს ამას პირდაპირ ვერ ეტყვი — თანაც გერმანია მოულოდნელად უნდა დაესხას თავს...

მოკლედ, ასეთი „კატლეტის“ ჭამას შესაბამისი „გარნირიც“ სჭირდებოდა და 1927 წელს დიდი ზარ-ზეიმით შეიქმნა მუშურ-გლეხური „ავტოდორი“. „ავტოებისა და გზების მოყვარულთა საზოგადოებას“ (როგორც ის იშიფრებოდა) სათავეში თავად სტალინი, რიკოვი და ვოროშილოვი ედგნენ. „პრავდა“ იმავე წელს წერდა: „არა უგვიანეს 10-15 წლისა, ავტომობილი საბჭოეთის თითოეულ მუშასა და გლეხს ეყოლება“ — ჰოდა, რომ გეყოლება ავტომობილი, ტარება ხომ უნდა იცოდე?! გზა? გზა ხომ გინდა, რომ გაიარო?! — 1932 წელს მარტო უკრაინაში ამ ორგანიზაციას მილიონამდე წევრი ჰყავდა (თუმცა, მაშინ იქ სულ 7 ათასი ავტო იყო) — მუშები და გლეხები თეორიაში მეცადინეობდნენ და „თავისუფალ დროს“ წერაქვებითა და ურიკებით საბჭოეთის გზებს იყვნენ შესეული... მათ რვა წელიწადი იმუშავეს და ფულსაც აქეთ უხდიდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, საწევროების სახით. „ამერიკელები ამბობენ, რომ ამერიკა — ეს არის ნაცია ბორბლებზე. ჩვენ გავხდებით კლასი — ბორბლებზე“, — ამხნევებდნენ მუშათა კლასს პრესის ფურცლებიდან.

1935 წელს დიდი რეპრესიები დაიწყო. „ავტოდორი“ დაიხურა, რადგან მუშათა კლასს უკვე ჰქონდა წარმოდგენა ავტომობილზე, გზებს კი რეპრესირებულნიც კარგად გაიყვანდნენ. მით უმეტეს, რომ მათთვის ავტომობილის დაპირება სულაც არ იყო საჭირო — ერთადერთი, რაც მათ უნდოდათ, სიცოცხლე იყო...

1938 წელი. კრემლი. შინაეზოში ქარხნიდან ახალგამოყვანილი მანქანები დგას. დირექტორი და კონსტრუქტორები ღელავენ — და არცთუ უსაფუძვლოდ. ეზოში დინჯად ჩამოდიან სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი და ეჟოვი. სტალინი დეტალურად ათვალიერებს მანქანებს და ფერწასულ კონსტრუქტორს პროფესიონალურ შეკითხვებს აძლევს. შემდეგ იგი ეჟოვთან ერთად ახალ „მოსკვიჩში“, წინა მხარეს ჯდება და კონსტრუქტორებს ბრძანებით მიმართავს — რას უყურებთ, დაჯექით, გავიაროთ... ტრაგედია ის გახლდათ, რომ „მოსკვიჩი“ ორკარიანი იყო. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა ოხვრა-ხვნეშა ატყდებოდა კონსტრუქტორებში — არც სტალინის ბრძანების შეუსრულებლობა იქნებოდა (მტერს და ავს!) და ვერც გენერალისიმუსს, ვერც ეჟოვს — საბჭოთა მილიციის უფროსს, ვერ ჰკადრებდნენ — ადექით და გამატარეთო...

ქარხნის დირექტორი ა. კუზნეცოვი დააპატიმრეს, გაასამართლეს და გადაასახლეს, „მოსკვიჩი“ კი ოთხი კარით გამოვიდა...

მოხერხებული ჰიტლერი, ნიჭიერი პორშე და მოტყუებული გერმანელები

— სტალინის მომზადებულ „გარნირს“, რა თქმა უნდა, წინდახედული გერმანელები არ „ჭამდნენ“. არადა, ჰიტლერს ახლა სჭირდებოდა ხალხის მასობრივი მოზიდვაც და მათგან თანხების „ამოქაჩვაც“ — ფაშისტური არმიის გასაძლიერებლად. ფიურერმა მაინც გამონახა გამოსავალი — მან უნიჭიერეს გერმანელ კონსტრუქტორს, ფერდინანდ პორშეს „სახალხო ავტომობილი“ (გერმ. VOLKSWAGEN) დაუკვეთა. ეს უნდა ყოფილიყო კომფორტული, თანამედროვე და, ამავე დროს, იაფი ავტომობილი, რომელიც ნებისმიერ გერმანელს ეყოლებოდა. ანუ, გამოდიოდა „ფორდის“ გერმანული, სერიული ვარიანტი, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ჰიტლერი გამდიდრდებოდა და არა ავტოკონცერნი — არც ყველა გერმანელს ეყოლებოდა ამერიკელივით ავტომობილი. ფერდინანდ პორშემ ზედმიწევნით კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას — მის მიერ დაპროექტებულ ავტომობილს, „ხოჭოს“, თავის ეპოქაში ანალოგი არ გააჩნდა — ეს იყო კოხტა, კომფორტული, საექსპლუატაციოდ და საწარმოოდ იოლი მანქანა.

ჰიტლერი „ხოჭოს“ დემონსტრირებისას

1938 წელს SS-ის მძღოლებმა ამ ავტოებით საჩვენებლად მთელი გერმანია შემოიარეს. პროპაგანდისტულმა აპარატმა კი გერმანელი ხალხი დაარწმუნა, რომ ეს შესანიშნავი მანქანა ნებისმიერ მათგანს ეყოლებოდა, თუ წინასწარ ოთხი წლის მანძილზე, კვირაში ერთხელ ხუთ მარკას გადაიხდიდა — საბოლოოდ, ჰიტლერმა მილიონობით მარკა ფაშისტურ არმიას მოახმარა, გერმანელი ხალხი კი „სახალხო“ ავტომობილის გარეშე და ნაცისტი ბელადის ამარა დარჩა...

თუმცა, ფერდინანდ პორშეს პირმშო იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ ფაშიზმის დანგრევის შემდეგაც არ „დაიკარგა“ და 50-იანი წლების „გერმანულ ეკონომიკურ სასწაულშიც“ დიდი წვლილი შეიტანა. „ხოჭომანქანა“ განახლებული სახით დღესაც გამოდის. მისი მოდელი მსოფლიო რეკორდსმენია გაყიდვისა და წარმოების რიცხვით — 1938-დან 1987 წლამდე 21.000.000 მანქანა გაიყიდა, ხოლო ლიცენზირებულ მოდელებს დღესაც მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში უშვებენ.

„VOLKSWAGEN“-ის ბაზაზე დაარსდა იმავე სახელწოდების დღეისათვის უძლიერესი ავტოკონცერნი.

მომავალში იხ. ნაწილი VI „ცნობილთა ავტომობილები“

„ბულკივით“ ავტომობილი



ბერძენი სტუდენტების მიერ დაპროექტებული, მიკროავტომობილი „ფორა“ მათთვის არის ზედგამოჭრილი, ვისთვისაც მანქანა მხოლოდ გადაადგილების საშუალებაა. „ფორაში“ ორი კაცი ეტევა, მისი სიგრძე 2 მეტრია, სიგანე კი 1.20მ ავტომობილი ზედმიწევნით პრაქტიკული და მოსახერხებელია. იგი განსაკუთრებული პლასტიკური ნაერთისგანაა დამზადებული და საკმაოდ მსუბუქიც არის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ელექტროძრავა სწრაფდამტენით არის აღჭურვილი და „შტეფსელიდან“ იტენება, შეგიძლიათ, სათამაშოსავით, უბრალოდ სახლში ან სამსახურში დატენოთ — სამი საათის განმავლობაში მისი აკუმულიატორის დატენვა 50 კილომეტრის გავლის საშუალებას იძლევა. ავტომობილს ბევრი სხვა სიკეთეც გააჩნია. იგი 100%-ით კომპიუტერიზებულია. სპეციალური CD ROM-ისა და მძღოლის წინა პანელში ჩამონტაჟებული მონიტორიდან საშუალება გაქვთ, სრული სურათი იქონიოთ არა მხოლოდ მანქანის ტექნიკურ მდგომარეობაზე, არამედ გასავლელი გზის გამართულობაზე, მოძრაობის უსაფრთხოებაზე, მოსალოდნელ ამინდზე და ა.შ. მისი საბურავები მასიური კაუჩუკისგან არის ჩამოსხმული, ასე რომ, გზაში არც საბურავები „დაგტოვებთ“. მიუხედავად მცირე გაბარიტებისა და წონისა, ავტომობილში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მგზავრთა უსაფრთხოება. მისი აქტიური უსაფრთხოების სისტემა ხუთ გასაბერ ბალიშს ითვალისწინებს — გვერდებიდან და წინიდან. ხოლო პასიური — ფოლადის სარტყელს, რომელიც ავტომობილის პლასტიკატის კორპუსშია ჩაყოლებული, განივად და გრძივად. ავტომობილი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ ტრადიციული საჭის ნაცვლად, კომპიუტერული „ჯოისტეკით“ იმართება. ორი ელექტროძრავიდან ერთს უშუალოდ მანქანა მოჰყავს მოძრაობაში, მეორე კი მოხვევას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ავტომობილი „ზედმეტად“ მანევრირებადია — ტრადიციული, ორის ნაცვლად მისი ოთხივე ბორბალი უხვევს, თანაც ნებისმიერი მიმართულებით. მათ ჰარმონიზებულ მოძრაობას კომპიუტერი აწესრიგებს და მანქანას შეუძლია ადგილზე „დაბზრიალდეს“, გვერდულად შევიდეს და გამოვიდეს ვიწრო სადგომზე ან „საცობიდან“, და ა.შ.

ავტომობილის უკანა სავარძელი 180 გრადუსით ბრუნავს და შეიძლება აიკეცოს კიდეც, რათა სალონის უკანა ნაწილი საბარგო მიზნით იქნეს გამოყენებული. „ფორა“ დიზაინითაც უნაკლოა და უფრო სათამაშოს ჰგავს, ვიდრე ნამდვილს.

მოკლედ, „ბულკივით“ მანქანაა...

მიღწევა

დაივიწყეთ — გასალები...

ფირმა „ზიმენსმა“ მანქანის გაღება-დაკეტვის და ამუშავებისთვის ახალი, სუპერთანამედროვე ტექნოლოგია შეიმუშავა. სპეციალური კომპიუტერული ჩიპსი და მინი-სკანერი თქვენი საჩვენებელი თითის ანაბეჭდებს იმახსოვრებს. დამახსოვრება, ან მისი შეცვლა საგანგებო კოდის მეშვეობით ხდება. ამის შემდეგ, ავტომობილის კარი არც გაიღება და არც დაიხურება, სანამ პირველად დამახსოვრებულ ანაბეჭდს შემდგომ დასკანერებული არ დაემთხვევა.

გარდა ამისა, ავტომობილის დაქოქვაც და შემდგომ, გადაცემათა კოლოფიდან სიჩქარეების შეცვლაც მხოლოდ თქვენი თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაციის საფუძველზე მოხდება. მინი-სკანერები „სტარტერზეც“ იქნება დამონტაჟებული და სიჩქარეთა შემცვლელ ბერკეტზეც. შემუშავებულია „ალკოტესტური“ ტექნოლოგიაც — ავტომობილის სალონში დამონტაჟებული მინიატურული აპარატი „დაქოქვის ბრძანებას“ მხოლოდ მას შემდეგ გასცემს, რაც მასში ჩასუნთქვის შემდგომ იგი თქვენს სიფხიზლეში „დარწმუნდება“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ალკოჰოლის დასაშვებ დოზას აპარატში თქვენვე განსაზღვრავთ. ოღონდ, მას შემდეგ... რაც აპარატში აბსოლუტურად ფხიზელი ჩასუნთქავთ.

ავტომობილი და რეკორდები

• • •

ყველაზე უხუცესი მძღოლი მსოფლიოში იყო რომ როულნი, დაბადებული 1870 წელს. 1974 წლის 25 აგვისტოს იგი საპატიო სერტიფიკატით დაჯილდოეს. გარდაიცვალა 105 წლის ასაკში და სიცოცხლის ბოლომდე მართავდა თავის ავტომობილს.

• • •

ყველაზე ხანგრძლივად და ყველაზე შორ მანძილზე ტაქსით იმგზავრა პაულ ჩელოვის ოჯახმა. მოგზაურობა დაიწყო 1988 წლის 19 აგვისტოს, დიდ ბრიტანეთში, ბუკინგემის სასახლიდან და დასრულდა 27 ოქტომბერს, ავსტრალიაში, სიდნეის ოპერასთან. მათ ეს გასეირნება „სულ რაღაც“ 425.000 დოლარი დაუჯდათ (გზად კიდევ 14 ქვეყანაში გაიარეს).

• • •

ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობა ავტომობილით მოაწყვეს მანფრედ მიულერმა და პოულ ერნს ლურსმა. მათ 20 წლის განმავლობაში 83 ქვეყანა მოიარეს და 500.000 კმ-მდე მანძილი დაფარეს „CITROEN 2CV“ მარკის ავტომობილით.



„მაზერატი“ 2001 წლისთვის

„მაზერატის“ ახალი მოდელის დიზაინი „რეტროს“ სტილშია გადაწყვეტილი და იგი ცნობილ დიზაინერს, ჯუჯაროს ეკუთვნის. გარეგნულად „Ferari 456 GT“-საც წააგავს. მექანიზმს რაც შეეხება, ახალი „მაზერატი“ 8 ცილინდრიანი, V ტიპის 3,2 ლიტრიანი ძრავით იქნება აღჭურვილი. იგი 370 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. გაწევა — უკანა თვლებზე. გადაცემათა კოლოფი ნახევრად ავტომატურია და საკმაოდ შთამბეჭდავიც, რადგან მექანიკურ რეჟიმში სიჩქარეების შეცვლა უბრალოდ, ღილაკების საშუალებით ხდება. ავტომობილის მაქსიმალური სისწრაფე 280 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კილომეტრს იგი სულ რაღაც 5 წამში ავითარებს.

„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით შეგიძლიათ მოგვმართოთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, სპეციალურად ამისთვის უახლოეს ნომრებში „ავტოსალონში“ გამოყოფილი იქნება რუბრიკა „ავტოსაგზაო საკითხებზე“.

გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა

თუ თქვენ ამ ცნობას მოითხოვთ, ვერაფერსაც ვერ მიიღებთ...

ეკვე რამდენიმე თვეა, რაც საგადასახადო ინსპექციამ „ფერი იცვალა“. ახალმა მინისტრმა დეპარტამენტის „დასუფთავება“ გადაწყვიტა და კადრები მთლიანად გადაახალისა. ახალ კადრებს ახალი შესწორებები თუ დამატებებიც მოჰყვა საგადასახადო კოდექსში... არ გეგონოთ სიახლის ან რისიმე შესწორების წინააღმდეგი ვიყოთ... უბრალოდ, წამოცდენილი სიტყვისა არ იყოს, სანამ კანონს რაიმეს დაამატებ, ალბათ კარგად უნდა აწონ-დაწონო.

„ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ტვირთის ტრანსპორტირება მკაცრი აღრიცხვის სასაქონლო ზედდებულის გარეშე დაუშვებელია“. აი, ასე ჟღერს ერთ-ერთი „დამატებათაგანი“. ცოტა უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, თუ თქვენ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევით და აქეთ-იქით ტვირთს დაატარებთ, ვალდებული ხართ, დოკუმენტი გაგაჩნდეთ, სადაც მითითებული იქნება, ვისგან შეიძინეთ ეს ტვირთი და ვის უნდა მიჰყიდოთ, ან პირიქით.

კაცმა რომ თქვას, რა უნდა იყოს ამაში ცუდი. ასეთ დოკუმენტს გადამხდელებზე საგადასახადო დეპარტამენტი გასცემს და თქვენც აიღებთ ცნობას და გააგრძელებთ მშვიდად თქვენს ეკონომიკურ საქმიანობას. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში, თუ „თქვენ“ იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ხართ, მაგრამ თუ სოფლად ცხოვრობთ და თავს საკუთარ კარ-მიდამოზე მოყვანილი პროდუქტებით ირჩენთ, მით უმეტეს, თუ ეს პროდუქტი სხვა რომელიმე ქალაქში ან რაიონულ ცენტრში მიგაქვთ გასაყიდად, მეტად არასახარბიელო ვითარებაში აღმოჩნდებით. ეს კი იმიტომ, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად, გლეხი არ გახლავთ გადამხდელად რეგისტრირებული. ის მხოლოდ მიწის გადასახადს იხდის. ცუდი, ცხადია არც ეს გარემოება გახლავთ. პირიქით. მაგრამ თუ თქვენ, უფრო სწორად კი გლეხი, რომელიც მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გასაყიდად წაღებას აპირებს, მივა და ზემოთ ხსენებულ ცნობას მოითხოვს, ვერაფერსაც ვერ მიიღებს. სხვათა შორის, სრულიად კანონიერად! საგადასახადო ინსპექცია აღნიშნულ დოკუმენტს მხოლოდ გადამხდელებზე გასცემს...

არადა, საქართველოს გზებზე, ძირითადად, იმპორტულ და სატრანზიტო ტვირთებთან ერთად მოსახლეობის მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიც მოძრაობს. კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად კი გლეხს მოყვანილი ხილ-ბოსტნეული თუ მარცვლეული ვეღარ გაუყიდია, რადგან გზად ათას ერთი პოსტის გავლა მოუწევს და არავინ დაიზარებს მას ახალშემოღებული დოკუმენტის წარდგენა მოსთხოვოს.

სახარბიელო მდგომარეობაში არც იმ ფირმების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, ვინც გადამხდელადაა რეგისტრირებული, მაგრამ ფილიალები სხვადასხვა რაიონში აქვთ. ერთი ფილიალიდან მეორეში ტვირთის გადასატანად აუცილებელია დოკუმენტის ორი გრაფის შევსება — „მყიდველი და გამყიდველი“ — ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში უკიდურეს გამოსავალს წარმოადგენს ორივე გრაფაში ერთი და იმავე ფირმის დასახელება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოსავალი შეიძლება სოლიდური ჯარიმის საბაბად იქცეს. თავად განსაჯეთ, აბა ვინ ვაჭრობს საკუთარ თავთან?! კიდევ... თუ თქვენ მეწარმე ხართ და შემოდგომაზე ამა თუ იმ პროდუქტს — ყურძენს, თხილს და ა.შ. შეისყიდით მოსახლეობისგან, არრეკვანის გაკეთება მოგიწევთ — ან ერთი გამყიდველი და შესყიდული პროდუქციის მთელი მოცულობა დააფიქსიროთ, რაც არაერთ შემმოწმებელს დააეჭვებს, ან სიტყვიერად უნდა აუხსნათ თითოეულ მათგანს, რომ დანარჩენი სუბიექტების დაფიქსირება მხოლოდ ერთი გრაფის არსებობის გამო ვერ მოახერხეთ...

თუ ტვირთი ამ ცნობის გარეშე მოძრაობს, მისი მფლობელი ჯარიმდება ტვირთის საბაზრო ღირებულების ოდენობის თანხით. თუკი მფლობელი უარზეა და არ იხდის თანხას, მაშინ ტვირთი დაყადაღებას ექვემდებარება.

შეიძლება ყოველივე ეს სერიოზულ საფუძველს

მოკლებულ შიშად გეჩვენოთ, მაგრამ იმის დასტურად, რომ კანონში ნაჩქარევ შესწორებას პრაქტიკაში არასასიამოვნო სიურპრიზამდე მივყავართ, ერთი მაგალითიც კმარა:

ფირმა „მერკური 21“-მა ვანის რაიონში მოსახლეობისაგან თხილი ჩაიბარა. რაიონის საზღვართან კერძო ავტომანქანა წამოეწია და გაჩერება მოსთხოვა. მძღოლს ჯერ გზად დახვედრილი ყაჩაღები ეგონა, შემდეგ კი მაინც გააჩერა და, როგორც გაირკვა, მისი ტვირთით ვანის უშიშროების სამსახური დაინტერესებულა. ტვირთს ახალდაწესებული საბუთი არ აღმოაჩნდა — არაერთი გლეხისგან შესყიდული ტვირთის გაფორმება ამ ქაღალდში ფიზიკურად არ ხერხდება. მძღოლი თავის მანქანიანად კვლავ ვანის ცენტრში მიაბრძანეს. იქ საქმეში საგადასახადო ინსპექცია და პოლიცია ჩაერთვნენ. გადაწყდა, რომ მანქანა ტვირთიანად იმ ღამეს ვანში უნდა დარჩენილიყო. მეორე დღეს კი არც აციეს, არც აცხელეს და სასამართლოში შეიტანეს სარჩელი ტვირთის დაყადაღების თაობაზე, თანაც თბილისში წერილი აფრინეს, მწარმეს მკაცრი აღრიცხვის ფურცელი არა აქვს და რა ვქნათო? — დააყადაღეთო, იყო პასუხი. ფირმამ, ცხადია, წერილი გაგზავნა შემოსავლების სამინისტროში. იქიდან, საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა ადამიამ აუწყა ვანის საგადასახადოს, ტვირთი არ ექვემდებარება დაყადაღებას და ყადაღა მოხსენით, თუმცა ასეც რომ იყოს, ჯარიმა მაინც ზუგდიდში უნდა გადაიხადონ და არა ვანშიო.

ტვირთი კი დაყადაღებულად რჩებოდა. „გამგებელმა გვიბრძანა და რა ვქნათო“ — იყო პასუხი საგადასახადოდან.

ახლა გამგებელს მიაშურეს ფირმის წარმომადგენლებმა, ასე და ასეა საქმე და მოდით, აღვადგინოთ სამართალიო. გამგებელმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ხალხს შევპირდი, ამ ტვირთს გავყიდი და პენსიების ნაწილს დავარიგებო... ეცადნენ, დაერწმუნებინათ, კანონს არღვევთ, ბატონი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელოო, მაგრამ არც ახლა გამოუვიდათ რამე. „კანონის წინაშე შეიძლება ვცოდავ, მაგრამ ღმერთთან ვარ მართალიო“... კიდევ უფრო არაადეკვატური პასუხი მიიღეს სიმართლის მაძიებლებმა.

ხარვეზების გარეშე არც რაიონული მოსამართლის, ვიოლეტა ფორჩხიძის მოქმედებას ჩაუვლია — ამის შესახებ უკვე ეცნობა იუსტიციის საბჭოს. პატრონი კი ელის თავის ტვირთს...

სხვათა შორის, ტვირთის დაკავებისას ოქმიც კი არ შედგენილა. ისე, საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანისას არ გაუთვალისწინებიათ, თუ ვინ უნდა შეამოწმოს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ქონა-არქონა. საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლები, რამდენადაც ცნობილია, ტრასაზე მანქანებს არ დასდევენ. ამ საქმით ძირითადად ავტოინსპექტორები არიან დაკავებულნი. მათ კი, როგორც ეს შს მინისტრმა კახა თარგამაძემ არაერთხელ განაცხადა, მანქანის გაჩერების უფლება არ გააჩნიათ, თუკი არ ირღვევა საგზაო მოძრაობის წესები. მაშ, ვინ მოახდენს კონტროლს? ჩვენს ქვეყანას ხომ იცნობთ, ყველა, ვისაც არ დაეზარება, ანუ — პოლიცია, უშიშროება, ავტო და საგადასახადო ინსპექცია და ა.შ.

მაია გაბუნია

„მუსლიმანთა დოლარები“ მსოფლიო ბაზარს დატოვებენ

მუსლიმანთა წამყვანმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, შექმნან საერთაშორისო ისლამური სავალუტო ბაზარი. მათი აზრით, მსოფლიო სავალუტო ბაზრის წესები არ ესადაგება შარიათის კანონებს და, აქედან გამომდინარე, არც ისლამურ სახელმწიფოთა ეკონომიკას. მალაიზიის კუნძულ ლაბუანზე შეიკრიბნენ წამყვან ისლამურ სახელმწიფოთა ბანკების წარმომადგენლები. კერძოდ, საუდის არაბეთის, ქუვეითის, მალაიზიისა და სხვა. მსოფლიო ისლამური ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი გაისად ამოქმედდება. ისლამური სახელმწიფოები ამ გზით ცდილობენ ჩამოშორდნენ მათთვის რელიგიურად მიუღებელ მსოფლიო სავალუტო ბაზარს. ორგანიზატორები, ჯერჯერობით, არაფერს ამბობენ, თუ როგორ იმუშავებს „ისლამური საბანკო სივრცის“ მექანიზმი. ერთი რამ კი ცნობილია, — ახალი ბაზრის მთავარი ვალუტა მაინც აშშ-ის დოლარი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი არაბული სახელმწიფო უკვე დათანხმდა თავიანთი სავალუტო რეზერვებისა და საგარეო ვაჭრობის ოპერაციების დოლარიდან ევროზე გადატანას. ექსპერტების აზრით, ახალი ბაზრის მოცულობა წელიწადში არანაკლებ 150 მლრდ დოლარი იქნება. იგი შეიქმნება ისლამური განვითარების ბანკის ბაზაზე. ისლამურ სახელმწიფოთა ინიციატივას თუ წარმატება მოჰყვა, მაშინ მსოფლიო სავალუტო ბაზარი დოლარის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავს, რომელსაც იღებდნენ არაბეთის ქვეყნების ნავთობპროდუქტების ექსპორტიდან. გარდა ამისა, მსოფლიო სავალუტო ბაზრის მიმოქცევიდან შეიძლება დაიკარგოს ქუვეიტისა და ბაჰრეინის დინარი, ეგვიპტური გირვანქა, მალაიზიური რინგიტი და სხვა მუსლიმანური ქვეყნების ფულადი ერთეულები.

კითხვა–პასუხი

კომერსანტი №220

რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, რომ რამდენიმე წლის წინ გერმანიამ საქართველოს 30 წლით წელიწადში 0,75%-ის სარგებლით გამოუყო 30 მილიონი სახელმწიფო კრედიტი, რომლის გარანტი არის საქართველოს ეროვნული ბანკი. აღნიშნული თანხის საკრედიტო ხაზი გაეხსნა „ექსიმბანკს“, რომელიც მაშინ იყო სახელმწიფო ბანკი. შემდეგ ეს ბანკი შეერწყა სხვა ბანკს და დაფუძნდა როგორც კერძო კომერციული ბანკი — „გაერთიანებული ქართული ბანკი“. მართალია თუ არა ეს ინფორმაცია?

ა. საკანდელიძე, საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი

გერმანიას რომ „ექსიმბანკისთვის“ გამოეყო 30 მილიონი სახელმწიფო კრედიტი, ამგვარი რამ არ მომხდარა. 1995 წლამდე „ექსიმბანკი“, „ინდუსტრიაბანკი“ და შემნახველი ბანკი ცალ-ცალკე ფუნქციონირებდა, 1995 წლის 7 აპრილს კი გაერთიანდა. „ექსიმბანკმა“ რამდენიმე წლის წინ სესხის სახით გერმანიის საფინანსო ორგანიზაციიდან მიიღო 7 მილიონი მარკა, რაც უნდა მოხმარებოდა კრედიტის გაცემას სოფლის მეურნეობისთვის (ფერმერებისთვის). ხსენებული კრედიტი ათვისებულია. ამჟამად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ევრობანკის ხაზით მზადდება ახალი პროექტი. თუ მეწარმეებს გააჩნიათ საინტერესო პროექტი, რომელიც არ შეეხება თამბაქოსა და ალკოჰოლს, მიმართონ გაერთიანებულ ქართულ ბანკს, საიდანაც ამ პროექტებს წარვუდგენთ ევრობანკს და ისინი გადაწყვეტენ კრედიტის გამოყოფის პირობებს.

ს. გოგინავა, გაერთიანებული ქართული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი

კარგი იქნება, თუ ტექდათვალიერების ფასებთან ერთად გამოაქვეყნებთ ავტომანქანით საგზაო წესების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობას, რათა არ მოხდეს ზედმეტი თანხის გამოძალვა?

ნ. ამირიძე

საგზაო წესების დარღვევას ხშირად იწვევს ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა. სატრანსპორტო საშუალების მართვა ამ მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ნასვამი, ნარკოტიკული ან ფსიქოტოქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის ითვალისწინებს მართვის უფლების აკრძალვას ერთიდან ორ წლამდე, ან ჯარიმის ოდენობას 70-დან 80 ლარამდე. თუ ამავე ქმედებას ჩაიდენს პირი, ვისაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ან სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა მოხდება ნასვამ, ნარკოტიკული ან ფსიქოტოქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ადმინისტრაციული სასჯელი ითვალისწინებს ერთიდან 2 წლამდე მართვის უფლების აკრძალვას ან ჯარიმას 110-დან 120 ლარამდე.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო

არსებობს თუ არა პროფესიულ ლიცეუმებში (ყოფილი პროფ. ტექნიკური სასწავლებლების) თანამდებობა დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში და თუ არსებობს, რომელი წლიდან? როგორც ცნობილია, პროფესიული განათლების დეპარტამენტში არ არსებობს აღმზრდელობითი განყოფილება.

ილია გეგენავა

დირექტორის მოადგილის შტატი პროფესიულ ლიციუმებში 5 წელია არ არსებობს და, შესაბამისად, დღესაც გაუქმებულია. ხსენებული შტატი არც ერთ დაწყებით პროფესიულ სასწავლებელში არ ფუნქციონირებს.

მზია კობახიძე, განათლების სამინისტროს ეკონომიკის, ინფორმაციისა და პროგნოზირების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი

ამბობენ, რომ XXI საუკუნე 2001 წლის 1 იანვარს იწყება, არადა, ვიცოდით, რომ თითოეული საუკუნე 100 წელს მოიცავს და, ამდენად, 2000 წლის 1 იანვარი უნდა იყოს ახალი საუკუნის დასაწყისი. იქნებ გვიპასუხოთ, რატომ აიარეს წელთაღრიცხვის ათვლა. ამით ხომ ერთ წელიწადს ვართმევთ XXI საუკუნეს?

ლევან გოგოლაძე, ახალციხის რაიონის სოფ. წნისი

XX საუკუნე 2001 წლის 1 იანვრიდან იწყება, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი წელი დაკლდება XX საუკუნეს. თქვენი მოსაზრება უფრო ისტორიკოსების თვალსაზრისს ეყრდნობა, რომლებიც 2000 წლის 1 იანვრით ათარიღებენ ახალი საუკუნის დადგომას. მათგან განსხვავებით, ასტრონომებისთვის ეს თარიღი 2001 წლის 1 იანვარია, რის საფუძველსაც გვაძლევს ის, რომ ნულოვანი წელი არ არსებობს. XXს-ის დასაწყისი და, შესაბამისად, 100 წლის გასვლა, ამ შემთხვევაში უნევს 2001 წლის 1 იანვარს (ამ საკითხს დაწვრილებით გაეცნობით. შ. საბაშვილის ნაშრომში, რომელიც ახლო მომავალში გამოვა).

შ. საბაშვილი, თსუ ასტრონომიის კათედრის გამგე

იანკი, გოუ ჰოუმ!

ევროპის კავშირმა 400 მლნ ევრო გამოყო ამერიკულ კინოსთან საბრძოლველად.

ევროკავშირის ქვეყნების კულტურის მინისტრებმა გადაწყვიტეს, შეავიწროონ ჰოლივუდი. ბრიუსელის შეხვედრაზე მიიღეს ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მიზანია, ევროპული კინოს კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გზას გადაუკეტავს ჰოლივუდის პროდუქციას.

თუ დროულად არ იზრუნეს, ევროპის კინემატოგრაფს დრამატული შედეგები ელოდება. ძვირად ღირებული პროგრამის მიღების ინიციატორია საფრანგეთი, რომელიც კარგა ხანია იბრძვის ინგლისურენოვანი ექსპანსიის, განსაკუთრებით კი, ამერიკული კულტურის წინააღმდეგ. პირველმა 310 მლნ ევროს ღირებულების პროგრამამ (1996-2000წ.წ.), ევროკავშირის ექსპერტების აზრით, კარგი შედეგი გამოიღო.

ევროპაში წელიწადში 100-120 ფილმს იღებენ. თითოეული ფილმის ბიუჯეტი დაახლოებით 10 მლნ ევროა. „ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი კინემატოგრაფს უყურებს არა როგორც გართობის ინდუსტრიას, არამედ როგორც კულტურული პოლიტიკის მთავარ ნაწილს, რომელიც ევროპეიზაციისკენ არის მიმართული და ეწინააღმდეგება ამერიკანიზმს“, — თქვა რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარემ.

სეგოდნია №264

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 10 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი		1,9850
გერმანული მარკა		0,8896
ინგლ. გირვანქა სტერლინგი		2.8671
ევრო		1,7400
რუსული რუბლი		0,0689
თურქული ლირა	(10.000)	0,0293

სწარმოებს მიღება კოსმეტიკის შემსწავლელ კურსებზე
დაჩქარებული მეთოდით.
თქვენ დაეუფლებით სახის კანის გაწმენდას, მასაჟს, ეპილაციას, სხვადასხვა კრემებს, ნიღბებს, რძეებს, ლოსიონებს და სხვა კოსმეტიკურ საშუალებებს. გაიცემა სერტიფიკატი.
მის: ნაძალადევი, ც. დადიანის 26, მ. „ვაგზლის მოედანი“.
ტ: 66-09-19; 66-53-56; 99-49-59

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.
გარანტია – 10 წელი

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 63-05-26; 99-86-09; 38-37-09; 877-43-85-69

პუტინმა რუსეთს ჰიმნი და წითელი დროშა დაუბრუნა

კრემლში თავმოყრილ დუმის ფრაქციათა ლიდერებს, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, პარლამენტის ორივე პალატის თავმჯდომარეებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავკაცს პუტინმა სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით „მოთათბირება“ შესთავაზა. თუმცა „მოსათათბირებელი“, ფაქტობრივად, აღარაფერი იყო. პრეზიდენტმა შეკრებილები ფაქტის წინაშე დააყენა — რუსეთი მესამე ათასწლეულში „ბოლშევიკური პარტიის მარშით“ შევა.



ახლანდელი გერბისა და დროშის შეცვლას კრემლი ჯერჯერობით არ აპირებს. საქმე მხოლოდ ჰიმნს ეხება. როგორც ჩანს, კომპოზიტორ გლინკას „პატრიოტული სიმღერა“ არასაკმარისად პატრიოტულია იმისათვის, რომ ქვეყნის ნაციონალურ სიმბოლოდ დარჩეს. კრემლს უფრო სტალინის პერიოდის ჰიმნი მოსწონს. იგი ქვეყნის ყოფილ ძლიერებას აგონებს. სწორედ ეს ჰიმნი შესთავაზეს დუმას დასამტკიცებლად. იმავდროულად გამოცხადდება კონკურსი ჰიმნის ტექსტზე. სიტყვების დამტკიცებას თავად პრეზიდენტი აპირებს პირადი ბრძანებულებით. სსრკ-ის ჰიმნთან ერთად პრეზიდენტი ქვეყანას წითელ დროშასაც უბრუნებს. ჯერჯერობით იგი შეიარაღებულ ძალთა დროშა იქნება.

„ჯერ ისევ ცოცხლები არიან ადამიანები, რომლებმაც იწვნიეს სტალინის ბანაკების საშინელება, მაგრამ ისინი ჩვენი ისტორიის მხოლოდ იმ პირქუშ მხარეს იხსენებენ, როცა ხელისუფლება ადამიანებს სასტიკად და უსამართლოდ ექცეოდა, მაგრამ მიღწევებიც ხომ გვქონდა?! ჩვენს ისტორიაში უკვე იყო დრო, როცა ყველაფერი თავიდან დავიწყეთ, ახლაც შეგვიძლია ასე მოვიქცეთ — შევქმნათ ახალი დროშა, ჰიმნი, გერბი. მაგრამ მოდით, ჩვენი ნიჭი და ენერგია ნგრევას კი არა, შენებას მოვახმაროთ“ — განაცხადა პუტინმა ხალხისადმი მიმართვაში.

კომსომოლსკაია პრავდა №226

ალბერტ გორმა წააგო?!

სასწაული არ მოხდა. დემოკრატთა კანდიდატმა ორი მარცხი განიცადა — ქვეყნის უმაღლეს და ფლორიდის საოლქო სასამართლოებში. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან თუ ფლორიდელი მოსამართლე ლეონ სანდერს სოლისი, დემოკრატიული პარტიის წევრი, 14 ათასი საეჭვო ბიულეტენის ხელახლა დათვლას დაადგენდა, ნამდვილი დრამა დაიწყებოდა. გორის აზრით, ეს მას გამარჯვებას მოუტანდა. მოსამართლემ კი ფლეგმატურად ჩაიკითხა გადაწყვეტილება, რომელმაც არც ერთ პუნქტში არ მოუტანა დემოკრატებს გამარჯვება.

ვაშინგტონში ამბობენ, რომ გორი უკვე შეეგუა დამარცხებას და მისი სწრაფვა, იბრძოლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, იმითაა განპირობებული, რომ დარჩეს დემოკრატთა პარტიის ლიდერთა შორის. მას შეუძლია კვლავ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა 4 წლის შემდეგ, მაგრამ მაშინ შესაძლოა სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდეს ქვეყნის ახლანდელი პირველი ლედის და სენატორის, ჰილარი კლინტონის სახით.

ცნობილი გახდა, რომ კანდიდატთა შორის გაუთავებელ დავას შესაძლოა წერტილი დაუსვას ფლორიდის უმაღლესმა სასამართლომ. ახლა იქ იხილავენ დემოკრატთა კანდიდატის აპელაციას, რომელიც მოითხოვს უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას.

ამავე დროს ფლორდის შტატის საოლქო სასამართლო აგრძელებს ორი განჩინების განხილვას. დემოკრატებს საეჭვოდ მიაჩნიათ 25 ათასი ბიულეტენის კანონიერება სემინოლასა და მარტინის ოლქებში.

რუსული პრესის მიხედვით

გენსაკუთრებით საშიში ოლიგარქი

ინფორმაცია გუსინსკის საერთაშორისო ძებნის შესახებ გენპროკურატურამ იმავე გზით გაავრცელა, როგორითაც მაშინ, როცა მაგნატი დაახლოებით ერთი თვის წინ პირველად გამოიძახეს დაკითხვაზე. გენპროკურატურაში მიიწვიეს კორესპონდენტები, რომლებმაც მთელ მსოფლიოს აცნობეს, რომ გუსინსკის ინტერპოლი ეძებს. საკვირველი ის არის, რომ ჟურნალისტებს ეს აცნობეს რამდენიმე კვირის დაგვიანებით, ოფიციალურად ოლიგარქი გუსინსკი 20 ნოემბრიდან იძებნება, მას შემდეგ, რაც იგი დაკითხვაზე არ გამოცხადდა.

გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ ვ. ნიკოლაევის თქმით, მას ბრალად ედება თაღლითობა კრედიტების აღების დროს.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ინტერპოლი ძებნას იწყებს მაშინ, როცა საამისო საფუძველი არსებობს. „მედია-მოსტში“ დარწმუნებულები არიან, რომ გენპროკურატურას გუსინსკის მიმართ ეს საფუძველი არ გააჩნია. ჰოლდინგის პრესსამსახურის უფროსის დ. ოსტალსკის თქმით, დასავლეთში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს შეთითხნილი ბრალდებაა და არც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო გუსინსკის არ გასცემს. რამდენიმე დღის წინ, გუსინსკი ესპანეთში იმყოფებოდა, მას ხშირად აქვს საქმიანი ვიზიტები დიდ ბრიტანეთში, გიბრალტარსა და ისრაელში. სხვათა შორის, მას ისრაელის პასპორტი აქვს, იქ კი, ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ განიხილება თავის მოქალაქეთა გადაცემის საკითხი.

კომერსანტი №223

ბულგარეთი შემოიღებს ვიზებს რუსების, უკრაინელების, ქართველებისა და ტუნისელებისათვის

იმასთან დაკავშირებით, რომ ბულგარეთი ევროკავშირში შესვლის კანდიდატია, ევროკავშირის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბულგარეთის მოქალაქეების მიმართ სავიზო მოთხოვნების შერბილების თაობაზე. სოფიაში ამ გადაწყვეტილებამ დიდი სიხარული გამოიწვია, პრემიერმა ივან კოსტოვმა გამოაცხადა — ბულგარეთი შენგენის შეთანხმების ზონაში მომავალი წლის მაისიდან შევაო.

შენგენის შეთანხმება ითვალისწინებს შეთანხმებაზე ხელმომწერი ქვეყნების მოქალაქეთა უვიზო გადაადგილებას ერთმანეთს შორის, ამავე დროს სავიზო რეჟიმის გამკაცრებას იმ ქვეყნებთან, რომლებიც შენგენის ზონაში არ შედიან. ევროკავშირში არსებობს იმ ქვეყნების შავი სია, რომელთა მოქალაქეების მიმართ განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს შეზღუდვა. იმ სახელმწიფოთაგან, რომელთანაც ბულგარეთს დღემდე უვიზო რეჟიმი აქვს, ამ სიაში შედის რუსეთი, უკრაინა, საქართველო (დსთ-ის დანარჩენ სახელმწიფოებთან ბულგარეთმა სავიზო რეჟიმი 1999 წლის 1 იანვრიდან შემოიღო), იუგოსლავია, მაკედონია, ტუნისი.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნადეჟდა მიხაილოვამ განაცხადა, რომ სავიზო რეჟიმს შემოიღებს რუსეთის, უკრაინის, საქართველოსა და ტუნისის მიმართ. ამისთვის მხოლოდ მინისტრის განცხადება საკმარისი არ არის, თუმცა ისიც ცხადია, რომ იგი არ გამოსულა პირადი ინიციატივით. არსებული შეთანხმების თანახმად, სავიზო რეჟიმიდან გამოსვლა მხარეებმა ერთმანეთს ნახევარი წლით ადრე უნდა აცნობონ. ბულგარეთის მხრიდან ასეთი შეტყობინება ამ ქვეყნებს ჯერ არ მიუღიათ.

კომსომოლსკაია პრავდა №226



ახალი მეთაურები

ბერლინში გაიმართა შვეიცარიის პრეზიდენტის არჩევნები. ამერიკელებისგან განსხვავებით, შვეიცარიელებმა თავიანთი ლიდერი ორი პალატის სხდომაზე აირჩიეს. არჩევნების შედეგები ადრევე იყო ცნობილი. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტს ფედერალური საბჭოს (მთავრობის) 7 წევრიდან ირჩევენ. ტრადიციის თანახმად, პრეზიდენტი 1 წლით ხდება ფედერალური მრჩეველი, რომელიც მანამდე, წლის მანძილზე, ვიცე-პრეზიდენტი იყო. შვეიცარიის პრეზიდენტი 2001 წლის მანძილზე იქნება მორიც ლეენბერგერი. სახელმწიფოს მეთაურად ყოფნისას იგი იმავდროულად შეასრულებს გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის მინისტრის ფუნქციებს. არჩევნების შედეგები ალბათ, დიდ გავლენას ვერ მოახდენს შვეიცარიის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე. რესპუბლიკა კონფედერაციას წარმოადგენს, ამიტომ რეალურ პოლიტიკას თითოეული კანტონი ცალ-ცალკე ახორციელებს.

კანადის ლიბერალურმა პარტიამ, პრემიერ-მინისტრ ჟან კრეტიენის მეთაურობით, გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში, თანაც მესამედ. ლიბერალთა წარმატება აიხსნება მათ მიერ არჩეული ტაქტიკით — კრეტიენის განკარგულებით, არჩევნები ვადამდე ორი წლით ადრე გაიმართა და ოპოზიციამ მომზადება ვერ მოასწრო. გალიფაქსში სიებში შეტანილი არ იყო 9 ათასზე მეტი ამომრჩეველი, მონრეალში კი საარჩევნო კომისიის თანამშრომლები სამუშაოზეც არ გამოცხადდნენ.

შირაკის თანაშემწე უკვე დაპკითხეს

საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილი 18 თვე საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სკანდალურ ხასიათს იძენს. საკითხი, დაჰკითხავენ თუ არა ქვეყნის პრეზიდენტს პარტიის ფულთან დაკავშირებით, აქტუალობას არ კარგავს, რადგან ციხეში უკვე დაჰკითხეს შირაკის ყოფილი თანაშემწე მიშელ რუსენი. მას ბრალად ედება, თითქოს შირაკის მარჯვენა ხელად ყოფნის დროს ფირმებიდან აგროვებდა „საკომისიოს“ (ფირმები სანაცვლოდ პრივილეგიას ღებულობდნენ). ამ თანხამ 1989-96 წლებში 600 მლნ ფრანკი შეადგინა და იგი საწარმოებისგან „ნებაყოფლობითი“ შემოწირულობის სახით პარტიის დაფინანსებას მოხმარდა.

საინტერესოა, რომ ამ „ნებაყოფლობითი“ შემოწირულობების მიღებაში ადანაშაულებენ არა მარტო პრეზიდენტის პარტიას, ე.ი. რესპუბლიკურს, არამედ კომუნისტურსაც და სოციალისტურსაც, რომელსაც დღევანდელი პრემიერი ლიონელ ჟოსპენი ხელმძღვანელობს. სკანდალში, ფაქტობრივად, ჩათრეულია ყველა ძირითადი პარტია „მწვანეთა“ გარდა. სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ „საკომისიოს“ ნაწილი, შემოწირულობის სახით, მასაც შეხვდა, კომუნისტები კი, როგორც ყოველთვის, არაფერში არ ტყდებიან, თუმცა ჩვენების მიცემა არც მათ ასცდებათ.

საზოგადოებას ყველაზე მეტად მაინც ის აინტერესებს, გამოიძახებენ თუ არა შირაკს? კონსტიტუციის თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ მოქმედებაზე, თუ ღალატი არ არის სახელმწიფოებრივ ღალატზე. თუ პრეზიდენტი ფიგურირებს თანამდებობის დაკავებამდე ჩადენილ რომელიმე კრიმინალურ საქმეში, მისი სამართლებრივი დევნა წყდება საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე. თუ პრეზიდენტს სასამართლოში მოწმედ გამოიძახებენ (კანონის თანახმად, ეს შესაძლებელია) და იგი არ გამოცხადდება, ხელმეორედ მისი გამოძახება მხოლოდ გადადგომის შემდეგაა შესაძლებელი.

პარტიის ჭუჭყიან ფულთან დაკავშირებული სკანდალი პირველი არ არის შირაკისათვის და, როგორც ამბობენ, არც უკანასკნელი.

სეგოდნია №229

არაფატმა იარაღს მოჰკიდა ხელი

პალესტინელი ლიდერი იასირ არაფატი ხალხში ხელის ტყვიამფრქვევით გამოჩნდა. ხელში იარაღის აღება არაფატს აიძულეს ებრაელებმა, რომლებმაც გზა გადაუკეტეს და ქვებით დაემუქრნენ. თუმცა, არასასურველი შეხვედრა არაფატისთვის ფორმალური მიზეზი იყო კამერების წინ პირადი იარაღის სადემონსტრაციოდ. პალესტინელი ხელმძღვანელები ერთთავად იმეორებენ — ახლანდელი ამბოხი ხალხის ნებაა, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგებაო. რაკი პალესტინელები იდეისათვის თავს არ ზოგავენ, არაფატიც არ უნდა ჩამორჩეს მათ. ადრე პალესტინელ ლიდერს „პალესტინელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლად“ ან „არაბ ტერორისტად“ აღიქვამდნენ. 1990-იანი წლებიდან კი იგი გამოცდილ პოლიტიკოსად იქცა. დღეს მას ხელში ისევ იარაღი უჭირავს და მზადაა, პალესტინელებთან ერთად ავიდეს ბარიკადებზე.

ასეთი ეფექტური ჟესტის შემდეგ მოსალოდნელია პალესტინელთა შორის არაფატის პოპულარობის ზრდა, სამაგიეროდ, მცირდება არაბებსა და ებრაელებს შორის მშვიდობის დამყარების შანსი. პალესტინელთა პოლიცია დიდი ხანია ტყვიას უშენს ისრაელელებს. როგორც კი ისრაელელებს არაფატი მიუშვერს იარაღს, თუნდაც მარტო კამერების წინ, მშვიდობის დამყარების იმედი საბოლოოდ დასამარდება. „ტერიტორიებზე“ კი არეულობა გრძელდება. სროლის ხმა ისმის მდინარე იორდანეს ნაპირზე და ღაზას სექტორში.

გაეროს მონაცემებით, ორ თვეში ისრაელის და პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე 310-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

იზვესტია №229

დალაი-ლამა მზადაა, ტიბეტი ჩინეთს დაუტოვოს



ტიბეტის სულიერმა ლიდერმა დალაი-ლამამ განაცხადა, რომ სურს აღადგინოს არაოფიციალური კონტაქტები ჩინეთის მთავრობასთან. ამ მიზნით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა დალაი-ლამას უფროსი ძმა ფუნდუპი, რომელმაც ჩინეთს გადასცა თხოვნა — ნება დართონ, რომ „ფაქტების შესაგროვებლად“ ტიბეტსა და პეკინში გაგზავნოს ოფიციალური დელეგაცია. ეს ფაქტი სენსაციურად შეფასდა. დალაი-ლამასა და ჩინეთის ხელმძღვანელობას შორის არაოფიციალური კონტაქტები 1998 წელს შეწყდა, ოფიციალური კი უფრო ადრე, 90-იანი წლების დასაწყისში, — მაშინ, როდესაც დალაი-ლამამ ნობელის პრემია მიიღო ტიბეტის დამოუკიდებლობისათვის არაძალისმიერი მეთოდებით ბრძოლისათვის (ტიბეტი ჩინეთის არმიამ 50-იან წლებში ჩინეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას მიუერთა).

დალაი-ლამამ ბრძოლა 1959 წელს დაიწყო, როცა ინდოეთში გაიქცა და დხარამსალაში დასახლდა. პეკინი თვალს ადევნებდა მის საერთაშორისო კავშირებს და უკმაყოფილებას გამოთქვამდა, როცა საზღვარგარეთ მას ოფიციალურ მიღებებს უწყობდნენ.

განდევნილმა ტიბეტელმა სულიერმა ლიდერებმა ამას წინათ დხარამსალაში დალაი-ლამას აღსაყდრების 50 წლისთავი აღნიშნეს. თავისი იუბილესათვის დალაი-ლამამ მნიშვნელოვნად შეარბილა პოზიცია ტიბეტის მიმართ; ახლა ის ჩინეთს დამოუკიდებლობას კი აღარ სთხოვს, არამედ ტიბეტის ავტონომიას ჩინეთის შემადგენლობაში და ტიბეტის კულტურის შენარჩუნებას.

ჩინეთის ხელისუფლების პოზიცია დალაი-ლამას მიმართ გამოხატა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა ჩუან ციუემ. მან განაცხადა: „დალაი-ლამამ უარი უნდა თქვას ტიბეტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, აღიაროს, რომ ტიბეტი ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია, კომუნისტური მთავრობა კი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი მთავრობა“.

იზვესტია №227

მოკლედ

კენიაში ინგლისელმა და ამერიკელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი ადამიანის ნეშტის ნარჩენები. ნაპოვნი თითქმის 6 მილიონი წლისაა, მეცნიერებმა მას „მილენიუმ მენ“ — ათასწლეულის ადამიანი უწოდეს. იქვე იპოვეს ადამიანის მსგავსი 4 არსების ძვლების ფრაგმენტებიც.

თურქმენეთში, ნებიტ-დაღას რაიონში, 8 ბალიანი მიწისძვრა მოხდა. დედამიწის რხევა იგრძნობოდა რუსეთის ბევრ რაიონში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში.

რუსეთის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 20 წლიანი სასჯელის მოხდა მიესაჯა ამერიკელ მოქალაქეს ედმონდ პოუპს, რომელსაც აშშ-ის სამხედრო დაზვერვის სასარგებლოდ შპიონაჟში ედება ბრალი.

ბრიტანეთის საინფორმაციო ჯგუფის „რეიტერის“ უფროს აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა 41 წლის თომას გლოსერი. იგი პირველი ამერიკელია, თანაც პირველი არაჟურნალისტი, რომელიც უხელმძღვანელებს ამ უძველეს და უმსხვილეს საინფორმაციო გიგანტს მისი არსებობის 150 წლიან ისტორიაში.

ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲡ

შვედმა მეცნიერებმა კომპიუტერს კიდევ ერთი ნეგატიური თვისება აღმოუჩინეს. მონიტორის პლასტმასის კორპუსი თურმე ძალზე მავნებელ ნივთიერებას — ტრიფენილფოსფატს გამოყოფს, რომელიც სხვადასხვა ალერგიულ რეაქციას იწვევს (კონტაქტური დერმატიტი, თავის ტკივილები). კომპიუტერებით სავსე ოფისებში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევს: აქ, გარდა სპეციფიკური სურნელებისა, თავისებური აურაცაა, რასაც ბევრი ელექტრომაგნიტურ ფონს უკავშირებს — ამ ატმოსფეროს გადატანა ყველას არ შეუძლია. ჯერ-ჯერობით, „ელექტრონული მეგობრის“ ეფექტი ექიმებისთვის გაუგებარია. ამჟამად მიმდინარეობს ალერგენებზე მონიტორის ზეგავლენის შესწავლა. საინტერესოა, რომ ტრიფენილფოსფატის დონე ჰაერში ათჯერ მეტია მონიტორის გამორთვიდან 180 საათის შემდეგაც. თვით ეს ნივთიერება ფოსფოროგენულ შენაერთთა კლასს განეკუთვნება, რომელიც იმდენად შხამიანია, რომ ქიმიური იარაღის დასამზადებლად და სოფლის მეურნეობაში მავნე მწერების გასანადგურებლად იყენებენ. ტრიფენილფოსფატის ჭარბ კონცენტრაციას შეუძლია სისხლში ფერმენტების ბლოკირება და კუნთების პარალიზება გამოიწვიოს. ამ ნივთიერების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად განიავდეს ოთახი.

იზვესტია №228

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲗ...

რა უნდა აკეთოთ:

1. რეგულარულად შეასრულეთ დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, ყოველდღიურად იარეთ ფეხით 2-4 კმ სუფთა ჰაერზე;

2. ისწავლეთ ცხოვრებისეული სტრესების იოლად გადატანა, უმნიშვნელო ამბებზე არასოდეს აიშაღლოთ ნერვები, ნებისმიერი თავისუფალი წუთი დასვენებისათვის მოიხმარეთ. დღე-ღამის განმავლობაში იძინეთ 8-9 საათი;

3. თქვენი საკვების რაციონი დიდი რაოდენობით უნდა შეიცავდეს ხილსა და ბოსტნეულს. გაზაფხულობით და შემოდგომით ჩაიტარეთ ვიტამინოთერაპიის კურსი;

4. იყავით კომუნიკაბელური და ეცადეთ, გყავდეთ ბევრი მეგობარი;

5. გიყვარდეთ სუფთა ჰაერი;

6. დროდადრო მიირთვით 1 ჭიქა სუფთა, კარგი ღვინო;

7. დაიცავით კვების ნორმები, სისტემატურად აკონტროლეთ საკუთარი წონა;

8. დღე-ღამის განმავლობაში მიიღეთ 1-1,5 ლ სითხე;

9. საქმიანობაში რეგულარულად დაიცავით რითმულობა, შრომისა და დასვენების რეჟიმი.

რა არ უნდა აკეთოთ:

1. გათავისუფლდით ყველა მავნე ჩვევისაგან, თუ ასეთი გახასიათებთ (თამბაქო, ლოთობა, აზარტული თამაშები...);

2. ნებისმიერ დისკომფორტს ნუ გამოუცხადებთ ბრძოლას წამლის საშუალებით, ეცადეთ მას სძლიოთ შინაგანი ძალებით;

3. დიდ დროს ნუ გაატარებთ თბილ შენობაში;

4. დიდ კოლექტივს არჩიეთ შედარებით პატარა კოლექტივში მუშაობა;

5. ერიდეთ მძიმე, ნერვული დაძაბულობის თანმხლებ სამუშაოს.

აღნიშნული წესების დაცვით განიმტკიცებთ ჯანმრთელობას და აირიდებთ ავადმყოფობას.

შედგენილია გრიგოლ შვანგირაძის მიერ, გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (10-16 ივლისი, 2000 წ.) გამოქვეყნებული ტესტების — „შეიცანით თქვენი იმუნიტეტის ძალა“ — მიხედვით.

გამოყენებულია აგრეთვე პროფესორ ბორის ყურაშვილის ნაშრომი „დღეგრძელობის ფენომენის ბიოლოგიური საფუძვლები“.

ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲔᲠᲢᲔᲑᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡᲢᲘ, ᲛᲐᲜᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲔᲕᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲣᲠᲗᲣᲑᲐᲫᲔ

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

100%-ᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ

ქალებს, რომელთაც აწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) შეუძლიათ განიკურნონ ერთი ამოღებით თითოეულ თმაგე.

ვინაიდან ერთ მომენტად შეუძლებელია, რაც კი სახეზეა ყველა თმის დამუშავება, მკურნალობის პერიოდი დაყოფილია 10 სეანსად, რომლის განმავლობაშიც ეტაპობრივად ხდება სრული წმენდა, უხეში თმით დაწყებული ბუსუსით დამთავრებული. შესაბამისად სრული განკურნების დრო მოიცავს 10 თვეს. მთლიანი კურსის გავლის შემდეგ, სამუდამოდ დაგწვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. (ანაგზაურება - 1 სთ. - 20$.)

მის: ზეიმ ვერა, სეფასგოპოლის ქ. კორპ. 6 სად. II სართ. 9

☎ 29-42-58; 899-50-62-42

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.

მის: ვაქა-ფუფაველას გამზ. №19, რეაბილიტაციის ცენტრი, მე-6 სართ, ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი ზურაბ საჩიავილი

☎ 39-01-12 (საპს.) 10-15სთ. 39-58-77 (ბინა)

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲘᲡ

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევრობის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:

„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.

2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲡ

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ჰერპესული გამონაყარის წარმოშობის მიზეზებისა და შემდგომი შედეგების შესახებ.

ლელა ნიტაიშვილი

„ᲜᲐᲗᲘᲡᲒᲣᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲜᲐᲗᲚᲣᲚᲘ ᲰᲔᲠᲞᲔᲡᲘ

ჰერპესული გამონაყარი — მცირე ზომის, გამჭვირვალე სითხის შემცველი ბუშტუკებია, რომლებიც ძირითადად ცხვირისა და ტუჩის მიდამოებში ფიქსირდება. გამონაყარი მწვავე რესპირატორული ინფექციების, გაცივების, გრიპის, ფილტვების ანთების, ქალებში — მენსტრუაციული ციკლის დაწყების პერიოდში აღირიცხება. აღნიშნული გამონაყარის მიზეზი ორგანიზმში „ჩაბუდებული“ ჰერპეს-ინფექციაა. გამომწვევი — ჰერპეს-ვირუსი ნერვული სისტემის კვანძებში — განგლიებშია „ჩასკუპებული“ და ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე ნერვული ღეროების გავლით, თავს სხეულის ზედაპირის ნებისმიერ მონაკვეთზე იჩენს.

განარჩევენ 5 ტიპის ჰერპესს. აქედან 1 ტიპი — ტუჩისა და ცხვირის მიდამოში გაჩენილი ბუშტუკოვანი გამონაყარით გამოვლინდება. მე-2 ტიპი — ე.წ. გენიტალიური ანუ სასქესო ორგანოების ჰერპესია, მე-3 ტიპი კი ე.წ. ჰერპეს-ზოსტერი, რომელიც სხეულზე ნეკნების ნერვების გაყოლებაზე მრავლობითი ბუშტუკოვანი გამონაყარის, მწვავე, ძლიერი ტკივილების თანმხლებ პათოლოგიას განაპირობებს. ასე რომ, ჰერპეს-ინფექციასთან ხუმრობას სულაც არ გირჩევდით! როგორც ამბობენ, ამჟამად ჰერპესი ძლიერ გავრცელებულ პათოლოგიათა რიცხვს მიეკუთვნება. თავად განსაზღვრეთ, ჰერპესის წინააღმდეგ ორგანიზმის მიერ გამომუშავებული „საბრძოლო იარაღით“ — ანტისხეულებით თუ ვიმსჯელებთ, ის ადამიანთა მოდგმის 80-90%-ს აღენიშნება. ჰერპესული ინფექცია ლატენტური მიმდინარეობითა და რეციდივებით ხასიათდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ის „საკუთარ სამფლობელოში“ — ნერვულ განლაგებაში „მშვიდად“ მოთავსებული, შესაფერის მომენტს ელოდება, რათა საკუთარი თავი მნიშვნელოვნად „წარმოაჩინოს“ (რეციდივი). ასეთი სიტუაციები ორგანიზმში იმუნოდეფიციტის პირობებში იქმნება. ამიტომაც არის, რომ უახლესი მონაცემებით, მისი ხშირი გამოვლინებები შიდსისა და ავთვისებიანი სიმსივნეების დროს ფიქსირდება.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ჰერპესული გამონაყარი აღენიშნება, სიმსივნე ემუქრება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰერპესი ანალური ინფექციების, გრიპის, გაცივების, მზით გადახურების თანმხლები მოვლენაც გახლავთ. გამონაყარის განვითარების სიხშირე ძალზე ინდივიდუალურია. ზოგს ის წელიწადში 1-2-ჯერ, ზოგიერთს კი 10-12 და მეტჯერაც აღენიშნება. არსებობენ ადამიანები, რომელთაც გამონაყარი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ჰქონიათ. უმეტესობა კი გამონაყარს არაფრად მიიჩნევს და „ნათაგურის“ სახელით ნათლავს.

ᲰᲔᲠᲞᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲚᲔᲑᲝᲓ! ტუჩებსა და ცხვირის მიდამოში წარმოქმნილი ბუშტუკები მღრღნელების „საჩუქარი“ კი არა, ჰერპესული ინფექციების „ნობათია“.

ჰერპესული გამონაყარი სასქესო ორგანოებზეც აღინიშნება. იგი შესაძლოა უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს, ამასობაში კი მამაკაცებში შარდ-სასქესო ტრაქტის, ხოლო ქალებში — საშვილოსნოს ყელის დაზიანება ვითარდება. გამონაყარის მანიფესტირების შემთხვევაში, ადგილობრივად აღინიშნება წვა, ტკივილი, რეციდივის დროს — სისუსტე, შემცივნება, სუმფუბლური ტემპერატურა (37,1⁰— 37,4⁰). შესაძლოა ურეთრიტის, ცისტიტის განვითარებაც.

გავრცელების გზები. ინფექციის წყარო პათოლოგიის სხვადასხვა ფორმით შეპყრობილი ადამიანია. ვირუსის მატარებლობა, როგორც აღვნიშნე, ძალზე გავრცელებულია. ვირუსი გადაეცემა კონტაქტური გზით — მას შეიცავს ნერწყვი და სხვა გამონაყოფები, მაშინაც კი, როდესაც პათოლოგია მანიფესტირებული არც კი არის. ინფიცირება ხდება ჭურჭლით, პირსახოცით, სათამაშოს გზითაც კი. შესაძლოა ოფთალმოლოგიური და სტომატოლოგიური მანიპულაციების შესრულების პერიოდშიც (თუკი ხელსაწყოები არასტერილურია). ჰაერ-წვეთოვანი — მაშინ, როდესაც ჰერპეს-ინფექცია მწვავე რესპირატორული დაავადების სახით მიმდინარეობს. ხველებისა და დაცემინების დროს ის მიკრონწვეთების სახით ჰაერში იფანტება, განსაკუთრებით მგრძნობიარენი ბავშვები (6-თვიდან 3 წლამდე) არიან. და ბოლოს, ჰერპეს-ვირუსის გავრცელება სქესობრივი გზით.

გაითვალისწინეთ! ჰერპეს-ინფექციის დროს რისკ-ჯგუფები ისეთივეა, როგორიც B ჰეპატიტისა და შიდსისა: ჰომოსექსუალისტები, მეძავები, შემთხვევითი სქესობრივი კავშირები. ვირუსი დედან ბავშვსაც გადაეცემა. ძალზე ხშირად ეს კონტაქტური გზით — მშობიარობის დროს „ხერხდება“. ინფექცია შესაძლოა პლაცენტის გავლითაც გადავიდეს. შეღწევის გზა კანი და ლორწოვანი გარსია. ამასთან, გახსოვდეთ, ვირუსი ორგანიზმში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცოცხლობს! განსაკუთრებული ფორმაა თანდაყოლილი ჰერპესი, რასაც ნაყოფში პათოლოგიური ცვლილებები, დღენაკლული ნაყოფის დაბადება, თავის ტვინის პათოლოგია და ზოგჯერ, მკვდრადშობადობაც მოჰყვება თან.



დიაგნოსტიკა: ბუშტუკოვანი გამონაყარი, რომელსაც წინ უსწრებს კანის სიწითლე და შეშუპება, ქავილი, წვა, ტკივილის გრძნობა ჰერპესული გამონაყარისთვის არ არის დამახასიათებელი. ლოკალიზაცია ვარიაბელურია — ცხვირ-ტუჩის გარდა — სხეული, დუნდულები, კიდურები. ლაბორატორიული გამოკვლევა — ჰერპესის საწინააღმდეგო ე.წ. G (ჯი) ანტისხეულების განსაზღვრა და ტიტრის შეფასება.

მკურნალობა: მრავალეტაპიანი. ის უნდა ჩატარდეს როგორც რეციდივების, ასევე, მათ შორის პერიოდებშიც. **I ეტაპი** — ადგილობრივი გამოვლინებების სწრაფი ლიკვიდირება. ამისთვის საუკეთესოა — წვის შეგრძნების აღმოცენებისას ადგილობრივად —ზოვირაქსის მალამოს გამოყენება. გაითვალისწინეთ! კორტიკოსტეროიდებზე დამზადებული მალამოები (პრედნიზოლონი, ჰიდროკორტიზონი) არაეფექტურია. მალამოს გარდა მოწოდებულია პერორალური აბები — აციკლოვირის (ზოვირაქსის) 5-10 დღე, აგრეთვე იმუნომოდულატორები — თიმალინი, პლაფერონი.

II ეტაპი. მწვავე პროცესის ჩაქრობის დროს მკურნალობის რეციდივის საწინააღმდეგო ეტაპი — ადაპტოგენების — ელეუტეროკოკისა და სხვების მიღება.

მკურნალობის მიზანია რეციდივების სიხშირისა და გამოვლინების შემცირება.

მაია მუხიგული

MEDI

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲛᲔᲓᲘ

ᲚᲐᲖᲔᲠᲣᲚᲘ ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲐ

- ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ
- ᲩᲮᲕᲚᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ
- ᲣᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲝᲓ
- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ
- ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲗ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡ ᲚᲐᲖᲔᲠᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲗ

Ი.ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. N70 25-02-02 22-50-43

ᲮᲕᲠᲘᲜᲕᲘᲡ ᲒᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲗ!

ᲒᲣᲓ ᲦᲐᲗ ᲡᲗᲝᲤ ᲡᲜᲝᲠᲘ — GOOD NIGHT STOP SNORE



გაღვიძებისთანავე ხშირად ვგრძნობთ ყელის სიმშრალეს, უხასიათობას, შეშუპებას, დაღლილობას, შრომის უნარის დაქვეითებას და აზრადაც არ მოგვდის, რომ შეიძლება ამის მიზეზი ვითომდა „უწყინარი“ ხვრინვა იყოს. თანამედროვე მედიცინის ექსპერტების სერიოზული კვლევების საფუძველზე დამტკიცდა, რომ ხვრინვა, რომელიც წარმოქმნის ჟანგბადის უკმარისობას, ჯანმრთელობისთვის ფრიად საშიში პრობლემაა, რაც უსათუოდ იწვევს საკმაოდ სერიოზულ დაავადებებს, როგორიცაა გულის შეტევა, წნევა, დამბლა, ნევროზების რთული ფორმები და სხვა. ხვრინვასთან დაკავშირებულ პრობლემებს თქვენ წარმატებით მოგიხსნით შვეიცარიულ-ინგლისური კომპანია „სვისჰელსის“ მიერ შექმნილი უაღრესად ეფექტური და პოპულარული მთელ მსოფლიოში, ხვრინვის საწინააღმდეგო საშუალება „გუდნაით სთოფ სნორი“, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურად ნატურალური, უნიკალური ეთერზეთების ნაერთს; იგი მაქსიმალურად წმინდავს ცხვირ-ხახის სინუსებს და ბრონქებს, ამაგრებს მათ კუნთებს. „გუდნაით სთოფ სნორი“ გარდა ხვრინვისა, წარმატებით გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური საშუალება ცხვირ-ხახის არეში ჩირქოვანი წარმონაქმნებისა და ღრძილების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის.

ᲒᲣᲓᲜᲐᲘᲗ ᲡᲗᲝᲤ ᲡᲜᲝᲠᲘ — ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲫᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ!
ᲛᲝᲘᲫᲘᲗᲮᲔᲗ ᲡᲐᲐᲤᲗᲘᲐᲥᲝ ᲒᲐᲖᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲔᲑᲨᲘ.

„ᲡᲕᲘᲡᲰᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲘᲣᲢᲝᲠᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ „ᲤᲚᲝᲠᲔᲖᲘ“ Ტ: 99-87-37

აფრენა და დაფრენა

გოდერძი ჩოხელი

ერთი პატარა, ხელისგულისოდენა სოფელიღა დარჩა სოფელი ჩოხი, ერთ დროს მდიდარი სახნავ-სათესით, ცხვრითა და ძროხით, სოფელში მომსვლელი სტუმრით, ქორწილებით, ხატობებით და რაც მთავარია ქალით და კაცით, ბალღებითა და მოხუცებით, სოფლის ხეხილზე შემომსხდარი ნაირ-ნაირი მოჟღურტულე ფრინველებით.

ეხლა კი, რო იტყვიან რამოდენიმე მოხუციღა ეყუდება ერთიმეორეს, რომ ქვენამთიდან ჩამონაბერმა ნიავმა არ წააქციოს. ოდესღაც მოწაფეებით გადაჭედილ სოფლის ორსართულიან სკოლის შენობაში ორი-სამი მოსწავლეღა ზის და იმათაც ზამთრის სუსხით გაყინულ საკლასო ოთახში ცინგლი ჩამოსდით, რაკი შეშის მომტანი აღარავინაა, რომ ღუმელი გაათბონ. ადრე კი სოფელს საკუთარი ელექტროსადგურიც ჰქონდა არაგვის წყალზე, აბანოც, კლუბიც, უამრავი წიგნებით გამოტენილი სამკითხველოც, სადაც თუ გინდა სერვანტესის „დონკიხოტს“ წაიკითხავდი და თუნდა რევაზ ინანიშვილის „ცეტებს“.

ვკითხულობდით და მართლა ცეტებივით ვიცინოდით.

ვიცინოდით და სიცილი ზამთრის სიცივესაც კი გვითბობდა.

მერე საიდანღაც ტარტაროზების მაცილები შემოესივნენ საქართველოს და ნახევარი საქართველო აჰყარეს მამაპაპათა მიწიდან.

ჩოხშიც ჩამოინგრა სახლები და კედლებს შორის ბებრის კბილებივით ამოშვერილი გულთაბოძები, ჩამქრალ სანთლებივით შეჰღაღადებენ ზეცას.

სოფელში კი სიღარიბე გამეფდა.

დაიკარგა ცხოვრების უღური.

გამწარებული დადის გამიხარდაი და ვინც კი შეხვდება, ყველას სოფლისა და ქვეყნის გაჭირვებაზე ელაპარაკება, თან ისეთი განცდით ლაპარაკობს ქვეყნის წახდენასა და წამხდენლებზე, ღონე ელევა და მუშაობის თავი აღარა აქვს. სერსო კი ხმას არ იღებს, ნერვებს უფრთხილდება, გამარჯვება რომ უთხრა, მარტო თავს დაგიკრავს, არც ღონე ელევა და ფრინველივით დაფრინავს აქეთ-იქით.

— რაც არის, ეგ არის, — ამბობს სერსო.

— როგორ, კაცო, რას ჰქვია, რაც არის, ეგ არის, — ბრაზობს გამიხარდაი, — ვერა ხედავ, ქვეყანა წახდა, ნირი შაიცვალა.

— ეგ რა ჩემი სადარდებელია, — მშვიდად პასუხობს სერსო.

— აბა, მაშ რა არის შენი სადარდებელი?!

— ისა სჯობია ლაპარაკით არ გამოიღიო ძალ-ღონე და იმუშაო რო ცოლ-შვილი მშიერი არ ატანტალო, — უთხრა სერსომ და კი არ წავიდა, გაფრინდა.

— ეე! ეეე! მაშ ჩემი ცოლ-შვილი მშიერი დატანტალებს და მე კი ქვეყნის ავ-კარგზე ტყუილად ვრატრატებ, ტყუილად ვიცლი ჯანღონესა? ვაი, შენ გამიხარდასა! მოგიკვდათ მამა, შვილებო! ეს რა ცეტობა მიკეთებია ჩემი რატრატითა? ხმასაც აღარ ამოვიღებ, კრინტსაც არ დავძრავ. თუ სერსოს არ აწუხებს ქვეყნის ავ-კარგი, მე რითიღა ვჯობივარ სერსოსა, ჰა?! — დანანებით თქვა გამიხარდამ და გაჩუმდა.

საღამოს ცოლ-შვილსაც კი არ დაელაპარაკა.

არც მეორე დღეს გაუცია თანასოფლელებისათვის ხმა. გამარჯვებას თუ ვინმე ეტყოდა, ისიც მარტო თავს დაუკრავდა სერსოსავით.

ხან ვინ ჩამოუგდებდა ქვეყნის გაჭირვებაზე ლაპარაკს და ხან ვინ, გამიხარდაი ხმას არ სცემდა.

— რა ჩემი საქმეა! — მიახალა ერთხელ მეზობელს და გაჩუმდა. ერთი კვირა საერთოდ აღარ ამოუღია ხმა.

თანდათან გრძნობდა, რომ ღონე ემატებოდა.

ერთ კვირაში, მთელ ზაფხულს რომ ვერ აუდიოდა, იმდენი საქმე გააკეთა. დაღლის მაგიერ ღონე უფრო ემატებოდა და ეჩვენებოდა, რომ სადაცაა ჰაერში უნდა აფრინდეს.

— ე, მართლა არ ავფრინდე და მიწას არ მოვწყდე, კაცო! — ჩაიბუზღუნა თავისთვის და რამდენიმე საბელი გადააბა ერთურთს, მერე იმ გრძელი საბლის ერთი ბოლო ფეხზე მოიბა, მეორე ბოლო კი სახლის აივანს გამოაბა და ისე გააგრძელა ეზოში მუშაობა.

— ვაი, ჩემ თოლებსა, გაგიჟდი კაცო?! — შეიცხადა ცოლმა.

— გაჩუმდი ქალო, ვერა ხედავ აფრენას ვაპირებ! — შეუტია ცოლს გამიხარდამ და გაჩუმდა.

ცოლი იმაზე მეტად გაჩუმდა და ისე დაუწყო დაეჭვებული თვალთვალი ეზოში მომუშავე ქმარს. უცებ სახე შეეცვალა გაოგნებისაგან: გამიხარდაი მართლა აფრინდა ჰაერში და ისე მაგრა დაიჭიმა მის ფეხზე გამობმული საბელი, სადაცაა გაწყდებოდა.

— სად მიფრინავ, კაცო, ვის ანაბარა გვტოვებ ამ უპატრონო ქვეყანაში?! — შესტირა ქალმა.

— გაჩუმდი შენ მანდა და თოკის ბოლოზე გეჭიროს თვალი. ბოძს თუ მოსწყდება, დაბლა დამქაჩე, რომ ყველაფრის უთქმელად არ გავფრინდე ცაში, — ჩამოსძახა გამიხარდამ და მთელი ქვეყნის გასაგონად იყვირა, — ვინა ხართ, რა რჯულისა ხართ, რა ქვეყნობასა და ქალაქობანას თამაშობთ?!

— ეს ქალაქი ვისია?

— ჩემდა, ჩემი ძმისია.

— მარტო თქვენია, კაცო?! მარტო თქვენია და დანარჩენი ქართველებისა კი აღარა?! სჭამთ და ხრავთ ჩვენი ერის ნაშრომ-ნაოფლარს, სჭამთ და ხრავთ პენსიონერების სასიცოცხლო ლუკმას. არ გეყოთ, რაც იმათ წლობით ნაგროვები, ჯაფით ნაგროვები ფული საღაროებში გამოუჭამეთ?

ჭამთ და ხრავთ წინაპრების ძვლებს, გამოხარით ჩვენი ძვლები და ჯერ რომ არ დაბადებულან, იმ ქართველების ხორცსა და ძვალს ეპოტინებით დედის მუცლებში გამოსახრავად.

მხვრელებოო!

მღრღნელებოო!

მკვლელებოო!

ერის ბოძების მჭრელებოო!

იმ გულთაბოძების შემგინებლებო, ჩვენი წინაპრების დიდი დარბაზის, რომელსაც საქართველო ჰქვია, გულთაბოძის გამომღრღნელებო. იმ დარბაზს რომ სვეტებად ჩვენი დიდი წინაპრები ჰყავს შეყენებული, იმ სვეტების დამაქცევრებო, შემგინებლებო, ერის დამჩაჩანაკებლებო, იმედისა და მომავლის წამრთმევებო, ქართულ ყანაში სარეველას დამთესველებო! სიდედრები და სიმამრები გიშენებენ მაგ სასახლეებს არა, ჩვენ დიდებულ მეფეებსაც რომ არ ღირსებიათ?!!!

სად იშოვეთ ეგ ოქროს სიდედრები, თქვე, თქვე, თქვე ჯოჯოხეთის ანგელოზებო, ჰა?!

სიდედრკუვეიტელებოო!

სიმამრმოვარაყებულებოო!

ბიძებმორჭმულებოო!

არაკაცებოო!

გაუმაძღრებოო!

საკუთარ ჯამში ჩამცქერლებოო!

ღვთისაგან გასაბრწყინებელი საქართველოს ჩამბნელებლებოო!

მართლმადიდებლობის მტრებოო!

რა გინდათ, რაა?!!

კუნტრუშებთ არა, დავით აღმაშენებლის საქართველოში?!

ამის მერე გამიხარდაი ნელნელა დაეშვა დაბლა, ფეხზე გამობმული საბელი მოიხსნა და მყარად დადგა ქართულ მიწაზე.

ავტოსადგურში

მგზავრებითა და ხელბარგით ამოყორიღ, დიდმუცელა ავტობუსებს ღია მოსაცდელიდან ვუყურებ.

ვფიქრობ:

ასე გაუთავებლად, ასე უსაშველოდ, საით მიდიან ადამიანები, რატომ კლავენ ძვირფას დროს ხშირად უმიზნო, გამომალაყებელ ჯაყჯაყში, ფანჯრებს მიკრულები ანდა თავსატეხებს ჩაჩერებულები.

იამაიკელთა საყვარელი კერძის სახელი იქნება იცოდეთო, მომიბრუნდა მატარებელში ამას წინათ, ვიღაც.

ფიქრში გართული, მოულოდნელმა შეკითხვამ იმდენად გამაოგნა, რომ საგიჟეთიდან გამოპარული მეგონა და შეშფოთებულმა გვერდზე გავიწიე.

ოღონდ, ხუთასიანი უნდა იყოსო, დამანახვა მუხლზე დადებული ჟურნალი.

ესეც შენი უწყინარი კროსვორდი, რა არ მაფიქრებინა დარბაისელ ადამიანზე.

ჰოდა, თუ ასე ვფლანგავთ დროს, მაშ, რაღად ვემდურით სწრაფმავალ წუთისოფელს, ნუთუ აღარ უნდა შეჩერდეს ეს თავბრუდამხვევი კარუსელი, ნუთუ აღარ უნდა თქვას ადამიანმა:

— აი, როგორც იქნა, მოვედი!

ჩამოჯდეს გზისპირას, ღობესთან დაგდებულ ქვაზე და თვალმოხუჭული გაუტვრინდეს თბილ, შეუწუხებელ მზეს.

აქედან შორს, მთის კალთაზე აკრულ სოფელში, ოდესღაც ასე ვიჯექი, პატარა, უცნობი, მიუღებელი უცხო, ამ აფორიაქებული, დაუნდობელი ყოფისათვის.

მერე მეც მარადიულ მგზავრად ვიქეცი, მეც, უფრო ხშირად ზურგს უკან ხელებდაწყობილი ბოლთას ვცემ ნაყინის ქაღალდით, სიგარეტის ნამწვით მოფენილ ფილაქანზე და ველოდები, როდის წავალ იქით, საიდანაც რამდენიმე საათში უკან უნდა დავბრუნდე.

აყყანებულ ბრბოს შუაში მოუქცევია უცხოტომელი ფაშფაშა დედაკაცი. ქალს საჩვენებელ თითზე თუთიყუში დაუსვამს. გაწვრთნილ ჩიტს რეზინაშემოჭერილ, დასორსოლებული ქაღალდის კონას მიუახლოებს ხოლმე და უძახის:

გადაი, ბორკა!..

„ბორკაც“ ყოჩაღად ჩაჰკრავს ნისკარტს და სწრაფად ამოაძვრენს ერთ-ერთ ხვეულას.

გაშლი ხვეულას და აგერ არ წერია შენი ბედ-იღბლის ამბავი? შემირცხვენია ვანგა და ყარაღაჯელი მკითხავი... ოღონდ, ცეროდენა „ბორკა“ დიდი ეშმაკი და გაწუწკებული ვინმეა, პატრონმა თუ ჯერ ფული არ გამოგართვა, ნისკარტზე არ შეახო და მაშინვე, დონდლო ძუძუებს შორის არ მოაყუჩა, სადგურის ყოველისშემძლე უფროსმაც რომ დაუჩოქოს, ხვეულას მაინც არ ამოიღებს.

დედაკაცისა და „ბორკას“ გარშემო უსაქმური ბრბო ზღვაზე დაქცეული მაზუთივით იშლება და იკუმშება. იცინის, იგინება, ყუაზე დაყვანილ, გამოღეჭილ სიგარეტის ნამწვებს იფურთხება...

გონების თვალით ვხედავ:

სადღაც, აქედან შორს, მზით გამთბარ ქვაზე ზის დილის ცასავით სუფთათვალება ბიჭი და მეშინია, ისიც არ გამოიქცეს, ისიც ამ მაზუთის ნაწილად არ იქცეს.

— ეჰ, ჯანიც გავარდეს, გადაი, ბორკა!

ვანო ჩხიკვაძე

გვერდიგვერდ

(ეხება დღევანდელ სიტუაციას)

ცხოვრობდნენ ერთ კორპუსში სამივე გვერდიგვერდ. სამივეს თითო ოთახიანი ბინა ჰქონდა, სამივე ერთმანეთზე მიჯრილი.

პირველად გოგია ცხოვრობდა, მერე არმენა, სულ ბოლოს ჰეიდარა. ყოველდღე სვამდნენ და ჩხუბობდნენ და ისევ ერთად სვამდნენ.

რომელიღაც მათგანის ბაბუის ბაბუამ პირველმა შეიძინა ერთ-ერთი ოთახი. მერე მეორეს ბაბუის ბაბუის ბაბუა მოვიდა და ჩაემატა, მერე მესამეცი, მაგრამ რომელიღაც ამათგანის ბაბუის ბაბუის ბაბუა და იმისი ბაბუის ბაბუის ბაბუა და მათი ბაბუა აქ, ამ კორპუსში დაიბადა.

ერთ მშვენიერ დღეს ჰეიდარას მეათე შვილი გაუჩნდა, არმენას კიდევ მეთორმეტე, მოკლედ ვეღარ დაეტიენ.

ერთ დღესაც გოგიას კარზე ორმა სტუმარმა დააკაკუნა. ესენი უსახლკარო აფსუკა და ალანიკა იყვნენ. გოგიამ ისინი შეუშვა და 2 დღის მაგივრად სამუდამო ბინა მისცა თავისთან.

აღარ დაეტიენ არმენა და ჰეიდარა. ერთ დღესაც არმენა მიადგა გოგიას და მოახსენა: გოგიაჯან, შენ ერთი ხარ, ჩვენ კიდევ ას ერთი, ვჯახირობთ ამ ერთ ოთახში...

გოგიამ აღარ დაამთავრებინა, ისე გამოიჩინა თავისი ჩვეული სტუმართმოყვარეობა და არმენას ორი შვილი შეიკედლა.

ახლა კიდევ ჰეიდარა შეწუხდა და გოგიას მოადგა. ორი შვილი მისიც შეისახლა.

გამოხდა ხანი. ერთ ძაან მოხდენილ დღეს გოგია კინწისკვრით მოისროლეს ბინიდან, თან, კუთვნილი ბარგიც აღარ მიაყოლეს. ნაცემი გოგია წამოდგა და კიბეს ჩაუყვა. უცებ უკან ერთი ვაი-ვუი მოესმა. მიიხედა და ჩაეცინა.

აფსუკამ, ალანიკამ, ტიგრანამ, ვაზგენამ, ჯეირანამ და ფირუზამ ოთახი ვეღარ გაიყვეს.

გოგა ქარჩავა

აჩუქეთ საკუთარ თავს კომპლიმენტების დაუვიწყარი მელოდია

საახალწლო დამისთვის მზადება უკვე დაწყებულია, თქვენ იძენთ ბრწყინვალე ტუალეტებს, კულინარულ წიგნებში ეძებთ განსაკუთრებულ რეცეპტებს, ამზადებთ საჩუქრებს თქვენთვის ძვირფასი ადამიანებისათვის... ნუ დაგავიწყდებათ ყველაზე მთავარი! - საკუთარი გარეგნობა.

მიუხედავად იმისა, თუ სად შეხვდებით ახალ წელს - ოჯახში თუ მოდურ რესტორანში, თბილისში თუ ეგზოტიკურ კუნძულზე, იცოდეთ! ყველაზე მხურვალე კომპლიმენტი უნდა მიეძღვნას თქვენს მშვენიერ სახეს, მგრძნობიარე ტუჩებს, ხავერდოვან კანს, მომხიბლავ ფიგურას.

სწორედ ამიტომ, სამედიცინო ცენტრი "მედის" სპეციალისტებმა, თქვენთვის მოამზადეს სპეციალური პროგრამა: **"მეჯლისის დედოფალი"**, რომლის დახმარებითაც თქვენ შობა – ახალი წლის დღესასწაულებზე და მათ შემდგომაც, ნამდვილ დედოფლად იგრძნობთ თავს.

ეს არის პროცედურების მთელი კომპლექსი:

♦ **"გრინ-ნიღაბი"** – კანის გამაახალგაზრდავებელი, ნატურალური ზეთების და ეთერული კომპონენტების შემცველობით. მხოლოდ სამ დღეში ნიღაბის ზემოქმედების შედეგად გაგიქრებათ პიგმენტური ლაქები, ფერიმჭამელები, ნაწიბურები და ნაოჭები. დაიჭიმება ზედა და ქვედა ქუთუთოების კანი.

♦ **"ბოტოქსი"** - ახალი ფრანგული მეთოდიკით - მიმიკური ნაოჭების გასწორება სპეციალური ინექციების საშუალებით.

♦ **ტუჩების ფორმის შეცვლა და ცხვირ-ტუჩის ნაოჭების კორექცია.** – ბიოთავსებადი გელის ინექციებით თქვენი მგრძნობიარე ტუჩები შეუმჩნეველი არ დარჩება არცერთი მამაკაცისათვის.

♦ **კაპილარული და ვენური ქსელის მოშორება** ლაზერით და სპეციალური ინექციებით სახეზე და ტანზე. - თქვენ აღარ დაგჭირდებათ მათი დაფარვა პუდრით.

♦ **ულტრაბგერითი ლიპოსაქცია** - სხეულის ფორმის კორექცია და ზედმეტი ცხიმოვანი ნაკეცების მოშორება.

♦ **ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით** – არასასურველი თმების მოშორება სამუდამოდ და უმტკივნეულოდ. მოკლე კაბა და გამჭვირვალე კოლგოტი მხოლოდ აღფრთოვანებაში მოიყვანს თქვენს სტუმრებს.

ახალი წლის ღამე სასწაულების ღამეა, რომელთაგან ერთის მოხდენა თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ. ჯერ კიდევ გაქვთ დრო, ისარგებლოთ **"მეჯლისის დედოფლის"** სრული კომპლექსით ან ცალკეული პროცედურით და თქვენმა ჯადოსნურმა სილამაზემ შესაძლებელია კიდევ მრავალი სასწაული მოახდინოს.

სამედიცინო ცენტრი "მედი" გთავაზობთ სპეციალურ, განსაკუთრებულ საახალწლო ფასდაკლებას და გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ შობა-ახალ წელს.

ტელ: 25-02-02; 22-42-73

ადამი და ევა _ ჩვენი წინაპრები არიან

ეს მითი არ არის

ევროპელ მამაკაცთა 95% შთამომავალია ათი „წინაპარი მამისა“, რომელნიც კონტინენტზე ორი მილიონი წლის წინ დასახლდნენ — ასეთი დასკვნა გააკეთა რვა ევროპული ქვეყნისა და აშშ-ის გენეტიკის მკვლევართა ჯგუფმა 25 სახელმწიფოს 1000-მდე მამაკაცის გენეტიკური კოდის შესწავლის შემდეგ.

მეცნიერებმა შეადარეს „იგრეკ“-ქრომოსომის 22 ძირითადი პარამეტრი, რომელიც გადაეცემა მამაკაცის ხაზით და დაადგინეს, რომ მისი მატარებლების 95% მიეკუთვნება ათ გენეალოგიურ ტიპს, რომელთაც ერთი წინაპარი ჰყავდათ.

ვარაუდობენ, რომ გამყინვარების პერიოდში, 3 ათასი წლის წინ,ძირითადი მამებიდან ორი დასახლდა აღმოსავლეთ ევროპაში. ევროპელთა რვა „წინაპარი მამა“ კი კონტინენტზე მოხვდა ქვის ხანის პერიოდში, ჩვ.წ. აღ-მდე V- ათასწლეულში.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს ის ქრომოსომები, რომელიც ბავშვს გადაეცემა დედისაგან. აღმოჩნდა, რომ ევროპელ ქალებსაც ჰყავთ შვიდი საერთო წინაპარი. ასე რომ, ბიბლიური მითი, რომ ადამი და ევა პირველი ადამიანები და ჩვენი წინაპრები არიან — მეცნიერულად დამტკიცდა.



კომსომოლსკაია პრავდა №242

ოქროს ურდოს დედაქალაქის საიდუმლოება



ოქროს ურდოს ძლევამოსილმა მბრძანებელმა ჩინგის ხანმა თავისი დიდების შესაფერი დედაქალაქის აშენება ბრძანა. მართალია, ამის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა, მაგრამ დიდი ხანის ბრძანება უსიტყვოდ შესრულდა — მონღოლურ სტეპებში აიგო ქალაქი ყარაყორუმი.

ჩინგის ხანის იმპერიის ლეგენდარული დედაქალაქი თანამედროვე ულან-ბატორისგან 380 კმ-ის მოშორებით იყო. მონღოლი და გერმანელი მეცნიერები ახლა იქ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ, რათა მონღოლეთის უძველესი დედაქალაქის ისტორიის თეთრი ლაქები შეავსონ. აეროფოტოებზე გარკვევით ჩანს ქალაქის კედლების ნანგრევები, ქუჩების დაგეგმარება და ქვის გალავნის ნარჩენები, რომელთა საშუალებით შენობათა განლაგების დადგენაა შესაძლებელი. გათხრების მიხედვით, ყარაყორუმში ქვის სახლი არცთუ ბევრი იყო, რადგან სტეპებში ძნელია იპოვო მშენებლობისათვის საჭირო მასალა. მონღოლურ სტეპებში არ არის და არც არასოდეს ყოფილა ტყე, ქვებიც შორიდან უნდა მოეზიდათ. ამიტომ საცხოვრებლად, ძირითადად, კარვები და იურტები გამოიყენებოდა.

მე-13-14 საუკუნეებში ყარაყორუმში თითოოროლა ევროპელიც ჩავიდა. მათი ჩანაწერები ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ქალაქი შედგებოდა ერთმანეთისაგან იზოლირებული კვარტალებისგან, სადაც ხელოსნები, ვაჭრები და სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოგზავნილი ელჩები ცხოვრობდნენ. უცხოელებს აოცებდა ქალაქის მკვიდრთა ჩაცმულობის თავისებურება და ეროვნებათა სიმრავლე. ქრისტიანული ეკლესიების გვერდით უამრავი მეჩეთი და ბუდისტური ტაძარი იდგა.

ჩინგის ხანის მემკვიდრენი დიად დამპყრობელს აღმერთებდნენ. ათეული, თითქმის ასეული წლების შემდეგაც, მისი ბრძანებით აშენებულ დედაქალაქს მონღოლები თავიანთ სულიერ ტაძრად, ძლიერებისა და სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. თავად ხანები ყარაყორუმში იშვიათად ჩერდებოდნენ, რეზიდენციებს სხვა ქვეყნებში — რუსეთში, ჩინეთში ან სპარსეთში იწყობდნენ. მიუხედავად ამისა, ყარაყორუმი იმპერიის სიმბოლურ დედაქალაქად აღიქმებოდა.

ჩინგის ხანის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეები მოწინააღმდეგე კლანებად დაიყვნენ. ყარაყორუმში დაფუძნებული კლანი ერთხანს ცდილობდა თათარ-მონღოლთა ტომების გაერთიანებას თავისი ძალაუფლების ქვეშ.

არქეოლოგებმა ვერ აღმოაჩინეს ჩინგის ხანის ვერც ერთი მემკვიდრის სამარხი, თუმცა ამას არავინ გაუოცებია — მონღოლ-თათარი ხანების სამარხების ადგილმდებარეობა საიდუმლოებით იყო მოცული.

მონღოლურ ქრონიკაში „მონღოლეთის საიდუმლო ისტორია“ არაფერია ნათქვამი თავად ჩინგის ხანის საფლავზე. მეცნიერთა აზრით, მისი განსასვენებლის გამოკვლევა ბევრ რამეს მოჰფენდა ნათელს მონღოლთა ყოფაზე, წესჩვეულებებზე.

მომთაბარე მონღოლ-თათრებს, ჩანს, არ სურდათ, რომ უცხოელს წაებილწათ მათი ხანების საფლავები — მათ სჯეროდათ, რომ ეს ქვეყანას უბედურებას მოუტანდა.

კალეიდოსკოპი №47

ᲣᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ

ოლიმპიური ჩემპიონის, სტივ კრემის ძმა — კოლინი ამერიკის ქალაქ ჰებერნში ცხოვრობს. დილით სამზარეულოში შესული კოლინი გაოგნდა — წინა დღით შელესილ კედელზე მკაფიოდ ჩანდა იესო ქრისტეს ტურინის სუდარისეული გამოსახულება. აფორიაქებული კოლინი მოძღვართან გაიქცა. მამა ლეონარდომ დაადასტურა მსგავსება და კრემის სახლი აკურთხა.

ეს ამბავი თვალის დახამხამებაში მოედო ქალაქს. ორი კვირის მანძილზე კოლინის ოჯახმა ორი ათასამდე ცნობისმოყვარე მიიღო. ყველა ირწმუნებოდა, რომ უცნაური ფრესკის ნახვის შემდეგ ივსებოდნენ მადლით და სურვილით, ეკეთებინათ კეთილი საქმეები.

თვით კრემი ფიქრობს, რომ სამზარეულოს კედელზე გამოსახული ხატით შვილს შეეხმიანა დედა, რომელიც 15 წლის წინ გარდაიცვალა.

მეგაპოლის-ექსპრესი №47

„ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲩᲣᲛᲓᲔ!“

ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა ერთობ საინტერესო ამბავი მოგვითხრო, რომელიც მის პაპიდას შემთხვევია.

...პოლინა ფერაძე სულ პატარა, 16 წლისა გაათხოვეს. სიძე დაქვრივებული დიდვაჭარი, ვასო ყაველაშვილი გახლდათ — ზესტაფონში, ყვირილის ნაპირზე დიდი კარ-მიდამოს პატრონი იყო. ქორწინების ღამეს, როდესაც პატარძალი საძინებელ ოთახში შევიდა და საწოლს გადასაფარებელი გადახადა, გაოგნებული დარჩა — საწოლზე დიდი უხსენებელი დახვეულიყო. გოგონა შიშისაგან დაიზაფრა და ხმა ვერ ამოიღო. გონს რომ მოვიდა და კვლავ იმ ავადსახსენებელ ადგილს დახედა, აღარაფერი დახვდა... ოქროს მონეტის გარდა. პოლინას ეს ამბავი არავისთვის გაუმხელია. ყოველ საღამოს საწოლში უხსენებელი, შემდეგ კი ოქროს მონეტა ხვდებოდა. ყაველაშვილების ოჯახი კიდევ უფრო აყვავდა და გაძლიერდა. პოლინამ კერვა ისწავლა. „ნაჩუქარი“ ფულებით ფარჩეულს ყიდულობდა, კერავდა და მზა ტანსაცმელს ყიდდა. მთელი ქალაქი მის გამრჯეობაზე ლაპარაკობდა.

მათ მეზობლად ღალთაძეები ცხოვრობდნენ, რომელთაც პოლინას ტოლი ქალიშვილი ჰყავდათ. ისინი ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს და მეგობრობდნენ კიდეც. ერთხელაც, პოლინას ქალურმა ბუნებამ სძლია და თავის მეგობარს ყველაფერი გაანდო... საიდუმლო სტუმარი მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

ყაველაშვილების ოჯახის საქმეები თანდათან უკან წავიდა, სამაგიეროდ, ღალთაძეების ოჯახმა იწყო აყვავება. მცირე ხანში მათი ქოხის ადგილას ორსართულიანი სახლი წამოიჭიმა. მოგვიანებით, როდესაც პოლინა ფერაძე გარდაიცვალა, მისმა ძმისშვილმა (შვილი არ დარჩენიათ) სახლის სხვენში უამრავი სიმდიდრე და ოქროს მონეტებით სავსე პატარა ყუთი იპოვა. საიდუმლოდ ჩამოიტანა ქუთაისში, ისე, რომ ნათესავებისთვის არაფერი უთქვამს. სამწუხაროდ, ქონება არმად წაუვიდა — ჯერ ქმარი დაეღუპა, შემდეგ შვილები, ბოლოს კი თვითონაც გაჭირვებაში ამოხდა სული...

ჩაიწერა დაჩი გრძელიშვილმა

ᲑᲐᲠᲑᲐᲚᲔ — ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲜᲘᲭᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲐᲐ

ქრისტიანობამდე საზოგადოებამ განვითარების გრძელი გზა განვლო, რომელიც უამრავ ღვთაებასა თუ კულტებს მოიცავს. ამიტომ ქრისტიანულ დღესასწაულებს ხშირად უძველეს წარმართულ დღესასწაულებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ერწყმოდა ხოლმე. ამის ერთ-ერთი მაგალითია ბარბარობა ანუ ბარბალობა.

წმინდა ბარბარე ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი წმინდანია. მორწმუნეები მას მიმართავდნენ შემწეობისათვის. მისი სახელი ზეციურ ცეცხლთან და ქარიშხალთანაცაა დაკავშირებული. მაგალითად, როდესაც ქრისტეს რჯულისთვის თავდადებულ ქალწულ ბარბარას საკუთარმა მამამ, დიოსკურემ თავი მოჰკვეთა, ზეციდან გარდამოხდა საშინელი ცეცხლი და ჯალათი მამა ერთიანად დაწვა.

ღვთაება ბარბარას კულტი ქრისტიანობამდე კარგა ხნით ადრე არსებობდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში. ამ სახელის ირგვლივ რწმენა-წარმოდგენები და ხალხური რიტუალები საქართველოშიც უძველესი დროიდან დასტურდება. საკუთარი და სხვა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებები ამ ხალხური დღეობის შესახებ ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა ვერა ბარდაველიძემ დაგვიტოვა.

ბარბალობის დღეობებიდან ყველაზე მეტი *სვანეთში* შემონახულა — „ბარბოლ“, „ბარბალ“ სახელწოდებით, რომელთა მიხედვით, ბარბალე მსხვილფეხა საქონლის, განსაკუთრებით მდედრობითი სქესის მფარველი ღვთაებაა. იგი თავის ძალას მის მოსახელე ქალებზეც ავრცელებდა, ამიტომ სალოცავში, ძირითადად, უშვილო ქალები დადიოდნენ. ბარბალობის რიტუალის დროს ამ ღვთაებას სწირავდნენ ცხიმიან შესაწირავებს, განსაკუთრებით, რძით და ყველით შეზავებულს: რძის ფაფას, ხაჭაპურებს, მოხარშულ ყველს, ყველში გადაზელილ ცომს და სხვ. რაც იმას ადასტურებს, რომ ეს რიტუალი ქრისტიანობამდელი დროიდან უნდა მომდინარეობდეს, თორემ ქრისტიანობისთვის ხომ ამ დროს მარხვაა და ცხოველური საკვების მიღება არ შეიძლება! ბარბალეს ხალხი ქალის რძის მატების ძალასაც მიაკუთვნებდა.

კახური ტრადიციით: ქალს რომ რძე გაუშრება, უნდა გამოაცხოს ქადა (სახსნილოში — ყველის, მარხვაში — ნიგვზის), წაიღოს ბარბალეში და იქ გაჭრას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბარბალობაზე, როგორც ახალ წელს, მეკვლეს არჩევაც დასტურდება.

რაჭაში კლოვიარეს ანუ მკლოვიარეს (მეკვლეს) მოვალეობას სპეციალურად ოჯახის უფროსი ქალი ასრულებდა. ადგებოდა ყველაზე ადრე, დაანთებდა ცეცხლს, გავიდოდა გარეთ და საბძლიდან კალათით შინ შეიტანდა ბზეს, ხელით მიმოაბნევდა სოხანეზე და შინაურ ფრინველებზე ლოცვას მოაყოლებდა. მხოლოდ მას შემდეგ შეეძლოთ ოჯახის დანარჩენ წევრებს ლოგინიდან წამოდგომა.

ქართლელები დილით ტახტზე ქერის ან სიმინდის მარცვლს უხვად დაყრიდნენ, მოსულ მეკვლეს ზედ დააბრძანებდნენ, ფეხს მოაკეცინებდნენ, რომ კრუხმა კარგად გამოჩეკოსო. ნაბდიან კაცს შინ არ შეუშვებდნენ — მობუზული წიწილები იცისო.

ლეჩხუმელები საახალწლო მკლოვიარეს მოიწვევდნენ და ლობიოსგულიანი ტაბლით გაუმასპინძლდებოდნენ. ზოგმა მეკვლეს არჩევა ოჯახის შინაურებში იცოდა. ბარბალობის წინა ღამეს მას საბძელში დააწვენდნენ ხოლმე, რომ ოჯახისთვის დილით გარედან მიელოცა. საღამოს, ვახშმისათვის უფროსი მანდილოსანი გამოაცხობდა სამ ცალ ლობიოსგულიან ან ნიგვზისგულიან „საბარბალო ტაბლას“ (ხალხის რწმენით, უგულო ტაბლის გამოცხობამ მთელი წლის განმავლობაში ოჯახის სიცარიელე იცისო), მასთან ერთად კეცზე დაყრილსა და საკმევლით მოკმეულ ნაკვერჩხალს პატარა სუფრაზე მოათავსებდა, მეორე ხელში ღვინით სავსე ჭიქას დაიჭერდა, კერის პირას ერთჯერ ან სამჯერ წაღმა შეატრიალებდა და ბარბალეს ჯანმრთელობას, გულმხიარულებას, ნათეს-ნამუშევრის გადარჩენას შესთხოვდა. შემდეგ ყველაფერ ამას ოჯახის წევრებს დაუნაწილებდა და საბარბალო ტაბლის ჭამით იწყებოდა ვახშამი.

იმერეთში მანდილოსნის ნაცვლად მეკვლეობას ბავშვები ასრულებდნენ. ამრიგად, ბარბალეს მიწათმოქმედების, საქონლისა და შინაური ფრინველის ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაებადაც მიიჩნევდნენ.

ქვემო სვანეთში ბარბალე თვალის სინათლის მომმატებელ ღვთაებად ითვლებოდა. მათ სწამდათ ბარბალობასა და მზის მოქცევას შორის მჭიდრო კავშირის არსებობა, რომ ამ დღეს მზე ჩერდება — ამის შემდეგ დღე მატულობს და ღამე კლებულობს ქათმის ფეხის ნაბიჯით ან რამდენზეც სამი დღის ბატკანი გადახტებაო. ეს შეხედულება ბარბალეს მზის ღვთაებად სახავს და ბარბალობას ზამთრის მზის დადგომის დღეობად მიიჩნევს.

ქართული ხალხური ბარბალობა ორ-სამდღიანი იყო და ძვ. სტილით 4-6 დეკემბერს დღესასწაულობდნენ, რაც მართლაც ემთხვევა ზამთრის მზის დადგომას — ძველი სტილით 9 დეკემბერს. როგორც ჩანს, თვით ბარბალობაც ოდესღაც ამ მოვლენისადმი მიძღვნილი დღე უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ბარბალეესთან დაკავშირებულ ცეცხლს, მასში იგულისხმება მზე, როგორც შემოქმედი ან განმწმენდი ძალა.

ქართველურ ტომებში ფართოდ გავრცელებული შეხედულება ბარბალეზე, როგორც თვალის სინათლის მომნიჭებელ ღვთაებაზე, მას მზის კულტთან აკავშირებს, რადგან ძველი კულტურის ხალხებში მზე და მთვარე ადამიანის თვალთან იყო შედარებული. მეცნიერ-მკვლევართა აზრით, სიტყვა „მზე“, რომელსაც საერთო ფუძე აქვს ზმნასთან „მზერა“, თვალსაც ნიშნავდა.

სვანეთში ბარბალობას დღეობების თავს უწოდებდნენ, გურულები ახალი წლის თავს, რაჭველები და ლეჩხუმელები წლიური დღეობების გამოთვლას აქედან იწყებდნენ. ბარბალობა ყველგან ბედობის დღედ იყო მიჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ახალი წლის ციკლის დღეობა იყო. საყურადღებოა, რომ სვანურ ხალხურ კალენდარში გაბატონებული რომაული სახელწოდების გარდა, ზოგ თვეს სვანური სახელწოდებაც შერჩენია. ასეთია დეკემბრის ხალხური სახელწოდება „ბარბლაშ“ ამ თვის ეს ძველთაძველი სახელი სწორედ ბარბალობის დღეობიდან მომდინარეობს.

ასე რომ, ქრისტიანული ბარბალობის თარიღსა და ხალხურ დღესასწაულს მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებით მხოლოდ ის საერთო აქვთ, რომ ქრისტიანულმა მართლმადიდებლობამ წმ. ბარბარას სახელი დაამთხვია უძველესი წარმართული დღესასწაულის თარიღს და ამით განადგურებას გადაარჩინა ხალხის სულიერი კულტურის ეს მნიშვნელოვანი ფასეულობა.

ნანა ნაცვლიშვილი

ᲕᲘᲪ ᲘᲛᲨᲘᲜᲘᲐ ᲪᲘᲪᲕᲘᲜᲘᲪ?

სტვენა ცოდვააო, ნათქვამია. განსაკუთრებით მიუღებელია ეს სახლში. იგი ოდითგან „ეშმაკის მიბაძვად“ ითვლებოდა. იტყვიან ხოლმე, „ეშმაკივით უსტვენსო“.

ძველად სჯეროდათ, სტვენა მფარველ ანგელოზს და ოჯახის წევრებს განდევნისო, ფულს გზას უკეტავს და ახალგაზრდების სიცოცხლეს ემუქრებაო.

ინგლისელები ამბობენ, დედალი, რომელიც მამალივით ყივის და ქალი, რომელიც უსტვენს, ღვთისა და კაცისთვის უვარგისიაო.

სტვენის მოყვარული ქალებისა ყოველთვის ეშინოდათ მეზღვაურებს.

ინგლისის ზოგიერთ საგრაფოში არც ერთი მაღაროელი მაღაროში არ დაუსტვენს, რადგან მას უბედურების მომტანად, ბოროტ ძალთა გამომწვევად მიიჩნევს.

ტაინაია ვლასტ №10

„ᲡᲐᲑᲐᲚᲦᲝ–ᲡᲐᲚᲐᲦᲝ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

I. ᲐᲜᲓᲐᲖᲕᲝᲠᲓᲘ

შვეულად: 1. ქვიშანი; 2. ერთი; 4. გასუქდა; 6. ლხინსაო; 8. თოვლი; 10. მოკლე; 12. ქარი; 14. დრო.

თარაზულად: 3. გვარი; 5. შვილი; 7. დაბანა; 9. იჭმებაო; 11. იქაური; 13. სიკვდილი; 15. ენა; 16. დავითაო; 17. ეზო.

II. ᲠᲔᲑᲣᲡᲘ

ბეჯითი ბავშვი ყველგან გამარჯვებულია.

III. 3.

IV. 2.

V. კომბალი — კომბლეს;
ცოცხი — ჯადოქარს;
პროპელერი — კარლსონს;
საჰაერო ბურთი — ვინი პუჰს;
ქოში — კონკიას;
სადგისი — ნაცარქექიას;
კალათა — წითელქუდას.

VI. „ინო“

VII. ა) მორიელი; ბ) ქამელეონი,

VIII. განთიადი.

— მოსკოველების წინაშე ყიჰაზე დადგომა ახ მინდა!..

— სიცილის დედოფალი — მზია ჯვიჰიკაშვილი

— ჩემი ცხოვრება თავიდანვე კურიოზებით დაიწყო: ნინოობას დავიბადე და მზია დამარქვეს. საბავშვო ბაღში კისელი მიყვარდა ძალიან და იმასაც ჩემს „შეყვარებულ“ ბიჭუნას ვუთმობდი.

ისრაელში საგულდაგულოდ გამოპრანჭულ ქალს „სიცილის მეფე“ მიწოდეს. მერე მათი „შეცდომა“ ქართლოს კასრაძემ გამოასწორა — სიცილის დედოფლად მომნათლა.

სპორტის სასახლეში ორჯერ ჩამოვვარდი სცენიდან. მათ შორის ერთხელ ორი კვირა მომიწია საავადმყოფოში დაჟეჟილი ზურგის მოშუშება. ქუთაისელი მთვრალი კაცის გამოჯავრებამ კინაღამ გადამიყოლა. ერთხელ კიდევ, კახეთში, მიკროფონი რომ ჩავიხუტე, თქვენს მტერს, რაც მე დამემართა. გაშიშვლებულმა ელექტროსადენმა კარგა შორს გადამისროლა (რეზინის იატაკზე რომ არ ვმდგარიყავი, არც „კვირის პალიტრის“ მკითხველებს მოუწევდათ ახლა ჩემთან შეხვედრა).

ისე, პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და, თქვენი გაზეთი ძალიან მიყვარს. სახალისო გვერდებზე რამდენიმე ჩემი ანეკდოტიც ვიცანი და გამეხარდა...

უშუალო მოსაუბრეა მზია კვირიკაშვილი, მოლაპარაკე ჟანრის მსახიობი. ძალიან, ძალიან პოპულარული იუმორისტი. ბევრ თქვენგანს მოუსმენია მისთვის.

აი, თუნდაც წაღვერელი ქალის იუმორისტული მონოლოგი მუსიკალური ჩანართებით. გახსოვთ, ალბათ, როგორ მიმართავს თბილისელ სტუმარ გოგონებს, საზღვარგარეთ მოგზაურობით რომ დაფეთებულან: „წამოდით, გოგო, ჩემთანა წაღვერში. აქა რა, ყველგანა ხართ ნამყოფი, იქ რო გარბიხართ, ზაგრამანიცაში?!“ და მერე ამ გოგოებს კოლორიტულ საკოს წარუდგენს თავისი სამი ბედოვლათი ვაჟით — ჯემალაით, ჯუმბერაით და ჯონდოით. უმცროსს რომ ეკითხება:

— ნაცარქექია თუ იცი?

— ვიცი, მა!

— როგორ არი?

— კარგათა!

და ასე, მთელი ოჯახი გამოჰყავს „სცენაზე“. ისე ბუნებრივად, ზოგჯერ გავიწყდება კიდეც, ერთ მსახიობს რომ უყურებ.

წაღვერმა მზიას ერთი ახალი ამბავიც გაახსენა: „ბაზარში მოხუცი ქალი შემხვდა, ლობიოს ყიდდა, ძვირი იყო, ვერ ვრიგდებოდით. მერე ამ ქალმა სახე მოიჩრდილა. მიყურა, მიყურა და დამიცაცხანა:

— შენა, მზიაი არა ხარ, კვირიკაშვილი! მერე გოგო, რას გამაგვაჭენე ე წაღვერელები, რა დაგიშავეით!..

სცენაზე თავის დღეში არ დავბნეულვარ და აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს ისევ თვითონ გამომაფხიზლა:

— გოგო, მაგ ცხვირს კიდე ჩამოშვება უნდა? მოდი აქა, იაფად უნდა მოგცე ლობიოი...

იმ დღეს ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა...“

მართლა რა ცოტა რამ ჰყოფნის ადამიანს.

— ქუჩაში რომ გცნობენ, რა რეაქცია გაქვს? — ვეკითხები.

— ქუჩაში არა უშავს, ხან მესალმებიან, ხან მიღიმიან და მეც ასევე ვპასუხობ, ძველი ნაცნობივით. აი, სამარშრუტო ტაქსიში კი ცუდ დღეში ვარ. ხან მგზავრები მიხდიან ფულს, ხანაც მძღოლი „მპატიჟებს“. რა ვქნა, მერიდება, ამ გაჭირვებულ დროში არ მინდა ვინმე „დავაზარალო“. ისე, სულ მინდოდა მანქანა მქონოდა (ტარება ბავშვობიდანვე ვიცი), მაგრამ... ასეა, ყველა სურვილი როდი გისრულდება...

— მოდი, ჯერ ახდენილ ოცნებებზე ვისაუბროთ...

— 5-6 წლისა ტაბურეტს გადმოვაბრუნებდი, დედაჩემის წვრილქუსლიან „ფრანცუსკებს“ მოვირგებდი, პუდრს და პომადას კარგი გრიმიორივით წავისვამდი, დავდგებოდი სარკის წინ და იწყებოდა ჩემი კონცერტი. ხან ვის გამოვაჯავრებდი და ხანაც ვის. განსაკუთრებით მულტფილმების გმირებთან „პაექრობა“ მიყვარდა. ასე შეიქმნა ჩემი პირველი პაროდია.

(წარმოიდგინეთ ბურატინოს ვიბრირებული წრიპინი და ყარაბას-ბარაბასის ბარიტონი, წითელქუდას მიამიტი ხმა და „ივანუშკა- დურაჩოკის“ ბრძნული დარიგებანი, სამი გულუბრყვილო გოჭისა და ბოროტი მგლის გაშარჟებული თავგადასავალი ყოფითი პრობლემების ფონზე — და ყველაფერი ეს რამდენიმე თავბრუდამხვევ წუთში გასაოცარი ბუნებრიობითა და აქტიორული ოსტატობით დატვირთული — ე.ს.).

ამ პაროდიას საესტრადო სასწავლებლის ქალთა ანსამბლ „სხივში“ ვასრულებდი, რომლის წამყვანიც ვიყავი და იუმორისტიც. ნომერი ბატონ ვასო გოძიაშვილსაც მოეწონა. თვითონვე ამოვიდა სცენაზე დიდი მსახიობი და პირველი გამარჯვება მომილოცა.

ახლახან აღვადგინე მივიწყებული ფელეტონი, მაგრამ ფონოგრამა ვეღარ ჩავწერე. ფილარმონიას სახსრები არა აქვს. ფულიანი კაცი კი, სიცილი რომ უყვარდეს, ძნელი საპოვნელი ყოფილა... უფრო სწორად, ვისაც ფული აქვს, ღიმილი არ უყვარს!

მოკლედ, ეს ერთი ოცნება, მსახიობი გავმხდარიყავი, ამიხდა.

— შენი ყველაზე სერიოზული წარმატება.

— 1987 წელი იყო. ქალაქ გორკიში მოლაპარაკე ჟანრის მსახიობთა პირველ საკავშირო კონკურსზე საქართველოს მხოლოდ მე წარმოვადგენდი. ამ პერიოდში ნამდვილ გულშემატკივრობას მიწევდა ჩემი საყვარელი პოეტი და უფროსი მეგობარი ირაკლი აბაშიძე, რომლის თხოვნით გურამ ბათიაშვილმა სპეციალურად ჩემთვის დაწერა პუბლიცისტური მონოლოგი (ისრაელში წასული ებრაელი გოგონა ქართველ მეგობარს იუმორში გაჯერებული ცრემლით ეხმიანება. სცენაზე რომ ავღრიალდი, ჟიურის წევრებმაც ცხვირსახოცებს დაუწყეს ძებნა).

ხუმრობა საქმე არ იყო, 170 მონაწილემ ქართველმა ებრაელებმა დაგვასაჩუქრეს კიდეც. რამდენიმე ძვირფას ნივთს სარძლოსთვის ვინახავდი... ოთხი წლის წინ კი დედაჩემმა (ცნობილი სტომატოლოგია) სამ „პაციენტს“ გაუღო კარი, მათგან ერთი გოგონა იყო. ცოტა ხანში „პაციენტებმა“ გაკოჭილი დანტისტი და ცარიელი ბინა დატოვეს. შარშან ეს ქურდები დაიჭირეს სხვა დანაშაულზე და ჩვენი საქმეც „გახსნეს“ და როგორც ხდება ხოლმე, მეტი არაფერი...

...დიდი ხნის პაუზის შემდეგ ისევ მიგვიწვიეს ისრაელში და რომ დავბრუნდები, პირველ შთაბეჭდილებებსაც თქვენს გაზეთს გავუზიარებ.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის. ახლა კი შენი ბათუმში ყოფნის პერიოდზეც გვიამბე.

— ბათუმში შვილის გამო მომიწია წასვლა. დიტო იქ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე სწავლობდა. აჭარაში ექვსი წელი ვიმუშავე. დავაარსე „ბათუმის მუსიკალური ცენტრი“. უამრავი ფესტივალი, კონკურსი, მუსიკალური და თეატრალური შეხვედრა გავმართეთ. 1998 წელს საქართველოს სატელევიზიო მუსიკალურ კონკურსში „ოქროს მუზა“ ჩემმა შერჩეულმა და მომზადებულმა 16-ვე მონაწილემ გაიმარჯვა. მე ეს პატარა ბათუმელი ვირტუოზები ვარსკვლავებად ვაქციე. ერთი მათგანი, ნატო აბაშიძე ვარნის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა. ახლა ნატო მოსკოვში გნესინის ინსტიტუტის სტუდენტია.

— ამ ბათუმურ წარმატებებს როგორ შეხვდა ადგილობრივი სახელისუფლებო ელიტა?

— ბატონ ასლან აბაშიძეს თავისი მაშინდელი პრესმდივნისთვის გიორგი თარგამაძისთვის უთქვამს, ნატო აბაშიძეს საერთაშორისო კონკურსში გაუმარჯვია და ვიღაც მზია კვირიკაშვილს მოუმზადებიაო.

ვიფიქრე, რახან ბაბუ ჩემი პერსონით დაინტერესდა, იქნებ ჩემს საკონცერტო კომპანიას და მეც მეშველოს-მეთქი (ბათუმში ქირით ვცხოვრობდი, ოფისიც დაქირავებული მქონდა და საკონცერტო დარბაზიც). გიორგი თარგამაძემ რატომღაც პრესკონფერენციაზე მიმიყვანა, სადაც ჟურნალისტებისგან თავმობეზრებულ პოლიტიკოსს აღარც სიცილისთვის ეცალა და აღარც ბათუმელი ბავშვების მუსიკალურ-ესთეტიკური განათლებისთვის. თუმცა კი რამდენჯერმე მითხრა, ჩემს პრესმდივანს დაუკავშირდით და აუცილებლად მოდით მიღებაზეო...

გიორგი თარგამაძეს კი ბაბუს სამჯერ ნათქვამი მიწვევა ერთხელაც „არ გაუგონია“ და მთელი რვა თვე მატარა ასლან აბაშიძესთან იმედიანი შეხვედრის მოლოდინში.

ამასობაში დიტომაც ინსტიტუტი დაამთავრა. ბათუმში კიდევ ცირკიც დაიწვა და საზაფხულო თეატრიც (სადაც გამოვდიოდით უმთავრესად მე და ჩემი აღსაზრდელები).

სხვა რა გზა მქონდა. ავიკარი გუდანაბადი და წამოვედი. ახლაც ხშირად მირეკავენ ბათუმიდან. შენს სიმღერებს ისევ ვმღერითო, მეუბნებიან. სიმართლე გითხრა, გული მწყდება, ჩემი ნიჭიერი მოსწავლეები ახლა „უპატრონოდ“ რომ არიან. მუსიკალური ცენტრის განახლებაზე არავინ ფიქრობს.

— პრესაში საკმაოდ ხშირად წერენ შენზე...

— სამდურავი არ მეთქმის. მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამესაც დაწერენ ხოლმე, გულიც მტკენია. ერთხელ მარტოხელა დედაც მიწოდეს. არადა, ჟურნალისტმა კი უნდა იცოდეს, რა განსხვავებაა ქმარგაცილებულ ქალსა და მარტოხელა დედას შორის... არ მიყვარს, როცა ძალიან პირადულზე ჩამეძიებიან ხოლმე. ჩემი ტკივილი ჩემთვისვე მინდა დავიტოვო.

მეგობრებთან — ნუგზარ კვაშალთან და თემურ წიკლაურთან ერთად

მზია ლევან შენგელიას ნაჩუქარ კომპაქტდისკს მაჩვენებს, რომლის მოსმენაც უშუქობის გამო სამომავლოდ გადავდე. ისე კი, მაიამიში მცხოვრები და ამერიკაში მეტად პოპულარული ქართველი მუსიკოსი ლეგენდარული ჯონ ლენონის ვაჟის — ჯულიან ლენონის საქართველოში ჩამოყვანას აპირებს (იქნებ იმ დროისთვის მაინც გვქონდეს დაძლეული ენერგოკრიზისი).

— ისრაელში „ორერასთან“ შენი გასტროლებიდან რას გაიხსენებდი?

— ეს ცხრა წლის წინ იყო. სცენიდან არ გვიშვებდნენ. თორმეტ ქალაქში ოცზე მეტი კონცერტი გავმართეთ. ქუჩებში გვაჩერებდნენ და ხომ მალე ჩამოხვალთო, გვეკითხებოდნენ. იერუსალიმის წმინდა ადგილების ხილვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შოთა რუსთაველის ფრესკამ კი თითქოს ფრთები შეგვასხა. მე ისრაელიდან სხვა ადამიანი ჩამოვედი. უფრო ბედნიერი, უფრო მდიდარი. ბოლო ფრაზა, შეიძლება ითქვას, მატერიალური გაგებითაც. ნოსტალგიამოძალებულმა ქართველებმა დაგვასაჩუქრეს

— როგორც გავიგე, ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ მოსკოვში აპირებ წასვლას, რატომ?

— ამჯერად ბედის საძიებლად კი არა, „ფულის საშოვნელად“ მივდივარ, აქ ტაში და ყვავილები არ მაკლია, მაგრამ... ლიკანში გამართული სოლო კონცერტიდან 25 ლარი დამრჩა, ქობულეთში — 60 ლარი, ფილარმონიაში გამართულ სოლო კონცერტზე ორი ათასი მაყურებელი იჯდა, ბილეთი კი მხოლოდ 340 კაცზე იყო გაყიდული. სცენაზე ვერც ხუთი წლის ნაყიდი კაბით გამოხვალ. გული მწყდება, ჩემს მაყურებელს ღიმილი რომ უნდა მოვაკლო.

ახლა ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელ, ოღონდ ნუ გამოაქვეყნებ (მე კი ძალიან მინდა ამის შესახებაც მოვუთხრო მკითხველს და, ვფიქრობ, მზია არ გამინაწყენდება — ე.ს.), მომღერალი თემურ წიკლაური აპირებს ახალი სიმღერის შესრულებას ფიროსმანზე (ტექსტი და მუსიკა ჩემია). ამ სიმღერაში ასეთი სტრიქონებიცაა:

Oუტშ სჩწმკუიშთ ვშდფ ვფ ქფქუ უკOშფ
ვფ თშნმფკგდOშ ლმდფმ ქფკეწოგდშ კსუიშბ
სფOშ შკუმფ Oუტშ ჩფეუფ ლმდფშბ
მფკვუიშთ უედშO შთუმ კშნუჭუ ქჩმვუიშყყ

და როცა ამ სიმღერას მოისმენ, მე ალბათ თბილისში აღარ ვიქნები. ჰოდა, მაშინ შენ გვერდით მყოფთ უთხარი, რომ ეს სევდიანი ხუმარას სიმღერაა, რომელიც ახლა მოსკოველების გასაცინებლად ყირაზე დგება.

ასე მიდიან საქართველოდან მსახიობები, მომღერლები, ბიზნესმენები, ახალგაზრდა სპეციალისტები.

იქნებ გამოსავლის პოვნის სურვილი მაინც გასჩენოდა ვინმეს...

ელენე სალარიძე



მედი

MEDI

სექსუალური პრობლემების და პროსტატიტის მკურნალობა

უახლესი მეთოდებით და თანამედროვე აპარატურით

ექიმი კონსულტანტები ისრაელიდან

სრული ანონიმურობა გარანტირებულია

ზ. ფალიაშვილის ქ. 44 ტელ: 25–27–09; 29–05–25

ვინმე შიზოფრენიკის მიერ დაღესტნიდან ისრაელში „ძმები მუსლიმანების დასახმარებლად“ თვითმფრინავის კომიკური გატაცება სიცილის საბაბს სულაც არ იძლევა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ სულ პატარა ისლამური ჯგუფები მთელ მსოფლიოში უძლიერეს ტერორისტულ, კარგად შეიარაღებულ ორგანიზაციებად გადაიქცნენ.

სიხლი ალაჰის სახელით

პომადას ტუჩებიდან სამართებლით აცილებენ

სახეში შესხმული მჟავა წამიერად წვავს კანს, თუკი მჟავა თვალებში შეესხურა, ადამიანი სამუდამოდ ბრმავდება...

მხოლოდ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე, 27 ახალგაზრდა ეგვიპტელ ქალს აკრძალულმა „ისლამური ჯგუფის“ ფანატიკოსებმა დღისითმზისით, ხალხით სავსე ქუჩაში, თვალებში მჟავა შეასხეს. „ყოველი ქალიშვილი, რომელიც არ ატარებს ფარანჯას და ურცხვად უჩვენებს მამაკაცებს სახეს, ალაჰის კანონებს არღვევს, — ამბობს ბოევიკების ლიდერი ალ-რახმანი, — ე.ი. ისლამის მებრძოლებმა ისე გააკეთეს, რომ სახის დაფარვა ისედაც მოუხდება“.

11 ოქტომბერს, ალჟირის ერთ-ერთ სოფელში, ტერორისტული რაზმის „წინასწარმეტყველი მუჰამედის“ წევრებმა სოფლის მოედანზე გამოიყვანეს 34 ქალი და დიდი დანებით თავი მოჰკვეთეს და იცით, რის გამო? ზოგი ქალის ოჯახში არ აღმოჩნდა ყურანი, ზოგმა კი გაბედა და გარეთ უჩადროდ გამოვიდა. შედარებით მშვიდ ირანში იმ ქალს, რომელსაც სახეზე არაფერი აქვს ჩამოფარებული, დაპატიმრება ელის. ქუჩაში „წესრიგს იცავს“ „ისლამური რევოლუციის“ პატრული. ვაი, იმ ქალს, რომელიც ქუჩაში მოკლესახელოიანი პერანგით გამოვა, მას გაშოლტვა ელის, ხოლო თუ ქალი „გამოიჭირეს“, რომელსაც ჩადრის ქვეშ ტუჩები პომადით აქვს

შეღებილი, ამ პომადას სამართებლით მოაცლიან და არად დაგიდევენ, რომ ქალს დაამახინჯებენ.

ავღანეთის ქალაქებისა და სოფლების მოედნებზე უკვე ოთხი წელია, რაც სახალხოდ სჯიან ადამიანებს. სპეციალურად ნასწავლი ჯალათი ხელფეხშეკრულ მსხვერპლს კისერში დანას არჭობს.

სჯიან იმას, ვინც „არამუსლიმანურ“ მუსიკას უსმენს, ვისაც ლოცვა დაავიწყდა, ვინც წვერს არ ატარებს, როგორც ეს მუსლიმანს შეეფერება. კლავენ იმათაც, ვინც ბრძანებისამებრ არ ჩააბარა ტელევიზორი, როგორც ეშმაკის შექმნილი, ან დღესასწაულზე ჩუმად დალია ერთი სირჩა არაყი.

ტერორიზმი ინტერნეტით

შარიათი მკაცრად ექცევა იმათ, ვინც მის კანონებს არღვევს. ქურდობისთვის აჭრიან ხელს, ცოლქმრული ღალატისთვის — ჩაქოლავენ, მკვლელებს სახალხოდ, ცენტრალურ მოედნებზე სახრჩობელაზე კიდებენ ან დაზარალებულ მხარის ნათესავებს მიუგდებენ ანგარიშსწორებისათვის.

ამჟამად შარიათი მოქმედებს სუდანში, ირანში, საუდის არაბეთში, ავღანეთში. აშშ-ის საზღვაო-სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, რომელიც ინტერნეტ-საიტშია გამოქვეყნებული, ევროპის, აფრიკისა და აზიის კიდევ ოც სახელმწიფოში მთავრობის წინააღმდეგ იბრძვის. 50-მდე ტერორისტული ჯგუფია, რომელთა მიზანია თავიანთ ქვეყნებში „ალაჰის მმართველობის“ შემოღება. ისლამისტების მადა სულ უფრო მატულობს — სულ ახლახან, №1 ტერორისტის, მილიარდერ უსამ ბენ ლადენის ორგანიზაციამ „საერთაშორისო ისლამური ფრონტი“ ლონდონში დიდი ამბით გამოსცა რუკა „ისლამის შეერთებული შტატები“, სადაც მწვანე ფერითაა შეღებილი მთელი მსოფლიო. რუსეთის მუსლიმანურად მოქცევა დაგეგმილია 2010 წლამდე, ტაჯიკეთის და უზბეკეთისა — 2005 წელს, საფრანგეთისა — 2015 წელს. ბენ ლადენის ვარაუდით, ჯიუტი ამერიკელები ისლამს მიიღებენ მხოლოდ XX საუკუნის 50-იან წლებში. ამჟამად, მთელ მსოფლიოში „რწმენისათვის მებრძოლი“ 150.000 კაცია. მათ ამზადებენ სპეციალურ ბანაკებში და კარგად აიარაღებენ. ეს ბანაკები განლაგებულია ლიბანში, სუდანში, ერაყში, პაკისტანში, სომალიში, ავღანეთში. მათ აქვთ ყველა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა... ინტერნეტის ჩათვლით. ისეთ პირსისხლიან ჯგუფებს, როგორიც არის „ჰამასი“ და „ალაჰის პარტია“ (ისინი თავს იფეთქებდნენ და ხალხსაც აფეთქებდნენ ისრაელის ბაზრებსა და ავტობუსებში) აქვთ ოფიციალური საიტები, რომლებშიც ზოგი ფირმა თავის პროდუქციას რეკლამას უკეთებს. სპარსეთის ყურის ქვეყნის შეიხები დიდ თანხას უხდიან ტერორისტებს „წმინდა ქალაქის, იერუსალიმის გასათავისუფლებლად“, ხოლო ერაყის და ლიბანის სპეცბანაკებში ამზადებენ მაღალკვალიფიციურ ფანატიკოს მებრძოლებს. მილიარდერ-ტერორისტ ბენ ლადენის გამოჩენის შემდეგ, „ისლამური ფანატიზმი“ ისეთივე მომგებიანი ბიზნესი გახდა, როგორიც „კოკა-კოლა“, ოღონდ სისხლის „მცირეოდენი“ ნარევით. საიტზე — www.kavkaz.org. — მუდმივად ჩანს მოციმციმე განცხადება — „მუსლიმანებო! დაეხმარეთ თქვენს ძმებს, ჩეჩნებს უწმინდურებთან ბრძოლაში! გაიღეთ თანხა კეთილშობილური საქმისთვის. ალაჰ აკბარ!“ (ღმერთი დიდია). იქვე პირდაპირაა მითითებული ემირატების ერთ-ერთი ბანკის რეკვიზიტები გადასარიცხი თანხისათვის.

საკმაო შემოსავალს იღებენ ტერორისტები ნარკოტიკებით ვაჭრობითაც. აშშ-ის ცსს-ის მონაცემებით, ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების ხელში 1999წ. 2 მილიარდამდე დოლარმა გაიარა.

სიკვდილმისჯილები 5.000 დოლარს იღებენ

ტერორისტები ეკონომიკას დიდ ყურადღებას უთმობენ, რადგან ესმით, რომ თუნდაც ირანში შაჰის რეჟიმი აიათოლამ იმიტომ დაამხო, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკეში ცხოვრობდა. ეგვიპტეში მოქმედმა „ისლამურმა ჯგუფმა“, რომელიც უკვე ოცი წელია ცდილობს ქვეყანაში „ალაჰის მმართველობის“ შემოღებას, განაცხადა, რომ გაანადგურებს ყველა ტურისტს, რომელიც „პირამიდების ქვეყანას“ ეწვევა. 1997 წელს ისლამისტების ტურისტულ მექაში, ლუქსორში დაცხრილეს ორი ავტობუსი და დახოცეს 58 გერმანელი ტურისტი, მათ შორის ნახევარზე მეტი იყო ქალი. ისინი დაჭრილებს ცოცხალს არ ტოვებდნენ. რამდენიმე უცხოელი მოკლეს კაიროსა და ალექსანდრიაში, რის შემდეგაც ტურისტები თითქმის ერთი წლით გაქრნენ ეგვიპტიდან და ამით ეკონომიკას დიდი ზიანი მიადგა. მუსლიმმა-ფანატიკოსებმა ინდოეთის კაშმირის შტატში მოიტაცეს და მდინარეში დაახრჩვეს 15 იაპონელი, ამერიკელი და ინგლისელი ტურისტი. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება.

ყველაზე მეტად მსოფლიოს ისლამისტი „კამიკაძეების“ ეშინია. კამიკაძეები ანადგურებენ არამუსლიმებს და თავადაც კვდებიან. დარწმუნებულნი არიან, რომ ჯიჰადის დროს დაღუპული მუსლიმები წმინდანები არიან და პირდაპირ სამოთხეში ხვდებიან. ასეთ „კამიკაძეებს“ ხალხის მასობრივი განადგურებისთვის 5.000 აშშ დოლარს უხდიან.

არ დაინდოთ ურწმუნონი!

ერთმა ჟურნალისტმა ელექტროფოსტით „ჰამასის“ ინტერნეტ-საიტში შეკითხვა გაგზავნა: „ნუთუ ყურანი და წინასწარმეტყველი მუჰამედი რწმენის დასაცავად ქადაგებენ ქალებისა და ბავშვების მოკვლას?“ პასუხი რამდენიმე წუთში მოვიდა: „ჩვენი გულმოწყალე ალაჰის სახელით ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლა — წმინდა საქმეა და მოვალეობაა ყველა მუსლიმანისთვის. სისხლი სისხლის წილ! ალაჰი დიდია! და მე ვმაღლდები ალაჰის სახელით“. როგორც ამბობენ — კომენტარი ზედმეტია.

„რუსეთს ჩვენ შიგნიდან ავაფეთქებთ“

რუსი პოლიტიკოსების წრეში გულახდილობა ტრადიციად იქცა. უცხოელი პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში „დამოუკიდებელი“ ჩეჩნეთის პოლიტიკოსებიც ამ მხრივ არ არიან გამონაკლისები. იჩქერიის მთავარმა იდეოლოგმა მოვლადი უდუგოვმა, რომელიც ამჟამად თურქეთსაა თავშეფარებული, რიგის ერთ-ერთ გაზეთს ინტერვიუ მისცა. აქ არის აშკარად ცინიკური მომენტები არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ საკუთარ ხალხთან მიმართებაშიც.

— ბატონო უდუგოვ, როგორ გრძნობთ თავს თურქეთში?

— მაღალი ალაჰის წყალობით — ძალიან კარგად. თურქეთის ხელმძღვანელობას თავად აქვს ქურთებთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ კარგად იცის, რომ ჩვენ საერთო მტერი გვყავს, იმპერიული რუსეთის ზოგი ოდიოზური პოლიტიკური ფიგურის სახით. თუმცა, ხელისუფლება პოლიტიკური თვალსაზრისით დისტანციას იცავს, მაგრამ ერთმორწმუნე თურქეთის მოსახლეობა გვითანაგრძნობს და ყოველმხრივ მხარს გვიჭერს.

— რაში გამოიხატება თურქეთისა და ჩეჩნეთის ინტერესების ერთობლიობა?

— ეს არის ისტორიული სიმართლის აღდგენა. ჩეჩნები კავკასიაში ათასწლეულების მანძილზე ცხოვრობენ და ექვს საუკუნეზე მეტია, ეს რეგიონი თურქეთის გავლენის სფეროშია. რუსეთი კავკასიაში უცხო მოვლენაა. ისინი აქ 200 წლის წინ მოვიდნენ და არავითარი სიკეთე ჩვენთვის არ მოუტანიათ. რუსეთი უნდა წავიდეს და მისი ადგილი კვლავ თურქეთმა დაიკავოს.

— როგორ ახორციელებთ სამშობლოსთან კავშირს?

—კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების საშუალებით, ეს ძალზე იოლია. მე, სხვათა შორის, ხშირად ჩავდივარ ჩეჩნეთში. სულ ორიოდე კვირის წინ, შატოის მახლობლად შევხვდი იჩქერიის ზოგ ხელმძღვანელს, მათ შორის ასლან მასხადოვს.

— როგორ გაგიშვეს რუსმა მესაზღვრეებმა?

— მესაზღვრეებიც ადამიანები არიან და მათაც ფული სჭირდებათ. ვისაც ფული აქვს, საზღვრის გადალახვა პრობლემა არ არის.

— მაშ, რით ახსნით ინგუშეთ-საქართველოს საზღვარზე მომხდარ ახლანდელ კონფლიქტს, სადაც ალყაში მოექცა მოჯაჰედების ჯგუფი?

— დაურეგულირებელი ფინანსური პრობლემით რუს და ქართველ მესაზღვრეთა შორის. ვიღაცამ ვიღაცას თანხა არ გაუნაწილა.

— ამბობენ, რომ ჩეჩნეთის ომი ჩიხშია. ვერც ერთმა მხარემ გამარჯვებას ვერ მიაღწია.

— ეს რუსეთი აღმოჩნდა ჩიხში, რადგან ყველაფერი იმიტომ წამოიწყეს, რომ პუტინს არჩევნებში გაემარჯვა. არჩევნები კი მოიგეს, მაგრამ ის კი აღარ იციან, ჩეჩნეთს რა უყონ. ყველაზე გონებაჩლუნგი ჩინოვნიკიც მიხვდა, რომ ჩეჩნეთი რუსეთს არასოდეს დამორჩილდება. ჩეჩნეთში რუსების დარჩენა — უაზრობაა და რუსეთის ხელმძღვანელობაც ისე ბორგავს ჩეჩნურ ხაფანგში, როგორც მხეცი. ჩვენთვის კი ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ იწყება.

— მაგრამ ჩეჩნეთში რუსეთის არმიის 100.000 ჯარისკაცია. თქვენ კი, რუსების მონაცემებით, მხოლოდ ორი ათასამდე აქტიური ბოევიკი გყავთ.

— ჩვენ, რასაკვირველია, მეტნი ვართ, მაგრამ საქმე რაოდენობაში როდია. სირცხვილი რუსეთს, რომ მისმა „უძლეველმა“ მრავალრიცხოვანმა არმიამ ვერ აჯობა ასეთ მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეს.

— რუსეთის არმიამ ხომ ჩეჩნეთის მთელი ტერიტორია დაიკავა?

— დაკავება კონტროლირებას არ ნიშნავს. რუსი ჯარისკაცები ყაზარმებთან სხედან და თავის თავს ძლივს იცავენ. ჩვენ კი დღემდე ვრჩებით იჩქერიის ნამდვილ პატრონებად. ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობის შეცდომა ის იყო, რომ რუსების წინააღმდეგ ღიად არ უნდა გვეომა. შემდეგ კი შევცვალეთ ტაქტიკა და ინიციატივაც მაშინვე ხელთ ვიგდეთ. ჩეჩნეთში რუსეთი ყოველდღიურად 10 კაცს მაინც კარგავს. ეს რიცხვი თანდათანობით მოიმატებს. რუსეთის გარდა, ჩვენ ვებრძვით ჩვენივე კოლაბორაციონისტებს.

— ეი. ჩეჩნები უკვე ჩეჩნებსვე დახოცავენ. როგორ შეეფერება ეს ყურანს, სისხლის აღების კანონებს?

— სისხლის აღების კანონი მოღალატეებზე არ ვრცელდება. ყურანი მათ ურწმუნოებთან ათანაბრებს.

— აფეთქებებისა და დივერსიების დროს ხომ მშვიდობიანი მოსახლეობაც ზარალდება?

— ყველა ჩეჩენი ურწმუნოთა წინააღმდეგ წმინდა ბრძოლის მონაწილეა და ყოველი დაღუპული სამოთხეში ხვდება, მოღალატეთა და კოლაბორაციონისტების გარდა. ვისაც არ სურს ალაჰისა და თავისუფლებისთვის თავის გაწირვა, უმჯობესია, წავიდეს. ჩვენ კი ძალიან მალე იჩქერიაში ავაშენებთ ჭეშმარიტ ისლამურ სახელმწიფოს და დავაფუძნებთ შარიათის კანონებს... არა მარტო კავკასიაში.

— იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ თქვენი მოჯაჰედები რუსეთის დაპყრობას შეეცდებიან?

— ამჯერად მორიგი ხასავიურტი აღარ იქნება. როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ნებისმიერი ზავი ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის მხოლოდ შესვენებაა ახალი ომის წინ. ახალი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, იძულებულნი ვართ თავად გადავწყვიტოთ პრობლემები რუსეთის ზოგი რეგიონის მეთაურთან. მაგალითად, მარის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კისლიცინის ხელშეწყობით, ორი ომის შესვენების პერიოდში შევძელით ამ რესპუბლიკაში დამზადებული ГВОС-300-ის კომპლექსის აწყობა. ამავე რესპუბლიკაში მკურნალობდა რამდენიმე ჩვენი საველე მეთაურიც...

— თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, რომ მოჯაჰედთა რაზმები მოსკოვს მიაღწევენ?

— თუკი ჩვენ გავერთიანდებით ავღანელ და შუა აზიის მოჯაჰედებთან, ასეთი შესაძლებლობა სავსებით რეალური იქნება, მაგრამ ჩვენ რუსეთს მშვიდობიანი მეთოდებით დავიპყრობთ, ეს რუსეთის პროპაგანდის წყალობით ვგონივართ ბევრს მხეცები.

— როგორ მეთოდებს გულისხმობთ?

— ძირითადი მიმართულება სამია: ნარკოტიკების მიწოდება, ეკონომიკური პოზიციების ხელში ჩაგდება და რელიგიური ლიდერების გადმობირება. რუსეთის მთავრობამ ჩვენი ახალგაზრდობა ავტომატზე დასვა, ჩვენ კი მათ ახალგაზრდებს ნემსზე დავსვამთ, ქალაქის მერებს ხელს შევუწყობთ გამარჯვებაში, ისინი კი მეჩეთებს აგვიშენებენ. აი, ნახავთ, იაროსლავში უფრო დიდი მეჩეთი შენდება, ვინემ ილია წინასწარმეტყველის ტაძარია.

— ავტომატებს რომ ჩეჩნეთში არ ამზადებენ. როგორ მოახერხა კრემლმა თქვენი ავტომატზე „დასმა“?

— ავტომატებს რუსებისგან ვყიდულობთ და მერე მათვე ვხოცავთ. ჩვენ რეგიონების იმედი გვაქვს. მეჩეთებს ხომ ვაშენებთ, ისლამურ ცენტრებსაც დავაარსებთ. ბევრ გენერალსა და მერს ესმის, რომ ჩვენთან მეგობრობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ომი. ჰოდა, ამასაც ძალიან კარგად გამოვიყენებთ.

— დავუშვათ, თქვენმა შერჩეულმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს და კონტროლზე აიყვანეს რეგიონები. რას შესთავაზებენ ხალხს ნარკოტიკების გარდა?

— ნარკოტიკები — ეს საშუალებაა და არა მიზანი. ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საკმარისია ქალაქში ან რეგიონში მოსახლეობის 20% ნარკომანი იყოს, რომ ყველაფერს მიაღწევ, — მოაწყობ მიტინგებს, არეულობას, შეცვლი არასასურველ ხელმძღვანელობას.

— რას უზამთ შემდგომ ნარკომანებით სავსე ქვეყანას?

— ხომ გითხარით, ნარკოტიკები მხოლოდ საშუალებაა, მიზანი კი რუსეთის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს შექმნაა. კომუნიზმი დაემხო, რუსული მართლმადიდებლობა ამჟამად განწირული რელიგიაა. ამის შესახებ საკმაოდ ობიექტურად, თავად რუსეთის პრესაც წერს.

დემოკრატია რუსეთში ფეხს საბოლოოდ ვერ მოიკიდებს და ჩვენ ისლამით სწორედ ამ ვაკუუმს ამოვავსებთ.

ვინ შეაჩერებს «რეალს»?

ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. II ტური

გასულ სამშაბათს და ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში შემორჩენილმა თექვსმეტმა კლუბმა ლიგაში ათასწლეულის უკანასკნელი მატჩები ჩაატარა. მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტური უკვე 2001 წლის თებერვალში გაიმართება. სხვა საკითხია, ვინ როგორ ხასიათზე ხვდება ახალ წელს. მართალია, ორი ტურის შემდეგ გადაჭრით ვერაფერს იტყვი და ძირითადი ბრძოლები ჯერ მაინც წინაა, მაგრამ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ზოგიერთ იმ კლუბს, რომელსაც მეორე ეტაპის დაწყების წინ ლიგის მოგების ფავორიტად ვასახელებდით, ჯგუფიდან გასვლაც ძლიერ გაუჭირდება. უპირველეს ყოვლისა, ეს რომაულ სუპერკლუბს „ლაციოს“ ეხება, რომელმაც ლიგაში ზედიზედ მეორე მატჩი წააგო და მეორე ტურის მთავარი სენსაციის ავტორად იქცა. ვერც ლონდონელ „მეთოფეებს“ უნდა ჰქონდეთ საქმე კარგად. სამაგიეროდ, დიდებულად თამაშობს მადრიდის „რეალი“, ნელ-ნელა ფორმაში შედის მიუნხენის „ბაიერნი“. „მილანმაც“ შეგვახსენა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია და ფინალში მასპინძლის როლის კისრება სურს. ერთი სიტყვით, წინასწარ საუბარს აზრი არა აქვს და თებერვლამდე მოცდა მოგვიწევს. და კიდევ... ის „სპარტაკი“, ორი კვირის წინ „ჰოკეის მოედანზე“ ლონდონის „არსენალი“ რომ დაიბრიყვა, საშუალო ფრანგულმა კლუბმა — „ლიონმა“ მოიგდო ხელთ და თავის რუსიან-ბრაზილიელ-კამერუნელებიანად სულ კუდით ქვა ასროლინა.

A ჯგუფი

შტურმი-მანჩესტერი 0:2
პანათინაიკოსი-ვალენსია 0:0

ავსტრიის „შტურმმა“ თავისი შესაძლებლობები მაშინ ამოწურა, როცა ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი დაძლია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე ჩანს. არადა, „შტურმმა“ პირველ ეტაპზე შინ არავინ გაახარა და ქულათა მაქსიმუმი აიღო. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ავსტრიაში მთელი 90 წუთი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მომენტიც მეტი შექმნა და დამსახურებულად მოიგო. გოლები პოლ სქოულზმა და რაიან გიგზმა გაიტანეს, შესაბამისად მატჩის მე-17 და 89-ე წუთებზე. ავსტრიელთა მწვრთნელმა ივიცა ოსიმმა მატჩის შემდეგ ერთი კი დაიწუწუნა, — ორიოდე შექმნილი მომენტიდან, ერთი მაინც რომ გამოგვეყენებინა, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს მატჩიო. თუმცა ისიც აღიარა, „იუნაიტედმა“ დამსახურებულად მოიგოო. ამრიგად, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ორ მატჩში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და ჯგუფიდან გასვლის უპირველესი ფავორიტია. „შტურმს“ კი ალბათ კიდევ კარგა ხნით ეყოფა სატრაბახოდ, საუკეთესო 16 გუნდში მოხვედრა. მეოთხედფინალში მისი ადგილი არ არის.

ნულოვანი ფრეს მიუხედავად, არცთუ უინტერესო გამოდგა მატჩი „პანათინაიკოსსა“ და „ვალენსიას“ შორის. 50.000 გულშემატკივრის მხარდაჭერამ ბერძნებს ამჯერად ვეღარ მოაგებინა. „ვალენსია“ მეტ ყურადღებას დაცვას უთმობდა და დროდადრო მწვავე იერიშებითაც პასუხობდა მასპინძლებს. კარის აღების უფრო რეალური შანსებიც რაულ კუპერის გუნდს ჰქონდა, რაც თამაშის შემდგომ აღნიშნა კიდეც სტუმართა არგენტინელმა დამრიგებელმა. საბოლოოდ, ფრემ, რომელიც საბერძნეთში დაფიქსირდა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ჯგუფის მეორე უპირობო ფავორიტი გამოავლინა. თუ სასწაული არ მოხდა, მეოთხედფინალში ალექს ფერგიუსონისა და ექტორ რაულ კუპერის გუნდები გავლენ.

1. მანჩესტერი	**2**	**2**	**0**	**0**	**5:1**	**6**
2. ვალენსია	**2**	**1**	**1**	**0**	**2:0**	**4**
3. პანათინაიკოსი	**2**	**0**	**1**	**1**	**1:3**	**1**
4. შტურმი	**2**	**0**	**0**	**2**	**0:4**	**0**

B ჯგუფი

დეპორტივო-მილანი 0:1
გალათასარაი-პ.ს.ჟ. 1:0

ამ ჯგუფის ფავორიტები ლა კორუნიაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და „მილანს“ რომ არ მოეგო, შეიძლებოდა აღარც ყოფილიყო ფავორიტთა სიაში. ალბერტო ძაკერონიმ ამ მატჩში უზუსტესი ტაქტიკა შეარჩია — შევჩენკოსა და ხოსე მარის სისწრაფის იმედად დაცვა გაამაგრა, შედეგად ესპანეთის ჩემპიონმა მეკარე აბიატის კართან ორად ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნა. სტუმრებს უფრო მეტი შანსი ჰქონდათ გატანისა, თუმცა მხოლოდ ერთი გამოიყენეს. დანიელმა მცველმა ჰელვეგმა პირველი ტაიმის მიწურულს გამარჯვების გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ჯერ ბობანმა გაატანა წყალს ნაღდი საგოლე მომენტი, შემდეგ შევჩენკომ ვერ გაიტანა. „მილანმა“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა სტუმრად და მეოთხედფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა.


არსენალი — ბაიერნი 2:2

არცთუ სანახაობრივი გამოდგა მატჩი სტამბოლში. თურქებმა პოლონელი მსაჯის — ვოიჩიკის მიერ დანიშნული საეჭვო პენალტის წყალობით მოიგეს, თუმცა სტუმრებზე მეტად კი იმსახურებდნენ გამარჯვებას. „გალათასარაი“ „მილანთან“ ერთად ჯგუფის ლიდერია, თუმცა მეტად მძიმე მატჩები ელის ორჯერ „დეპორტივოსთან“, შინ „მილანთან“ და სტუმრად „პარი სენ ჟერმენთან“. შეიძლება ითქვას, რომ „მილანს“ ჯგუფიდან გასვლის ყველაზე უკეთესი შანსი აქვს. მეორე მეოთხედფინალისტის ვინაობას კი ალბათ „დეპორტივოსა“ და „გალათასარაის“ ურთიერთშეხვედრები გაარკვევს. რაც შეეხება ფრანგულ კლუბს — ლიუის ფერნანდესის დებიუტი პ.ს.ჟ.-ს მწვრთნელის რანგში უიღბლო გამოდგა. ფრანგებს მეტად მწირი შანსი დარჩათ მეორე ჯგუფური ეტაპის ბარიერის დაძლევისა.

1. მილანი	**2**	**1**	**1**	**0**	**3:2**	**4**
2. გალათასარაი	**2**	**1**	**1**	**0**	**3:2**	**4**
3. დეპორტივო	**2**	**1**	**0**	**1**	**3:2**	**3**
4. პ.ს.ჟ.	**2**	**0**	**0**	**2**	**1:4**	**0**

C ჯგუფი

არსენალი-ბაიერნი 2:2
ლიონი-სპარტაკი 3:0

მეორე ტურის ყველაზე დაძაბული და მიმზიდველი შეხვედრა ჟდავოდ ლონდონის „ჰაიბერიზე“ გაიმართა. ასე ხდება ხოლმე, როცა დიდი გუნდები არკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას. ვინ შეძლებდა ორბურთიანი სხვაობის „ამოქაჩვას“ „არსენალთან“, მისივე სტადიონზე, ათიოდე წუთში, თუ არა „ბაიერნი“? არადა, პირველ ტაიმში ინგლისელებმა სტუმრები აშკარად დაჩაგრეს. „ბაიერნი“ თავის თავს არ ჰგავდა. შეტევაზე საერთოდ ვერ გადადიოდა და უმწეოდ იგერიებდა ანრის, ლიუნგბერგისა და კანუს უმწვავეს შეტევებს. „მეთოფეებმა“ პირველ ტაიმში გატანილს, მეორის დასაწყისში ერთიც მიამატეს და ალბათ საქმეც მოთავებულად ჩათვალეს. ამ დროს ამუშავდა „გერმანული მანქანა“. „ბაიერნმა“ თითქმის არაფრისგან გაიტანა პირველი გოლი, რასაც მალე შოლის დიდებული საჯარიმო დარტყმა მოჰყვა. გერმანელებმა ამის შემდეგ თამაში სასურველ ტემპში გადაიყვანეს და მშვიდად მიიყვანეს ბოლომდე. შედეგად სატურნირო ცხრილის სათავეში „ბაიერნი“ მოექცა, ლონდონელებს კი მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად გაზაფხულზე დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

ლიონი სპარტაკი 3:0

რუსების ხმამაღალ ამბიციებს — ფინალში უნდა გავიდეთო, ფრანგულმა „ლიონმა“ მოუღო ბოლო. ფრანგთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა სონი ანდერსონმა და მისმა გუნდმა ოლეგ რომანცევის ნაქებ „სპარტაკს“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა. მართალია, მატჩის შემდეგ ოლეგ რომანცევმა თქვა — დარწმუნებული ვარ, ჯგუფიდან მაინც გავალთო, მაგრამ ეს უფრო წაგებული კაცის თავის მართლებას ჰგავდა. რუსულმა პრესამ მეკარე ფილიმონოვსა და იმ დღეს ლიბეროდ მოთამაშე ბუშმანოვზე გადატეხა ჯოხი, მაგრამ თამაშს აგებს არა ორი კაცი, არამედ გუნდი. „ბაიერნი“ ჯგუფის ლიდერის როლში ხვდება ახალ წელს, „არსენალი“ — აუტსაიდერის. ამ ჯგუფში წინასწარ რაიმეს პროგნოზირება შეუძლებელია.

1. ბაიერნი	**2**	**1**	**1**	**0**	**3:2**	**4**
2. ლიონი	**2**	**1**	**0**	**1**	**3:1**	**3**
3. სპარტაკი	**2**	**1**	**0**	**1**	**4:4**	**3**
4. არსენალი	**2**	**0**	**1**	**1**	**3:6**	**1**

D ჯგუფი

ლაციო-ლიდსი 0:1
რეალი-ანდერლეხტი 4:1

„ლიდსთან“ წაგების შემდეგ რომაელი ფანები სვენ გორან ერიქსონის ლანძღვა-გინებით იმშვიდებდნენ თავს. „ლაციომ“ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო და მეოთხედფინალში გასვლა მეტად სათუო გაიხადა. „რეალთან“ ჩატარებული უფერული მატჩის შემდეგ, „ლიდსი“ თითქოს სხვა გუნდად წარდგა რომში. რამდენად ძნელად წარმოსადგენიც არ უნდა იყოს, სტუმრებმა მეტი საგოლე მომენტი შექმნეს და დროდადრო საგრძნობ უპირატესობასაც კი ფლობდნენ — დამსახურებულადაც მოიგეს. ერთადერთი გოლი, შეხვედრის მე-80 წუთზე, ვიდუკა-სმიტის ულამაზეს კომბინაციას მოჰყვა. „ლაციო“ საკუთარი მაყურებლის წინაშე შერცხვა, თუმცა ამ გუნდის პოტენციალიდან გამომდინარე, ვერავინ იტყვის, რომაელებმა მეოთხედფინალში გასვლის შანსი დაკარგესო.

მადრიდის „რეალის“ მომდევნო მსხვერპლი ბრიუსელის „ანდერლეხტი“ შეიქნა. ესპანელებმა ყოველმხრივ დაჩაგრეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ლაციოს“ მძლეველი „ანდერლეხტი“ და XX საუკუნეს ქულათა მაქსიმალური მარაგით ხვდებიან. „სამეფო კლუბმა“ „ანდერლეხტთან“ „მეფური თამაში“ აჩვენა და ასე თუ გააგრძელა, იქნებ კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივოს მადრიდში „დასვენება“ ევროპული საკლუბო ფეხბურთის უძვირფასეს ჯილდოს.

1. რეალი	**2**	**2**	**0**	**0**	**6:1**	**6**
2. ლიდსი	**2**	**1**	**0**	**1**	**1:2**	**3**
3. ანდერლეხტი	**2**	**1**	**0**	**1**	**2:4**	**3**
4. ლაციო	**2**	**0**	**0**	**2**	**0:2**	**0**

„მანჩესტერ იუნაიტედი“ უმდიდრესი კლუბია

კომპანია „დელოიტის“ ყოველწლიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მსოფლიოს უმდიდრეს კლუბთა სიას კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უდგას სათავეში. ინგლისის ჩემპიონი კლუბის შემოსავალი წელიწადში 110,9 მილიონ ფუნტს (ᲖᲐ159,6 მილიონი) შეადგენს. მეორე ადგილზე მნიშვნელოვანი ჩამორჩენით მიუნხენის „ბაიერნია“. საუკეთესო ოცეულში პრემიერლიგის რვა და შოტლანდიის ორი კლუბია. საფრანგეთის უმდიდრესი კლუბები „ოლიმპიკი“ და „პარი სენ ჟერმენი“ მხოლოდ 22-ე და 25-ე პოზიციებზე იმყოფებიან. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ქვეყანაში ფეხბურთი ნაკლებპოპულარულია, ვიდრე ინგლისსა და იტალიაში, თანაც საუკეთესო ფრანგ ფეხბურთელთა უმრავლესობა საზღვარგარეთ თამაშობს.

მსოფლიოს უმდიდრეს კლუბთა პირველი ოცეულის წლიური შემოსავალი ჯამში 1,05 მილიარდი ფუნტია, რაც 15%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით. მომავალ წელს შემოსავალთა გაზრდას განაპირობებს ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან მიღებული თანხების მკვეთრი ზრდა. მხოლოდ რუპერტ მერდოკის კომპანიას აქვს გადახდილი 1,11 მილიარდი დოლარი უკანასკნელ სამ წელიწადში, პრემიერლიგის კლუბების მატჩების ტელეტრანსლირებისათვის.

გაგაცნობთ მსოფლიოს უმდიდრეს კლუბთა ათეულის სიას:

1. მანჩესტერ იუნაიტედი	110,9 მლნ ფუნტი.
2. ბაიერნი	83,5
3. რეალი	76,1
4. ჩელსი	59,1
5 იუვენტუსი	58,5
6. ბარსელონა	55,7
7. მილანი	54,1
8. ლაციო	50,0
9. ინტერი	49,1
10. არსენალი	48,6

ავსტრიასა და შვეიცარიას ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ, ლოს-ანჯელესს – ოლიმპიადის

ავსტრიისა და შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელები ხუთშაბათს შეიკრიბნენ, რათა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღონ, გააგზავნონ თუ არა უეფაში ერთობლივი განაცხადი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ. ავსტრიელებმა ერთხელ უკვე გააკეთეს ერთობლივი განაცხადი უნგრელებთან ერთად, მაგრამ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლება პორტუგალიამ მოიპოვა.

აშშ-ის ქალაქ ლოს-ანჯელესის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მზად არის, 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს. თუ ოლიმპიური კომიტეტის არჩევანი ამ ქალაქზე შეჩერდა, ლოს-ანჯელესი ერთადერთი ქალაქი იქნება პლანეტაზე, რომელსაც სამჯერ ექნება მოპოვებული ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება (ლოს-ანჯელესში ოლიმპიადები ჩატარდა 1932 და 1984 წლებში).

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადის გაგზავნის უკანასკნელი ვადა 15 დეკემბერია. მოსალოდნელია, რომ ლოს-ანჯელესს კონკურენციას გაუწევენ ნიუ-იორკი, დალასი, ვაშინგტონი, ბალტიმორი, ჰიუსტონი, სან ფრანცისკო და ტამპა. აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი თავის არჩევანს 2002 წელს დაასახელებს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კი საბოლოო გადაწყვეტილებას 2005 წლის შემოდგომაზე გამოიტანს.

იყო ᲖᲕᲘᲓᲘ — დარჩა ᲝᲠᲘ!

უეფას თასი. 1/16 ფინალის საპასუხო მაგჩები

ხუთშაბათს უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართა, რასაც გერმანული კლუბების ფიასკო მოჰყვა. შვიდი გერმანული კლუბიდან ორად ორი —„კაიზერსლაუტერნი“ და „შტუტგარტი“ გააგრძელებენ მომდევნო ეტაპიდან ბრძოლას. გავარდა ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი“, უკან მიჰყვა უკრაინული „შახტიორი“ და უეფას თასი ყოფილი საბჭოეთის გუნდების გარეშე დარჩა. ფავორიტთაგან „რეინჯერსმა“ და „ლევერკუზენმა“ ვერ იხეირეს. დანარჩენი შეხვედრები, ასე თუ ისე, კანონზომიერად დასრულდა. უეფას თასისათვის ბრძოლას გაზაფხულიდან ევროპის 16 საკმაოდ სოლიდური გუნდი შეუდგება.

რაიო ვალეკანო — ლოკომოტივი 2:0

კაიზერი (გერმანია)
— რეინჯერსი (შოტლანდია) 3:0 (0:1)
რაიო ვალეკანო (ესპანეთი)
— ლოკომოტივი (რუსეთი) 2:0 (0:0)
აეკი (საბერძნეთი) —
ლევერკუზენი (გერმანია) 2:0 (4:4)
ვერდერი (გერმანია) —
ბორდო (საფრანგეთი) 0:0 (1:4)
რუსენბორგი (ნორვეგია) —
ალავესი (ესპანეთი) 1:3 (1:1)
ჰამბურგი (გერმანია) —
რომა (იტალია) 0:3 (0:1)
ლოზანა (შვეიცარია) —
ნანტი (საფრანგეთი) 1:3 (3:4)
სელტა (ესპანეთი) —
შახტიორი (უკრაინა) 1:0 (0:0)
ბარსელონა (ესპანეთი) —
ბრიუგე (ბელგია) 1:1 (2:0)
ინტერი (იტალია) —
ჰერტა (გერმანია) 2:1 (1:1)
პორტუ (პორტუგალია) —
ესპანიოლი (ესპანეთი) 0:0 (2:0)
პაოკი (საბერძნეთი) —
პ.ს.ჟ. (ჰოლანდია) 0:1 (0:3)
სლავია (ჩეხეთი) —
ოსიეკი (ხორვატია) 5:1 (0:2)
ლივერპული (ინგლისი) —
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2:0 (2:2)
მიუნხენ 1860 (გერმანია) —
პარმა (იტალია) 0:2 (2:2)
შტუტგარტი (გერმანია) —
ფეინოორდი (ჰოლანდია) 2:1 (2:2)

ფრჩხილებში მოცემულია პირველი შეხვედრების შედეგები. განსხვავებული შრიფტით აღნიშნულია გუნდები, რომლებიც შემდგომ ეტაპზე გავიდნენ.

ოჰ, ეს ქალები...

გერმანიის ყველაზე სექსუალურმა ქალმა ბეკერს ოჯახი დაუნგრია

შვიდიოდე წლის წინ, გერმანელთა უმეტესობა, თანამედროვე ტოლერანტობის მიუხედავად, ერთობ უკმაყოფილო დარჩა, როდესაც მათმა კერპმა — ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა ზანგი ცოლი — ბარბარა ფელტუსი შეირთო. მაშინ ბეკერს ლამის ბოდიშის მოხდაც მოუწია პრესით, გერმანელთა წინაშე.

თუმცა, ეტყობა „ბუმ-ბუმ ბორისსაც“ მოყირჭდა უცხო რასის ქალთან ცხოვრება და ამას წინათ გერმანიის ყველაზე სექსუალური ქალის კონკურსში გამარჯვებულ საბრინა სეტლიურს „გადაეკიდა“.

ბეკერმა უკვე პრესაში განაცხადა, რომ ცოლთან აღარ ცხოვრობს, თუმცა ამის მიზეზი რომ სხვა ქალი ყოფილა, მოგვიანებით გახდა ცნობილი. ყოფილმა ჩოგბურთელმა და ამჟამად წარმატებულმა მენეჯერმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ საბრინა მერე გამოჩნდა, მას უბრალოდ მოსწყინდა ცოლთან ცხოვრება. თუმცა მისი აწ უკვე ნაცოლარი, მაინც „სექსბომბას“ აბრალებს თავისი ოჯახის დანგრევას. ბევრისთვის, რომლებიც ბეკერის ოჯახს გერმანელთა რასობრივი შემწყნარებლობის იდეალად თვლიდნენ, ეს ამბავი შოკის მომგვრელი აღმოჩნდა და გაზეთებში ერთი ალიაქოთი ატეხეს მისი ორი შოკოლადისფერი შვილის უმამოდ დარჩენის გამო. გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (მოფაშისტო ორგანიზაციაა) წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ „ბეკერი ნელ-ნელა აზრზე მოდის“.

მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს სუპერმოდელი გაექცა

შარშან მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარებულმა, ფრანგმა ფაბიენ ბარტეზმა ახლახან ახალი მანქანა იყიდა. თითქოს განსაკუთრებული არაფერია. თუმცა, როგორც მან თქვა, ახალი „ფერარის“ ყიდვა მას ნერვების დასამშვიდებლად დასჭირდა. საქმე ისაა, რომ სანერვიულო მას მართლაც ჰქონდა — ბეკერისაგან განსხვავებით, ქალი გაექცა. თანაც რა ქალი — არგენტინელი სუპერმოდელი ლინდა ევანგელისტა. თავიდან ლინდა „ჭკვიანად“ იქცეოდა, ბარტეზთან ერთად მანჩესტერშიც გადასახლდა, თუმცა, როგორც თქვა, — ვერ მიეჩვია ამ ყველაზე წვიმიანი ინგლისური ქალაქის გადაუღებელ კოკისპირულებს და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან სკანდალის შემდეგ, თავის მეგობრებთან გაიქცა ნიუ-იორკში.

ბარტეზს კი, რამდენიმე დღე უდარდია, და შემდეგ „წამალიც“ უპოვია — „ფერარის“ ახალი მოდელი, რომელიც უკანასკნელ ავტოსალონზე ჟენევაში, მსოფლიოს ყველაზე სრულყოფილ სპორტულ ავტომობილად დასახელდა. „პრეპარატი“ ფრანგს ნახევარი მილიონი დოლარი დაუჯდა. ბარტეზმა მონაკოდან თავისი მავანი ძმაკაცი — ავტომრბოლი გამოიძახა, რომელიც მას ახალი მანქანის ინგლისურ გზებზე ათვისებაში ეხმარება, რადგან როგორც თვითონ თქვა, „ფერარის“ ყიდვიდან მეორე დღეს, დიდი სიჩქარით მიმავალს (მის მანქანას 300კმ/სთ-ის განვითარება შეუძლია) ავტოსტრადაზე გადასახვევი გამორჩენია და მანჩესტერის მაგივრად ლივერპულში აღმოჩენილა.

საბონისს ჯი, ცოლი „გაუღოთდა“

ერთი სიტყვით, ქალი მაინც ქალია, გინდ დიდი სპორტსმენი და მილიონერი იყავი და გინდ უბრალო მოკვდავი — კაცობრიობის მშვენიერი ნახევარი ყველას ერთნაირად უშლის ნერვებს.

ცნობილი ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი არც ცოლს გაშორებია და არც მისი მეუღლე აპირებს ნიუ-იორკში გაქცევას (მით უმეტეს, რომ ისედაც ამერიკაშია), მაგრამ პორტლენდ ტრეიბლეიზერსში“ მოთამაშე ლიტველს.

ინგრიდა საბონისი, რომელიც ერთ დროს „მის ვილნიუსად“ იყო დასახელებული, ექვსი თვის მანძილზე უკვე მეორედ ამხილეს ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვაში, ეს კი ამერიკაში საკმაოდ სერიოზულ დანაშაულად ითვლება. ინგრიდი, რომელსაც გასულ კვირას 30 წელი შეუსრულდა, პორტლენდში, თავისი სახლის სიახლოვეს „გამოიჭირეს“ საგზაო პოლიციელებმა, რომლებმაც პრესას აუწყეს, რომ სისხლის ანალიზის შედეგად მასში ალკოჰოლის რაოდენობამ დასაშვები 0,8%-ის მაგივრად 0,26%-ს მიაღწია. ამ დროს არვიდას საბონისი თავის გუნდს ახლდა გასვლით თამაშზე „ფინიქს სანზის“ წინააღმდეგ.

როგორც ამერიკული პრესა წერს, მისის საბონისს ამჯერად სასამართლო გაცილებით სერიოზულ ბრალდებას წაუყენებს, რადგან ახლა ახალი დარღვევის გარდა 16 მაისის საქმესაც გაუხსენებენ, როდესაც იგი მხოლოდ იმ პირობით არ დასაჯეს, რომ აღარასოდეს მიუჯდებოდა საჭეს ნასვამ მდგომარეობაში.

კურნიკოვა ისევ გაებუტა ჰინგისს

რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა უკვე მერამდენედ წაეჩხუბა თავის მეტოქესა და დაქალს მარტინა ჰინგისს.

ისინი ერთმანეთს შორის საჩვენებელი მატჩს მართავდნენ სანტ-იაგოში. ერთ მომენტში ჰინგისს მსაჯის გადაწყვეტილება არ მოეწონა და მას ბურთის ანაბეჭდის შემოწმება სთხოვა თიხის მოედანზე, მაგრამ უარი მიიღო და გადაწყვეტილებაც კურნიკოვას სასარგებლოდ იქნა მიღებული. როგორც ჩილის ტელევიზიის კომენტატორმა აღნიშნა, კურნიკოვა ძალზე ნაწყენი გამოიყურებოდა, როდესაც ჰინგისისა და მსაჯის კამათს ადევნებდა თვალს. კიდევ ერთი ჩილელი ჟურნალისტი კი წერს, რომ მატჩის მთელი დანარჩენი დროის მანძილზე კურნიკოვას თვალს ცრემლი არ მოშორებია, ისე ეწყინა მეგობრის უსამართლობა. თუმცა რუსმა მაინც მოიგო მატჩი — 6:4, 6:4.

კურნიკოვამ თამაშის შემდეგ ტრადიციულ ხელის ჩამორთმევაზეც უარი უთხრა ჰინგისს, თუმცა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ამ ორი ჩოგბურთელის ურთიერთობა მათზე მეტად, ახლა ფირმა „ადიდასს“ ეხება, რომელიც მათი ოფიციალური სპონსორია და ცხადია, ჩოგბურთელებსაც გარკვეული ვალდებულება აკავშირებთ ამ გერმანულ ფირმასთან. ამ ვალდებულებების ერთ-ერთი პუნქტი კი, სწორედ მათი „მეგობრობაა“ — საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, „კრემლის თასის“ გათამაშებისას გაუმხილა კურნიკოვამ ჟურნალისტებს ერთი საიდუმლო: მას და ჰინგისს — მსოფლიო ჩოგბურთის აღიარებულ სექს-ბომბებს „ადიდასმა“ ფანტასტიკური კოსტიუმები შეუკერა, რომელთა პრეზენტაცია საშობაოდ უნდა შედგეს, ამისათვის კი ჩოგბურთელებს ჩახუტებულებს მოუწევთ სარეკლამო პლაკატებისთვის ფოტო-გადაღება.

ასე რომ, ფული კარგი კი არის, მაგრამ ხანდახან მის მიღებას გრძნობები უნდა ანაცვალო.

მაკინროი კი, ქალებზე „უარს ამბობს“

სახელგანთქმული ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროი კვლავ პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა მისთვის ჩვეული როყიო გამონათქვამის გამო. ამჯერად მან ქალ ჩოგბურთელთა წინააღმდეგ „გაილაშქრა“. აშშ-ს ნაკრების კაპიტანმა განაცხადა, რომ არანაირ თანხაზე არ ითამაშებს ქალის წინააღმდეგ. მისი „დემარში“ დებ უილიამსებიდან ერთ-ერთის განცხადებამ გამოიწვია, რომელმაც დაიტრაბახა, რომ სულაც არ თამაშობს მამაკაცებზე უარესად და მზად არის ნებისმიერ მათგანს შეხვდეს. თუმცა ვინუს უილიამსმა უკვე ჩაატარა ერთხელ ასეთი ექსპერიმენტი, და მაშინ იგი სასტიკად დამარცხდა საკმაოდ სუსტ მამაკაც ჩოგბურთელთან — 1:6, 0:6.

თუმცა უილიამსი არ დაწყნარდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მილიარდერმა დონალდ ტრამპმა ერთი მილიონი დოლარი გამოყო მასა და მაკინროის შორის მატჩის ჩატარების დასაფინანსებლად.

ამან მაკინროიზე ვერ მოახდინა შთაბეჭდილება და განაცხადა: „ეს იგივე იქნება, მერიონ ჯონსი რომ მორის გრინს შეეჯიბროს ას მეტრზე სირბილში. როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს?“

ავჩიგაუშ უჩუდ ქყაყათ შესყმთ!



დიეგო ოქსფორდის საპატიო დოქტორის ჩაჩის მეფის გვირგვინით შეცვლას ელის

დღეს მართლაც დიდი დღეა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში — იტალიის დედაქალაქში ამ საღამოს ჭნდა დასახელდეს „ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი“.

რომში გრანდიოზული ცერემონიაა დაგეგმილი — ფიფა წლის საუკეთესო ფეხბურთელსაც დაასახელებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებსაც — საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი, მწვრთნელი, გუნდი და ა.შ.

თუმცა პოპულარულმა ინგლისურმა გამოცემამ — „უორლდ სოკერმა“ უკვე მოასწრო საკუთარი გამოკითხვის ჩატარება და საუკეთესო ფეხბურთელიც დაასახელა — პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ. სავარაუდოა, რომ ფიფას რჩეულიც წელს ბრწყინვალედ მოთამაშე მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი გახდება.

ისევ „საუკუნის ფეხბურთელს“ დავუბრუნდეთ, რომლის ირგვლივაც დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, განსაკუთრებით ბრაზილიაში. საქმე ისაა, რომ წინასწარი მონაცემებით, დიეგო მარადონა საკმაოდ დიდი „ფორით“ უსწრებს პელეს. ეს კი, ცხადია, ბრაზილიელთათვის ეროვნული ტრაგედიის ტოლფასია.

ფიფას ოფიციალურმა ბეჭდვითმა ორგანომ — „FIFA MAGAZINE“, სარეიტინგო წინასწარი გამოკითხვა ჩაატარა თავის მკითხველ სპეციალისტებს შორის და ამ ტესტმაც მარადონას უპირატესობა აჩვენა.

თვით პელე, ალბთ უკვე მზადაა დამარცხებისათვის, რადგან ამგვარი განცხადება გააკეთა: „თუ დიეგოს აირჩევენ, ჩემს ცხოვრებაში არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება. ჩემი მთავარი გამარჯვებები მინდორზე მაქვს მოპოვებული... ასე რომ, ჩემი ტიტული — „ფეხბურთის მეფე“, მუდამ ჩემთან იქნება“. პელესაგან განსხვავებით, ყველაზე პოპულარულმა ბრაზილიურმა ჟურნალმა „დუ ბრაზილმა“ იცის, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი“ და მეფის ტიტულიც, მართლა მეფეებისთვისაც კი ჩამოურთმევიათ. ამიტომ სხვა ხერხით ცდილობს მარადონას კომპრომეტირებას და მისი და ფიფას გამანადგურებელი სტატია გამოაქვეყნა, სადაც ვკითხულობთ, რომ ფიფას მორალური უფლება არ ჰქონდა პელესა და მარადონას ერთად დაყენებისა, რომელიც არა მხოლოდ არანაირ ტიტულს არ იმსახურებს, არამედ საერთოდ დისკვალიფიცირებული უნდა იყოს ასეთი ცერემონიებიდან და ვეტერანთა მატჩებიდანაც კი.

ეს პრობლემა მარადონასაც აწუხებს და ამბობს, რომ მსოფლიო საზოგადოებაში მისი ცუდი რეპუტაცია, ალბათ, იმოქმედებს გამოკითხვის შედეგებზე. თუმცა იქვე პირობას დებს, რომ ამ ტიტულის მოპოვების შემთხვევაში, რომელიც „ღვთის საჩუქარი“ იქნება, მთლიანად შეიცვლის ცხოვრების წესს და სამუდამოდ დაივიწყებს ნარკოტიკების არსებობას.

წინასწარი შედეგების მიხედვით, გამოკითხვაში მესამე ადგილი არგენტინელ-ესპანელ ალფრედო დი სტეფანოს უკავია, დანარჩენი კონკურენტები ამ სამეულს ბევრად ჩამორჩებიან.

2004 წლის ოლიმპიადა — ჩაშლის საფრთხის წინაშე

გასულ კვირას თანამდებობიდან გადადგა ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მოსამზადებელი კომიტეტის მთავარი მენეჯერი პეტროს სინადინოსი, რომელსაც განუცხადებია, რომ ვეღარ უძლებს მოუგვარებელი საორგანიზაციო პრობლემების სიმძიმეს. ეს მისმა დაახლოებულმა პირებმა აუწყეს პრესას, რომლის წინაშე გამოსვლაზე, თვით სინადინოსმა უარი თქვა. პროფესიით არქიტექტორი სინადინოსი ამ თანამდებობაზე ივნისში დაინიშნა და უკვე იმ დროიდან გამოხატავდა შეშფოთებას იმის გამო, რომ საბერძნეთის მთავრობა, თავისი უმოქმედობით არანაირად არ უწყობდა ხელს კომიტეტის საქმიანობას. მისი გადადგომა ორგანიზატორებს კიდევ უფრო გაურთულებს საქმეს, რაც ძირითადად ოლიმპიურ სარბიელთა მომზადების ნელ ტემპში გამოიხატება, — საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კი პირდაპირ განუცხადა ბერძნებს, რომ კომიტეტის მუშაობის სერიოზული ხარვეზები საფრთხის ქვეშ აყენებს საბერძნეთში ოლიმპიადის ჩატარებას.

მიუხედავად იმისა, რომ სოკ-ის ინსპექციამ გასულ თვეში დადებითად შეაფასა ბერძენთა მიერ გაწეული მუშაობა ადრინდელი პრობლემების მოგვარების საქმეში, ამასთანავე გააფრთხილა ისინი, რომ მომავალში აღარ აპატიებს მათ ამგვარი სირთულეების წარმოშობას (საუბარია ოლიმპიადის მომზადების დაგეგმილი გრაფიკის დარღვევაზე). როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, თანამედროვე საბერძნეთს, 1896 წლისაგან განსხვავებით, როდესაც იქ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადა ჩატარდა, არც მატერიალური რესურსები ჰყოფნის და არც პოლიტიკური ერთიანობა, რათა მსოფლიო სპორტულ ფორუმს უმასპინძლოს.

47 წლის სინადინოსი იმ ჯგუფის წევრი იყო, რომელიც საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის ჟანა ანგელოპულოს-დასკალაკისის მიერ ჩამოყალიბდა იმ ავტორიტეტის აღსადგენად, რომელიც საზოგადოების თვალში ნულამდე დასცა მისმა წინამორბედმა, კომიტეტის კომერციულმა დირექტორმა კოსტას ბაკურისმა, რომელსაც კორუფცია ედებოდა ბრალად.

როგორც ირკვევა, 1997 წლის შემდეგ მიმდინარე გაუთავებელმა საკადრო ცვლილებებმა ვერაფერი უშველა ელადელთა ოლიმპიურ კომიტეტს და თუ გაზაფხულამდე საქმე არ გამოსწორდა, სოკ-ი ალბათ, ახალ მასპინძელს შეურჩევს „ოლიმპიადა — 2004“-ს.

2,75 მილიარდი დოლარი — ოლიმპიადის ჩასაბარებლად

თუ ზემოთ ნახსენები პრობლემები ვერ მოაგვარეს ბერძნებმა, შესაძლოა ოლიმპიადის მასპინძელი ჩინეთის დედაქალაქი გახდეს. თუმცა ასეც რომ არ მოხდეს, აზიელებს 2008 წლის იმედი მაინც აქვთ და არცთუ უსაფუძვლოდ, — ისინი ბერძნებისაგან განსხვავებით, საგულდაგულოდ ემზადებიან და ფულსაც არ იშურებენ საპატიო მისიის მოსაპოვებლად.

2000 წლის მხოლოდ 10 თვის მანძილზე პეკინის ხელისუფლებმა ქალაქის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე 2,75 მილიარდი(!) დოლარი დახარჯეს ერთადერთი მიზნისთვის — მოიპოვონ „ოლიმპიადა — 2008“-ის ჩატარების უფლება.

როგორც ინტერნეტში გავრცელებული ცნობა იუწყება, ეს სახსრები ძირითადად ქალაქსა და მის მისადგომებთან 300კმ ახალი გზების მშენებლობაზე და 70კმ შიდა — ძველი გზების რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა.

უახლოეს ხანში, ქალაქის ეკოლოგიური პრობლემების მოსახსნელად (ესეც სოკ-ის ერთ-ერთი მოთხოვნაა) დაგეგმილია მთელი პეკინის გაზიფიცირება, სადაც საწვავად ჯერ კიდევ ქვანახშირი გამოიყენება. გათვალისწინებულია აგრეთვე პეკინის 700-მდე საზოგადოებრივი ტუალეტის კეთილმოწყობა, რომლებიც თურმე, უცხოელი ტურისტების მუდმივი საქილიკო თემა ყოფილა.

უფრო მეტიც — ხელისუფალთა ბრძანებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ტაქსების ყველა მძღოლი, სტუმართა უკეთ მომსახურების მიზნით, ინგლისურს შეისწავლის.

2001 წლის თებერვალში ჩინეთში სოკ-ის საინსპექციო კომისია ჩავა, შემდეგ იგი სხვა კანდიდატებსაც მოინახულებს და მოსკოვში, ზაფხულში ჩასატარებელ სხდომაზე გადაწყდება, თუ ვინ უმანსპინძლებს 2008 წლის ოლიმპიადას — პეკინი, პარიზი, ოსაკა, სტამბოლი თუ ტორონტო.

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ეg4-g1!

გვერდი მოამზადა ზვიად გურულმა

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს სამ სვლაში.



ისინი ნათესავები ყოფილან

ინგლისური გამომცემლობა „ბრეკს პირეჯი“, რომელიც არისტოკრატიული საგვარეულოების ნათესაურ კავშირებს იკვლევს, იუწყება, რომ რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშს რუსეთის იმპერატორთა გვართან (ისევე, როგორც სხვა ევროპულ სამეფო ოჯახებთან) ნათესაობა ჰქონია. ჯორჯ ბუშის ნათესაობა რომანოვებთან რამდენიმე შტოზე ვრცელდება, ყველაზე ახლოს კი მათთან თანამედროვე „ინჯორელთა“ დინასტია დგას, რომელიც, თავის მხრივ, რომანოვებს ენათესავება.

დადგენილია, რომ ბუში პირდაპირი შთამომავალია ინგლისის მეფის ჰენრიხ -ის, ხოლო ახლანდელი დედოფლის ელისაბედ -ის მეცამეტე ბიძაშვილია.

სამეფო გვართან კავშირი აქვს დემოკრატ ალბერტ გორსაც. იგი შთამომავლობით უკავშირდება კარლოს დიდს და რომელიღაც მონათესავე შტოთი ჯორჯ ბუშის ნათესავიცაა.

თუ რამდენად სასიამოვნოა ეს მათთვის, ამაზე „ბრეკს პირეჯი“ დუმილს ამჯობინებს.

ფავორიტი №22

ადვოკატი უცხოპლანეტელებისთვის

ამერიკას ყველაფერი ეცოტავება... ამ ქვეყანაში ყველას უფლებებია დაცული — ბავშვიდან დაწყებული, ცხოველებით დამთავრებული. აშშ-ში თუკი სიმპათიური ქალიშვილი მოგეწონებათ და თვალს ჩაუკრავთ, მაშინვე მართლმსაჯულების წინაშე აღმოჩნდებით, ვერც ანც შვილს წამოარტყამთ და ვერც აბეზარ ტარაკანს მოსპობთ. საინტერესოა, კიდევ რას მოიფიქრებენ?.. რადგან დედამიწაზე ისინი ყველას უფლებას იცავენ, ამერიკელმა იურისტებმა მზერა კოსმოსს მიაპყრეს. ფილადელფიელი იურისტების ჯგუფმა დააარსა „კოსმოსიდან მოსული უცხოპლანეტელების დაცვის“ ლიგა, რომლის მიზანია, მიაღწიონ ისეთი კანონის მიღებას, რაც აკრძალავს უცხოპლანეტელების ისე წარმოჩენას, როგორც ეს აისახება კინემატოგრაფში, ტელევიზიასა და პრესაში.

ლიგის პრეზიდენტს დევიდ ბლესენდს მიაჩნია, რომ ჩვენი ვარსკვლავური ძმები არ არიან დაცულნი დისკრიმინაციისაგან და ადამიანები მათზე დამამცირებელ ცნობებს ავრცელებენ.

სხვათა შორის, ამ კანონის მომხრეების ათასობით ხელმოწერა ლიგამ უკვე შეაგროვა და სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ გარმიანელების დასაცავ კანონს აშშ-ის მთავრობა გამოსცემს.

კრიმინალნაია ხრონიკა

ტრაფალგარის მოედანი

ძველ გენერლებს ახალ ტეტჩერზე გაცვლიან

ტრაფალგარის მოედანი ლონდონის მთავარი ღირსშესანიშნავი ადგილია. ვისაც ნელსონის კოლონის ან თუნდაც წარსულში სახელოვანი გენერლებისა და ლომების ფონზე სურს ფოტოგრაფირება, უნდა იჩქაროს, ვინაიდან ამ პერსონაჟებს მალე აიღებენ მოედნიდან.

ინგლისის დედაქალაქის მერმა გადაწყვიტა, რომ სერ ჰენრი ჰეივლოკი და ჩარლზ ნაპრე (გენერლები) პრაქტიკულად უცნობები არიან რიგითი ლონდონელებისათვის, ქალაქის სტუმრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ორივე გენერალს შეცვლიან უფრო ცნობილი პიროვნებები. ჯერჯერობით, ტრაფალგარზე მოხვედრის ერთადერთი პრეტენდენტი რკინის ლედი მარგარეტ ტეტჩერია.

პოსლედნე ნოვოსტი №48

„კანონის მორჩილი“ მარკ ტვენი



ერთხელ მარკ ტვენმა თავის გაზეთში მეტად მწვავე სტატია გამოაქვეყნა მავან ნაძირალაზე. სტატია მთავრდებოდა სიტყვებით: „მისტერ ი. იმასაც არ იმსახურებს, რომ მიაფურთხო“.

მისტერ ი. ბუნებრივია, აღშფოთდა და შეურაცხმყოფელმა სასამართლოს მიმართა. სასამართლომ გაზეთს დაბეჭდილის უარყოფა და ბოდიშის მოხდა დაავალა.

მარკ ტვენმა, როგორც „კანონის მორჩილმა“ ჟურნალისტმა ასეთი განცხადება დაბეჭდა: „რაც შეეხება სტატიას, ჩვენ შეხედულება შეგვეცვალა და ვაცხადებთ: „მართალი არ არის რომ მისტერ ი. არ იმსახურებს შეფურთხებას, პირიქით, მისტერ ი. იმსახურებს სახეში შეფურთხებას.“

ორაკული №12

ხელოვნება



თარაზულად: 7. მიხო, კერძი; 8. ბურატინო, კუ; 11. ყანა, მწერი; 12. ბანდა, პრეზიდენტი; 13. სტალონე, გველი; 14. აზრი, ჩანაფიქრი; 15. ათოსი, პორთოსი; 19. ჩიყვი, დეფიციტი; 22. მდინარე, ლეკვები; 23. ბაკურიანი, ევერესტი; 24. კოკო, კარდენი; 25. ავსტრალია, თბილისი; 26. თეატრი, დურბინდი; 30. აღმაშენებელი, ფსალმუნი; 31. ცისარტყელა, ქალღმერთი; 32. გომიაშვილი, მირონოვი; 37. ევროპა, მეზობელი; 38. თერგი, ხეობა; 39. კიტრი, მინა; 42. ნაღები, პროდუქტი; 43. პრომეთე, საქართველო.

შვეულად: 1. ფარიკაობა, იარაღი; 2. ყვავი, წიწილა; 3. ღმერთი, ბურღული; 4. რუკა, ალბომი; 5. მხარი, ზომა; 6. დილა, გადაცემა; 9. ჯარი, ადმირალი; 10 საქართველო, კარატე; 16. სპორტი, მწვერვალი; 17. რკო, ხე; 18. ფიზიკა, წონასწორობა; 20. სხივი, ჭუჭრუტანა; 21. სახლი, ჩონჩხი; 27. ლენინი, ქილერი; 28. სტრადივარიუსი, ინსტრუმენტი; 29. სომხეთი, მიწისძვრა; 33. კლინტონი, ნანული; 34. მიუნჰაუზენი, ტიტული; 35. სურათი, წიგნი; 36. ფული, შემცვლელი; 40. ფსიქიატრი, პაციენტი; 41. კარადა, სართული.

წინა კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. კაპიტანი, 8. გობელინი; 11. ბრინჯი; 13. ძმარი; 14. პიანინო; 18. ჰაე; 19. ალა; 21. დროშა; 22. ცეკვა; 23. ტუტსი; 24. ოფსაიდი; 26. ბრიგადა; 30. ტენტი; 31. პანტომიმა; 32. ირემი; 35. გოგრა; 39. აგარა; 40. კვატი; 41. ეპიდემია; 42. კრეისერი.

შვეულად: 1. ვარჯი; 2. ოტია; 3. ანდრია; 4. ყორანი; 5. ვერა; 6. გნომი; 9. ორატორი; 10. არაქისი; 12. ენდოკრინოლოგი; 15. განდი; 16. ბლინი; 17. ეშაფოტი; 20. კუპდარი; 25. დიანა; 27. რამპა; 28. გეოლოგი; 29. ამარეტო; 33. გრიპი; 34. მარე; 35. გალია; 36. ავარა; 37. გემი; 38. ზვარი.

ჯლეოპატრას პაპირუსი

(ნაპოვნია ეგვიპტის დედოფლის მიერ ხელმოწერილი უნიკალური დოკუმენტი)

ეგვიპტის მშვენიერი დედოფლის კლეოპატრას ხელრთვის ერთადერთი ნიმუში შემთხვევით აღმოჩენილა ერთ-ერთ ეგვიპტურ სარკოფაგში — ბერლინში. დოკუმენტი დათარიღებულია 33 წლით ჩვენს ერამდე. პაპირუსი იპოვა ანტიკური ისტორიის სპეციალისტმა ჰოლანდიელმა პროფესორმა პეტერ ვონ მინენიმ. ეჭვი, რომ ძველ პაპირუსს შეხებია შეუდარებელი დედოფლის ხელი, გაჩნდა მაშინვე, როგორც კი დოკუმენტი იქნა სკანირებული. წარწერიანი ადგილის გადიდების შემდეგ სამ სიტყვაში — „დაე, იყოს ასე“ — პროფესორმა კლეოპატრას „ხელწერა იცნო“.

ასეთი სიტყვები, შესაძლოა, ეკუთვნოდეს მხოლოდ ეგვიპტის მბრძანებელს, კლეოპატრა V-ს.

დედოფლისეული ხელწერა განსხვავდება დოკუმენტის ძირითადი ტექსტის კალიგრაფიისგან. ეტყობა, ბრძანება დედოფლის რომელიმე ქვეშევრდომმა დაწერა, ვინაიდან თავად კლეოპატრა, ალბათ, მხოლოდ „ვიზას“ ადებდა დოკუმენტებს. ბრიტანეთის მუზეუმის ექსპერტთა აზრით, უეჭველია, რომ ხელმოწერა დედოფალს „ეკუთვნის“.

თავად დოკუმენტი არის დედოფლის დაპირება რომის ერთ-ერთი ოფიცრის პუბლიუს კანიდიუსის, მარკუს ანტონიუსის უახლოესი მეგობრისადმი. პაპირუსის თანახმად, კანიდიუსს მიეცა 10.000 ტომარა ხორბლის ექსპორტირებისა და 5.000 კასრი ღვინის იმპორტირების უფლება ბაჟის გადაუხდელად. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი დათარიღებულია აქციის კონცხზე ბრძოლამდე 2 წლით ადრე (31 წელი ჩვენს ერამდე), მაშინ, როცა მარკუს ანტონიუსისა და კლეოპატრას ფლოტი გაანადგურა რომის იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა. ანტონიუსმა და კლეოპატრამ ვერ აიტანეს დამარცხება და თავი მოიკლეს.

ისტორიკოს პლუტარქეს აზრით, ანტონიუსს არ სურდა, კლეოპატრას მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში. მაგრამ მოგვიანებით, კანიდიუსთან საუბრის შემდეგ, რომელიც კლეოპატრას მოეყიდა, შეცვალა გადაწყვეტილება. ისტორიკოსის ვარაუდი დაადასტურა პაპირუსმა — უძველესი დოკუმენტი მოსყიდვის ფაქტს გვამცნობს.

საინტერესოა, რომ აღმოჩენა შემთხვევითია. ყველა ისტორიკოსი როდი ეთანხმება ჰოლანდიელ მეცნიერს. ოქსფორდის უნივერსიტეტის ექსპერტი ნიკოლას პარსელი ფიქრობს, რომ ხელმოწერა შესაძლოა ეკუთვნოდეს ისევ და ისევ დედოფლის ქვეშევრდომს. მაგრამ პეტერ ვონ მინენი თავისას ამტკიცებს: „დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილი იყო იმგვარად, რომ ყველას მაშინვე ეცნო დედოფლის ხელი“.

იზვესტია №220

ქევინ კოსტნერს ლედი დის მცველობა ხურდა



1992 წლის 25 ნოემბერს, რვა წლის წინ, ეკრანებზე გამოვიდა პოპულარული მელოდრამა „მცველი“ უიტნი ჰიუსტონისა და ქევინ კოსტნერის მონაწილეობით.

სცენარისტმა ლორენს კაზდანმა „მცველის“ სცენარი სტუდიაში 1975 წელს მიიტანა და მას შემდეგ, 15 წლის მანძილზე, ქევინ კოსტნერამდე ჰოლივუდის 65-მა ვარსკვლავმა ამ როლის შესრულებაზე უარი განაცხადა.

როცა კოსტნერმა უიტნი ჰიუსტონს შესთავაზა მასთან ერთად ფილმში თამაში, ქალმა ეს წინადადება შორს დაიჭირა, მაგრამ კოსტნერი არ მოეშვა. „მე მას ორ რამეს შევპირდი, — ჰყვებოდა შემდეგი კოსტნერი, — ჩვენ ერთად ვითამაშებდით და ის შეუდარებელი იქნებოდა, რადგან ჩემ გვერდით სხვანაირად შეუძლებელი იყო“.

ჰიუსტონი კი ამბობს, რომ ის ისე მოექცა კინოს, როგორც მუსიკას — სცენარმა თითქოს გულში გაუარა და გზა განაგრძო, იგი თავის გმირთან ერთად შეიგრძნობდა ყველა სიტუაციას. მიუხედავად ამისა, ფილმის დამთავრების შემდეგ, კოსტნერი კმაყოფილი მაინც არ იყო. მან წაართვა ფილმი რეჟისორს და ხელახლა დაამონტაჟა სცენარისტ კაზდანთან შეთანხმებით. კოსტნერმა ამოჭრა ეროტიკული სცენა და აქცენტი ნათელ, წმინდა სიყვარულზე გააკეთა. „მცველმა“ გააოგნა მაყურებელი. პირველი ორი თვის მანძილზე ფილმის შემოსავალი 200 მილიონი დოლარი იყო.

ასეთმა წარმატებამ შთააგონა კოსტნერი და ფილმის გაგრძელება მოინდომა. 1995 წელს ის პრინცესა დაიანას მოელაპარაკა. ისინი ერთმანეთს ჰონკონგში შეხვდნენ და კოსტნერმა ლედი დის ნახევრად ხუმრობით მთავარი როლის შესრულება შესთავაზა, რაზეც, მისდა გასაოცრად, დაიანა დასთანხმდა. „ჩემი ცხოვრება დღითი დღე ისე სწრაფად იცვლება, რომ შესაძლოა, ძალიან მალე მხოლოდ საკუთარ თავს ვეკუთვნოდე. მოამზადეთ სცენარი და იმედი მაქვს, რომ იმ დროისთვის საჭირო ადგილზე ვიქნები“, — თქვა მაშინ ლედი დიმ.

კოსტნერი ამ ფილმის გადაღებას 2000 წელზე ადრე არ ვარაუდობდა. დაიანას უნდა შეესრულებინა ულამაზესი პრინცესას როლი, რომელსაც არ ეშინოდა თამამი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისა, თუნდაც უსიამოვნებათა საფასურად. ფაქტობრივად, ის საკუთარ თავს განასახიერებდა ეკრანზე. 1997 წლის ზაფხულის მიწურულს სცენარი უკვე მზად იყო. მოქმედება უნდა განვითარებულიყო ჰონკონგში, სადაც საქველმოქმედო მისიით ჩასული პრინცესა ჰეროინის მაფიის გზაზე აღმოჩნდებოდა, რა თქმა უნდა, პრინცესასა და მის მცველს ერთმანეთი დანახვისთანავე შეუყვარდებოდათ. კოსტნერი შეჰპირდა დაიანას, რომ კონკრეტული წინადადებით მხოლოდ მაშინ მივიდოდა მასთან, როცა სცენარი სრულყოფილ სახეს მიიღებდა.

შეხვედრამდე სამი დღით ადრე პრინცესა დაიანა დაიღუპა...

სობესედნიკი №45

ხახრბიელო საქმრო სამი თვისა

მისი დედიკო პოპ-ქალღმერთი მადონა გახლავთ, მამიკო — არანაკლებ ცნობილი კინორეჟისორი გაი რიჩი; თავად როკი რიჩი ახლახან გახდა ბრიტანული საზოგადოების თვალსაჩინო წევრი, რაც არცთუ ურიგოა პაწიასათვის, რომელსაც ეს-ეს არის, სამი თვე შეუსრულდა. ციცქნა ვარსკვლავმა მე-20 ადგილი დაიკავა სავარაუდო საქმროების სიაში, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 24 წელი. პირველ ნომრად ამ საინტერესო დოკუმენტში ლორდი ფრედერიკ უინსტორი არის მოხსენიებული, რომელიც უკვე 22 წლის გახდა. სია შეადგინა ბი-ბი-სი-ს გამოჩენილი ადამიანებისადმი მიძღვნილმა ახალმა ჟურნალმა „სთარმა“, რომელმაც გამოკითხვა ჩაატარა და შედეგებს აქვეყნებს. საგულისხმოა, რომ 18 წლის პრინცი უილიამი მეექვსე ადგილზეა, ხოლო მისი 16 წლის ძმიკო განი მე-18-ზე. საგულისხმოა ისიც, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის 16 წლის ვაჟმა იან ბლერმა დაიანას ორივე ვაჟიშვილს გაუსწრო... ახლო მომავალში ჟურნალი „სთარი“ პირველ ადგილებზე გასულთა სიასაც მოგვაწვდის.

პოსლედნიე ნოვოსტი №48

№49 (218) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 504 რესპონდენტი ჰყავდა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 198-მა ქალმა და 298-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„კვირის პალიტრის“ ახალი ორიგინალური რუბრიკებიდან რომელმა დაიმსახურა თქვენი მოწონება ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა რუბრიკამ „რას გვეტყვი, მამაო?“

რესპონდენტთა 37-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, 6,22 საშუალო ქულით „კვირის პალიტრის“ ეს რუბრიკა პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზეა რუბრიკა — „ჩვენ, ქართველები...“ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ მას ხვდა წილად — მხოლოდ ოთხმა მკითხველმა დაუწერა მას 1 ქულა. მაქსიმალური — 8 ქულით კი იგი რესპონდენტთა 28-მა შეაფასა. საშუალო ქულაა 6,08.

როგორც ჩანს, მკითხველთა არანაკლებ მოწონებას იმსახურებს „დედათბილისიც“. 5,03 საშუალო ქულით იგი მესამე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველები, აქ ჩამოთვლილთა შორის, შედარებით ნაკლებ უპირატესობას ანიჭებენ რუბრიკებს — „შტრიხები საკუთარი პორტრეტისათვის“, „ავტოსალონი“ და „აბა, ვინ ვარ...“. სულ ბოლო ადგილზე ეს უკანასკნელია, თუმცა, ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (32) „ავტოსალონმა“ დაიმსახურა.

მამაკაცებს „ავტოსალონი“ უფრო მოსწონთ, ვიდრე „შტრიხები საკუთარი პორტრეტისათვის“, რაც შეეხებათ ქალებს, მათთან „ავტოსალონი“ სულ ბოლო ადგილზეა.



საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი 18 წლის თბილისელი **ელისაბედ ნადებაშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „საბალღო-სალაღოს“ ოთხის ნაცვლად სამი ქულა (მეექვსე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო რუბრიკას — „შტრიხები საკუთარი პორტრეტისათვის“ კი — სამის ნაცვლად — ოთხი (მეხუთე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 12 დეკემბერს, 17 საათზე.

№50 (219) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

№50 (219) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 13 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 დეკემბრის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №50 (219) — პოლიტიკური კულტურა

თქვენი აზრით, რომელ ძართველ პოლიტიკოსს გააჩნია ყველაზე მაღალი პოლიტიკური კულტურა (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№50(219) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	პოლიტიკოსი	ქულა
1	აკაკი ასათიანი	
2	ზურაბ ჟვანია	
3	ედუარდ შევარდნაძე	
4	ირინა სარიშვილი-ჭანტურია	
5	მიხეილ სააკაშვილი	
6	გიორგი თარგამაძე	
7	ნინო ბურჯანაძე	
8	ასლან აბაშიძე	
9	ჯუმბერ პატიაშვილი	

დამატებითი კითხვა

თქვენი აზრით, როგორი კურსი უნდა აირჩიოს საქართველომ —

პროდასავლური	პრორუსული	ნეიტრალური	მიჭირს პასუხის გაცემა

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგს 437 რესპონდენტი გამოეხმაურა. მათ უნდა დაესახელებინათ **პლანეტის ყველაზე მომხიბვლელი თანამედროვე ქალი და მამაკაცი.**

უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველთა განსაზღვრულმა ნაწილმა თავისი მეუღლე, საყვარელი ადამიანი და მშობლები დაასახელა.

სულ 141 მომხიბვლელი ადამიანი დასახელდა, დაწინაურებული პირველი ათეულები კი ასეთია:

1.	ჯულია რობერთსი	11%	1.	ალენ დელონი	10%
2-4.	შერონ სთოუნი	5%	2.	ბილ კლინტონი	8%
2-4.	სოფი ლორენი	5%	3.	ბრედ პიტი	7%
2-4.	სინდი კროუფორდი	5%	4-5.	ლეონარდო დი კაპრიო	3,5%
5.	კეტრინ ზეტა ჯონსი	4,5%	4-5.	რიჩარდ გირი	3,5%
6.	სოფი მარსო	4%	6-7.	ანტონიო ბანდერასი	3%
7.	კლაუდია შიფერი	3%	6-7.	ტომ კრუზი	3%
8-9.	ჰილარი კლინტონი	2,5%	8.	მელ გიბსონი	2,7%
8-9.	ნაომი ქემფბელი	2,5%	9-10.	რობერტ დე ნირო	2%
10.	პრიანკა ჩოპრა	2%	9-10.	ჯორჯ კლუნი	2%

მკითხველთა 5-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

© · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

_____

_____

_____

_____

_____

_____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი

ვ.პ. — ისე, ბილ! მკლავჭიდს ძიუდო მერჩივნა, მაგრამ რადგან მთავარი პრიზი საქართველოა, თანახმა ვარ გემკლავჭიდაო.

თ. ლომიძე, თბილისი

ბ.კ. — მაიტა ხელი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შენ, დანარჩენი საქართველო მე.

ვ.პ. — აჭარაც დაუმატე და მოვრჩეთ საქმეს.

თ. ლორთქიფანიძე, თბილისი

„ხელმოკლე“ და „ხელგაშლილი“ პრეზიდენტები.

ტ. მელიქიძე, თბილისი

ედუარდ შევარდნაძე. — ორი ერთზე ხომ?

გიორგი დაბრ. თბილისი

ბ.კ. — გამარჯობა ვალოდია, გავიგე ქართველი ყოფილხარ. მეც ფრანგი ვარ წარმოშობით, მაგრამ ჩემს სახელს წინ „დე“-ს უმატებდნენ და არ მომწონდა.

გიორგი ფოცხვერაშვილი, თბილისი

ბ.კ. — დაარტყი ხელი, შევარდნაძისთვის უცნობია ჩვენი შეხვედრა.

ვ.პ. (ფიქრობს) — ვის მაგონებს კარის დარაჯის სახე... აბდალაძე ხომ არ არის ნეტავ?

ვ. ბერძენიშვილი, თელავი

ვლადიმირ პუტინი, ბილ კლინტონი

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 133 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

ვლადიმირ პუტინი და ბილ კლინტონი შეთანხმდნენ საქართველოს საკითხში. (პასუხი იხილეთ „კვირის პალიტრის“ საუკუნის პროექტში 2100 წელს).

ირაკლი მღვდლიაშვილი, თბილისი

ბ.კ. — ვლადიმირ, მაღაზია ღია გაქვთ.

ვ.პ. — ბატონო ბილ, ჩემი თუ მაღაზიაა, მაშინ თქვენი სუპერმარკეტია.

ბექა ბუცხრიკიძე, თბილისი

ვ.პ. — გამარჯობა ბილ! როგორ არის თქვენთან საქმე, აირჩიეთ პრეზიდენტი?

ბ.კ. — გამარჯობა ვოვა! ეხ, ნუღარ მკითხავ. რაც მოქალაქეთა კავშირი იყო ჩვენთან ვიზიტით, ჩვენებს სულ არჩევნების გაყალბება ელანდებათ.

თამაზ დუნდუა, თბილისი

ქართული ფანტაზია

ბ.კ. — გავიგე, საქართველო ტოვებს ესენგეს.

ვ.პ. — ეხ, ვიღუპებით მგონია. თუ გინდა, შენ მიგიღებთ.

ბ.კ. — ეხ, გაჭირვებას რა ვუთხარი, დაკა ხელი.

ლელუაშვილი კახა, ქვიშხეთი

ბ.კ. — ვალიკო! მე მივდივარ და ჩემს პატარა „ბაბუს“ ნუ დამიჩაგრავ! მოსულა? მოიტა ხელი!

„რაჭველი“, თბილისი

ბ.კ. — ხელის ჩამორთმევაზე თავს რატომ იკავებთ ბატონო პუტინ?!

ვ.პ. — იმიტომ, რომ ეშმაკმა იცის, სად უსვამდი ხელს ლევინსკის.

სვანი, თბილისი

ვ.პ. — არჩევანი მე, არადანი შენ, საქართველო მე, ყირგიზეთი შენ.

ავტორი: — დრონი მეფობენ და არა მეფენი, დედაც ვატირე ორივესი, მე თქვენი...

გელა ბერაძე, ქუთაისი

ფოტო განწყობისათვის

— დედის გული რა გითქვი, თვალრა, ფენ რა გასაჩენი იყავი...

მაგნიტური დღეები

11/XII 23⁰⁰ სთ-დან

12/XII 01⁰⁰ სთ-მდე

17/XII 13⁰⁰ სთ-დან 15სთ-მდე

11/XII ● საგსე მთვარე

წინა სკანვორდის პასუხები

ქართული წამალი „სალხინო“ ერთადერთი პრეპარატია, რომელსაც გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ძვირით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ძვირით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩაგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ***ყუთები იცლ*** ***თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლ ენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შეს ვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირ ბოლ ი; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოან პეტრ ს ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავი ებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლ მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოე ნზე; სლაღეევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და ადიო ან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნი რსამ მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსასის ქუჩაზე; ვჭავა ს 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამ - ვ ველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) ჩერ თან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

ქალაქებში *ნებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ითა ი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფო ი; ბულეთი, გათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, ელნ ი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; გორჯომი, ახალციხე;* ***არსებული „სიტყ ა ქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტაში* ***ყუ ბი ც ცლება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *დედოფლის წყაროშ თვ II კვირის ხუთშაბათს. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟ ნვა ა და დუშეთში კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.*

ყურადღ ებ „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორეს ონ ენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია ნ ნოლით.©



ყურნალი სასიამოვნო დასვენებისთვის

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54

რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“ ©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

50 უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვეველად წაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№50 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 14 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.